

19  
945/2



# მნამნამი

9

---

თბილისი  
1945



# ენათობი

სრულიად - საქართველოს საბჭოთა მწერლების  
კავშირის ყოველთვიური სალიტერატურო,  
სახელოვნო და საბოტაჟური - საპოლიციო  
ქერნალი

წელიწადი ოცდახუთე

9

ჩაწერილია  
1954



19

საბჭოთაობა  
სახელოვნო

45

საქართველოს  
კავშირების  
მკვლევარი  
ბიბლიოთეკა

სარედაქციო კოლეგია

უზაზიძე ირაკლი  
უსათიანი ლევან  
გამსახურდია კონსტანტინე  
ქალაძე კარლო  
მუხაშვილი ალიო (ვ.შ. რედაქტორი)  
მოსაშვილი ილო  
ტაბიძე ვალაჭტიონ  
ჭიაჩელი ლეო  
წინამძღვარი დემანა

ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/IX-45 წ. ნაბეჭდ ფორმითა რაოდენობა 11 $\frac{1}{2}$ ,  
შეკვეთის № 1443. შპ 06982, ტირაჟი 5000.

სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, უორცის ქ. № 5.  
რედაქციის მისამართი: შ.ჩაბლის № 13, შვერალთა კვშირი. ტელეფ. 3-04-64.

# აგხანავ ი. ბ. სვალინის მიმართ ხალხსადმი



აგხანავებო!

თანამემანულო!

დღეს, 2 სექტემბერს, იაპონიის სახელმწიფო და სამხედრო წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს უსიტყვო კაპიტულაციის აქტს. ზღვებსა და ხმელეთზე სასტიკად დამარცხებულმა და გაერთიანებული ერების შეიარაღებული ძალებით ყოველი მხრიდან გარშემორტყმულმა იაპონიამ თავი და მარცხებულად ცნო და იარაღი დაჰყარა.

მსოფლიო ფაშისმისა და მსოფლიო აგრესიის ორი კერა შეიქმნა ახლანდელი მსოფლიო ომის წინ: გერმანია — დასავლეთში და იაპონია — აღმოსავლეთში. ისინი იყვნენ, მეორე მსოფლიო ომი რომ გააჩაღეს. ისინი იყვნენ, კაცობრიობა და მისი ცივილიზაცია დაღუპვის პირას რომ მიიყვანეს. მსოფლიო აგრესიის კერა დასავლეთში ლიკვიდირებულ იქნა ოთხი თვის წინათ, რის შედეგადაც გერმანია იძულებული აღმოჩნდა კაპიტულაცია მოეხდინა. აქედან ოთხი თვის შემდეგ ლიკვიდირებულ იქნა მსოფლიო აგრესიის კერა აღმოსავლეთში, რის შედეგადაც იაპონია, გერმანიის მთავარი მოკავშირე, აგრეთვე იძულებული აღმოჩნდა ხელი მოეწერა კაპიტულაციის აქტისათვის.

ეს იმას ნიშნავს, რომ მეორე მსოფლიო ომი დამთავრდა.

ახლა ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მთელ მსოფლიოში მშვიდობიანობისათვის საჭირო პირობები უკვე მოპოვებულია.

უნდა აღინიშნოს, რომ იაპონელმა დამპყრობლებმა ზიანი მიიყენეს არა მარტო ჩვენს მოკავშირეებს — ჩინეთს, ამერიკის შეერთებულ შტატებს, დიდ ბრიტანეთს. მათ უაღრესად სერიოზული ზიანი მიიყენეს ჩვენს ქვეყანასაც. ამიტომ ჩვენ კიდევ განსაკუთრებული ანგარიში გვაქვს იაპონიის მიმართ.

თავისი აგრესია ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ, იაპონიამ დაიწყო ჯერ კიდევ 1904 წელს რუსეთ-იაპონიის ომის დროს. როგორც ცნობილია, 1904 წლის თებერვალში, როცა მოლაპარაკება იაპონიასა და რუსეთს შორის ჯერ კიდევ გრძელდებოდა, იაპონია, რომელმაც ისარგებლა მეფის მთავრობის სისუსტით, მოულოდნელად და ვერაგულად, ომის გამოუცხადებლად, — დაესხა თავს ჩვენს ქვეყანას და იერში მიიტანა რუსეთის ესკადრაზე პორტ-არტურის რაიონში, რათა მწყობრიდან გამოეყვანა რუსეთის რამდენიმე სამხედრო ხომალდი და ამით ხელსაყრელი მდგომარეობა შეექმნა თავისი ფლოტისათვის. და მან მართლაც გამოიყვანა მწყობრიდან რუსეთის სამი პირველხარისხოვანი სამხედრო ხომალდი. დამახასიათებელია, რომ აქედან 37 წლის შემდეგ იაპონიამ ზუსტად გაიმეორა ეს ვერაგული ხერხი ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ, როცა 1941 წელს თავს დაესხა

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვო ბაზას პირთ-პარბორ-ში და მწყობრიდან გამოიყვანა ამ სახელმწიფოს რამდენიმე სახელი გემი. როგორც ცნობილია, იაპონიასთან ომში რუსეთმა მაშინ დამარცხება განიცადა. იაპონიამ კი ისარგებლა მეფის რუსეთის დამარცხების შემთხვევაში, რომ ჩამოეგლოჯა რუსეთისაგან სამხრეთი სახალინი, დამეკრიფებულ იყო კურილის კუნძულებზე და, ამრიგად, ჩვენი ქვეყნისათვის მაგრად ჩაეკეტა აღმოსავლეთში ყველა გასასვლელი ოკეანისაკენ — მაშასადამე, ასევე ყველა გასასვლელი საბჭოთა კამჩატკის და საბჭოთა ჩუკოტკის ნავსადგურებისაკენ. ცხადი იყო, რომ იაპონია ამოცანად ისახავდა ჩამოეგლოჯა რუსეთისათვის მთელი მისი შორეული აღმოსავლეთი.

მაგრამ ამით როდი ამოიწურება იაპონიის დამპყრობლური მოქმედება ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ. 1918 წელს, ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ, იაპონიამ ისარგებლა მაშინ ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატების მტრული დამოკიდებულებით საბჭოთა ქვეყნისადმი და, მათზე დაყრდნობით, — კვლავ დაესხა თავს ჩვენს ქვეყანას, მოახდინა შორეული აღმოსავლეთის ოკუპაცია და ოთხი წლის განმავლობაში სტანჯავდა ჩვენს ხალხს, ძარცვავდა საბჭოთა შორეულ აღმოსავლეთს.

მაგრამ ესეც როდია ყველაფერი. 1938 წელს იაპონიამ კვლავ დაესხა თავს ჩვენს ქვეყანას ხასანის ტბის რაიონში, ვლადივოსტოკის ახლოს, იმ მიზნით, რომ გარს შემორტყმოდა ვლადივოსტოკს, ხოლო შემდეგ წელს იაპონიამ გაიმეორა თავისი თავდასხმა უკვე სხვა ადგილას, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის რაიონში, ხალხნ-გოლთან იმ მიზნით, რომ შემოჭრილიყო საბჭოთა ტერიტორიაზე, გადაეკრა ჩვენი ციმბირის რკინიგზის მაგისტრალი და მოეწყვიტა რუსეთისათვის შორეული აღმოსავლეთი.

მართალია, იაპონიის იერიშები ხასანისა და ხალხნ-გოლის რაიონში ლიკვიდირებულ იქნა საბჭოთა ჯარების მიერ იაპონელებისათვის დიდად სამარცხვინოდ. ასევე წარმატებით ლიკვიდირებულ იქნა იაპონიის სამხედრო ინტერვენცია 1918-22 წლებში, და იაპონელი ოკუპანტები განდევნილ იქნენ ჩვენი შორეული აღმოსავლეთის რაიონებიდან. მაგრამ 1904 წელს რუსეთ-იაპონიის ომის პერიოდში რუსეთის ჯარების დამარცხებამ მძიმე მოგონებანი დასტოვა ხალხის შეგნებაში. ეს დამარცხება შავ ლაქად დააჩნდა ჩვენს ქვეყანას. ჩვენს ხალხს სწამდა და მოელოდა, რომ დადგებოდა დღე, როცა იაპონია დამარცხდებოდა და ლაქა წარხოცილ იქნებოდა. ორმოც წელიწადს ველოდით ჩვენ, ძველი თაობის ადამიანები, ამ დღეს. და აი, ეს დღე დადგა. დღეს იაპონიამ დამარცხებულად სცნო თავი და ხელი მოაწერა უსიტყვო კაპიტულაციის აქტს.

ეს იმას ნიშნავს, რომ სამხრეთი სახალინი და კურილის კუნძულები საბჭოთა კავშირის ხელში გადმოვიღენ და ამიერიდან ისინი ოკეანისაგან საბჭოთა კავშირის მოწყვეტის საშუალება და ჩვენს შორეულ აღმოსავლეთზე იაპონიის თავდასხმის ბაზა კი აღარ იქნებიან, არამედ ოკეანესთან საბჭოთა კავშირის პირდაპირი კავშირის საშუალება და იაპონიის აგრესიისაგან ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ბაზა.

ჩვენი საბჭოთა ხალხი ძალებსა და შრომას არ იშურებდა გამარჯვებისათვის. ჩვენ მძიმე წლები გადავიტანეთ. ახლა თვითველ ჩვენგანს შეუძლია სთქვას: ჩვენ გაიმარჯვეთ. ამიერიდან ჩვენ შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ

ჩვენი სამშობლო გადარჩენილია გერმანელთა შემოსევის საფრთხეს დასაფლეთში და იაბონელთა შემოსევის სფრთხეს აღმოსაფლეთში. დიდებ დიდი ხნის ნანატრი მშვიდობიანობა მთელი მსოფლიოს ხალხებისათვის.

მოგილოცაეთ, ჩემო ძვირფასო თანამემამულენო, დიდებ გამარჯვებას, ომის წარმატებით დამთავრებას, მთელ მსოფლიოში მშვიდობიანობის დადგომას!

დიდება საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ჩინეთისა და დიდი ბრიტანეთის შეიარაღებულ ძალებს, რომლებმაც მოიპოვეს გამარჯვება იაბონიაზე!

დიდება ჩვენს შორეულ აღმოსაფლეთის ჯარებსა და წყნარი ოკეანის სამაედრო-საზღვაო ფლოტს, რომლებმაც დაიცივეს ჩვენი სამშობლოს სახელი და ღირსება!

დიდება ჩვენს დიდ ხალხს, გამარჯვებულ ხალხს!

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ბრძოლებში ჩვენი სამშობლოს ღირსებისა და გამარჯვებისათვის!

გამაოჯვება და აყვავება ჩვენს სამშობლოს!

ალექსანდრი აბაშელი

## პაუ-შაპვიანს სვკიქონები

შემოლამდება, ბნელ ცაზე  
ვარსკვლავნი გამოჩნდებიან,  
მათ შორის ცეცხლის ვარდებად  
ვაქვს სიტყვები სხდებიან.  
ვხედავ ანთებულ სტრიქონებს,  
ბრწყინავენ გაუმქრალები:  
„ღღემ დაიხურა პირბადე,  
მთებმა დახუკეს თვალები“.

ხევეს ღუმილი მოიცავს,  
მწვერვალზე ნისლი გროვდება.  
მთებს რომ გავხედავ, ფშაველის  
ნათქვამი მომაგონდება.  
ყურში მისი ხმა ჩამწვდება,  
გულში ჩამიწვენს მთვარესა:  
„მთანი თავჩაჩქნიანები  
ფიქრს მისცემიან მწარესა“.

მთვარის ამოსვლა დაიწყო,  
აღლვარება ღრუბლისა.  
„გადაეფინა სამყაროს  
ლოცვა-კურთხევა უფლისა“.  
ესეც ხომ მისი ხმა არის,  
მისი სიტყვების ნათება.  
ვაქვს ქართულის ნაშუქი  
ვარსკვლავებს ეკამათება.

აგვისტო, 1945 წ.

## ღებენა სთომილ ვარსკვლავზე

ჩემი პირველი სიყვარული ჰგავს ცთომილ ვარსკვლავს,  
რომელიც ერთდროს, ციდან ცაში გამოჩენამდე —  
ჩამჭრალა უკვე, რახანია ცთომილებს ახლავს,  
სხივი კი... სხივი — მხოლოდ ეხლა მოდის ჩვენამდე.

წლები გადიან და ვარსკვლავიც ჰჭრება ურიცხვი,  
სული არ ცხრება და მოილტვის ჩვენსკენ გოდებით,  
მე ვიწვი ქვეყნად ჩაუქრობელ სიყვარულისთვის,  
მეც იმ ვარსკვლავის ბედს ველოდები.

## ნ ყ ა რ ო

ვზივარ წყლის პირას, — და საერთოდ ვსწყეველი წყაროებს,  
შენ გაღმა შრომობ, — და ხანდახან მესვრი ტაროებს.

შენთან კარგია მოსაეალი, — აქაც უხვია,  
რა ყანა გეჭონდა საზიარო?! — წყალს გაუყვია.

გადმოდი მარტოდ არ დამტოვო, არ დამაღონო,  
ჩალის კონები ერთმანეთზე არ დაეაკონოთ?!  
წყაროს არ უნდა — შენი ტკბილი ხმა გამაგონოს.

## ღ ი მ ი ლ ი

წყალს დავყურებდი, მოწყენით ვჩანდი,  
ცისკრის მაღალი ბჭე იღებოდა,  
მაკვირდებოდა, კრთებოდა ლანდი,  
ორივეს მწარედ გვეღიმებოდა.

ვფიქრობდი: ალბათ ცხოვრების დღევაც  
სიზარულია და სიმძიმელი,  
და, როგორც ღამეს — ფერმკრთალი ელვა,  
მოწყენილ სახეს ჰშვენის ღამილი...



დრო გადიოდა... ყოველი წამი  
მტრედისფერ შუქად მტკვარზე დნებოდა,  
ნელსაცხებელის მითოვდა ნამი,  
ტფილისის დილა მათენდებოდა.

წყალს ეასხურებდი, — კრთებოდა ლანდი,  
ჰქრებოდა დარდი და სიმძიმელი,  
ვიდექ მოსილი მზის შარავანდით  
ჩემივე ლანდის ნათლისმცემელი.



ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

## პოეზია—ენის მფლობელი

ზაბაიდან \*)

პოეზიაა ენის მფლობელი,  
ქეისგან სასწაულს ძერწავს გენია,  
სიტყვა წრფელი და გამათბობელი  
სულს ატკბობს, გულსაც მოუღებნია.

და თუ მგოსანი, სიტყვების ნისლით,  
აბუნდოვანებს მშობლიურ ენას,  
ხალხს არ სჭირდება სიმღერა მისი,  
ის ატკბობს მხოლოდ უფიცთა სმენას.

ყურანი ი, ზღვა ჯადოსნური  
დაუშრეტელი თქმის და მიზნების,  
თუ არა ლექსის ძალა მგოსნური —  
დამუნჯდებოდნენ ქვეყნად მისნები.

მეჩეთში ლოცვად დამდგარი ბრძენი,  
მეოცნებე თუ მოგვი ყოველი —  
მკერმეტყველობენ საამურ ენით,  
ნაირ-ნაირი სიტყვის მქსოველი.

პარნასზე ასელას ყველა ვერ ასწრებს,  
მხოლოდ რჩეულებს ელის დიდება,  
ლექსი ინახავს ოქროვან აზრებს,  
მას დროთა ეანგი არ ეკიდება.

როს მაგონდება წარსულის დღენი,  
ძველ აკინების ოხერა, გოდება,  
გული ღონდება, მეესება წყენით  
და მათი ბედიც შემეცოდება.

\*) აბი კუნძულები ყაზახეთის კლასიკოსი პოეტი. მოღვაწეობდა ვასული სოფლის 70-80-იან წლებში. წელს ჩატარდა მისი დაბადებიდან ასი წლის იუბილე.

ცრემლით გაპოხილ ღომბრით, ფანდურით  
ხალხში დაძრწოდნენ, ვით სნეულები,  
მშვიერ-მწყურველნი და უმაღურნი  
ლექსებს არცხვენდნენ, ღვთით წყევულები!



ბაებს, ბატონებს უწვდიდნენ ხელებს,  
ითმენდნენ სულის წვას და წვალებას,  
და გამოსთხოვდნენ ჩარჩებს, შჩაგვრელებს  
სულ მცირე პატივს და მოწყალებას.

სხვის ეზო-კართან დგომით, წრიალით,  
ჩაოდნენ ყალბი ხმით აღჭურვილი,  
გროშად არ ღირდა სიმთა წკრიალი,  
ხალხში სიმღერის გაშრა მწყურვილიც.

მე არ მჩვევია უხვი სიტყვები,  
სხვის გასართობად არ ვწერ სტრიქონებს,  
მუდამ სწორი და ძუნწი კითხვებით  
სიმართლეს ვამბობი თქვენც გამიგონეთ!

მე, რომ ცხოვრების სიმართლის თქმამი  
ქარს აველოდი, ვით საქანელა, —  
ჩემი სიტყვაც და სიმღერაც მაშინ  
გადიქცეოდა ტკბილ საფანელად.

მხოლოდ ზოგს მოსწონს რჩევა კეთილი,  
ბრიყვს ჯიუტობა სჩვევია მარად,  
გონებით ბრმაა, კარ-ჩაკეტილი,  
მისთვის მონური ცხოვრებაც კმარა.

ფარისეულობის ღვარძლით სნეული  
მეფობს სიავე სიმართლის გვერდით,  
სახით კეთილი და ღირსეული  
გამოერევა ათასში ერთი.

ვერაგი მუდამ ბნელი გზით წავა,  
მსუენავი სარფას დაეძებს მხოლოდ,  
ის, განზრახ, ხალხში დაიწყებს დავას,  
რამე საშოვარს იხელთებს ბოლოს.

ზნე და სინდისი ფასდება განა,  
ხალხი სიბნელეს აღარ იშორებს,  
ორლობებში ბრმებით ღვანან,  
მატყლივით ქსოვენ ათასჯვარ ჭორებს.

# ღესბიას

კატულიდან \*)



ვიყოთ! გვიყვარდეს ერთმანეთი, ჩემო კეთილო!  
 ყურს ნუ დავუგდებთ გაათორებულ ბებრების ჩიფჩიფს!  
 დროებით ჩავეა ცის მნათობი, ამოვა ისევ,  
 ჩვენთვის კი... ჩვენთვის — ძლივს ჩაპქრება სინათლე წამის,  
 და ჩამოდგება შუალამე უთენებელი.

მაშ, ჩამეხვიე და ჩამკოცნე ასჯერ, ორასჯერ,  
 ასჯერ, ათასჯერ, უფრო მეტად, და კიდევ ასჯერ,  
 კიდევ ათასჯერ, კიდევ ასჯერ, სულმოუთქმელად,  
 ვთვალთ, ვამრავლოთ ერთმანეთზე კოცნა ურიცხვი.  
 შემდეგ ავრიოთ ანგარიში, ახლად დავიწყით,  
 რომ არ დავტანჯოთ შურიანი ბრანძორეული —  
 როცა ქურდულად თვალს შეასწრებს ჩვენს ამდენ კოცნას!

\*) კატული უდიდესი რომაელი ლირიკოსი პოეტია. ცხოვრობდა და მოღვაწეობდა  
 87 — 80 წწ. ჩვენს ერამდე.

კოლაუ ნაღირაძე

## მე მიყვარს ღილა

მე მიყვარს ღილა, როცა ფანჯრებში შემოვა მზე და მერცხლის გალობა,  
როცა მახარებს სიცოცხლის გრძნობა და თვით სიკვდილის გარდუეალობა,—  
მე მიყვარს ღილა, როცა ფანჯრებში შემოვა მზე და მერცხლის გალობა!

მე მიყვარს ღილა, როცა მარჯანი გადაეფრქვევა მეტეხის კარებს:  
ნარიყალაზე, კრწანისის გმირნი როს ამართავენ სისხლიან ფარებს,—  
მე მიყვარს ღილა, როდესაც სიონს მტრედების გუნდი დააფრინდება!

მე მიყვარს ღილა, როდესაც სიონს მტრედების გუნდი დააფრინდება!  
როდესაც მტკვარი გახდება ლურჯი და, როგორც ცრემლი, დაიწმინდება,—  
მე მიყვარს ღილა, როდესაც სიონს მტრედების გუნდი დააფრინდება!

და კიდევ მეტად მე მიყვარს მიწა, რომელსაც ჰქვია მიწა ქართული  
მიყვარს ქართველი დინჯი ვაჟაკი ქედმოუხრელი და მომართული,—  
და კიდევ მეტად მე მიყვარს მიწა, რომელსაც ჰქვია მიწა ქართული!

და კიდევ მეტად მე მიყვარს მისი ამღერებელი, უკვდავი სული  
მისი გმირული დიადი აწმყო, მისი დიდება, მისი წარსული,—  
და კიდევ მეტად მე მიყვარს მისი ამღერებელი უკვდავი სული!

ასე ძლიერად და შთაგონებით რამ შემაყვარა მშობელი მხარე?!  
რისთვის ჩამედგა პოეტის გული და ქართულ ლექსით რათ გავისხარე!  
ასე ძლიერად და შთაგონებით რამ შემაყვარა მშობელი მხარე?!

განა ოდესმე მისთვის ჯანღონე, ან და სიცოცხლე დამშურებია?!  
განა ოდესმე ბედს ვუჩიოდი, განა ოდესმე დავმღურებდვარ?  
განა ოდესმე მისთვის ჯანღონე, ან და სიცოცხლე დამშურებია?!

განა მე ვდარდობ, რომ მოვა უამი და ვერ ვიხილავ მის მოგებას და ვალებს?  
 ძინდერის ყვავილში, ან ხის ფოთოლში ოდესმე მაინც გავახელ თვალებს?..

განა მე ვდარდობ, რომ მოვა უამი და ვერ ვიხილავ მის მოგებას და ვალებს?  
 გიგლა: იქნებ...

მე მიყვარს დილა, როცა ფანჯრებში შემოვა მზე და მერცხლის გალობა!  
 როცა მახარებს სიცოცხლის გრძნობა და თვით სიკვდილის გარდუვალობა...  
 მე მიყვარს დილა, როცა ფანჯრებში შემოვა მზე და მერცხლის გალობა!

განა ვალებს მე

ალექო შენგელია

## მოხუცი და ცაცხლი

ბუხართან დინჯი ჩაფიქრებით ზის ბერიკაცი,  
აბოლებს ჩიბუნს და ოთახში თეთრი ბოლია.  
გარეთ თოვლია და მოხუცის თვალებს იტაცებს,  
პატარძალივით თეთრს რომ ისხამს ხე-მაგნოლია.

ზოგჯერ შეკრთება, მოგონება გაივლის სწრაფი...  
გიზგიზებს ცეცხლი და ვაჟაკის გულივით ფეთქავს,  
შემდეგ საღამო ჩააბნელებს ზეცის შორ ნაპირს  
და ზამთრის ღამე ფანჯრებიდან შემოვა თეთრად.

ცეცხლს მინელებულს ნაცრისფერი ჭალარა ფარავს,  
ძველისძველ კუთხეს საიდუმლო ფერები დაჰკრავს.  
დარდობს მოხუცი ნაადრევად მოსულ ჭალარას  
და სიჭაბუკეს ამ ცეცხლივით უდროოდ ჩამჭრალს.

---

## ყ რ მ ო ბ ა \*



გორის მახლობელ სოფლებში ყაჩაღები შეეპყროთ და გორში მოჰყადათ.

მათი დაქერის ამბავი ჩქარა მოედო ქალაქს. ხალხს მღელვარება დაეტყო, ყველას ერქარებოდა, ყველას უნდოდა თავისი თვალით ენახა ყაჩაღები.

— ო, რა ვაჟაყციბუნი ყოფილან!

— ბევრი სალდათი გაუფუჭებიათ თურმე, სანამ ხელთ იგდებდნენ მაგათა!

— ბერდენა გასტეხია ყაჩაღ ჯიოშვილს და აბა რაღას იზამდა, უნდა შეპრიგებოდა.

— მობეზრდით მგელკაცად ყოფნა და იმიტომაც ურჩევნიათ შერიგება, — ასე ლაპარაკობდა ქუჩაში ჯგუფ-ჯგუფად ჩამდგარი ხალხი.

სასწაულებლიდან წამოსულ ბიჭებს ყაჩაღების შესახებ არაფერი გამოჰპარეიათ. ამ ამბით გატაცებული ბავშვებიც შეთანხმდნენ, დანიშნულ ადგილზე თავი მოეყარათ, რომ ყაჩაღები საკუთარი თვალთ ენახათ.

შუადღე კარგა ხნის გადასული იყო. ქარმა სისინს უმატა და ქაერში ვამდგარი ყინვა მით უფრო გაათამამა.

სოსო იმ დროს სახლში იყო და ამხანაგების მოლოდინში ყაზბეგის მოთხოვნებს კითხულობდა. ამ დროს ციხითათრიანთ სანდრამ თანჯარა დააბრაზუნა და დაიძახა:

— მოდიან, მოდიან, სოსო, გამოდი ჩქარა!

სოსომ წიგნი საჩქაროდ კამოღზე შემოდო და თვალის დახამხამებაზე გარეთ გავიდა.

— გაეიჭეთ, ბიჭებო! — შესძახა სოსომ თავმოყრილ ტოლებს.

— აბა, ბიჭებო, ვინ წინა და ვინ უკანა! — დაიძახა გრიშამაც და ბავშვები ადგილიდან მოსწყდნენ.

დაცემულ შარა-გზაზე თოფიანი ჯარისკაცებით ალყაშემორტყმული სამი ურემი ჭრიალითა და ხეტქებ-ხეტქებით ციხისაკენ მიემართებოდა.

ბიჭებმა წინიდან დაუარეს, მერე გვერდ-გვერდ წაუყვანენ ურემებს და ხალხის გროვასთან ერთად სანახაობას მიჰყვანენ.

პირველ ურემზე ზორბა ტანის, შავთვალწარბა ბრვე ვაჟაყციბუნი ისე გაეკოჭ-გაებაწრათ, რომ მისი ძარღვიანი, ღონით საუსე კისერი, ურემზე ხეხვისგან სისხლით შეფერილიყო და მანამდე ქარყინვით დახეტქილ სახეს შა-

გი ფერი დასდებოდა. ეს იყო ტატე ჯიოშვილი, რომელიც ყანალების შეათურად ითვლებოდა.

მეორე ურემზე ტანმოარჩილი სანდრა ხუბულური იყო დაკრულა, მისი ჭროლა თვალები ისე იყო აღვსილი შერეიგებელი ზიზღითა და მტკიცე გულახად თვალს ვერ გაუსწორებდა. მოუსვენრად ბორგავდა. ბუნებრივად დასწრების დრის ნერვიულად დაეკვროდა ფიცრებს და შეკავებული გმინვა აღმობდებოდა ხოლმე.

მესამე ურემს ეკრა შუა ტანის, ტანთხელი, ხორბლისფერი ლექსა, რომელიც თავის ამხანაგებისგან მოუსვენრობითა და ხალხთან ლაპარაკით განსხვავდებოდა.

— მოგვატყუეს, მოგვატყუეს, ვაი დედასა, რათა ღირს ეხლა თავისუფალი მარჯვენა!—წამოიძახებდა ხოლმე ეს უქანასენელი და ისე მიეძალებოდა თოკებს, თითქოს აწყვეტას აპირებდეს.

— ვაი შენ დედასა!

— ვაი ჩემ თავსა, რომ თავისი თვალით ნახა ადამიანის უბედურება!—წუწუნებდა ხალხი და უქან მისდევდა ურემებს.

სოსოც ფეხდაფეხ მისდევდა ურემებს. ხალხი გზადაგზა მატულობდა. ისე, რომ, როცა ციხეს მიუახლოვდნენ, მიღეთის ხალხი აირია ერთმანეთში. სოსომ ტოლები დაჰკარგა.

სანახაობით გამშრალი, შეძრწუნებული სოსო ვატაცებული მისდევდა ურემებს და არც ჩამოსცილდებოდა, თუ გინდ ცხრა შთას იქით ჰქონოდათ გზა, მაგრამ ციხეს რომ მიადგნენ, გალენის კარები უხმოდ გააღეს და ურემები თავიანთი მიმყოლებით უხმოდვე დაიშალნენ.

სოსო უცბად შეტრიალდა, ტოლები მიათვალ-მოათვალღერა და როცა ბიჭებს თვალი მოჰკრა, მათკენ გაეშურა.

— ნახეთ, ბიჭებო, რა პირუტყვებივით მოჰყვანდათ ის საცოდავები!—შესძახა ტოლებს აღელვებულმა ბავშვმა.

— ნეტა რას უზამენ ეხლა მაგათა?—ჩაეკითხა სანდრა სოსოს.

— რას უზამენ, ბიჭო, და მატყლს აჩეჩინებენ. რა უნდა უქნან? ჯერ ერთი გულმამდრად მიბეგვავენ და მერე ციმბირი და მაგათი ჯანია!—უთხრა სოსომ და დააყოლა,—წავიდეთ, წავიდეთ ბიჭებო, ო, ო, როგორ ყინავს ეს ვერანი, ესა, პირდაპირ ძვალ-რბილში გამიჯდა!—სოსომ მხოლოდ ახლა შენიშნა, რომ თბილი არაფერი ჩაეცვა.

ტოლების ეს კრება ერთხანს დაჩუმებული მიუყვებოდა შარას. ყოველი მათგანი თავისი ფიქრებით გასდგომოდა ამხანაგს და განმარტოებული თავისებურად მსაჯელობდა ურემზე დაკრულ ადამიანთა ბედზე.

— ეგენი პირველები არ არიან,—დაარღვია სიჩუმე პეტამ:—ამ დალოცვილ კუთხეში ერთ ჯგუფს რომ მოსპობენ, ეხლა მეორეები გაჩნდებიან ხოლმე.

— ამბობენ, ერთი სალა ოსი ყოფილა. იმისი შიშით დაბინდებისას სოფლად ეზოში ვერაინ ვაგიდოდა. ჩამდენჯერმე ძუძუთა ბავშვებიც კი მოუგუდნია აკვანში,—დააყოლა ციხითათრიანთ სანდრამ პეტას ნათქვამს და დაფიქრებული სახით ამხანაგს წამოეწია.

— მართლაც საკვირველია, ბიჭებო: ისე როგორ არიან გაბოროტებული, რომა აღარც დიდის კვლას ერიდებიან და აღარც ბავშვისას,—სთქვა სოსომ.

— ალბათ, არიან!—დაასკვნა დრახინამ.



— რომ არიან, ამას კი ვხედავთ, მაგრამ რად არიან? — სთქვა სანდრამ.  
 ამ ბაასით მიმავალ ბიჭებს ქარმა ზუზუნითა და ზუილით ქუჩაში მოხვე-  
 ტილი მტკერი პირდაპირ სახეში მიაცარა.

— რასა შეება ეს ტილი, ნეტა სად მოხვეტა ამდენი წყვილი? — დაიძაბა  
 ღრახინამ, გახუნებული პალტოს მაჯა ცხვირის ნესტოებს გაუსვამოუსვა  
 და კაკარდა-გატეხილი ქუდი შუბლზე მაგრა ჩამოიცივა.

— რა ცუდი საქონელია ეს ვერანა ცხვირი ზამთარში — ჩაილაპარაკა  
 გრიშამ, როდესაც ამხანაგს თვალი შეასწრო.

— მართალს ამბობ, ძმაო, — დემოწმა სანდრა გრიშას, ღრახინას წამო-  
 ეწია და მხარზე ხელი გადასდო.

ღრახინამ გულგრილად გადახედა ამხანაგებს და მსუბუქი ნაბიჯით მი-  
 ჰყვა სანდრას.

იმ საღამოს, როდესაც კეკე სამუშაოდან დაბრუნდა, სოსო გახურებულ  
 ღუმელთან მიმგდარი დაღუვდა. გაკვეთილების სწავლის მაგიერ, ბიჭს  
 თვალეტი ფართოთ დაელო და სადღაც იყურებოდა.

— რა იყო, სოსო, რითი ხარ ეგრე გაოცებული? — ჰკითხა დედამ შვილს,  
 როდესაც საშინაო ტანისამოსი გადიცვა და ოთახში ფუსფუსი დაიწყო.

— იმითი, რომა გასაოცარი რამა ენახე!

— რა ნახე? — ჰკითხა კეკემ და შვილისკენ შეტრიალდა.

— რა ენახე და ურემზე თოკებით დაკრული ადამიანები.

— რომელი ადამიანები, რას ამბობ, შვილო?

— დღეს რომ ჩამოიყვანეს.

— ვინა? ყაჩაღები? მერე შენ ნახე? — წამოიძაბა კეკემ ნაჩქარებთ,  
 შვილთან ახლოს დაიდგა დაბალი სკამი და ჩამოჯდა.

— დედი, მთელი გორი იქ იყო, შენ კი ვერ მოახერხე იმათი ნახვა?

— რას ვნახავდი, შვილო, მთელი დღე არ მეცალა.

სოსომ დედას დაწვრილებით უამბო ყაჩაღების შესახებ ყველაფერი, რაც  
 კი იცოდა.

— ისე დაბტოდნენ კლდის ნაპრალებზე თურმე, როგორც ქურციკები! —  
 განაგრძო სოსომ. — ბოლოს გაუვალ ხეობაში მიუშვედევით, მერე ტყვია-  
 წამალიც შემოლევით თურმე და დანებებულან.

— ეგენი ისეთი გაწრთენილი ყაჩაღები იყვნენ, შვილო, რომა კიდევ რა-  
 მეს მოახერხებდნენ. — სთქვა კეკემ და ფეხზე წამოდგა, — მაგრამ, ალბათ,  
 პატიებას შეჰპირდნენ.

— რომ გენახა, როგორ პირუტყვებით ჩამოიყვანეს, გაკვირდებოდი! —  
 სთქვა სოსომ და ისე ადგა, თითქოს დედასთან ბაასის შემდეგ დაფიქრების  
 მიზეზი შეუშუსბუქდაო.

— მერე რა გიკვირს, გენაცვალოს დედა, ამ უკუღმართ წუთისოფელში  
 უბედურების მეტი რა ხდება! — უთხრა დედამ შვილს.

მერე შეტრიალდა და განაჯინიდან პურის ყუა და მაწვნის ქილა მაგიდა-  
 ზე გადმოუდგა ბავშვს.

— ჰამე, გენაცვალე, მე კი ისე დავილაღე, რომ ფეხზე ველარა ვდგებო.  
 უნდა დაეძინო. — ამ სიტყვებით კეკემ ტახტზე ორი ხელი ქათქათა ლოგი-  
 ნი გადმოილო, ფაქიზად გაშალა და რამდენიმე წუთის შემდეგ ძილს მიეცა.

სოსომ ვახშამი შეჭამა, განათებულ მაგიდაზე წიგნები დაილაგა და გა-  
 კვეთილების მზადებას შეუდგა.

ჩქარა შეასრულა საეკლესიო საშუალო და ყაზბეგის წიგნი ანო.

სოსო ძალიან გატაცებული იყო ყაზბეგის მოთხრობებში. ბავშვი გულ-წრფელად და ძლიერად განიცდიდა ამ დიდი მხატვრის მიერ აღწერილ უდანაშაულოდ დასჯილი მოხვევების ბედს. მას ისე ძალიან მოსწონდა ყაზბეგის მოთხრობები, რომ ერთი წაკითხვით ხშირად მოხრდილ დასლოცვაც დაიხსომებდა ხოლმე და, როდესაც ტოლებს წანაკითხს უამბობდა, ადგილ-ადგილ ზეპირადაც ჩაურთავდა ხოლმე.

დღეს სოსომ ბევრი საერთო აღმოაჩინა ყაზბეგის უდანაშაულო დამნაშავეებსა და გორში ჩამოყვანილ ყაჩაღ-გლეხებს შორის.

— მე მინდა ვიყო კობა! — წამოიძახა მან უცერად.

მკვეთრმა და მკაფიო ხმამ ბავშვის თავში მოულოდნელად შეაერთო არეული უნიტყვო ფიქრები.

ბავშვმა მწყარალად მიიხედ-მოიხედა. ირგვლივ მყუდროება და ძილი ჩამოწოლილიყო. ამ სიმშვიდემ უფრო ააღელვა და ახლა უკვე განზრახ დაჟინებით გაიმეორა:

— კობა ჩემი გმირია! მე მინდა მერქვას კობა!



1892 წლის 13 თებერვალს ქალაქ გორის მცხოვრებთა მყუდროება შემაძრწუნებელმა სანახაობამ დაარღვია.

ხალხი დილიდანვე აღშფოთებული და აღელვებული უყურებდა ციხის წრდილოეთ ბეჭობზე აღმართულ სამ სახარხოზელას, რომელთა ბოძებზე-დაც ჩამოკიდებულ ყულღებს კისკისა მზიან დღეებში მიხეთქილი ნიავი გულშემზარავად ათამაშებდა.

სახარხოზლის გარშემო ჯარისკაცებს მჭიდრო რკალი დაერთყათ და ქვის კაცებივით გაშეშებულიყვნენ.

მოედანზე მიღეთის ხალხი ირეოდა. მაღალი ხეები, შენობების შეღეწილი ქონგურები და სახურავები ცნობისმოყვარეობით გაუდლიღყვნენ. ზღვად ჩამდგარ ხალხის ფეხებში ბავშვები ციყვებივით დაძვრებოდნენ და ყურისწამლები ხმით ერთიმეორეს გასძახოდნენ.

გორის მკვიდრ მცხოვრებლებს გარდა, მოედანზე თავი მოეყარა ქალაქის მახლობელ სოფლებიდან ჩამოსულ გლეხობასაც, რომლებსაც საკუთარი თვალთ უნდა ენახა ყაჩაღების დასჯა.

ყველა იქმყოფი გაშტერებული გაჰყურებდა მოედნის შუაგულში მდგომ, ტანსაცმელ შემოფლეთილ ყაჩაღებს და მეფის მოხელეებს, რომლებსაც ისეთი მკაცრი და განურჩეველი სახის გამომეტყველება მიეღოთ, თითქოს მათ წინ არაჩვეულებრივი არაფერი ხდებოდა.

ყველაფერი მზად იყო. სამხედრო დოლის შემზარავი ბრავი-ბრუვიც გაისმა, და ამ ხმამ მოუჩივებლად ჩააჩუმა ხალხის გუგუნნი, იგი შორს მზის სხივებით გამთბარ ველს გაეკრა.

ამ ხმის გაგონებაზე ხალხს შორის მოწანწალე ძაღლებმა წკაეწკაეი გააბეს. ძაღლების წკაეწკაეს ცხენების ჰიხინიც

— ვაი დედასა, შეილო, თქვენს უბედურებას მიტოვებთ! — წამოიძახა ვიღაცამ ხალხში ხმამაღლა.



— განა არ იცით, რომ პირუტყვი იგებს კაცის უბედურებასა? — უპასუხა მეორემ.

დოლის ხმის გაგონებაზე მოედანზე ჩამდგარ მოხელეებს ცხებს უფროსი გამოეყო, იქვე მდგარ პატარა მავიდას გაშეშებული წაფრფრეული კეცის ქაღალდებისა თავისკენ მიიჩონა და რაღაცის ბუტბუტი დაიწყო.

განაჩენის წაქითხვის შემდეგ, შემოსილი მღვდელი პირველად ტატე ჯიოშვილისაკენ გაემართა, რომელსაც გადაღედილი გული ზღვად ჩამდგარ ხალხისკენ მიეჭვია და წარბშეუხრელად რაღაცას ლაპარაკობდა. მღვდლის დანახვაზე მან ფართო ბეჭები ოდნავ შეატრიალა, დაიხარა, კრელი პაიჭები გაეწორა და მღვდელს უთხრა:

— არა, მამო, ჩემი წილი სხვას შეუნახე. ე მაგ ზიარებას ერთი პაპირისი მომაწვიენე.

ტატეს უარმა ჯვარამართული მღვდელი გველნაკბენივით შეატრიალა, მან ხალხს ისე გადახედა, თითქოს ანიშნა: „სიკვდილის ღირსია, მა რათ“.

ტატეს პაპირისი მისცეს. მან სწრაფად სტაცა ხელი ანთებულ პაპიროსს და ისე ხარბად გააბოლა, თითქოს ჯანმრთელი გული ამ ბოლს უნდა გაატანოსო.

— ეგ არის შენი უკანასკნელი წადილი, შე უბედურ ვარსკვლავზე გაჩენილო, შენა!

— ვაი შენ დედასა, შეილო! — წუწუნებდნენ დედაკაცები და თავშალის ყურით იწმენდნენ ცრემლით დასველებულ ლაწევებს.

მღვდელი ხუბულურსა და ლექსას მოუახლოვდა და აზიარა. ამ ხნის განმავლობაში წითელ ნარმაში შემოსილმა ჯალათმა ჯიოშვილს ყულფთან სკამი მიუდგა და გულგრილად წაიგდო წინ.

ცოტა ხნის შემდეგ ყულფში მომწყვდეული სამი აღამიანის სხეული პაერში იგრისებოდა. ჩქარა, ძალიან ჩქარა შესწყდა მათი უკანასკნელი მაჯისცემა და თეთრი ჩრდილები უცნაურად ჩამოგრძელდნენ.

ხალხმა დაუფარავად დაიწყო ქვითინი. დედების კალთებს ჩაბლაუქებულ ბავშვება სმამაღლა ტიროდნენ და დაჟინებით ვაიძახოდნენ: — „დედი, რა უქნეს ძიებსაო“.

სოსო თავის ამხანაგებით დღეს დილიდანვე მოედანზე იყო. ჯერ კიდევ სასაჯელის სისრულეში მოყვანამდე ბიჭები გაცხარებული ლაპარაკობდნენ დღევანდელ დღეზე. მათ ესმოდათ, იცოდნენ, რაც უნდა მომხდარიყო, მაგრამ ძნელი წარმოსადგენი იყო ბავშვებისათვის ყველაფერი ეს.

როდესაც მათ თვალწინ სამი ჯანმრთელი გლეხი თავისი ფეხით მიიყვანეს სიკვდილის ბოძთან და ერთ წამში თოკებით მოკვდნენ, აკანკალებულ, დაღურჯებულ ბიჭებს ზღუქუნეი აუტყდათ.

სოსო აცრემლებული და გაბრაზებული იყო. ისე გამოიყურებოდა, თითქოს მის ბავშვურ, გულკეთილ, თვალებს ბოროტება ჩააწვეთესო.

სოსოს ერთხანს თან სდევდა სახარხოზლის შემადრწუნებელი სანახაობა. იგი დაუფარავად გამოსთქვამდა აღშფოთებას, მაგრამ შემდეგ, როცა ნახულმა თავისი ადგილი დაიკავა, ბავშვს ერთხანს გულჩათხრობილობა დაეტყო.

ნაკრამ დრომ თანდათან თავისებურად მოადუნა სანახაობის სიახლე და ქალაქში ჩატარებულ ყენრობაში სოსომ ბავშვისთვის ჩვეული ხალისით მიიღო მონაწილეობა.

ყვენობა კარგახნის ჩაელილი იყო.

პირისფერ ყვაეილებში ჩაიძირა პატარა ქალაქი და ნაზამთარილ/ მიწას მჩატე ორთქლი ასლიოდა, როდესაც გაზაფხულის თბილიე ყველურსიანი ლამუნით შეეგება სოსოს, რომელიც გაკვეთილების დამწვეტების: შექმდეგ ტოლებთან ერთად სკოლიდან გამოვიდა.

— უფლის მადლმა ისეთი დღეები დგას, რომ ლიახეში ბანაობსაც გაბედავს ადამიანი! — შესძახა მან ხალისიანად ტოლებს და თვალი შეავლო დიდგორის მთებს, რომელთა კალთებიც უკვე ბალახით დაფარულიყო.

— ბრუტსაბძელასა და გორის ჯვარზე კარგა ხანია გაპქრა თოვლის ნიშანწყალი.— გაიფიქრა სოსომ და შეუმჩნევლად დაუწინაურდა ტოლებს.

— ჩვენმა ყვენმა რახანია დასძლია ლიახე და ჩვენ რომ ეხლა ვიბანაოთ, რა გვიშავს? — უთხრა პეტამ სოსოს, რომელიც გრიშასა და დრაახინას ჩამოსცილდა და სოსოს წამოეწია.

ამ ლაპარაკის დროს ტოლებს ქალთა სკოლის მოწაფეებმა ჩაუარეს. დრაახინამ თვალი გააყოლა წყნარად მიმავალ გოგონებს, მერე გრიშას რალაცა წასჩურჩულა და გულიანად გადაიხარხარა.

— დააყე ენა, ბიჭო! — შეუტია გრიშამ დრაახინას, მუჯღუგუნი წაპკრა, მერე დასწვდა მის ქედს და ჰაერში შეაგდო.

— პა-პა-პა, როგორ მოხვდა გულზე! — შესძახა დრაახინამ და ქუდი ჰაერშივე დაიქირა.

— ეგ კი არა, დრაახინ, აბა შეხედე იმ მასხარებს: ჩვენ ყვენს, რომ ვირი დაუფრთხო, ეგე ის არ იყო. უფლის მადლმა კარგი მისაბეგვია! — ჩაილაპარაკა გრიშამ, როდესაც ტოლებმა მაღალ მესერთან აყუდებულ სამიოდე ბიჭს ჩაუარეს წინ.

— მისაბეგვი რომ არის, მეც კარგად ვიცი, მაგრამა თავი დაანებე ცოდოსა, — მიუგო დრაახინამ ამხანაგს.

ამ ლაპარაკის მოსმენის შემდეგ მესერთან მდგომ ქვემოთბუნელებს ერთი მაღალი ბიჭი ჩამოსცილდათ. მან საყულოს პირველი დილი შეიხსნა, ჯიბეებში ხელები ჩაიწყო და, რაც ძალა ჰქონდა, დაუსტინა.

სტვენის გაგონებაზე ქვემოთბუნელებმა ხმამაღლა გადინარხარეს, ჩანთები ზურგზე მოიგდეს და ყბედობით მიპყენენ ამხანაგს, რომელიც ტოლებს აედევნა.

სოსო ამხანაგების უადგილო ხუმრობას ცალი ყურით ისმენდა. როდესაც საეჭოდ ადევნებულ ბიჭს თვალი შეასწრო, ტოლებს დაუცადა და, მთავარი ქუჩით წასვლის მაგიერ, ორლობებით წასვლა ურჩია.

— ერთი რამეცა სთქვი, შე ტანტრაქვე, შენა! — დაიძახა ადევნებულმა ბიჭმა, რომელიც აუჩქარებლივ მისდევდა ტოლებს. — რად განუმდი? — დააყოლა მან.

ამ დაძახებაზე გრიშას ფერდში კარგა მოზრდილმა ქვამ გაიღო ბრაგუნე.

— ვაი დედა! — შეპყურა გამწარებულმა გრიშამ და ხელიდან ჩანთა გაავდო.

— ერთი შეხედე ემაგ თავხედსა! — შესძახა შეშინებულმა დრაახინამ და ამხანაგის ჩანთას დასწვდა.

— აქეთ, ბიჭებო! — დაიძახა ნაჩქარებლად სოსომ და ხილნარის დაბალ ღობეზე გადახტა. ამის დანახვაზე იმავე წამს სოსოს სხეებიც მიპყენენ. ესე სწრაფად გადაახტნენ ტოლები მესერს, რომ ხილნარში ნუშის ძირად მჯდო-

მი რვა-ცხრა წლის თავგაკრეპილი მწყემსი გოგონა დაფეთებულ ფეხზე წამოხტა, შეშინებულმა სწრაფად ჩაიბერტყა კაბის კალთა და როცა ნაჩქარევად გადმომხტარ ტოლებს სამტროდ მოსული ქვემოთბუნელი შეემატნენ, წკებლას ხელი წამოავლო და ჭუკებისაკენ გაქანდა.

ხეხილის ძირებში ფეხსუსტა ჭუკები. ნაზად ჰკორტნიდნენ ნამ-მეისრალ ბალახს და უმწეოდ ჭუკჭუკებდნენ. გოგონამ პარდად დაურბინა გაფანტულ ფრინველს და ვაზიანში შელალა.

— რად ისვრი ქვასა! — შეჰყვირა თამამად გრიშამ ბიჭს, რომელიც მთელი თავით უფრო მაღალი იყო იმაზე.

— იმიტომა, რომა გრძელი ენა გაქვს! — ჩასძახა ბიჭმა და მუშტი მოიქნია.

— შენ კი გრძელი ხელები გაქ! — უპასუხა გრიშამ, მუშტი აიცილია და ზედ მოახტა ბიჭს.

— ზო-და თუ გრძელი ხელები მაქვს, აი მიიღე! — და ქვემოთბუნელმა მოხერხებულად დაარტყა და განზე გადახტა.

— ესეც შენი ხურდა! — მიუგო გრიშამ და საპასუხო მოაგება.

— ერთი შეხედე ამ ტკიპასა! — წამოიძახა გრიშას სისწრაფით გაკვირვებულმა ბიჭმა და ისეთი თაურით გადაუხტა, რომ გრიშამ საპასუხო ვერა მოახერხა რა და მოცელილივით მიწაზე გაიშხლართა.

ეს ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, რომ გაზაგებვისა და მოხმარების მაგიერ ტოლები სეირს შეჰყურებდნენ.

გრიშას დაცემის შემდეგ ღობესთან მდგომმა ქვემოთბუნელმა ბიჭებმა ყიჟინა დასცეს. ამ ხმამ გამოარკვია სოსო, რომელიც გააფთრებული მოსწყდა ადგილს, სწრაფად გადაახტა მესერს და სეირის ყურებაში გართულ ერთ-ერთ ბიჭს ეკვეთა.

სოსოს პეტაც წაეშველა და ჩქარა ღობის გადაღმა ოთხიოდე ბიჭისაგან შემდგარი მორგვი ხან ერთ მხარეზე გადაგორდებოდა, ხან მეორე მხარეზე.

ამ ალიაქოთში მაღალი ქვემოთბუნელი, რაკი გრიშასაგან ხელი მოიციალა, დრახინას წასწვდა ხალათის გულში და ისე შეანჯღრია, რომ ბიჭმა კისრით აყვანილი ლეკვივით დაიწყო ხელფეხის ქნევა.

— ვაიმე, დედა! — მოესმა ამდროს ქვემოთბუნელს, რასაც გაქცეული ბიჭუნის ფეხის ხმაც აჰყვა.

ქვემოთბუნელმა დრახინას მკერდში ხელი ჰკრა და შორს გადააგდო. ხოლო თითონ ისე სწრაფად შემოტრიალდა, რომ წონასწორობა დაჰკარგა და შებარბაცდა.

— აბა დაჰკათ, ბიჭებო, მაგასა! — შეჰყვირა სოსომ, მესერიდან უკანვე გადმოხტა და ეძგერა ბიჭს, რომელმაც თავი ვეღარ შეიკავა და მიწაზე გაიშხლართა.

სოსო ზემოდან მოექცა ქვემოთბუნელს და ღონიერად დაუშინა მუშტები, მაგრამ ბიჭმა ძალა მოიკრიბა, სოსო პაერში აიყვანა და მთელი სიმძიმით მიწაზე დაანარტხა.

საშინელი ტკივილი იგრძნო სოსომ მკლავში, „სულაც რომ მომტყდეს, არ შევეპუებო“, — გაიფიქრა მან, ერთი დიგმინა და სანამ ქვემოთბუნელი აღგომას ნოასწრებდა, ის ზედ მკერდზე დაახტა.

ორღობიდან გაქცეული ბიჭების გადმოსროლილი ქვეები სეტყვასავით წამოვიდა.

— აქეთ მომყე, ღრაბინ, ე მავას სოსოც ეყოფა! — დაიძაბა ამ ღროს წამომხტარმა გრიშამ, ღრაბინას ხელი გაუწოდა, ააყენა და ორივენი თვალის დანამხამებზე ორლობეში გაჩნდნენ.

ორლობეში ჭამარ-შეხსნილი პეტა ციბრუტივით ტრახტუნისა და ყოველ ქვის გადასროლაზე ვაიძახოდა.

— აბა, დადექით, დადექით მანდა!

რაკი გადმოსროლილი ქვების საშიშროება აღარ იყო, სოსო მოხერხებულად მისდგა ბიჰს, რომელმაც იერიშის მაგივრად ახლა უკვე მოგერიებას შეუდგა.

სოსომ რამდენიმე მაგარი მუშტი მიაგება ფერდებში და როცა ქვემოუბნელს ჭირის ოფლმა დაასხა, წამოხტა, ჩანთები წამოკრიფა და დასკყვილა:

— მომყევით, ბიჭებო, აქეთ მომყევით!

ტოლები სწრაფად გადმოახტნენ ბალის მესერს და ისე გაჰქუსლეს, რომ ქვემოუბნელი გვერდს რომ იბრუნებდა, ისინი ბალის ბოლოშიც აღარა სჩანდნენ.

ვაზიანიდან თავ-გაკრეჭილი გოგო თვალბ-დაჭყეტილი შეჰყურებდა ბიჰს, რომელიც, წამომჯღარი, ხმამალა იმუქრებოდა და სიბრაზისაგან დაჰყეტილ თვალბს აქეთ-იქით აცეცებდა.

იმ დამეს სოსო გულის ძილში იყო, როდესაც მკლავის ტკივილმა გამოაღვიძა. დიდის ვაკირეებით გაშალა მკლავი და ათასნაირად შეუცვალა მდგომარეობა, მაგრამ არ იქნა და არა, მკლავი მაინც სტეხდა და უზურდა.

— რა იყო, შვილო? რამ აგაყენა ამ რიერაჟზე? — ჰკითხა დედამ, როდესაც ახალ გათენებულზე სოსო უკვე ჩაცმული დაინახა.

— აღრე იმიტომ ავდექი, რომ ბევრი გასამეორებელი გაკვეთილები მაქვს, ხო იცი, დედი, ესლა ჩქარა უნდა დაგვეთხოვონ, — მიუგო დედას, წიგნი აიღო და ფეხაკრეფით აივანზე გავიდა.

გამომათხზილებელი სიგრილე პირდაპირ სახეში ეცა სოსოს. „ახალი განთიადია!“ — გაიფიქრა მან და გაზურბული იდაყვი მარჯვენას დააყრდნო. აივნიდან ჩავიდა და ეზოებს გაჰყვა. რაკი ცა მტრედისფრად შეიფერა, ხილნარში შესეულ ჩიტებს ქრიაშული შეუდგათ. ეზოებში ჯიქანსავსე ძროხების შეკაგებული ბლავილი ატყდა. ამას მოჰყვა ხბორების ნებერი ბლავილი და დიასახლისების მზრუნველი ფუსფუსი. ყველაფერმა ამან ისე გაიტაცა სოსო, რომ მკლავის ტკივილიც კი დაავიწყდა.

როცა ჯულაანთ თჯახის დიასახლისმა კარები ფართოდ გააღო და ფუსფუსი დაიწყო, სოსო ოთახში ავიდა და სკოლაში წასვლისათვის მზადებას შეუდგა.



გაფრინდი შავო მერცხალო  
 გაჰყე ალაზნის პირსაო,  
 ამბავი ჩამომიტანე  
 ომში წასული ძმისაო...

დიდინებდა სოსო იენისის ერთ დღეს და ზურგზე-მოგდებულო ჩანთითაშ-თამაშით მიჰქონდა საზლისაყენ.

— დედი, ხომ არავენ შემოგესია დღესა? — შესძახა მზიარულად შვილმა დედას, როდესაც თავისი სახლის ეზოში შევიდა და აივნაზე გამოყრილი ავეჯი დაინახა.

— რა იყო, გენაცვალე, — დაიძახა ბავშვის ხმაზე რუქულზე მომდგარმა დედამ: — გაზადებულია, შვილო, ეხლა, ჩიტიც კი სუფთა ბუდეს ეძებს, შენ რაღა ჩემი გაგიკვირდა!

— არა, კი არ გამიკვირდა, მაგრამ ხომ იცი, არ მიყვარს, როცა დასალაგებლად ააფორიაქებ ზოლმე სახლსა.

— მოდი, ვისადილოთ და სადმე წადი, სანამ სახლს დავალაგებდე, — უთხრა კეკემ აივნაზე ასულ შვილს, შერე შეტრიალდა, ხელები გადაიბანა და ოთახიდან გამოტანილი მაგიდის კუთხეში სახელდახელოდ სუფრა გაშალა.

— დედი, მოდი, რა გაჩვენო! — დაიძახა სოსომ, როდესაც ჩინთიდან მოზრდილი პრიალა ქაღალდი ამოაძვრინა. — არა, დედი, ჯერ მითხარი, რა უფრო გაგახარებს ყველაზე ძალიან?

— რა გაახარებს, შვილო, ჩემ ტიალ გულსა შენი კარგის მეტი! შენა ხარ ჩემი ვეჟაცი და სახლის ბურჯი, აბა შენ იცი, თუ რამეთი გამახარებ, ისიც შენი კარგი ბედითა!

— აბა, დედი, ნახე რა ნიშნები მოვიტანე. მაწვნის შექამანდის მაგიერ დღეს ნახუქები მეკუთვნის.

კეკემ ბავშვს ქაღალდი გამოართვა და ორივე მხარეს თვალი გადაავლო. ქაღალდზე რუსულად ეწერა, მან მხოლოდ ხუთიანები წაიკითხა და სახე-გაბრწყინებულმა უთხრა შვილს:

— შენი ნიშნებია განა, გენაცვალე? მართლაც რომ მარტო შენა ხარ ჩემი გულის გამახარებელი! — დედამ შვილი თავისკენ მიიზიდა და ქოჩორი დაუკოცნა.

— დედი, მე ეხლა მესამე კლასში გადავედი! — იცი, რა მითხრა მასწავლებელმა: შემოდგომიდან კარგი სწავლისათვის თვიურად ხუთ მანეთს დაგინიშნათო.

— რას ამბობ, ბიჭო, ნეტა არ იქნება!

— იქნება, დედა, იქნება ისე, როგორც უნდა იყვეს.

იმ დღეს დედა-შვილმა ნებიერი ელურტულით გაათავეს სადილი და თავიანთ საქმეს შეუდგნენ.

— დედი, ბიჭებმა თუ მიკითხონ, მე ციხეზე მივდივარ, — სთქვა ბავშვმა, თავისი საკითხავი წიგნი მოსძებნა, იღლიის ქვეშ ამოიღო და გავიდა.

მაისის თბილი და წყნარი დღე იყო. ეზო-ბაღიერში ბავშვების ქრიაპული იდგა. სოსომ ნელი ნაბიჯით ჩაუარა ნაცნობ ქუჩებს. ციხეზე ასასვლელად გზად ბაზრის თავში მოხვდა.

ბაზარში ბლითა და საადრიო ატმით თავმოდგმულ თაბახებს ბაყალი ქაღალდის ფუნჩით უგერიებდა აბეზარ ბუზებს.

— გირვანჭა ოთხი კაპიცი, ხიდისთაური! — წამოიძახებდა ბაყალი ოდნავ გასავონად და წითელ-მანებიანი ხელსახოცით გადაიწმენდა გაჭონილ თავს.

ცოტა მოშორებით, სამკედლოს კარებშია, პატარა ბიჭები გავარვარებულ რკინის ნაპერწკლებს ედევნებოდნენ და აღტაცებული ვაიძახოდნენ:

— დაქარ, დაქარ აი აგრე! შენი გულისა, როგორ ტყლაპიკით გახდა რკინაი—ყვიროდნენ შარვალგამოკლეჯილი, ფეხშიშველა ბავშვები სამკვედლოს გვერდში, ფიცრით შემოკაეებულ პატარა მოედანზე, ნაღბანდი და გლეხი წაბლისფერ ხარს ნალის დასაქრავად დამდგნენ.

— მოდი სანდრა, დამაქვრინე ეს ევრანი ესა. რა ტიპის ნაქრავი ხარ, შენ კი შეგკამა მგელმა!—ყვიროდა ოსტატი.

მოთმინებიდან გამოსული გლეხი საბრეს ულაშუნებდა პირუტყვს და უწმაწურად ილანძღებოდა.

ქუჩის თავში გრიალით და ეფენების ეღარუნით ნაგიყარის ეტლი გამოხნდა. კოფოზე შესკუბული ნაგიყარი, მათრახს ჰაერში აშხუვლებდა და ყველასთვის გასაგონრად გაძახოდა:

— ჩამოდექით, ვარელებო!.. გზა, გზა!

ეტლის გამოჩენაზე ქუჩის ჩვეულებრივი მყუდროება შეიცვალა. ქვაფენილზე მოსეირნე პოლიციელმა გრძელი უღვამეები გადაიფრინა და ნაგიყარის მუშტრის დასანახავად ქვაფენილის ნაპირზე წარსდგა.

როცა ეტლი პოლიციელს გაუთანაბრდა, მეფის მოხელე ეტლში მჯდომ ახოვან კაცს გამოეკიმა და სამხედრო სალაპი მისცა. ეტლს უკან ჰენებით მისდევდა ათიოთე ცხენოსანი. ამ ამაღამ ისეთი ხმაურით ჩაიარა, რომ გზის პირას რუში ჩამჯდარი იხეები, დაფეთებულნი წამოიშალნენ, ფრთასფრთა შემოჰკრეს და სისინით გადაცივიდნენ.

— ვინ მოჰყავდა ნაგიყარს, პოლიციელმა რომ სალამი მისცა? — ჰკითხა ერთმა მგზავრმა მეორეს.

— ვინა და გიორგი ამილახვარი,—უპასუხა მეორემ.

იცის სოსომ, რომ გიორგი ამილახვარი დიდი ბატონია, რომ გიორგის ბევრი მიწა აქვს და მრავალი მოახლე ჰყავს, ომდენი მოახლე, რამდენიც ვორში ხალხი ცხოვრობს.

„არა, ეს ერთი კაცი რა ყურმოჭრილი ვირებივით იმსახურებს ამდენ ხალხსა? ოი, დედაო, მე კი დმერთსაც არ წაუვხრიდი ზურგს. ან და რად უნდა მაგ ტიალს ამდენი მოსამსახურე?“—გაიფიქრა სოსომ და თავის გზას გაუდგა.

ციხის დაღმართი ბავშვმა შეუშინეველად აიარა. ქიმიამომტვრეულ გაღავანს სწრაფად გადაახტა და მიწით ამოტენილ ციხეზე გაჩნდა. თვალი მიავლ-მოავლო, მერე სამხრეთით გაემართა და კედლის ქიმზე შესკუბდა.

ძირს, სოსოს ფეხქვეშ, გადაიშალა პატარა ქალაქი, რომლის ყოველი კუთხე ბავშვისათვის ნაცნობა და ღვიძლი იყო. მან თვალი გააყოლა შენობებს, ბევრი მათგანი იცნო და კმაყოფილი დარჩა.

აი მტკეარიც ზოლად მისდევს ქართლის გულს, ალაგ-ალაგ უახლოვდება გადაღმა მომდგარ მთავრებილს, რომელსაც ამ ცქრიალა მაისის დღეში ლურჯი ბინდი გადაჰკვროდა. აღმოსავლეთით ტირიფონის დაცემულ ველსა და მთავრებილის ქედებს შორის, ქსილისს ამოეყო თავი და ნოსტე-ახალციხის შწკანე მდელს ცივი ნიავით გულს უფრიალებდა. აგერ ცაღ-აზიდული, წამოწვდილი გორისჯვარიც, რომელიც შეუპოვრად გამოჰყოფია სანატროლებს. იგი არა ჰგავს მიწაზე მორთხმულ ბრუტსაბძელს, რომელიც უფრო გადაფაფრულ კრუხს წააგავს, ვიდრე შწვევრავალს. აქეთ, უფრო ახლოს, კლდე-მიუქვალში, შიშინობის დროს ძველთაგან გამოთხრილი ქვაბუ-



ბი შორიდანაც გარკვეულად შენიშნა სოსომ. ისინი რიგრიგით ჩაწოლილ მთაგრებილზე ნისლითა და ბურუსით იფარებოდნენ.

მზე გადავიდა მიწისა და ცის ზღვარამდე, აღმაცერად მიმობანრა გაწითლებული სხივი, თითქოს ერთხანს სინანულითაც შეჩერდნენ მსგავსად შემდეგ პირმცინარი დაეშვა თავქვე. მზის ჩასვლისას მაღალს თხილზე და სასიამოვნო ჰაერს სიგრილე მოეძალა. დასავლეთიდან გრილი ნიავი დაიძრა. მთის კალთებში ალაგ-ალაგ ჩაფენილ ნაძვნარებიდან თეთრი ორთქლი ამოიშალა და ცის ლაქვარდს გუნდ-გუნდად შეუცურდა.

აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ ჩაფენილ უსაზღვრო მინდვრებზე გაფანტული ნახირი წამოიშალა. პატარა მწყემსებმა სევდიანად ააკენესეს სალამური, რომლის უცნაურმა მელოდიათა ვლვის სისწრაფით მოიბრინა ბინდჩაწოლილი ველი. მწყემსის ძაღლებმა ყუფით დაურბინეს მინდორზე გაფანტულ პირუტყვს და სოფლისაკენ მიმავალ ბილიკს გაუყენეს.

შორიდან მოისმა ეყენების არეული ჟღარუნი, მინდვრად გასულ მიწის მაშვრალთა შეძახილები და თქვა-მოგდებული მეხრეების სევდიანი ორთქვლა.

„რა კარგია, რა ლამაზია ყველაფერი! — გაიფიქრა სოსომ და უეცრად იგრძნო სურვილი, ამ წარმტაც ბუნების სილამაზისათვის ლამაზად დაწყებულ სიტყვათა წყებით ებასუნხა:

აყვავდი, ტურფა ქვეყანავ,

აყვავდი ქართველთ მხარეთ, — წამოიძახა აგზნებულმა სოსომ.

ბევრჯერ ურბენია მას ქართლის ყვავილოვან ველზე, ბევრჯერ დაკვირვებია ცნობისმოყვარე თვალთ, მაგრამ ასეთი სილამაზე არასოდეს არ შეუმჩნევია.

ბავშვი აგზნებული იჯდა. ჯიუტა ქორით შებურვილ თავსა და ციმციმა თვალებს მიმინოსავით ატრიალებდა. ვინ იცის, რამდენ ხანს დაჰყოფდა ასე, რომ ცითნამოწოლილ ბნელს არ დაეფარა მის წინ ყოველი.

დაიწყო საზაფხულო არდადეგებიც. თავისუფალი ბავშვები ახლა უფრო ხალხით მოედნენ არემარეს. მშობლებსაც ეხმარებოდნენ.

— დედი, წყალი მოვიტანე, მე კი ემანდ ცარსკის ქუჩაზე გადავირბენ, — შესძახა ერთ დილას სოსომ დედას, როცა საესე კოჯა აივანზე დადგა.

— არ დაიგვიანო, გენაცვალე, — წასვლას ვაძირებ.

— არა, დედი, — მიუგო სოსომ, ხალისიანად შეტრიალდა, ქამარში ჩატანებული ხალათი გაისწორა და წავიდა.

კეკემ სადილისათვის სანოვავე გაამზადა. ამ დროს პეტამ, სანდრამ და დრაზინამ ოთახში კრეჭით შეიხედეს.

— ძალო, სოსო საზღვია? — იკითხეს ბიჭებმა და თავს იმდენი პატივადსდეს, რომ ოთახში დაუპატიყებლად არ შევიდნენ.

— გეთაყვა, რა შორიდან მეკითხებით, ოთახში შემოდით, — უთხრა გალიმებულმა კეკემ: — ტრაპიზონში ფარჩის მოსატანად წავიდა და ჩქარა დაბრუნდება.

ბიჭები ოთახში შევიდნენ და დაბრაისლურად ტაბტუე ჩამოსხდნენ.

— როგორი ნიშნები გამოგყვანა?—ჰკითხა კეკემ ბიჭებს და წასასვლელად მზადებას შეუდგა.

ამ კითხვაზე დრახინა აიმრიხა, ამხანაგებს გადახედა და წაიბურღლუნა: — რუსულში პერეგზამენოვცა გამომაყოლა ლაფროვცა, მკაცრად მომიკვდებოდა, არ მეკუთვნოდა, მაგარმ რა ვქნა, ძალო, წამოვიდეს ამ ზაფხულს სოსო წროშშია, მაშინ აღარათფერი მიტორს, მამამზადებს.

— აბა, ბიჭო, თავის დროზე გეზრუნა, ეხლა მთელი ზაფხული უნდა გაგიშხამდეს.

— რატომ გაიშხამდებოდა, სოსო თუ წამოვა ჩემთან?

— მაგაზე მერე მოვილაპარაკოთ, — ეხლა კი, — და ამის თქმაზე კეკემ ჯანჯინიდან ბლით საცხე ხონჩა მაგიდაზე გადმოდგა: — ეხლა კი ჭამეთ, სოსოც ჩქარა მოვა. მხოლოდ იმ დღეინდებურად არ აიკლოთ სახლი, თორემ ავი თქვენი ბრალი! — კეკემ ტუქსვას ლომობიერი ღიმილი დააყოლა და წავიდა.

როგორც კი კეკე ოთახიდან გავიდა, დრახინა ხალისიანად წამოხტა, ხონჩას ხელი დაავლო და თავისკენ მიიზიდა.

— კარგი, დრახინ, სვინიდიცი კარგი საქონელია! — შესძახეს ერთხმად ბიჭებმა, წამოცვიდნენ და დრახინას ხონჩას შეედავენენ.

— მოიცათ, ბიჭებო, რაღაცას გეტყვიოთ, — სთქვა დრახინამ, ხონჩა ხელში მოიმარჯვე და ბალს გამალებით დაუწყო ჭამა კურკიანად.

— დრახინ, შე ვერანა, შენა, ხელი უშვი ფაფასა! — შესძახეს ბიჭებმა და ხონჩის წასართმევად დაედვენენ.

ატყდა ხმაური, მხიარული სიცილი და ოთახში ერთი ორომტრიალი დატრიალდა.

— ერი ჰაა! სახლი რომ გეწოდეს ხელი მაინც მოითბეო, — დაიძახა ამ დროს ოთახსა კარებში ჩამდგარმა სოსომ და ილღის ქვეშ ამოღებული წიგნები საჩქაროდ კამოღზე დასდო.

— ვაი ჩემი ბრალი! — სთქვა დრახინამ სოსოს დანახვაზე. პირში ჩატენილი ბალი კურკიანად გადაუშვა და ცხვირის აწევით გამოაცხადა: — წაიღოთ, მე გამოვქეხი და მეტიც აღარ მინდა. — ამ სიტყვებით ხონჩა მაგიდაზე დაუშვა და კამოღზე დადებულ წიგნებს გადახედა: — ამ დილა აღრიან, შეჭრიტე ძაღლო, შენა, წიგნებზე ინადირე! შენ რაღა ბალს მედავები, საჭმელად ესენიც გეყოფა. „ასპინძის ომი“, ნეტა ვის ებრძვი, ბიჭო?

— რა გინდა? არ მოგწონს, დრახინ, ეგ წიგნი? — ჰკითხა სოსომ სიცილით ამხანაგს.

— რომ მომწონდეს ხომ მე თითონ ვიშოვიდი, ის არა სჯობია, შენ მოტუნო, წაიკითხო და მე მიამბო. აბა, მე რად უნდა მომწონდეს!

ერთხანა სიჩუმე ჩამოვარდა. ბალის ჭამით ვართულ ბიჭებს სალაპარაკოდ აღარ ეცალათ.

— ბიჭებო, მოდით, ღიაზეზე წავიდეთ! — სთქვა ბოლოს დრახინამ.

— წავიდეთ, ბიჭებო! — დაიძახა გრიშამაც.

ეს წინადადება ყველამ მოიწონა, რის გამოც ბიჭებმა ბალი საჩქაროდ გადაულაპეს, კარები გამოჰკეტეს და წავიდნენ.

როცა ქუჩაში გავიდნენ, სოსოს ტოლები ეცოტავა.

— ბიჭებო, რაღა წასვლაა, ყველანი ერთად წავიდეთ.

— მერე რა გვიშლის ხელსა, წამოდით, ბიჭებს ჩამოეუაროთ, დააყოლა ხალისმოცემულმა სანდრამ და ქუდი პაერში შეათამაშა.

მართლაც, ცოტა ხნის შემდეგ სოსოს, პეტას, დრაზინას და სანდრას გულურჯიანთ გრიშა, კასრაძიანთ მიშა, ელისაბედაშვილს და სანდრას სანდრა და ალიმბარაანთ სიკო შეემატნენ.

თავმოყრილმა ტოლებმა ჩქარა გადაიარეს კარმიდამოები და მთავარ ქუჩაზე გავიდნენ.

— აბა, ბიჭებო, ვისა გაქვთ ფული?—წამოძახა კასრაძემ, როცა ალიას დუქანში შექარყინულსა და გოზინაყის დიდრონ ნაჭრებს მოჰკრა თვალი.— მოდი, პირი ჩავეტკბარუნოთ,—სთქვა მან და უფრო გულდასმით დაუწყო თვალიერება ტკბილეულს.

— ჩავეტკბარუნოთ, თორემა... ფული გიხვეს ჯიბესა.

— რატომაც არ მიხვეს! — ამ სიტყვებით მიშამ მამის ნაჩუქარი გატყეცილი მანეთიანი ამოიღო ჯიბიდან.

— ბიჭოს, შენ აღარ ხუმრობ, მაგაზე ყაბულსა ვართ,—დაასწრო ყველას გრიშამ.

მიშას ბევრი თხოვნა არ დასჭირდა. დუქანში შეტრიალდა და ამხანაგებს შაქარი გამოუტანა. შეძლებისდაგვარად თანაბარ ნატეხებად დაჰყო, ერთი ცხედმეტი პირში შეისროლა. მერე ენის წვერით ხელისგულეები დაისველა და ხალათით გაიმშრალა. ჩქარა მხიარული ამხანაგები კვერნაკის ევლს კალიბივით მოედნენ.

— ბიჭო, შაქრის მაგივრად გოზინაყი გეყიდა, ის არა სჯობდა?—სთქვა დრაზინამ, როცა ჭამაში გართულმა ბიჭებმა კარგა დიდი მანძილი გაიარეს,—მართალი ვითხრა, გოზინაყი ბევრ ტკბილეულსა სჯობია,—დააყოლა მან, როდესაც შაქრის უკანასკნელი ნატეხი პირში ჩაიდო და ტკბილი ხელი შარვლის ტოტზე ამოისვა.

— გოზინაყს ჩურჩხელა სჯობია,—სთქვა პეტამ.

— ჩურჩხელებს კაკლის მურაბა მირჩევნია,—ჩაუტოო სოსომ.

— მურაბას—დახალული ნუში.

— ნუშს—დაშაქრებული ლედვის ჩირი.

— ერთი შეხედვით ამათა, როგორ გამოიქარწყლეს დაპატივება! არა, ბიჭო. მანეთად საახალწლო სუტრას გაგიშლიდით!—სთქვა გრიშამ და დაწინაურდა.

ამ ლაპარაკით ბიჭები მიუახლოვდნენ სოფელ ტინიხიდს, რომელიც კლიახის ნაპირად თავისი უდიდესი შენობებით მოზრდილ ფართობზე გაზიდულიყო. სოფლის ყველა შენობიდან ერთი უზარმაზარი ქვის ციხე-დარბაზი მდიდურად გადასდგომოდა მდინარეს.

ეს ნაგებობა ერთის შეხედვით პატრონის დიდებას აუწყებდა მაცურებელს. უზარმაზარი გალავანი კარგა მოზრდილი ალაყაფით თავდებოდა, რომლის თავზედაც ჩუქურთმით დამშვენებული ზარბაზნები წამოედგათ.

ციხე-დარბაზი მდიდურად იდგა, მაგრამ დიდება არ აკვირვებდა და არ აფიქრებდა შრისხანე და დაუდევარ ლიახეს. იგი შეუსვენებლივ ტალღას ტალღაზე აყოლებდა და ამ გოლიათს საფუძვლის გამოცლით ემუქრებოდა.

— დიდი ბატონია და დიდი სახლ-კარიცა აქვს,—სთქვა სამარტანთ სანდრამ, როცა ბიჭებმა ტინიხიდს ჩაუარეს და მათი ყურადღება ალაყაფზე წამოდგმულმა ზარბაზნებმა შეაჩერეს.

— დიდი რატომ არ იქნება, რაც გორისჯვრიდან ლიხხვამდრ მიწებია, ყველა ემაგ ერთ კაცს დაუტაცნია, — უბასუხა სოსომ და მძინარის იმ ადგილს მიაშურა, სადაც წყალი სიბი ქვის ფილაქნებს ეტეთებოდა ზვირთების წინააღმდეგობის გამო და სადაც მას კარგა მინჩხაღლა — მორევი გაეცეთებინა.

პირველად ციხითათრიანთ სანდრა გადახტა მორევიში, მერე სხვებიც გადაეშენნ და გულჩახვეული, ლივლივა მორევი აქაფებული წყლის შეხეფებად გადააქციეს.

წყლიდან ყველაზე გვიან სოსო ამოვიდა.

— ესეც ასე, — სთქვა მან, როდესაც ტანთ ჩაიცვა და ბალახზე წამოგორებულ ტოლებში ჩაერია. — მოდი, ბიჭებო, ერთი ჩვენებურად დავძახოთ.

— აბა, მაგას რაღა დასტური უნდა, შენ დაიწყე და აქ არა ვართ!

— მაშ აქეთ ბანები დასხეცით, აქეთ კიდევ შეორეები, თუ სიძღვრავ, ლაზათიანად ვიმღეროთ.

„ბერი კაცი ვარ, ნუ მომკლავ,  
ყველა დაგიწყებს გმობასა“

წამოიწყო სოსომ თავისი წკრილა ხმით, რომელსაც მალე დანარჩენებიც აპყენენ, და გაისმა ხმაშეწყობილი და ქარბი სიმღერა.

დიდხანს იმღერეს. დღეს, როგორც ყოველთვის, ძალიან ხმაშეწყობილად გამოვიდა ყოველი სიმღერა. წმინდა ჰაერში და კრელი ყვავილებით შემკობილ ველზე გუნდი თავდავიწყებით მღეროდა.

მაგრამ აი სოსო შეჩერდა, რაღაცა აზრმა გაურბინა ცოცხალ თვალებში. მერე გახალისებული წამოხტა და ამხანაგებს გადასძახა:

— თქვენი ჭირიმე, ბიჭებო, რა კარგად მღერით. მოდი, ვისარგებლოთ არდადეგებით, ერთი ურემი დავიჭირაოთ და სოფელ-სოფელ წავიდეთ სასიმღეროდ.

— აბა, ე მაგას რა ჯობია! მართლაც, რომ კარგი იქნება! — წამოძახეს გახარებულმა ბიჭებმა.

იმ დღესვე გადაწყდა წასვლა. ტოლებმა სოფლად წასვლისთვის საჭირო საქმეების მოსაგვარებლად დავალება გაინაწილეს და სიმღერის გამეორება გადასწყვიტეს.

იმ საღამოს ჯუღაანთ სახლში თავმოყრილი ტოლები უკვე ადგენდნენ გასამეორებელი სიმღერების სიას და სოფლად გამგზავრების დღეზე ოცნებობდნენ.



მარიამობისთვის ცხელ დღეს მეჯვრისხევისაკენ მიმავალ გზაზე ახალგაზრდებით სავეს ურემი კრიალით მიჰყვებოდა დაცემულ შარას, რომლის ფართო, თეთრი ზოლიც ხან გორაკებსა და ხეხილიან ბაღებში იკარგებოდა, ხან ისევ ჩნდებოდა.

ამ მოწმენდილ ამინდში ადვილად იხედებოდა სივრცეზე გაწოლილი ტირიფონი, რომელსაც ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან ისე მოსდგომოდნენ

მთები, თითქო სივრცე დანანებიათ ამ მადლიანი ველისაო. მაგრამ გორის მთა დროულად წამოწვდილა, ბიჭვი უკრავს სამხრეთ მიმართ და მით შეერთებას გადასდგომია. ამის გამო დასაეღეთით ისევე სივრცისად ვაზნ-დულა კვერნაკის ველი.

ურემში მსხლომი ბიჭები ჩუმად მიემგზავრებოდნენ, ალბათ, მათი ყურადღება ლალ ბუნებას თუ შეეპყრო ან წასულ მღელვარებას თუ მოექანტნა ისინი.

— მაშ ასე, ბიჭებო, ხვალ საღამოს მეჯვრისხევეში ვავმართავთ,—სთქვა სოსომ ხანგრძლივი სიჩუმის შემდეგ.

— არაფერი არ მინდა, ნეტა ყველაფერი ისეთ რიგზე წავიდეს, როგორც ჩვენ განვიზრახეთ. — ჩაუბრუნო ირემიანთ სოსომ და ურემში მოკვიცილ გიორგის მუხლებზე გადაწვა.

\* — რას ნატრობ, ბიჭო? ჩვენზე არ არის დამოკიდებული ყველაფრის უბასუხა გიორგიმ ამხანაგს.

— დედაც, დედაც, რა მეშველება, დღეს დილით ყელი თითქოს ამომშრალი მაქვს, ვაი შენ ჩემო თავო! — წაიწუწუნა გრიშამ და შავი თმით დაგრუზულ თავზე ხელები ყასიდათ წაიშინა.

— მერე რა, შე ვერანო, შენა, ე მაგის წაშალი არ იცი? — შეეკითხა დრახინა: — მე გასწავლი, ცოტაც გავიაროთ და ყელს ისე დაგილობო, რომ ბულბულივით იგალობო.

— მიშველე დრახინ, მხოლოდ იცოდე, ჩემ ყელს დიდი ლუკმების მერტი ვერაფერი დაალობს.

— მეც ასე ვგრძნობ, რომ ნაზუქის ყუა კარგად შეგერგება.

— პო და თუ გრძნობ, რაღას ველოდებით, ბიჭებო, მგონი, არც თქვენ იქნებით უარზე, თუ ხურჯინს თავს გავუხსნით.

— ოჰო, რა მსუნაგები ხართ, ეს არის სახლებს დაეცილით და ეხლავე ქამაზე გიჭირავთ თვალი.

— ვინც კარგი ქამა იცის, იმან კარგი შრომაც იცისო, — დაიძახა დრახინამ, წამოხტა, ჩაჩაჩული შარვალი იდაყვებით ზემოთ აიჩეჩა, მერე ურემში მსხლომი ბიჭებს თავზე გადაახტა და ტატესთან მივიდა.

— ძია ტატე, შენი ჭირიმი, ეგე იმ ყანის პირას ურემი გააჩერე, თორემ გრიშას ლამის არის ხახა გაუშრეს.

— კარგი, გეთაყვა, კარგი, მგონი, არც შენა ხარ უარზე. — მიუგო ტატემ, ბიჭის ოხუნჯობაზე გაიცინა და ზღაზენით მიმავალ პირუტყვს დაუყვავა.

ურემი გაჩერდა. ბიჭებმა ხურჯინი გზის პირას გადაიტანეს, და ცოტა ხნის შემდეგ ყველანი მადიანად ილუკმებოდნენ.

მეჯვრისხევი ქართლის კარგა მოზრდილი სოფელია. მის მრავალხეხილიან ბაღებს ბევრი გზიანი და ნაცვალნი გაედლო, მაგრამ იმდენიც გადაარჩენია ხალხს, რომ ორკლასიანი სასწავლებელიც მოეწყო. ღორ-ხბოდან დაბრუნებულ გოგო-ბიჭებს საღეთო სჯულსა და ორიოდ ასოსაც ასწავლიდნენ. მეჯვრისხევი სხვა სოფლებისგან ხალხის სიმრავლით განირჩეოდა. თანაც საგუნდო სიმღერების შეფასება აქ უფრო შეეძლო ხალხს. პირველი საღამოს გამართვა აქ ყოველმხრივ მიზანშეწონილი იყო.

უჩვეულო დღე დადამდა იმ დღეს მეჯვრისხევეში. გუნდის მეთაველამ ერთგვარი სიახლე შეიტანა მთელ სოფელში. სკოლის კედელზე სივრცის გაკვრამ უცნაურად ააფორიაქა სოფელი ახალგაზრდები, რომელთა დახმარებითაც ჩამოსულებმა შენობის ეზოში ფიცრები მიზიდეს და შენობისთვის საჯდომები გამართეს.

სკოლის შენობის რიკულ-ანგრეულ აივანზე ჩითის ფარდა გააბეს, და სცენა მზად იყო. საღამოთვამს სკოლის შენობის ეზოში თავმოყრილმა ახალგაზრდობამ დაირა-დაფდაფით მხიარულება შეიტანა. მოაწყდნენ ჯალვანი და კარგა ლაზათიანი გასართობი გაჩაღდა.

სოფლის პატარა ვოგო-ბიჭები მოუსვენრად დარბოდნენ ხალხში. გუნდმა ჩქარა მთელი სოფელი გაიციხო. გრიშა, დრახინა და კასრამდიანთ მიშა ყველას გაუშინაურდნენ და ბარაქიანი ტყაბა-ტყუბი გაჰქონდათ იმით ხელეხს. სოსო, გიორგი, სანდრა და ალიმბარაიანთ სიკო მორიდებით გასდგომოდნენ ხალხს და სცენაზე გამოსვლის წინ სიმღერის შესრულების ოსტატობაზე ლაპარაკობდნენ.

დადამდა. სკოლის აივანზე ანთებული ჰრაქები დასდგეს, რადგან მთვარის შუქმა დაიგვიანა. ეზოში უცნაური სიბნელე ჩამოწვა. გუნდმა თავისი ადგილი დაიკავა. ეზოში მყოფი ახალგაზრდები ფიცრებზე ჩამომხნდარ მანდილოსნებს შემოეხევივნენ და ყველა სასმენად მოემზადა.

ჩითის ფარდის წინ რვა-ცხრა წლის სოფლელი ბიჭი გამოვიდა და სპილენძის ზარი ააწკრიალა. ფარდა გადაიწია. გამოჩნდა ჯგუფად მდგომი გუნდი, მხოლოდ სოსო იდგა ოდნავ განზე, რომ სიმღერის წამოწყება ტოლებისთვის თვალთ ენიშნებინა.

ლავეარდ ცაზე,  
მზემ შორს სხივი გასტყორცნა  
და ის სხივი  
ველს დაეცა, გაჰკოცნა.

შესძახა სოსომ თავისი წკრიალა დისკანტით პირველი სიმღერა, რომელსაც ოსტატურად აჰყვა გუნდი.

შეკრთა მიწა  
და მის გულზე ნელნელა,  
გადიშალა  
იავარდი ველზედა.

ამას მოჰყვა: „მუშური“, „ჩაეუხტეთ ბარათაშვილსა“, „შაშვი მგალობელი“, „შვიდნი გურჯანელნი“, „ზამთარი“, „კახური მრავალეამიერ“ და სხვა.

როდესაც გუნდმა სიმღერა გაათავა, ტაშის გრიალით და ახალგაზრდების შეძახილებით არემარე ახმაურდა. ამ წარმატებით გამოყოფილი ტოლები სახე გაბრწყინებულნი იდგნენ მაღლიერი ხალხის წინ და ანთებული თვალეებით შეჰყურებდნენ ერთმანეთს.

სიმღერის გათავების შემდეგ გლეხობა წამოიშალა, შუახნისანი ლაპარაკ-ლაპარაკით წაეიდნენ სახლებისაკენ, ხოლო ახალგაზრდებმა დაირა გაახურეს.

სოფლის თავმომწონე ქალიშვილები ფარულად უპვერტდნენ ქლაქიდან ჩამოსულებს, რომლებიც ხალხში გაერივნენ და საერთო შიარულებას შეუერთდნენ.

შუალამე თითქმის გადასული იყო. ტატე სკოლის გეგმობილებობდა ტოლებს.

— წამოდით, წამოდით, შვილებო, გეყოფათ, რაც ისიამოვნეთ, ესლა მოსვენების დროა, — ამბობდა ის დინჯად, ბიჭების წარმატებით კმაყოფილი.

მეგჯერისხევეში ტატემ ამხანაგები თავის მოკეთესთან მიიყვანა, რომელმაც იმ დამეს გულუხვი სუფრა დაახვედრა მისულებს.

— ერთი შეხედე ამ პატარა მომღერლებსა, ყელი როგორი მოვერცხლილი ჰქონიათ! — ეუბნებოდა ტატეს მოკეთე, რომელიც მომღერლებს გულთბილად დაუხვდა.

დილაზე გუნდი უორე სოფელში გაემგზავრა. მეორედან—მესამეში, მესამედან—მეოთხეში და ასე შემდეგ. მგზავრები მოითენთნენ და დილაღნენ. უცხო ოჯახებსა და ადგილას დამის თევა იმდენად უჩვეულო იყო მათთვის, რომ ხშირად იგონებდნენ საკუთარ სახლს, თუმცა აქაც ბევრი ისიამოვნეს.

— ესეც ასე, თქვენი პირიმეთ. ყველაფერს ბოლო აქვს. ესლა ჩვენ ჩვენს სახლებში გავწიოთ, — სთქვა კმაყოფილმა ტატემ, როცა ყველანი ურემზე დასხა და პირი სახლისაკენ იბრუნა.

იმ დღეს დილითვე უცნაური სიცხე ჩამოწვა. ტატე ეჭვის თვალით უყურებდა მზეს და დრო და დრო იტყოდა ხოლმე:

— დაილოცა შენი მადლი, როგორ იკბინები, საწვიმრად კი პირი არ გიჩანს.

— აბა, ძია ტატე, წვიმა სადედან წამოვა, რომ ღრუბელი არსად არ არის ცაზე? — ეუბნებოდნენ ბიჭები მეურმეს.

— რა ვიცი, გეთყვა, მზე იკბინება და ჰაერიც ჩაიხუთა, — ამბობდა ტატე.

ამ ლაპარაკში ურემი გასცილდა სოფლებს. გზაზე მგზავრებს არაფერ შეხვედრიათ. მხოლოდ დიდ გზაზე ერთი გლეხი გამოჩნდა მეორე ბოლოში, კამჩრებს მიერეკებოდა. ხანდახან თავ-აუღლებლივ შეუძახებდა პირუტყვს. მგზავრები კარგა მოშორებით იყვნენ ურთიერთისაგან და ერთმანეთს ნელ-ნელა უახლოვდებოდნენ.

ამ დროს ტატესი და მისი მგზავრების ყურადღება ექვნების ელარი-ელურმა მიიპყრო. ხმა მოსახვევიდან მოდიოდა, იგი ჩქარა უახლოვდებოდა მათ.

— ვილაც მოდის, — სთქვა ტატემ თავისთვის და ურემი გზის პირით წაიყვანა.

მართლაც, მოსახვევიდან გამოვიდა ეტლი, რომელსაც უკან ათიოდე ცხენოსანი მოჰყვებოდა.

— გიორგი ამილახვარია, — უთხრა ტატემ ბიჭებს და ნაბდის ქუდი მიიხადა.

სწორ გზაზე გამოსულმა ცხენოსნებმა ახლა უფრო სწრაფად გაიტაცეს ეტლი და ყელმოდერებულნი თქარა-თქურით გაემართნენ მათკენ. ეტლმა ურემს ჩაუარა, ტატემ მოწიწებით სალამი მისცა შიგ მჯდომს. ბიჭებს კი თვალი მოსტაცა იმისმა სისწრაფემ. ყველამ თვალი გააყარა.

ზემოდან მომავალი გლეხი ისევ თავჩაღუნული მოუყვებოდა გზას, ხოლო ხმაურით დაფეთებული კამეჩები უაზროდ მიაბოტებდნენ და პატივისცემ ამაღას გზას უღობავდნენ.

— აი შე ბრიყვო, ბატონის პატივისცემა და სალამი გზაში დაჰკარგე?! — დაიძახა ეტლში მჯდომმა შეახნის კაცმა, რომლის ლამაზი სახის ნაკეთბსაც გადაბმული წარბები და ოდნავ კეხიანი ცხვირი ქორულ გამოხედვას აძლევდნენ.

იგი სწრაფად შეტრიალდა ეტლში, რომელიც გზის გადაღობვის გამო შეჩერდა.

— ამის შემდეგ დაიხსომებ, რომ ბატონს პატივისცემა უნდა! — გადასძახა მან აწ უკვე მოახლოებულ გლეხს და მის ხელში წკრიალა დამბაჩამ იელვა.

უეცარმა გრილმა ელვის სისწრაფით გადასერა ირგვლივ ჩამდგარი მყუდროება. მინდვრების უბეებიდან დამატებით გაისმა ხმა დამბაჩისა და ეტლის წინ ჩამდგარი კამეჩი ქალა ახეთქილი ძირს დაეცა.

— შენი კენესამე! — შესძახა გლეხმა მოულოდნელ მოჩვენებას, — შენი კენესამე! — გაიმეორა მან, მაგრამ მისი ხმა აღარავის გაუგონია. მეეტლემ იმავე წამს გზა აუქცია ყველაფერს და ამაღა თავისი გზით წავიდა.

გლეხი ქვის კაცივით ერთ ადგილას გაშეშდა. უეცრად თვალწინ აღუდგა თავისი კარმიდამო, ცოლი, რომლის კალთაზედაც გუშინ სალამოს გადათვალა ნაგროვი ფული და რომელიც კიშკრამდე მიჰყვა ქმარს ლაპარაკით:

— აბა შენ იცი, არ მოსტყუვდე, კაცო, საქონელს მუხლი, კბილები და საუღლე კარგად გაუსინჯე.

გაახსენდა ობოლი შვილიშვილები, რომლებიც ლუკმის ლეკვით შესცქერებდნენ პაპას და ეკითხებოდნენ:

— ზაქებს იყიდა თუ მოზერებსა?

— ვაჰ დაღუბულო ოჯახო, რაღათი სუამ ლუკმასა?! — ჩაილაპარაკა გლეხმა, რომელსაც ოდესღაც ეშხით სავესე თვალეში უეცარი შიში გამოეხატა და რამდენიმე ცრემლი გადმოსცვივდა. — ვაჰ, დედი ჩემის ღმერთსა, უსახლ-კარო მაინც ვიყო, მაშინ განვენებდი, მეც კაცი ვარ თუ არა! — წამოიძახა მან, როდესაც დაკოჭრებული ხელეხი გულზე რამდენჯერმე დაიბავუნა.

ტატემ ურემი დააყენა, სანახაობით ვანცვიფრებული ბიჭები ურმიდან ვადმოხტნენ და გლეხისაყენ გაიქცნენ.

— რად მოჰკლა, რადა? — შეჰყვირეს ბიჭებმა გლეხს, რომელიც ქალა-ახეთქილ კამეჩის უკანასკნელ შეტოვებას თვალს არ აშორებდა.

არც სოსო აშორებდა თვალს გაბოროტებულ გლეხს, რომელიც, გონზე მოსვლის შემდეგ, უილაჯოდ დაეარდა გზის პირად და ბავშვივით ატირდა.





გზაზე მომხდარბ ამბის გამო ბიჭებს შემთხვევის აღწერა დაუტოვდათ. ჯერ კიდევ მოზინდებულში ამოიჭრა ქვენა ქარი, რომელიც თანდათან გაძლიერდა და რომელმაც ცა საწვიმარი ღრუბლებით ვასქვედა.

შორს იელვა, ყრუდ მოისმა გრგვინვაც, რამაც გამოარკვია ლაპარაკში გართული მგზავრები. ტატემ ბალახზე გაშვებული ხარები საჩქაროდ შეაბა ურემში და მგზავრები თავიანთ გზას გაუღვნენ.

ელვა-ქუხილი თანდათან ახლოვდებოდა და ცა რისხვით ჩამორუხრუხებდა დედამიწას. ირგვლივ ისეთი კუკუნაფერი ჩაწვა, რომ თვალთან თითს ვერ მიიტანდი. ხშირი ელვა შეელოდა ტატეს გზის გაკვლევაში. კარგა ხნის შემდეგ ქარი შესუსტდა, ელვა-ქუხილმაც ადგილი მონაცვლა და ისეთი კოცინპირული წვიმა წამოვიდა, გეგონებოდათ, ცამ დედამიწის წალეკვა განიზრახაო.

ბექობებიდან წამოსული ნიაღვრები რისხვით დაემუნენ თავქვე, დაშაშრული მიწა ხარბად ისრუტავდა მათ. გოლვით დატყეპნილი შარა უცნაურად ასლიბტა, ხარები ფეხს ვერ იყიდებდნენ, ბორბლები სხლტოდნენ და მგზავრებს სელა უფერხდებოდათ.

— რაღა დღეს მოუნდა თავსხმა ამ დალოცვილსა?—გაიძახოდა დროდადრო შემფოთებული ტატე და გაჯავრებული შეუტევედა ხარებს.

თავით ფეხამდე გაწუწული ბიჭები ურემში ერთმანეთს მიჰკვროდნენ. აღარ ისმოდა მხიარული სიცილი და ოხუნჯობა.

შუალამე კარგა ხნის გადასული იყო, როცა წვიმამ გადაიღო. თითქოს განგებ სწორედ მაშინ შევიდა ურემი მიძინებულ ქალაქში. ურმის ჩამოვლარ გამოვბარათ მხოლოდ ფხიზელ ძაღლებს, რომლებიც ყეფითა დაღრიანცელით აედევნენ მგზავრებს.

მთვარემ მხოლოდ ახლა გადმოხედა ნამტირალვე დედამიწას და დაშაშრულ ღრუბლებიდან თავისი მკრთალი შუქი ნუგეშად მოჰფინა ირგვლივ.

მთვარის შუქმა შეაცილა სახლში სოსო, რომლის დანახვითაც ელდანაცემ დედას კინალამ გული გადაუბრუნდა.

— წამდვილად გაგიყებულა ის ბებერი, ამ თავსხმაში როგორ წამოიყვანათ? — შესძახა შვილს, რომელსაც სველი ტანისამოსი ერთიანად დაჰკროდა ტანზე.

— ნუ ჯავრობ, დედი, ტატე არაფერ შუაშია, — არწმუნებდა სოსო დედას და გამალებით იცვლიდა ტანისამოსს.

დილით ჩვეულებისამებრ დედა-შვილს ადრე გამოეღვიძათ.

სოსომ მოკლეთ უამბო დედას თავიანთი მგზავრობა და მისი ყურადღება ამილახვრის ოინზე შეაჩერა.

— რა ნება ჰქონდა ამილახვარსა, გლესს რომ კამეჩს უკლავდა?—წამოიძახა გაჯავრებულმა და კითხვას თვითონვე უპასუხა: — იმიტომა, რომა ბატონია? თუ ბატონია, ღალა აიღოს, აბა საქონელს რად უკლავს გლესსა?

კეკე შვილის პირდაპირ იჯდა და გაკვირვებული შესცქეროდა მას. მოგზაურობის შემდეგ ბავშვი თითქოს შეცვლილიყო. შვილის გაკვირვებულ ცოცხალ თვალებს ცნობისმოყვარეობა იმდენად მოსძალებოდა, რომ სახეს დაფიქრებულ გამომეტყველებას აძლევდა. მრგვალი პირისახე დაჭრბელბოდა, ფერმკრთალი ლოყების ქვედა კუთხეები თითქოს განზე იწყოდნენ. ძარღვიან ხელებს ბიჭი თითქო უფრო აზრიანად და დინჯად იშველიებდა ლაპარაკის დროს.

ჯერ კიდევ გუშინ საღამოს დედამ შეამჩნია, რომ შვილს ხმა შესცვლიდა, რაც დღეს დილითაც დადასტურდა.

დედის დაკვირვებულ თვალს არც ერთი ცვლილება არ დარჩენია აღუნიშვნელი. საუბრის დროს მან ბევრჯერ გადაავლო თვალი და გაიფიქრა:

— თუ მოვესწარ შენ ვაჟკაცობას, შვილო, ნეტა თუ რამე მომკლავს მაშინა?

იმ დღეს სოსო სახლიდან გამოსვლას არ ფიქრობდა, მაგრამ არც სახლში უდგებოდა გული. ოთახში გაურკვეველი სიარულის შემდეგ მან წაკითხული წიგნი აიღო და ბიბლიოთეკისაკენ გაემართა.

— ისეთი წიგნი მომეცით, სადაც გლეხის ისტორია არის აღწერილი, — მიმართა სოსომ არსენას, როდესაც ბიბლიოთეკაში თამამად შევიდა, მიესალმა და წაკითხული წიგნი გაუწოდა.

— ძალიან კარგი, ძალიან კარგი, — სთქვა ნასიამოვნებმა არსენამ, სოსოს წიგნი გამოართვა და თარგებს მიუბრუნდა. მან გულდავულ წაატანა ხელი ერთ-ერთ წიგნს, რომელიც უძებნელად ამოიღო და გადასცა სოსოს.

სოსო წიგნით ხელში გარეთ გავიდა. მიიხედა-მოიხედა ირგვლივ და კმაყოფილი დარჩა, რომ ნაცნობს არავის შეეფეთა.

ჩქარი ნაბიჯით გადაიარა მანძილი და ქვემო უბანს მიაშურა. ქვემო უბანში ღობე-აყრილ პატარა უსუფთაო ეზოში ტატეს მოზრდილი ქვიტკირის დარბაზი წამოედგა, მაგრამ იმდენი ვერ მოეხერხებინა ამ გამრჯე გლეხს, რომ მუდმივ საცხოვრებელ ოთახისთვის ხეირიანი ჰერ-იატაკი გაემართა.

როდესაც სოსო ეზოში შევიდა, თვალი მოჰკრა მოთამაშე პატარა ბიჭებს.

— ძია ტატე სახლშია? — ჰკითხა მან ბავშვს, მაგრამ პასუხი ოთახიდან გამოსულ დიასახლისისაგან მიიღო:

— არა, გეთაყვა, არ არის.

„სად არის, ნეტა?“ — გაიფიქრა სოსომ. რატომღაც ეწყინა, ტატე რომ შინ არ დაუხვდა, ნაწყენი გატრიალდა და წავიდა.

ეზოდან გამოსვლისას სოსო რატომღაც გაურკვეველად მიაბიჯებდა, თითქოს გონება ფეხებს არ უკარნახებდა მიმართულებას, ისინი შეუთანხმებლად მოძრაობდნენ, მხოლოდ ერთი საერთო პირობით, ეს პირობა იყო განმარტოება, რის სურვილიც მან პირველად იგრძნო.

ცოტახნის შემდეგ სოსომ გადაიარა მტკვარზე გადებული ხიდი და ქალაქის სამხრეთით მომდგარ მთის ძირში ბალახით დაფარულ ფერდობს მიაშურა.

ბალახზე გაწეა, გულ-გადაშლილმა მაჯები თავქვეშ ამოიწერა და ცას დაუწყო მზერა.

გუნდ-გუნდად გაფანტული ქათქათა ღრუბლები ცის ლაქვარზე უწყს-რიგოდ მოფანტულიყვნენ. აგერ ერთი გუნდი მეორეს წაშლიერა შეიერთა იგი და უფრო მკაფიოდ დაემჩნია ცის ფირუზს, რომელიც დღეს განსაკუთრებით მუქად იხედებოდა. ეს მოზრდილი შენაერთი ახლა პატარა-პატარა ჯგუფებს წაჰოეწია, ისინიც შეიერთა და უზარმაზარ სიერცეზე გაეკრა. ღრუბლებს ახლა მკაფიოდ დაეტყოთ აღმოსავლეთისკენ აღებული გეზი.

სოსო დიდხანს, დიდხანს უყურებდა ცას, რომლის ხავერდოვანი ზედაპირიც თითქოს უალერსებდა, ამშვიდებდა მას.

— ძალა ერთობაშია! — წამოიძახა მტკიცედ მათი ყურებით გატაცებულმა სოსომ. თითქოს გამოერკეაო, წამოჯდა, დაუბრუნდა პირვანდელ ფიქრს და ჩაპკითხა თავის თავს:— უსახლკარო მაინც ვყოფილიყავია. რატომ? რატომ სთქვა იმ გლეხმა ასე, განა სახლკარი მაჯაზე ეკიდა, რომ ერთი ბარაქიანი ლოდი არა სთხლიშა?

ეს სიტყვები განუწყვეტლივ მეორდებოდნენ მის გონებაში, რომელიც დაჟინებით მოითხოვდა პასუხს, მაგრამ პასუხი არსაიდან იყო.



იმ ზაფხულს დრაზინას მამის თხოვნით კეკემ ბავშვი წრომში გააგზავნა. წრომი გორის დასავლეთით მდებარეობს, მატარებლით ერთი საათის სამგზავრო მანძილზე. ეს მოზრდილი სოფელი შეფენილია სამხრეთით მომდგარ მთაგრებილის ფერდობზე, ზამთარ-ზაფხულ იქ ცხოვრობდნენ დრაზინას მშობლები და კარგი ოჯახიცა ჰქონდათ.

სოსო ამხანაგს საშემოდგომო გამოცდისათვის ამზადებდა. ამრიგად, ორიოდ კვირას იგი წმინდა ჰაერზე დაპყოფდა.

ბიჭებს შორის ძალიან კარგი განწყობილება იყო. დრაზინა თავს ევლებოდა საყვარელ ამხანაგს. მას შემდეგ, რაც დილით ადრე ბიჭები სავალდებულო მეცადინეობას მოათავებდნენ, სრულიად თავისუფალნი იყვნენ. სოსომ გორიდან ჩასვლის პირველ დღეებშივე ამხანაგთან ერთად გულდასმით მოირბინა სოფლის ახლო-მახლო მდებარე ლამაზი ადგილები. შემდეგ კი გორიდან წაღებულ წიგნების კითხვას შეუდგა. დრაზინა არ იშუხებდა თავს წიგნების კითხვით. ის თავისუფალ დროს სოფლის გოგობიჭებში ლაზღანდარობდა.

სოსომ იგრძნო, რომ მისსა და დრაზინას შორის რაღაც მიჯნა დაიდო. ამიტომაც სოსოს მეგობრისაგან დამალული ბევრი საიდუმლოება გაუჩნდა, რადგან დრაზინასთვის ის სრულიად მიუწვდომელი და გაუგებარი იქნებოდა. სოსოსთვის კი ეს ის იყო, რითაც იგი საზრდოობდა, რასაც იგი განსაკუთრებულ ფაქიზად ინახავდა.

ერთ კვირა დღეს, როცა ბიჭებმა ისაუბმეს, სოსო წიგნითა და ფანქრით გაუღდა გზას.

სოფელს კარგა მოშორებით ცალფერად გადაქანებული, ძველ/დიდი ტაძარი გადასდგომოდა, რომლის მოზრდილი ეზოც კარგა ტანხაჯით იყო შეკრული. ტაძრის ეზო გადაშლილი იყო მაღალი ბალახით. საფლავის ქვები მიწაში ჩაწოლილიყვნენ და აქა-იქ ზის წაქცეულ ქვებზე. წამოყვით თავები, რომლებზედაც წვიმისა და მზისაგან გადახუნებული წარწერა ძნელად ამოიკითხებოდა.

სოსომ ნელის ნაბიჯით ჩაუარა საფლავის ქვებს. ჩქარა მოსძებნა შესაფერი ადგილი და ბიბინა ბალახზე გაიშოტა. მერე ბეჭები იდაყვებს დააყრდნია, „გლეხი კაცის ისტორია“ გადაშალა და გულისყურით დაიწყო კითხვა. კარგახნის კითხვის შემდეგ მისი ყურადღება წიგნზე უცარ ჩრდილის დაცემამ დაარღვია. მან სწრაფად მიიხედა და დაინახა, რომ თავზე წამოსდგონოდა ქობარა მოხუცი, რომელიც კომბალზე დაყრდნობილი დაპყურებდა მის წიგნს.

— ბიჭოს, შენ თუ ე მაგითანა წიგნის კითხვა იცი, აბა სად მოგძებნი შენისთანა სიძესა? ერთი შეილიშვილი მყავს, — განაგრძო მოხუცმა გაღიმებული სახით და საფლავის ქვისკენ ჩამოსაჯდომად მიიწია, — ისეთი გოგოა, რომა მარსკვლეავენს ეთამაშება, იმას შეგერთამ. შენ კანცელარიამი დაჯდები, ორიოდ ღღის მიწაცა მაქვს. ძალი არ დაპყვუს ჩვენს ბედსა. — ამ სიტყვებით მოხუცი ქვაზე ჩამოჯდა და კეთილი თვალებით შეჰხედა ბიჭს.

— მიწა-წყალი რად მინდა, აბა, პატარძალი კარგი ამირჩიე ოღონდ, — შესძახა სოსომ მოხუცს თავისი წკრიალა ხმით და გულიანად გადაიხარხარა.

— აჰა, ღმერთო, რა გაციანებს, კაცო, როგორ გეტყობა, რომა ბავშვი ხარ.

— რატომ, ცუდი არჩევანი მაქვს? — ჩაეკითხა სოსო, წამოიწია და მოხუცის წინ მოხერხებულად მოიკეცა.

— ეეე, რა კარგია ახალგაზრდობა, — სთქვა მოხუცმა სინანულით და განაგრძო: — შენ პატარძალს ირჩევ, მე კა ჩემი მარჯვენით ჩაყრილი ერთი ღლიური ბალი სულ მირჩევნია დღენიაა.

— ნამყენს რა თავში ვიხლი! — სთქვა სოსომ ყასილად და მოხუცის პასუხს დაელოდა.

— არ იცი მიწის გემო და ამიტომ ამზობ ეგრე! რამდენი შოლტი და ლანძღვა გადამიტანია ბატონისა, რამდენი? იმიტომ, რომა იოლად ვერ ეთმობდი მამულსა. საზღკარის აწიოკებას ისევ სიჩუმეს ვარჩევდი მუდამა. — ამის მოგონებაზე მოხუცი დასევდიანდა და უძრავი სახის ყოველი ნაოქიც კი უცნაურად შეეცვალა.

სოსოს უცრად ბავშვობაში ნახული მეფანდურე გაახსენდა. მერე კამეჩის შოკელის დროს გლეხის მიერ წამოძახილი სიტყვები: „უსაზღკარო მაინც ვყოფილიყავი“. „გლეხს მიწა უყვარს, ისე უყვარს, რომ მისი სიყვარულით ყველაფერს დასთმობს“, გაიფიქრა მან და ამდენი ხნის ჩაკითხვაზე ასე მოულოდნელად თვით გლეხისგან მიიღო პასუხი. მაგრამ ისევ ისე უკმაყოფილო დარჩა ბიჭი, რადგან კითხვამ კითხვა წარმოშვა — „თუ გლეხი თავის თავზე თითონ არ იზრუნებს, მაშ ვინ იზრუნებს მისთვის?“ — ჩაეკითხა იგი მყისვე თავის თავს და მოხუცს ლაპარაკში შეება.

მოხუცი ძალიან ენაწყლიანი და გონებამახვილი აღმოჩნდა. მთლი საუბარში ყრმის ახალგაზრდულ გატაცებიდან ცხოვრების სიდუბჭურეზე გადავიდა.

მოხუცის წასვლის შემდეგ სოსოს უცნაურად ავესოვებოდა. ერთ ადგილზე ველარ გაჩერდა, წიგნი აიღო და წელის ნაბიჯით გაუყვა მწვანე ბილიკებს. მეფანდურე თვალწინ უდგა, ცოცხლად. თითქოს მოესმა კიდევ მისი წელი და საამო ხმაც.

— ჩემი კარგი მეფანდურე, ჩემი მეფანდურე! — სთქვა მან ხმამაღლა და შეჩერდა.

სოსოს წინ შესანიშნავი გადასახედი გაშლილიყო: მთის ფერდობზე შეფენილი სოფელი, ვრცელი ველი, საყვარელი მტკვარი, ისევ ველი და ნისლით დაფარული მთები.

სოსომ ერთ წამს თვალი მოაგლო ველს. მისი ფიქრი თითქოს დასძლია ბუნებამ, მაგრამ ბავშვს თვალწინ კვლავ მეფანდურე აღუდგა, რომელმაც დამშრალი თვალების ბუდეებში ჩანაოჭებული ქუთუთოები უცნაურად შეანძრია.

„ჩემი მეფანდურე! — გაიფიქრა სოსომ და წიგნში ჩადებული ფანქარი უნებლიედ მოსძებნა. ფრთხილად გადაფურცლა სქელი წიგნი თითქოს ქალღალდის ხმაურს ერიდებო, მოსძებნა წიგნის უკანა ფურცელზე თავისუფალი გვერდი და დასწერა:

#### მეფანდურე

ამ ჭკეყნად იგი, ვით ლანდი,  
კარისკარ დაწრიალებდა,  
ხელთ ეპყრა მუხის ფანდური,  
ხმა ტკბილად აწყრიალებდა.

მის საოცნებო პანგებში,  
ვითარცა სხივი მზიური,  
ისმოდა თითონ სიმართლე  
და სიყვარული ციური.

ბევრს აუძგერა იმის ხმამ  
გული, ჰვად გადაქცეული,  
ბევრს გაუნათლდა გონება  
ბნელ უკულმართად ქცეული.

მაგრამ დიდების მავიერ,  
სად ჩანგმა გაიწვრიალა,  
განდევნილს ბრბომ იქ დაუდგა  
შხამით აღესილი ფიალა.

და უთბრეს: შესვი, წყველო,  
ეს არის შენი ხვედრიო!  
შენი არ გვინდა სიმართლე,  
არც ეგ ციური ხმებიო.

უცნაურად აღვსილი გული სათუთად ლივლივებდა, რომელიც ყველა წინათ განცილდნო გრძობისაგან განსხეავდებოდა. ეს იყო უფორესად ნაზი და უჩვეულო, რომლის გაფანტვის ფაქრიც კი თითქოს ამინებდა კიდევ.

შეზინდდა. ირგვლივ ჩამოწვა მყუდროება, რომელსაც მისი მტკერის მღერაე წყლის ტალღების შეუჩერებელი ტყლაშუნი არღვევდა.

ხეებისა და დაბურულ ხეხილებში ციციანათელები იკვებებოდნენ. აი ერთი ციციანათელა ზედ გულზე დააფრინდა სოსოს. მან სწრაფად დაჰფარა შავი პრიალა ფრთებით განათებული ტანი და უმწეოდ ალოღდა. სოსომ ფრთხილად მოიხსნა გულიდან პატარა ნაკვერცხალი, მერე სათუთად მუკაში მოიშყვედია ნაზად, მეტად ნაზად დაუწყო ცქერა, პატარა მწერს. დიდხანს, დიდხანს უყურა მუკაში მომწყვდეულ სინათლეს, მერე ფაქიზად თითზე დაისვა და თავისუფალი გააფრინა. ესოდენ უწყინრად დაარღვია ამ პატარა მწერმა მისი განმარტოება.

როდესაც სოსო სახლში დაბრუნდა, ოთახი ზომავზე ვიწრო ეჩვენა, კედლები სულს უხუთავდნენ, ავეჯი თავმოსაბეზრებლად ფეხებში ებლანდებოდა, და ისევ გარეთ მიიღტვოდა მშფოთთარე სული. გარეთ, სადაც ყოველი გადადგმული ნაბიჯი სიახლეს აგრძობინებდა.

რა სიამოვნებით გაათენებდა იგი ვარსკვლავებით მოჭედნილ ცისქვეშ, რა სიამოვნებით მოივლიდა ღამის მყუდროებით მაყუჩებულ მინდვრებს, ხშირი ფოთლით თავდადგმულ ატეხილ ტყეს და საყვარელ ქედებს.



შეუმჩნევლად მიდიოდა დრო. სოსო უკვე სასულიერო სასწავლებლის უკანასკნელი კლასის მოწაფე იყო. ძველებური ბავშვური ხალისით აღარ თამაშობდა ტოლებთან ერთად ლაფტსა და წრელახტს. თამაშის ადგილი ახლა განყენებულ საკითხებზე სჯა-ბაასსა და საგამოცდო სამზადისს დაეკავებინა.

იმ დღესაც რუსული ენის გამოცდის ჩაბარების შემდეგ, გამოცდის კარგი შედეგებით კმაყოფილი ბიჭები, გახარებულნი წავიდ-წამოვიდნენ სახლებში. ხოლო ნაშუადღევს, დაპირების თანახმად, თავი ჯულაანთსა მოიყარეს.

— აბა, წავიდეთ, ბიჭებო, ოთახში ჯდომა რას გვარგია! — იძახოდა დრახინა, რომელიც ოთახის კარებში წასასვლელად ჩამდგარიყო და გრინძას, სოსოს და პეტას ელოდებოდა.

— მაშ, პეტა, შენ არ მოგწონს „ლუკმა პურის ისტორია“, — ეუბნებოდა სოსო პეტას, რომელიც ჯიუტად დასდგომოდა თავის ნათქვამს.

— არ მომწონს რასა ჰქვიან, მაინც და მაინც რა არის იქ მოსაწონი?

— რას ამბობ, ბიჭო, შენგან მაგას არ მოველოდი! — უთხრა ბოლოს სოსომ და კარებისაკენ გაემართა.

ბიჭები ლაპარაკითა და სჯა-ბაასით გაუდგნენ გზას. ჩქარა ისინი ციხეზე ავიდნენ და გალავანზე ჩამოსხდნენ.

ღღის ნათელი კარგა მიწურულიყო. სადამოს მწუხრი მიატედ დასდებოდა ქართლის ველს. ფირუზი ლაპარაკით იბურებოდა ნაცრისფერი უღრუბ-

ლო ცა, რომლის მკერდზედაც თვალციმციმა, მოღიმარი ვარსკვლავები წამიერად მრავლდებოდნენ.

ძირს დედამიწა თითქოს ცას მეტოქეობდა. დიდგორისა და რუსის მთები ლურჯი ნისლით დაფენილიყვნენ, ჰაერი ისეთი წმინდადუნდა იყო ირგვლივ, როგორც ქართლის ველს სჩვევია.

ბიჭები კარგახანს ისხდნენ ჩუმად და ირგვლივ გარემოს გულისყურით ადევნებდნენ თვალს.

— მართლაც, რომ კარგია სიცოცხლე, ძმაო, — დაარღვია სიჩუმე პეტამ. — ტყუილად კი არ უთქვამს ხალხს: სიცოცხლე სიბარულოაო.

— აბა, ბიჭო, არსადა სთქვა, ეგ ხომ ბავშვებმაც იციან, რომ სიცოცხლე ბედნიერებაა და სიკვდილი უბედურება, — ჩაუბრუნა დრახინამ და პეტას ალმაცერად გადახედა.

— სიცოცხლე ბედნიერება მაშინ იქნება, როცა ადამიანის ბედი ერთი მუტა ხალხის ხელში არ იქნება ჩაბღუჯული, — უთხრა სოსომ ამხანაგებს.

— შერე და ვისი ბრალია, რომ ჩაბღუჯული აქვთ? — იკითხა დრახინამ.

— იმისი ბრალია, ჩემო ძმაო, რომ ადამიანი მომომენია, მოთმინება კი ადამიანის ღირსებაა.

— რაც მოსათმენი არ არის, არც უნდა მოთმინოს, — დაუმატა გრიშამ.

— არც მოთმინეს. ხომ გახსოვს ნინოშვილის სიმონა, ილიას ზაქრო ან და ყაზბეგის გმირები. როდესაც მათ გაუთელეს სინდისი და ადამიანური ღირსება, ის, რაც წმინდათაწმინდად მიაჩნდათ, მაშინ ისინი ბრძოლაზე გადავიდნენ, ბრძოლაზე, რომელიც თან სდევს ყველა საქმეს, მით უმეტეს თავისუფლებას. ეპ, ჩემო ძმაო, — განაგრძო სოსომ მცირე სიჩუმის შემდეგ, — კარგია სიცოცხლე, მაგრამ თუ მას შემოიგინებენ, მაშინ მოთმენა სილაჩრე და შეუგნებლობაა. თუ ეს ორი რამ გადაუთელეს კაცს, მაშინ ბრძოლა ერთად-ერთი გზაა, რომელსაც მიმართავს ადამიანი, ისე, როგორც სიმონამ და ზაქრომ ჩაიდინეს.

— კაცმა მაშინ უნდა იბრძოლოს, როდესაც მოგების იმედი აქვს. მერე რა მოიგეს ან ერთმა და ან მეორემ? — სთქვა პეტამ.

სოსო გაჩერებული იჯდა. იგი ფიქრმა გაიტაცა. ერთხანს დაღონდა კიდევ, გაცილებული თვალები ირგვლივ დინჯად შიველ-მოაველო და მოულოდნელად ხმამაღლა უთხრა ამხანაგებს:

— რომ ვერ მოიგეს, არაფერია, იმათი წაგება სხვას მოაგებინებს, მაშინ ადამიანი არც ლაჩარი და არც შეუგნებელი არ იქნება. წინა კაცი უკანასი ხიდიაო, ნათქვამია.

— ჰო, მაგრამ სანამ პეტრე მოვიდა, პავლეს ტყავი გააძვრესო.

— აი საქმეც იმაშია, რომ დღითი-დღე აძრობენ ტყავს ხალხს. ბოლოს ხალხი შეატრიალებს კეხს და მაშინ დადგება დრო ანგარიშის გასწორებისა.

სოსო თითქოს ძუნწობდა ლაპარაკზე. ისევ დაჩუმდა. დაკვირვებით დაუწყო ყურება ქართლის ველს, რომელიც უკვე საღამოს ბინდით დაფარულიყო. დინჯც, წმინდა და გულზეიადი ქართლი მთელი თავისი სიღიადით წარსდგომოდა ყრმას. იგი ისეთი კარგი იყო, რომ მომაკვდავსაც კი განკურნავდა. სოსომ ერთი თვალის გადაკვრით შეიგარძნო და აითვისა ყოველივე, რის სათავეც იქ, ქოხმახებში თავშეფარებულ ტეტას შიგნით, ტე-

ტიას, რომელიც შორს იყო ეხლა. მათ ჰყოფდათ სიმაღლე და მიწილი, ძალი და ღვიძლი. ყრმას ეწყინა განმარტოვება, განზე ყოფნა იზრდებოდა, ვისი ღვიძლიც, ვისი პირმშოც იყო. თვით სოსო ერთხანს სევდიანი, მაგრამ ალგზნებული გაყურებდა ველს.

მარტოობა

წამოდგა, ნანგრევებზე დადგა და რამდენჯერმე თმაზე ხეცურს გადაისვია. ბიჭები ჩუქად ისხდნენ.

ეს გულჩათბობილი სიწყინარე დაარღვია შორიდან მომავალი ორთქლმავლის კვილიმა. რკინის ვეშაპი სწრაფად მოარღვევდა ღამის მყუდროებით მიყურებულ ველს და მოურიდებელი განგაშით უახლოვდებოდა ქალაქის სადგურს.

ორთქლმავლის გამოჩენამ რაღაც სიფხიზლე შეიტანა ამხანაგებში. ბიჭები წამოიშალნენ:

— აჰა, გაჰხედეთ, — სთქვა სოსომ, როდესაც ამხანაგებთან ერთად წასასვლელად მოემზადა: — ჩვენს ქვეყანას ახალმა ვეშაპმა მოაკივლა. აი მაგან, მაგან სულ ახალი მაჯისცემა გაუჩინა ჩვენს ხალხს. თუ ქართველი ჯერ შორიდან მიაშტერდა ე მაგ რკინის ვეშაპს, ეხლა ზედ შეახტა და გაჰყვა, რომ თითონაც გახდეს თანამგზავრი საახლისა. მაგრამ რა? — ჩაჰკითხა სოსომ ბიჭებს, — განა ეს იქნება შეველა ადამიანისა? არა, საჭიროა სულ სხვა, სულ სხვა რამ!

თბათვის ერთ-ერთ ქარსიციხიან დღეში გორის სასულიერო სასწავლებლის ეზოში თავი მოეყარათ მეოთხე კლასის მოწაფეებს და ზოგიერთ მშობლებს. ისანი მღვლევარებით ელოდნენ სასწავლებლის გამგეს, რომელიც ბავშვებს ჩააბარებდა სასულიერო სკოლის დამთავრების მოწმობას.

— რაღაი გადავჩნი ლავროვსა, კელაპტარს დაუწებებ დიდ ღმერთს, — ეუბნებოდა პეტა შენობის ჩრდილში თავმოყრილ ტოლებს.

— როცა გადავჩნები, მაშინ აღარ ვაიმეტებ კელაპტარსა? — ჩაუთო გრიშამ თავისებურად და სოსოს მიუბრუნდა: — ერთი შეხედე ამას!

— დაუნთე, დაუნთე, ბიჭო! ვინ იცის, იმისი დიდება შენ კელაპტარზეა დამყარებული, — უთხრა სოსომ ამხანაგს.

ეზოში ზარის ხმა გაისმა. მოწაფეები სწრაფად გაემართნენ შენობისაკენ.

შუადღე კარგახნის ჩამომდგარი იყო, როცა სკოლის შენობიდან გამოსული მხიარული ტოლები ყიყინით მოედგნენ ქუჩებს. ყოველი მათგანი დღეს განსაკუთრებით მიისწრაფოდა სახლისაკენ, რადგან მიღებული მოწმობით მოპოებული უფლება ჩქარა უნდოდა წარედგინა მშობლებისათვის.

— დედი, აი ჩემი დიპლომი, — შესძახა სოსომ დედას, როდესაც აივანზე ფეხი შესდგა.

— დაგირიგეს, გენაცვალე? — გამოეპასუხა დედა შვილს და გახარებული გამოეგება.

სოსომ დედას ქალაღი გადასცა.

— ესეც ასე, — სთქვა კეკემ კარგა ხნის საჩუმის შემდეგ, როდესაც ორივენი ოთახში შევიდნენ. — შენი გზა ეხლა უფრო შორს გაიდო. ქა-



ლაქს წამსვლელი ტოლები მოსძებნე და ერთად წადით. სემინარიაში ქალღლების შეტანა არ დაგავგიანდეს.—ამ სიტყვებით კეკე მაგიდას მიუჯდა.

— მარტოც გავიგნებ ზნას. ან კი რა მივირის, ჩამა ხომ შემხედვება!  
— რა ვიცი, როგორც სჯობდეს, ისე მოიქეცი, საქმეს შეუერთდეთ ჩაუდექი თავში, პატარა კი აღარა ხარ, დიდი ხარ, შვილო, დიდი!—კეკე უცებ წამოდგა, თითქოს ახლა გამოერკვათ, შვილს ზურგიდან მოუარა და ქოჩორი დაუკოცნა.

სოსომ თითქოს დაირცხვინა დედის ალერსი, თავი ჩაღუნა;

— კარგი, დედი!—ნებიერად უთხრა.

დედამ შვილს ლაპარაკი გაუბა.

სოსომ დედასთან საუბარში საგარეო ტანისამოსი გამოიცვალა, მერე ჩვეულებისამებრ სასწავლო ნივთებს მიუბრუნდა და უგუნებოდ დაუწყო გადარჩევა. დაფიქრებული იყო. სასწავლებლის დამთავრება, ერთგვარ სიცარიელეს იწვევდა მასში, რომელიც სოსოსთვის სრულიად უჩვეულო იყო.

იმ დღეს დედა-შვილმა გულდაგულ ისაუბრეს. კეკე არაფერს ინანებდა შვილის მისწრაფების ასასრულებლად.

ორი დღის შემდეგ ჯუღანთ თჯახში დილიდანვე უჩვეულო ფუსფუსი იდგა. დედა შვილს ქალაქში გასამგზავრებლად ამზადებდა. კეკემ დილა აღრიან ხელახლა გადასინჯა შვილის ტანისამოსი, მერე მაგიდაზე საქმელი გადმოდგა და ტახტის უჯრაში რაღაცას ძებნა დაუწყო.

— აბა, ნახე, შვილო, რამდენია,—სთქვა მან ცოტა ხნის შემდეგ, როცა სოსოს პატარა ფულის ქისა გაუწოდა,—რამდენი ხანია ვაგროვებ ამ დღისთვის. იქნება ცოტახანს ხელი მოგვიმართოს, მერე კი ვნახოთ, ღმერთია მოწყალე.

— რა უცნაური ხარ, დედი, ეს რაღამ მოგაფიქრა?

— იმანა, შვილო, რომ ვიცი ჩქმი დოვლათის ბარაქა.

სოსომ დედას ქისა ჩამოართვა და მაგიდაზე მოაპირქვავა.

— დედა, ეს ოთხი მანეთიც მეყოფა ამ ერთ წასვლაზე,—სთქვა მან და ფულს დაუთვლილად დააკლო ნაწილი.

— არა, გეთაყვა, ქალაქს მიღიხარ. ვინ იცის, რა შეგემთხვეს, ჯიბეში გქონდეს და თუ არ დაგპირდება, ცუდად ნუ დახარჯავ.

იმ დილით, როდესაც თბილისისაკენ გასამგზავრებლად სოსო სახლიდან გავიდა, ცის ფირფხს მტრედისფერი მოსჭარბებოდა.

„სწორეთ დროზე გამოველ!“ გაფიქრა ჩქარი ნაბიჯით მიმავალმა ყრმამ და დაგვიანებულ ცისკარს შეავლო თვალი.

გზა-და-გზა დილის სიო საამო ლამუნით შეეგება ყრმის ჯიუტ ქოჩორს და ხილნარებში ატმისა და ვაზის შტოებში ვაჭრა. სოსომ ნაბიჯს მოუჩქარა, როცა ფრინველთა გუნდებმა ამომავალი მზის პირველ სხივებს სიხარულის ყიფინა დასცეს და წამოიშალნენ.

## ბაღრა საჭაღლოს წინ

მჭედლო, დასუდე ეს ჩემი ცხენი.  
შინ შივალ, გზად მიჩანს კლდენი და ღრენი.  
დამაკარ აგრეთვე წაღებზე ნალი,  
ეგებ ცხენს ძნელ გზაზე არ ეყოს ძალი.  
ხელს მართმევ და ცრემლით გვესება თვალი?  
ო, ნეტავ ეს გულიც შესუედო რვალით!

თარგმანი კონსტანტინე ზიზინაძისა

## მზესუმზირები

არ დაილია ჩემი გზის მტვერი!  
საით მიეყვებარ ცხოვრების შარას!  
მზესუმზირების მოვლემარე ფერი  
და მათთა ჩრდილთა სიგრილე მფარავს.

შივალ დაღლილი დასიცხულ ცაზეც,  
მოდებულია მტვერი და ხრილი.  
ნეტავი სადმე შემომხვდეს გზაზე —  
ტოტებდაბინდულ ხეებს ჩრდილი.

მათ ქვეშ ჩამოვჯდე... ალვათა წყებამ  
წაშალოს გზების ფიჭვი და მტვერი.  
მე ყველგან შინ ვარ, სადაც კი მხედება  
მზესუმზირების ელვა და ფერი.

ჩემს სიმღერასაც გზის მტვერი ადგას,  
დავალ, დავეძებ სანატრელ მხარეს  
და მზესუმზირებს შეეხარი, რადგან  
სხვა ვინ გამიღებს მეგობრულ კარებს!

ჩემს გზას არ უჩანს ბოლო და ზღვარი,  
მომქანცეს გზებმა, მომწყინდა მღერაც.  
მზესუმზირებო, გამიღეთ კარი —  
თუ ველარ შეეხვდე მშობლიურ კერას!

თარგმანი ილო მოსაშვილისა

\*) ონდრა ლისოგორსკი თანამედროვე ჩეხოსლოვაკელი პოეტი. სწერს ლახური ენაზე.  
რედ.

## 1. ბაღში

ველს ნიავექარი დასთამაშებდა,  
წყალში წნორების კრთოდნენ ფესვები,  
ბაღში ვიჯექით და ჩვენს გარშემო  
იდგა ლურნელი ვაეას ლექსების.  
ბაღში ვიჯექით მე და მეცხვარე,  
გული გრძნობათა სხივს მიჰყვებოდა.

ამღერებული ერთი მერცხალი  
ბრძენ მინდიაზე ამზავს ჰყვებოდა.  
ხან ცას გაპკრავდა ცეცხლის აღმური,  
ახველდებოდნენ მთები მაღალი  
და ხან მღეროდა მზის სალამური  
საამური და მარად ახალი.

ნასძინებოდათ ირმებს ჭალაში  
და მათ ყანწებზე შუქი დნებოდა.  
ვაეა-ფშაველას ლექსის ნანაში  
მეც ირემივით ჩამძინებოდა.  
შორს წასულიყო მთაში მეცხვარე,  
თან გაპყოლოდა ქარი სიცილით,  
გაფრენილიყო ხიდან მერცხალიც  
და ზედ ვარსკვლავებს ჰქონდათ ციმციმი.

ვაზებს სცვივოდათ ოქროს ყურძენი,  
იყო სიმშვიდე ცისფერ მხარეში,  
ტანზე მეხურა ვარდთა ფურცლები  
და თავქვეშ მედო სიზმრის ბალიში.

## 2. მოღანდება

სდუმდა ჩარგალი. ღამის ბურანში მხოლოდ ნიავე ჰქროდა,  
სოფლის ბოლოში ღარიბ ქოხიდან ერთი სანთელი კრთოდა.  
ვაეა ბუხართან „გველის მჭამელის“ უკვდავ სტრიქონებს სწერდა,  
ქარი ხან კარებს შემოუღებდა, ხან თივის ზვინებს სწეწდა.  
უცებ ეზოში ასტყდა ბლაგილი, შველი ეძებდა დედას,  
საბრალოს გუშინ მგლებმა წყლის პირად თურმე მოსტაცეს დედა.

ვაჟამ შეიგრძნო შველის ტირილი, ყელს დაეზღინა დანა,  
 ადგა მგოსანი კაეშნიანი, შუქი გამოჰყვა თანა.  
 გასაკვირია, ჯადოჭრობაა, თუ ზმანებაა ავი,  
 ვაჟას შებღაღლა შველმა მწუხარედ და ძირს დახარა თვემ  
 გათენებამდე იწვნენ ხისძირას, იწვნენ ხისძირად ფრთხილად,  
 ისევ ეძინათ, როცა ამაყი მთებზე გადმოდგა დილა.  
 იყო დღემილი, მთაში არ იდგა ხმლების ჯახანი ფართან,  
 ვაჟას ეფინა დილის ნათელი, შველს — ვაჟას ჩოხის კალთა.



მოსწყდა თვალიდან ცრემლი მწუხარე, ვაჟაც რად სტირის ნეტა?  
 უნდა წაეიდნენ, — ერთად მოძებნონ გატაცებული დედა.  
 მთელ დღეს ეძებეს მთებში, ხევებში იარეს კარის კარად,  
 შემოიარეს არხოტიონი, კვალი არ სჩანდა, არა!  
 გული შებოჭა ჯავრმა, ფიჭრებმა, ცრემლი მოაწვათ ისევ,  
 ბევრი იარეს, ბოლოს წუხილით უკან დაბრუნდნენ ისევ.  
 საღამო იყო. ჰქროდა ნიავი და ირწყოდა ველი,  
 გზებზე წვებოდა თეთრი ვეშაპი, მთებს ეხვეოდა გველი,  
 ბილიქს მოსდევდა ვაჟა-ფშაველა, წინ მოუძლოდა შველი,  
 შველს ნალელიანი ჰქონდა თვალები, — ცრემლი სდიოდა მწველი.

სადღაც იჭექა სამჯერ ხირიმმა, აშალა ცხვრების ფარა,  
 ერთხანს ისმოდა ექოს გუგუნე, მთიდან დაეშვა ბარად,  
 გაიშრიალეს მერცხლის გუნდებმა, სიმებს ჩამოჰკრეს მთებში,  
 ტბილ სიზმარსა და ჩემ შორის ჩადგა ვაჟას ლექსების ეშვი.



შალა თუ არა, შვილის სურათმა გაუღიმა. მაგრად ეამბორა მფრინავის ტანსამოსში გამოწყობილ ვაჟკაცს და ნაღვლიანად განაგრძობს: — რა ჰქნას დათიკოში ძნელია ჰაერში ბრძოლა. მე არ მომწონს მფრინავი. კაცი მიწაზე უნდა იდგეს ორივე ფეხით, რომ მისმა ხმაღმა გასკრას. რა სჯობსა — ქვეითსა მიწას მოშორებული უძღურად მეჩვენება ხოლმე... არა, ჩემო ჩემო, მაინც კარგი მყევხარ. გაგიმარჯოს, ჩემო ვაჟკაცო... ალექსანდრე პეტრეს-ძე, კარგი ბიჭი კი გყავს. რას გაჩუმებულხარ?! ნეტავი შეგეძლოს ხმლის მოქნევა. მტერი შორს კი არ არის. აი, აგერ არის, შენს საყვარელ კისლოვოდსეში, კავკასიონის კალთებზე.

სასმისი ფეხზე ამდგარმა გამოსცალა და სკამზე ფოთოლივით დაეცა. ოთახში სიჩუმე იდგა. ცრემლები თეფშის ძგიდეზე წკარუნით ეცემოდნენ. ბაბაღეს ფიქრებით ატკივებული თავი ხელებში ჩაერგო და იდაყვებით მაგიდას დაბჯენოდა. როგორც ოფლს სიცხე, ისე ცრემლებსაც დარდები თან გამოჰქონდა და მოხუცსაც ვულზე ეშვებოდა.

ბაბუღიამ (მაშინ ბაბაღეს ასე ეძახდნენ) ამ ოთახში შემოიღებოდა თეთრი კაბით, როცა ქორწილი ქუხდა და ყანწებს ზედიზედ სცილდნენ გრძელ-ულვაშიანი ოფიცრები. ამ ოთახშივე გაუთეთრდა მას თმა. მოხატულ კედლებს დრომ, ტელეგრაფის მავთულივით გრძელმა დრომ, გადასდო მუქი და ყვითელი ფერი და ისე ჩააღამა, როგორც პატრონის დარდიანი გული. ოთახის ერთი კუთხე თეთრტილოგადაფარებულ როიალს ეკავა. სპილოს ძვლის კლავიშებს ბაბაღეს თითების ნაკვალევი ღია ყვითელ ფერად აჩნდა. ბაბაღეს ოდესღაც კარგი ხმა ჰქონდა და მისი ბოშური რომანსები ღვინოზე ნაკლებად როდი ათრობდნენ სტუმრებს. ცხონებული ალექსანდრე პეტრეს-ძე აღტაცებული იყო და ულვაშებში მუდამ ღიმილი უკრთოდა.

წარმოიდგინეთ, ბრძოლის დროსაც იღიმებოდა იგი. ეს ხშირად შეუნიშნავთ მის ხელქვეით ოფიცრებს და ბაბაღესათვის არაერთხელ უთქვამთ: ბედნიერი ქალი ხართ, რომ ასეთი მხიარული და მამაცი ქმარი გარგუნათ განგებამ. კიდევ მტერი: ადიუტანტი დაოშვილი, რომელსაც შორიდან სწვაგდა ხოლმე ბაბაღე, ყოველთვის ალექსანდრეს ქებით იწყებდა მასთან საუბარს.

— ალექსანდრე პეტრეს-ძე ღიმილით შესცქერის ხოლმე ცხელ ტყვიას. და ყველა ჯაეშანზე მაგარი ხომ უშიშრობა და სიმაპაცია.

ერთხელ კაპიტანმა დაოშვილმა კარების უკან, ალბათ, გამბედაობა მოიკრიფა, და ოთახში შესვლისთანავე ხელი მოჰხვია ბაბაღეს. ტუჩებში ორჯერ მაგრად აკოცა. ქალმა ხელი ჰკრა, რას სჩადიხარო, მაგრამ ადიუტანტმა მის სიანჩხლეს ცივი წყალი დაასხა.

— რა იყო, ქალბატონო, გამარჯვება მოგილოცეთ, ცოტა უხეშად გამომივიდა, მაპატიეთ. ნება მომეცით პოლკოვნიკისგან წერილი ვადმოგცეთ.

— დაბრძანდით! — გაიღიმა ბაბაღემ.

— ჰო, ისევ ღიმილი! უცნაური კაცია ალექსანდრე პეტრეს-ძე. პოლკს მიუძღვის წინ. შეტევა! თქვენ იცით, ქალბატონო, რა არის შეტევა?!

— ვიცი, არაერთხელ ვყოფილვარ ფრონტზე.

— ჰოდა, ზარბაზნების გრიალში და თოფების ზალბებში ალექსანდრე პეტრეს-ძე ყიფინებს: ვაშა... ჩვენ ვლელავთ, სიმწრის ოფლი გვახრჩობს. ის კი იღიმება. არაფრის არ ეშინია. იძახის: „წინ!“ „ევაშა!“ და, წარმოიდგინეთ, სრულებით არა აქვს შიშის გრძნობა.

ამის შემდეგ ალექსანდრეს ჯარში დიდხანს არ უმსახურია, მას შემურაცხუფა მიაყენეს და გადადგა.

— დიახ, მასში სრულებით არ იყო შიშის გრძნობა, — გაიფიქრა ბაბალემ და ტკბილი მოგონებებით აციმციმებული თვალები შეანათა პეტროვიკის.

თხელ ტუჩებს შორის ოქროს კბილებმა გაიღუღეს. ბაბალემ გაუღიმა ქმარს. ნაძვისხის ფერადი ნათურები ისევ ციმციმებდნენ. ამ ფერთა ლიცილიცში ჰკრეფდა ბაბალე მისი მრავალფეროვანი წარსულის ჭრელ მოგონებებს.

კედლის საათს ცივი ხმები ისე მოსწყდა, თითქოს ბაბალეს მოგონებათა გრძელ სიმებს უჩანარი თითები ჩამოჰკრესო.

დადგა ახალი წელი. ბუხარში უკანასკნელმა ნაკვერჩხალმაც თვალები დახუჭა. შეციებულმა ბაბალემ ახლა თვალი ჰკიდა კედელს, სადაც მისი ქმრისეული დამბაჩები და მრავალგვარი ხმლები ეკიდა. ზოგი მათგანის ტარი ოქროსფერს გამოსცემდა, ზოგის ვერცხლისას. დამბაჩების ტარებზედაც კიაფობდნენ ფერფასი ქვეები.

— ალექსანდრე პეტრეს-ძე, ახალი წელიწადია, შენი დამბაჩა სდუმს, ნეტავ შეგეძლოს, რომ ყურის ძირში დასცალო იგი. შემაკრთო. შემაშინო. ჰე, გახსოვს, ჩუმიდ რომ მომეპარებოდი და... ტრაბ, როგორ შემახტუნებდი ზოლმე, შე გიფო, შენა!

კამფეტით ხელში ახლა ხატისკენ მიბრუნდა და შექალაქადა ღვთის შრობელს:

— დედაო მარიამ, ჩემს დავითს ყველაფერში ხელი მოუმართე, ააშორე განსაცდელი, ასე ტკბილად გამატარებინე ეს ახალი წელიწადიც, — და კამფეტი პირში ჩაიდო. შემდეგ ტუჩების ცმაცუნით ლოცვა განაგრძო...

ღვთისმშობელთან სათქმელი რომ მოათავა, მისი გონება ისევ ქმრისეულმა იარაღებმა მოიტაცეს. სამხედრო წრეებში აღზრდილი, ხშირად ყზარმებში ნაცხოვრები, თოფ-იარაღის მოტრფიალე ვერ ურიგდებოდა იმ მდგომარეობას, რომ ახალი წელი ისე დადგა, თოფის ერთი დაქუხება არ სმენია. „ჩიტი ზომ არა ვარ, რომ ძილში გამითენდეს ახალი წელიწადი“, ფიქრობდა იგი და ჰგმობდა სიბერეს, სიძაბუნეს.

ბაბალემ სროლა კარგი იცოდა. მის ქმარს ოფიცერთა შორის თავი მოჰქონდა: „ბაბალე ნემსის ყუნწში აძვრენს ტყვიასო“.

მას სროლა ეწადა. ეს სურვილი ისეთი ძლიერი აღმოჩნდა რომ კედელზე დამბაჩები შეტოკდნენ, რაც ბაბალემ საკუთარი თვალებით დაინახა. გონებაშიც აღებუქდა ეს. ამ ამბავს ერთი უბრალო შემთხვევაც დაემატა. უცებ აეტომობილების კოლონამ ჩაიარა და მთელი სახლი ისე შეაზრიალა, ბაბალეს ოთახი ნავივით აქანავდა. კედლიდან ალექსანდრეს სწორედ ის დამბაჩა ჩამოვარდა, რომელიც მას მთავარსარდალმა უსახსოვრა. ბაბალე შიშმა შეიპყრო. აქანკალებული ხელით დასწვდა დამბაჩას, მაგრამ ცივმა ლითონმა შეაფრეოლა და იქვე ქმრის ლოგინზე ჩამოჯდა. ეს ლოგინი გაწყობილი და მოვლილი იყო, ბაბალე მას ყოველ დღით თავის საწოლთან ერთად ალაგებდა და რთავდა. ახლა უნდოდა „იგი წაწოლილიყო, რომ თავისი შეციებული ძვლები გაეთბო. იქ კიდევ ეგულებოდა ქმრის სითბო და ალერსი.“

დავითი შინ ნაშუადამევს მოვიდა. ბაბალე ქმრის ლოგინზე ფეხმორთხმული იჯდა. დავითმა გაიღიმა, დედას ლოყაზე აკოცა და ახალი წელიწადი მიულოცა. მაშინვე მიუჯდა გაშლილ სუფრას. დედა გაახარა შვილის მადამ.

იგი ვაქაცურად სკამდა. მსხვილი ლუკმებისაგან ლოყები ებერებოდა. სკამდა ჩქარა, თითქოს შიშობს — არაფერს დამასწროსო. შემდეგ კონიაკი დაისხა, ტბილად დალოცა დედა და თან უსაყვედურა:

— რას დაღერემილნარ, ქვეყნის ვარამი შენ ზომ არ გმწყნარებო? შემდეგ მარდად წამოდგა. ხალათი და პერანგი ერთად გავიხადე. „უკვე აღარა მტყვიან“, ჩაილაპარაკა და შეხვეული მკლავიც გაიხსნა. ნატყვიარი ორ ადგილას წითლად შეხორცებულყო. მხიარულმა ისევ ჩაიცვა ხალათი, რომელზეც „წითელი ვარსკვლავის“ ორდენი უბრწყინავდა.

— ხელ ან ზეგ ნაწილში გამოეცხადებო, — სთქვა დავითმა და თავის ოთახში გავიდა.

დავითის ოთახი მფრინავთა კლუბივით საავიაციო პლაცატებით იყო მორთული. კედელზე თვითმფრინავების მოდელები ისე ქანობდნენ, საცაა გაინავარდებენო.

დავითს მაგრად ჩაეძინა.

ღეღამ დავითის მკლავის შესახვევი, იატაკზე რომ ეგდო, ხელში აიღო. შიშამდგარი თვალებით დააცქერდა თეთრ ნაპერს და შავმა ფიქრმა გული შეუღონა. ძილი გაუქრა და შესახვევით ხელში ისევ ლოგინზე ჩამოვდა.

— ახლა კი დავიღუპე, განსაცდელს ყოველთვის ზომ არ ავაშორებს ბედისწერა. ტყვიამ ფოლადის თვითმფრინავი გახვრიტა, დააზიანა, აღამიანს კი, რაც უნდა ბედი ჰქონდეს, რა ხეირს დააყრის. ბედი მაქვსო, რომ გაიძახის, განა არ იცის, სიკვდილის ცელი ბედნიერსა და უბედურს ერთნაირად მკის. მიწაზე მაინც ედგას ფეხი...

და ბაბალეს თვალწინ გადაეშალა თვითმფრინავის დაზიანების სურათი, შეილის ძუნწი სიტყვებით დახატული. ეს მოხდა როსტოვში, სწორედ ამ ზაფხულს. დავითის დანაყოფი მტრის აეროდრომს უშენდა. გრიალებდნენ გერმანელთა საზენიტო ქვემეხები და ერთმა ბრმა ტყვიამ დავითის თვითმფრინავი ისე დააზიანა, რომ ძლივს გადმოვიდა ფრონტის ხაზზე და ცეცხლში გახვეული მიწაზე დაენარცხა. გასისხლიანებული დავითი პარაშუტით იქვე დაეცა. რამდენიმე კვირა ჰოსპიტალში ტკივილებს ებრძოდა.

ნაშუალამევი იყო, როცა ბაბალეს ჩაეძინა. ნაძვისხე ოთახს მრავალფერად ჰქარგავდა. კედლებზე ნაძვის წიწვებთან ერთად კანკალებდნენ ბაჭიების, მამლების, ჩიტების და ვაშლების ჩრდილები. მათ ხელკომპლიანი თეთრ-წვერა კაცი უთვალთვალებდა. მძინარე ბაბალე ახლა მარჯვენა თვალითა ჰვრებდა ნაძვისხეს. ეს თვალი მას ძილში მუდამ ღია რჩებოდა. თითქოს იგი აერთებდა მძინარეს სინამდვილესთან.

ბაბალემ მარჯვენა თვალიც ღიმილით დახუჭა, თავისთვის რაღაც ჩაიფურჩუნა, შემდეგ კედლისკენ გადაბრუნდა და ალაპარაკდა. ძილში დიდხანს ედავებოდა ვილაცას. სახეზე, ნაოჭებს შორის, ხან ღიმილი გაილეგებდა, ხანაც შიში შეატოკებდა მოხუცს და ლოყები უფითრდებოდა. სიცილისა და უბრალო წამოძახილების შემდეგ ისე იკივლა, თითქოს თავში ჩაკარესო. გამოეღვიძა. შეშფოთებული ფეხმორთხმით ლოგინზე დაჯდა. ოთახში ყველაფერი რიგზე იყო.

მიზნედილი თვალეზი ქმრის სურათს მიმოავლო და თბილად გაუღიმა. რა მრისხანედ გამოეცხადა ძილში იგი. ბაბალე ჯერ კიდევ არ იყო დამშვიდებული. სიცოცხლეში ჩემი ალიოშა უხეში არ ყოფილა, ახლა მკედარი რად გამოიცვალაო. ბაბალემ პირჯვარი გადაიწერა.



ნეტავ რას ნიშნავს, რომ ალექსანდრე პეტრეს-მე გაბრაზებული გამო-  
მეცხადა? დაავლო ამ ოქროს სამკაულებს ხელი და, თითქოს ანტიტანტს  
ტუქსავსო, ისე დაიწყო:

— მე სამშობლოს სიცოცხლე მივეცი და ნუთუ სიცოცხლეს შეირფასია  
ეს ოქრო-ვერცხლი?! რას უნახავ ამას? ხომ ხედავ, ქვეყანა განსაცდელშია.  
მე, როგორც ძველ ჯარისკაცს, მრცხენია, შენ კი ურცხვად ზედ დამჯდარ-  
ხარ ამ სამკაულზე და... ჰე, შევემდარეარ, რომ ცოლსა და მეგობარს გე-  
ძახდი. მე ჩემსავით გულუხვი ჯარისკაცი მეგონე, მაგრამ ძუნწი ყოფილ-  
ხარ. მომეცი, მომეცი ეს ოქრო, მე მას ტყვეებად გადავადნობ და ყაზბეგი-  
დან დავეშენ გერმანელებს.

უცებ ბაგრატიონი გადმოვიდა ჩარჩოდან. იგი აღტაცებული იყო. პოლ-  
კოვნიკ მენტეშაშვილს ხელი ზურგზე დაჰკრა და მხედრულად შეუყვინა:

— ვაჟა, პოლკოვნიკო, მომწონს შენი მამულისშვილობა!

ბაბალემ თავქვეშ ამოდებული მუთაქა გახსნა და ვერცხლის გრძელი  
ყუთი ამოიღო. ამ ყუთის გაღება მას ყოველთვის კარგ გუნებაზე აყენებ-  
და. ამ დილითაც ძვირფასთვლებიანი ოქროს სამკაულები და ოქროსავე  
თუმნიანები ამოიღო და გადათვალა. ბაჯადლო ოქროზე ბრილიანტი კი-  
ფობდა და ბაბალემ შუა თითზე ჩამოიცვა ეს ბეჭედი. ყველაზე უფრო ამ  
სამკაულს ვერ შეეღოდა იგი, რადგან ეს ბეჭედი აერთებდა ყმაწვილ-  
ქალობასთან. აი მარგალიტით მოოჭვილი შვეიცარული საათი, იგი თვეში  
ერთხელ თუ მომართე, განუწყვეტლივ ირაკრავებს და ერთი წუთითაც არ  
გიმტყუნებს.

ოქროს საათი რომ აიღო ხელში, ბაბალეს ცრემლები მოერიდა. მოაგონდა  
ბათუმში, და ოცდასამი წლის წინათ განცდილმა შიშმა ახლა ისევ აიტანა.  
დაუდევარი კაცი იყო ალექსანდრე. რაკი მეფის არმიასი სამსახურს თავი  
დაანება, მენშევიკების ჯარს არ გაჰკარებია. თბილისში სახლი საიმედოდ  
დაჰკეტა და ბათუმში გადასახლდა, ცოლის მამულში. ოჯახმა სიმშვიდე  
ვერც იქ იპოვა. ზარბაზნის ყოველ დაქუხებაზე ბაბალეს გული მისდიოდა.  
ალექსანდრეც ნერვიულობდა, ჯავრობდა, იგინებოდა.

მარტის თოვლქუაბი და ქვემეხების გრიალი ზაფრავდა მიდამოს. ბაბალე  
შიშისაგან ვარეთ არ გამოდიოდა და ქმარსაც არსად უშვებდა. მაგრამ  
სისხამ დილით იარაღში ჩამჯდარი კაცი მოვიდა სახლში და ალექსანდრეს  
ბოზი ხმით უთხრა:

— რევეკოში გიბარებენ... ახლავე უნდა წამობრძანდეთ.

ბაბალემ შეჰკვივლა. ალექსანდრეც აიძვრა, მაგრამ ცოლს მაინც ორიო-  
დე დამამშვიდებელი სიტყვა უთხრა და იმ კაცის განწყობილებით, რომე-  
ლიც ჩამოსახრჩობად მიჰყავთ, გაჰყვა მორბედს. მაგრამ ცოტა ხნის შემ-  
დეგ, როცა ცხენი თქარათქურით შემოიჭრა ეზოში, ბაბალეს გაოცებას  
საზღვარი არა ჰოქნდა. ალექსანდრე მარდად ჩამოხტა ცხენიდან. იგი სულ  
გაახალგაზრდავებული იყო.

— ბაბულია, ჩქარა გამისტუმრე, ყიაზიმ-ბეის დედა უნდა ვუტერო...  
ზარცხანაში მივდივარ! მოიტა ჩემი ხმალი, რეველოვერი, რას გაშვებულ-  
ხარ, გონს მოდი!

— ხომ არ გაგივდი, კაცო?

— გიყვები მაშინ ვიქნებით, თუ ბათუმს ოსმალებს დავეთმობთ. აბა, დატრიალდი.

ყველაფერი ეს ერთ წუთს მოხდა. ალექსანდრე ძველებურად გამოეწყო. ქვაფენილზე ცხენი რომ გააჰყენა, ნალის ნაპერწყლებმა მისი სიძულვილი ნად გაუნათეს.

ალექსანდრემ ოქროს საათიც მაშინ მიიღო რევკომისაგან გვიღოდა.

— ღმერთო ჩემო, რა დაუდევარი კაცი იყო! — ამოიოხრა ბაბაღემ. საათზე კი ცხელი ცრემლი დაეცა. — კმ, დავითი სრულებით არა ჰგავს მამას, ღინჯია ბერაიეთ, კაცი ვერ გაუგებს ვერც სიხარულსა და ვერც სევდას. მეტად გულწაბრობილია. ნეტავ ვის დაემსგავსა?!

ბაბაღე ფრთხილად მივიდა მაგიდასთან გვერდებშემოთელილი და გაყვითლებული „სიზმრის ახსნა“ ამოიღო უჯრიდან, ორი სათვალე ერთად გაიკეთა და შეუდგა კითხვას.

ასეთი სიზმარი ბაბაღეს არასოდეს არ ენახა. იგი „სიზმრის ახსნის“ ფურცელაში უფრო აღელდა, რადგან მასში ვერ ამოიკითხა, თუ რას ნიშნავდა ქმრის ასეთი საქციელი.

დილა იყო. ბაბაღეს მოწაფეები ჩვეულებრივზე ადრე მოვიდნენ. ნოტები მაგიდაზე დაალაგეს. მხიარული ელურტულით გაავსეს ოთახი. ბაბაღე ამ დილით ბავშვებს ძალიან ცივად დაუხვდა. ისევ „სიზმრის ახსნას“ ფურცლავდა და ბავშვებმა ყურადღებას არ აქცევდა. მოიწყინეს მოწაფეებმა. ერთმა, ალბათ, სხვებზე უფრო გამბედავმა, კლავიშებს შეახო ხელი და ბაბაღეს მაშინვე ტყვიასავით გულზე მოხვდა როიალის ელარუნი.

— დღეს გაკვეთილებს ვერ მოგცემთ. ცუდად ვარ, მშვიდობით.

დაღონებული ბავშვები თითოთითოდ გაიკრიფნენ ოთახიდან.

ოთახს ისევ სიჩუმე და სიცილიერე რომ დაეუფლა, ბაბაღეს გული ეტკინა და „სიზმრის ახსნა“ იატაკზე დაანარცხა.

— არაფერიც არ სწერია, სულ სისულელეა...

ბაბაღეს შუა თითზე ყმაწვილ ქალობის ბეჭედი უბრწყინავდა და დაკბაროდა მას. საათიც მაგიდაზე დასდო, ხოლო დანარჩენი სამკაულები ზაფერდის ქისაში ჩაჰყარა და შევილი გააღვიძა.

— შეილო, შენ ხომ თვითმფრინავი დაგეწვია, აჰა ქისა, წაიღე, შევიძინოთ. მხოლოდ მამაშენი არ დაგავიწყდეს. მისი სახელი მიაწერე, არ გიღალატებს.

## პ ე ს უ ხ ი

ალარ მინდოდა ამის გამხელა,  
ან სხვას გაეგო უგვანო რჩევა,  
ხშირად შემთხვევა ავალახილული  
გამოუთქმელად გულშივე რჩება.

მაგრამ შენ არ ხარ ღირსი დაფარვის,  
შენ არ ხარ ღირსი — გულით გატარო.  
მე მინდა ჯილდოდ შენი რჩევისა  
ეს სტრიქონები გამოგატანო.

მწყევლე, მაგინე, არ შევწუხდები,  
ალარ შემბყრობს დარდი და გლოვა.  
გაიელის დღენი — შენ გახუნდები,  
ჩემთან ლამაზი ასული მოვა.

მოვა და მეტყვის: „მიყვარხარ, გეტრფი,  
ვინ გაგიბედა, მგოსანო, გმობა,  
დე, შეეღიოს ლექსის ნატერფალა  
ჩემი ცქრიალა აბალგაზრდობა“.

და შენ კი თუნდაც ცრემლად ჩამოდნე,  
არ შევწუხდები, არ დაეღონდები,  
თუნდაც შხამში და ვარამში თრთოდე,  
ერთხელაც ალარ მომაგონდები.

მე ვწუხვარ, დღემდე რად არ გიცანი,  
გული და გრძნობა რად გიზარე,  
იარე მარტო, როგორც ციცარი,  
იარე მარტო, მარტო იარე.

იარე მარტო, ნურც გაგიხნდება,  
შენი უგვანო აზრის მთმობელი,  
ცხოვრების გზაზე დასახიჩრდება  
პოეზიის და მგოსნის მგმობელი.

## სიყვარული

ნიჰაბუკის თანამგზავრო,  
რად დამტოვე ნაწამები?  
გახსოვს, მერცხლის ფრთებს ვამსგავსე  
შენი შავი წამწამები!

სანეტარო იყო დრო და  
ალტაცებით ფეთქდა გული,  
შეგეხაროდა ყვეაილებიც  
დილის ცვარით დანამული.

რა გშვენოდა ხუკუკ თმებში  
ჩაბნეული იაგუნდი!  
გამახაროს სიყვარულმა, —  
მოდი, ისევე დამიბრუნდი!

ჟამთა სრბოლამ ვერ ჩამიჭრო,  
მაინც ბორგავს რაღაც სულში,  
დაკარგული დიდი გრძნობა  
ყოფილიყოს თითქოს გუშინ.

დაკარგული სიყვარული  
სეედის მორევს დააგუბებს;  
ვერაფერი გაამრთელებს,  
გულგაბზარულ სიჰაბუკეს.

ო, რამდენი მეოცნების  
მზე ჩაქრა და დაიჩრდილა!  
უთვისტომოდ, უმეგობროდ  
მისგან ბეერი დარჩენილა.

რა ყოფილა, სად მიილტვის,  
ან და ქვეყნად რა ეცხვას აჩენს?  
აგაძალღებს, დაგადაბლებს,  
არც მოგკლავს და არც დაგარჩენს!

## ისევ მისადმი

არ იქნებოდა რუსთველზე, რომ სული არ მიმბნიდვოდა...  
 რამდენიც კარგი შემომხვდა, სუყველა ჩემთვის მინდოდა.  
 გულზე აღმური დამკრავდა, სულს ცეცხლი შემენთებოდა,  
 სუყველა ჩემთვის მინდოდა, სხვისთვის არ მემეტებოდა.  
 ზოგს გაღიმება შეენოდა, ზოგს — გამოხედვა დამწველი,  
 ზოგს — წარბი კალძით ნაწერი და შეფაკლული დაწვები.  
 ზოგს წამწამების მარაო, ზოგს — შუბლი მეფე-თამარის...  
 ზოგს — მზერა შერჩა მარტოღენ, ზოგს ლექსიც წაჰყვა ფრთამალი.

... შენ არც რუსთველზე შემომხვდი და არც ოპერის ლოცვაში,  
 ჩვენ ერთმანეთი ვიხილეთ ფრონტზე, მტრის გარემოცვაში,  
 მე ვიწიქე, სისხლში ვცურავდი და — გავცქეროდი კრასნოდარს,  
 შენ თავს წამადექ ფერმკრთალი — ნეტავ ფერი რად წავსვლოდა?  
 შუბლს დამაყარე ქერა თმა, როგორც სამყურის ბულული,  
 ცეცხლს განმარიდე — სხვა ცეცხლით დამტოვე გულდაბურული...  
 შემდეგ კვლავ, როგორც ზმანება, როგორც ოცნების ალერსი,  
 ანგელოსივით მოფრინდი ჰოსპიტლის იმ თეთრ მხარეში...  
 ყრმას, ნაომარს და ნატყვიარს შენ გამიყუჩე იარა...  
 ო, იმ თეთრ ღღეთა ფურცლებმა, რა უცებ ჩაიშრიალა.  
 ახლა კვლავ დავალ რუსთველზე — მაგრამ დავდივარ ჩრდილივით,  
 მინთია ლექსის სანთლები, დამჩემდა შენზედ ჩივილი.  
 არ მათრობს ნატიფ ფეხებზე ძვირფას კაბების შრიალი,  
 დავდივარ თავჩაქინდრული, დავდივარ კაეშნიანი...  
 რად მინდა... გულს ვერ სწვდებიან დივილს ცისარტყელები!..  
 შენ გეძებ გულის ცახცახით, შენ ვიხმობ გაშლილ ხელებით.

# ცხრა მაისი

რომანი

თავი პირველი

ელნათურებით განათებულ დარბაზში, სუფრა ორ მწკრივად იყო გაშლილი. მაგიდის ბოლოში თამადა ფეხზე იდგა. ცალ ხელში ღვინით სავსე ყაწვი ეჭირა, მეორე ხელით შეშალარავებულ გრძელ უღვაშებს ისწორებდა.

ზურა ტუში შეწყდა.

თამადამ თვალები მიაპყრო ნეფე-დედოფალს, სუფრის თავში თავდაბრილნი, მორცხვი ღიმილით რომ ისხდნენ.

ოთახის ყველა ფანჯარა მთაწმინდის ღამის ნიავისათვის ღია იყო, მაგრამ ოთახში მაინც ღვინისა და ყვავილების სუნით გაჟღენთილი ბული იდგა. ჭამრამდე წვერებმომშვებულ მოხუცებსაც კი შეეხსნათ საკინძეები და ფართო ფერადი ხელსახოცებით ხშირად იწმენდნენ შუბლზე ჩამოღვრილ ოფლს.

ყმაწვილი ქალები კი, როგორც ყაყაჩოები, ყვავილებში ჩაფლულ მაგიდებს შორის კისკასით ირბეოდნენ მარაოებთან ერთად.

თენდებოდა.

ეზოში, დაბალი აღუბლების ქვეშ, ნაკვერჩხლებაპრიალებულ მაყლებზე მწვადები შიშხინებდა. ეს შიშხინი, სახლიდან მხიარული ქვივლ-ხვივლი, ქალწულების კისკასი, ვაჟაკების გულმართალი სიცილი, სადღეგრძელოები, ზურნის ტუში და „ვაშას“ და „გორკოს“ შეძახილები ამ გათენებას ერთ ვეებერთელა სიმფონიალ აქცევდნენ.

საწოლ ოთახშიც გაუნელებლივ ენთო სინათლე. ნეფის დედა ელისაბედი და პატარძლის ბიძაშვილი ახალგაზრდა თეო, ოთახს აწყობდნენ ნეფე-დედოფლისათვის, — დედაბერი საბნის საღაფის ღილებზე ჰკინძავდა ზეწარს, თეო კი, კედლის მაღალ სარკესთან სურებში ყვავილებს ასწორებდა.

— თუა რამე ქორწინებაზე უფრო დიდი დღესასწაული და ბედნიერება, დეიდა ელისაბედი?

— თვითონ ცხოვრება, შვილო!

— როგორ, დეიდა, ცხოვრებაში აღამაანს რამდენი უსიამოვნება ხვდება, ვაჭირება, ავადმყოფობა, ათასი იმედების გატრუება...

— საქმეც მაგაშია, ხელსუფლება იმაზე უნდა ზრუნავდეს, რომ მაიცხოვრებელს ააცილოს ეს უბედურებები, როგორც ჩვენი მთავრობა ცდილობს, და ნახავ, რომ ცხოვრება მთლიანად ქორწილი იქნება... შენ რომ გცოდნოდა ძველი ცხოვრება, შენთვის უფრო ნათელი იქნებოდა თუ რა ბედნიერი ხარ დღეს!

მოხუცმა ლოგინი გაასწორა და საწოლის წინ ხალიჩის სწორებას შეუდგა. თუმცა სურვიდან ნაბევრად გაუფურჩინავი წითელი ვარდის ანოაძრო, ქინძისთავით მიიმჯგრა მკერდზე და სარკეში კეკლუცობა დაიწყო.

ელისაბედმა თვალი მოჰკრა მას და ღიმილით უთხრა: — თქვენ რაღას უცდით, შენი პოეტი არა ჩქარობს?

— იმ კვირას ჩვენც ვიქორწინებთ, ასე შევთანხმდით ამირანთან და მზისთან. არ უთქვამთ თქვენთვის? — მორცხვად შეეკითხა თეო.

— ხო, შვილო, ქორწინება დიდი ბედნიერების დასაწყისია, უოჯახოდ არ არსებობს ქვეყნის ბედნიერება. ქვეყანამ კი, მაღლობა ღმერთს, საჭირო მშვიდობა და წესრიგი მოგანიჭათ. იყავით ბედნიერები!

კედლის საათმა ოთხჯერ დარეკა. შორიდან მოისმა ქალაქის საბჭოს საათის ზარისხმაც.

ზარის ზღუნნი ჯერ კიდევ არ იყო მიწყნარებული, რომ, თითქოს ოთახში ვიღაც შემოიჭრაო, რადიორეპროდუქტორი მძლავრად ახმაურდა:

— „ისმინეთ, ისმინეთ“...

ელისაბედი და თეო გაქვავდნენ.

თითქოს მექორწინებამაც გაგონესო, შეწყდა ძრიამული და მუსიკა.

ელისაბედი საწოლთან ხალიჩაზე ჩაიკეცა.

— ღმერთო, ისენ ქვეყანა უბედურებისაგან! — ფერმიხდილმა პირჯვარი გადიწერა.

გაფიქრებული თეო გავარდა ოთახიდან, ქარივით გაირბინა აივანი და სადღეგრძელოს წარმოსათქმელად გამზადებულ თამადასთან მიიბრინა. სწვდა ხელში, რომლითაც ღვინით სავსე ყანწი ეჭირა, შეარზია, თითქოს მძინარეს აღვიძებსო, ღვინო მკერდზე შეაშხვდა და, თითქოს საიდუმლოდ ყურში რაღაც უნდა წასურჩილოსო, სახე თავისკენ მიიწია და შესძახა:

— ძია ვარლამ, მოლოტოვმა, თვითონ მოლოტოვმა გამოაცხადა, მე და დეიდა ელისაბედმა მოვისმინეთ, ვერმანია ვერაგულად თავს დაგვესხა, სულ რამდენიმე წუთია რაც შემოტევა დაუწვია და ბომბავს ჩვენს ქალაქებს!..

თითქოს მოწყენილ ცაზე იელვავო, წამში ყველა გამოფხიზლდა, ყველას სახე მიაჩერდა კედელზე ბელადის სურათს, დინჯი ღიმილით სუფრას რომ დასცქეროდა.

თამადამ წარბები შეჰკრა, შეშფოთებით გადახედა თავის ქალიშვილს — ბატარძალს, ფერმკრთალი, ელდაააკრავივით რომ მისჩერებოდა მამას, მაგრამ ეს ნერვიულობა მხოლოდ წუთიერი იყო. მის ფართო და კეთილ სახეზე ისევ სიმშვიდემ დაისადგურა და ისეთივე მზიარული ხმით, როგორც მანამდე, სიტყვა განაგრძო:

— ამხანაგებო, მეგობრებო, მე ესეამ მორიგ სადღეგრძელოს, ჩვენი მისწავლებლის, მამის, ბელადის სადღეგრძელოს. მან გზამართალზე გამოგვიყვანა, გაგვიღო ბედნიერი და საამური ცხოვრების კარები, და, რა ვუყოთ, რომ ვიღაცა ბორბიტი ახლა ფეხს გვიდებს, ბელადმა ისიც გვასწავლა თუ როგორ გავიკაფოთ ეს გზა... დღეგრძელი იყოს დიდი სტალინი!

— სტალინისათვის!

— სამშობლოსათვის!







მზიამ თავი ველარ შეიკავა, მოურიდებლად ორივე მკლავით ჩამოეციდა კისერზე, მაგრად ჩაეკრა ვაჟაკის მკერდს თავისი სახსე გულში და კოცნა დაუწყო.

— აღრე დაბრუნდები თუ გვიან, სულერთია, მე შენგან ველოდები და გელოდები, — წარბოსთქვა ხმამალა, ყველას გასაგონად, თითქოს ფიცს დებდა, უნებურად წამომსკდარი ცრემლები შეიმშრალა და განაგრძო: — არა, კი არ გელოდები, მივიღებ თუ არა ექიმის წოდებას, შენთან წამოვალ, სადაც არ უნდა იყო — შენთან ერთად...

— ო, მანამდე მტერს კისერს მოვუტარებთ, შეილო, — ღიმილით შენიშნა ვარლამმა და მიუბრუნდა კომისარიატიდან გამოშავალ ვასილს, — რა დავგემართა ბიჭო, რამ წაგახდინა, გაბზნევილი!

— თეოც შემეფოთებულო ეცა დაღონებულ ვასილს.

— რა მოგივიდა, ვასო, რამ დაგაღონა?

— რა და, ჯერ შენი კატეგორიის ხალხი არ არის საჭირო ფრონტზეო! ძია ვარლამ, კომისარს ხომ იცნობ, თუ ხათრი გაქვს, პქენა სიკეთე, ამომყვეი მასთან და ამირანთან ერთად გაამწყსებინე ჩემი თავიც!

— რას სულელობ, თუ ასე ფიქრობენ, ესეც უნდა მოხდეს!

— ნუ ჩქარობ, ვასო, იქ შეხვედრას მოვესწრებით, — შენიშნა ამირანმა.

— არა, მარტოს არ ვაგიშვებ!

— მარტოს?! აბა შეხედე, ვერ იცანი? ჩვენი უბნის ბიჭები, ჩვენი სკოლის ამხანაგები, ყველანი აქ არ არიან?!

გამოთხოვებისას ამირანმა კედევ მიმართა მზიას.

— მზია, დედაჩემი შენთვის მომინდვია!

— მე, ჩვენ ყველანი თქვენსა გადავალთ, ჩვენი დარდი არა გქონდეს...

მზიამ მზიარულად შეხვდა ამირანს და ეს მის თვალბში აცისარტყელეზული მზიარულება ამირანის გულში ურყევ ერთგულებად აღიბეჭდა. — ოღონდ, შენ იცი, ამირან, როგორ გვასახელებ, როგორ მასახელებ. ნახვამდის!



ვეაკუირებულთა უკანასკნელმა ფორანმაც ჩაიარა, უზარმაზარმა უკრაონულმა ფორანმა, რომელშიც სპილოსოდენა თეთრი ხარები ება აღლიანი რქებით.

— ცოპე, ცოპე! — მიერეგებოდა მათ კოფოზე წამომჯდარი ტანსაცხე დედაკაცი, პრელხილაბანდს ქვევიდან ვადარა თმები რომ ჩამოჰფანტოდა. ურემი სახსე იყო ქალებითა და ბავშვებით და საოჯახო ნიუთებით.

— ბიჭებო, იხსენით სამშობლო! — გაღმოსძაბა ურმიდან შთამავგონებლად დედური ბრძანებით დასავლეთისაკენ მიშავალ ქვეითთა ასეულს, რომელთა შორის ამირანიც მხნედ მიაბიჯებდა, და შოლტის ტყლამუნთან ერთად ისე გაისმა: — ცოპე, ცოპე!

მიწამდრჩამოწოლილ, წვიმადქცეულ ღრუბლებს ქვეშ დარჩა უკრაინის ტიალი მინდვრები, ალაგ აულაგებელი, წვიმიით დამბალი პურისა და ბზის ზვინებით. ისმოდა მხოლოდ ჩექმების ტყლამუნი.

— „იხსენით სამშობლო!“ — ისარივით ჩაეჭლო თავში ამირანს. — „იხსენით ბავშვები, დედები, ქალიშვილები, დოვლათი“!..

— ო, რა პური იღუპება!—ჩაილაპარაკა კრასნოდარელმა მეტყველმა მიშა განინმა.

სხვა დროს ამირანს ასეთი ამინდი და ასეთი მიღამო შელანქოლიაში ჩაეგდებდა. მისი მაღალი სული მუდამ ნათელისა და მხივრელობის სურნელი იყო შემოჭმედებისათვის, დღეს კი, მესამე დღეა რაც უნეში, მთავრე ჩექმებით ტყეპანის წებოვან ტალახს და გადმობირჭვავებული ცა აწვიმს და აწვიმს.

„ბედმა ჩემი მზიას ღირსი არ გამზადა რაინდული ხარკის გადუხდელად... ომგადაზდილი, გამარჯვებული რომ დავებრუნდები, მზია ქალღმერთივით უნდა გამოვაჭანდაკო რაიმე დიადის სიმბოლოდ. მოდიმარი, ამაყად თავაწეული, სიყვარულის სუნთქვით მკერდი მაღლა რომ აქვს აზიდული... ამაყად თავაწეული“ — გაიმეორა ფიქრში და პარალელურად გარბენილ მოგონებაზე ჩაეცინა.

დიდიხნის წინათ, სამხატვრო აკადემიაში სწავლისას, თავისი კლასის პროფესორთან „ბრძოლა“ მოუხდა, ისევ იმ „მემკვიდრის“ ირგვლივ—მუშის ფიქრიანი სახე ღუმელისაყენ იყო მიქცეული. პროფესორმა სველი თახა მაღლა ასწია, გაუსწორა: „გამარჯვებული პროლეტარი მაყურებელს ყოველთვის პათოსში უნდა მისცეო“. ამირანს კი ყოველგვარი სიყალბე და ტყუილი ეზიზღებოდა.

— „ბატონო, როდესაც მეშა ღუმელთან დგას და თავზეც გაქვარტლული ჭერი ახლრავს, პათოსში ტუტუტური პოზა გამოდის, თუ საპარადო ექსტაზშია გადმოსაცემი, ეგრეთწოდებულ რომანტიულობით, ოცნებით მზეს რომ შესცქერის, ყოველ შემთხვევაში ღუმელთან არ ვარგა. მაშინ სხვა გარემოებაა საჭირო“... ქანდაკების კისრის შესწორებით აღელვებულმა ამირანმა, მთელი თვის ნამუშევარს წიხლი ჰკრა და მიამსხვრია. მას შემდეგ სასწავლებელში დიდხანს აღარც იარა. „მზიას ქანდაკება კი, ო, გამარჯვების შემდეგ მზეს რომ უსწორებს თვალებს... თვალებს... რა ძნელია სიცოცხლით სავსე ცისფერი უსაზღვრო თვალების ქანდაკებაში გადმოცემა, თვალების, სიყვარულით რომ არის ზღვასავით ჩაღრმავებული“...

— ბარაქალა, ძმარ ამირან, ასე ერთნაირი ენერჯით რომ მიიბიჯებ, შენითა ვარ განცდიფრებული! — შეუწყვიტა ფიქრი მის გვერდით მიმავალმა მებრძოლმა ვანო მათეშვილმა, ყოფილმა ინჟინერმა.

— დაილაღე, ვანო?

— დაეიქანცე!

— ცუდ ფიქრებში ყოფილხარ გართული!

— ცუდ ფიქრებში კი არა. ამ ჩექმებმა ფეხები დამაწყვიტეს.

— შეეჩვეე მაგ ჩექმებსაც, — ჩაიციანა მებრძოლმა მინსკიმ. შეძლებულმა კოლმეურნემ, შვიდი ვაყიშვილით რომ ამაყობდა მუდამ. — აი, ჩვენ კოლმეურნეობაში ამ ჩექმებს შეჩვეული ვართ. ტყეში, მინდორში. ჩემს შვიდივეს ამთავითვე შეეუყერე ჩექმები...

— მამაცხონებულო, შენა გგონია მე მხოლოდ ლაკის ტუფლებით ვსეირნობდი რუსთაველის პროსპექტზე?! — გაჯავრდა ისედაც გამწარებული ვანო. — მე მშენებელი ინჟინერი ვარ, მამასადამე, მიხდებოდა სიარული ნავთლულში, ვაკეზე, ღრმაღელში, ქალაქგარეთ, მაგრამ ამათ ქუსლები მაღად გადამიყვალაფესი..

— გამოდის, ფრიაღზე ვერ შეგისწავლია სახვევების ხმარება!  
 — ეჰ, ამბობ შენც, — ამოიხრა. — ერთი იმ სოფელშიც ვერ ჩავალ-  
 წიეთ, რომ...

— იმ სოფლამდე სამი დღის საფალი გვაქვს კიდევ, ~~მანქანის~~ — გაი-  
 ხუმრა წინა მწყრიდან ათმეთურმა, ფინელებთან ომის დროს სერჯანტით  
 დაჯილდოებულმა, პოლკის მედროშემ სერჯანტმა ივანე ლიტოცხენკომ.

— შეეხამეთ! — გაისმა ასეულის მეთაურის ბრძანება და მთელი ასეული  
 თვალის დახამხამებაში გაწვა სველ მინდორზე.

გზის მარცხნივ დასავლეთის ჰორიზონტს ბორცვები სერავდა. ბორცვზე  
 გამოჩნდა ჩამდენიმე გერმანელი ცხენოსანი.

შებრძოლები სულგაკმედილნი დაელოდნენ მეთაურის შემდგომ ბრძა-  
 ნებას.

ბორცვის გადაღმიდან მხედრებს ემატებოდათ ცხენოსნები.  
 მოწინავე მხედარმა ცხენი შეაჩერა, მკერდზე თასმით ჩამოკიდებული  
 ბინოკლი აიღო და შორს მინდვრებს დაუწყო თვლიერება.

ამირანი, ფიქრებიდან ნახევრად გამოკვეთული, შეუღდა ამ მხედრის მი-  
 ზანში ამოღებას.

მარცხენა იდაყვი შეიმაგრა, შაშხანის ლულა მაღალ ბელტზე შეაყენა,  
 დღგლუგი მკერდზე მიიღო და ჩახმხს გამოჰკრა.

შაშხანამ იჭკქა.

გერმანელმა ბინოკლი მაღლა აისროლა, თითქოს უკან უნდოდა მისი გა-  
 დადება, მერე თავით პირქვე დაემხო ცხენის მოღერებულ კისერს, ცხენი  
 ყალყზე აიშართა.

სხვა მხედრებმა ცხენები სწრაფად შეატრიალეს და გაქუსლეს.

მოწინავეს ცხენმაც ისკუბა. მხედარი გადმოვარდა და ერთხანს ცალი ფე-  
 ხით უზანგზე ეკიდა. ცხენი კვლავ აიშართა ყალყზე, გაითავისუფლა თავი  
 მხედრისაგან და გამოუღდა გაქცეულებს.

განგმირული გერმანელი ერთ-ორჯერ გადატრიალდა მიწაზე და პირაღ-  
 მა გაიშხლართა უმოძრაოდ.

ამირანი საბტად დარჩა.

პირზე ღიმილმა გადაურბინა. მიზანში მოარტყა. მაგრამ სახეზე მალე  
 ისევ ფერი ეცვალა.

— „მოგჯალი, კაცი მოგჯალი!“

ელდა ეცა. მაგრამ ეს ელდა არ იყო ღრმა და საშინელი. ნუგეში მიეცა:  
 ეს მკვლელობა არა ჰგავდა სხვა ღროს წარმოდგენაში განცდილ მკვლე-  
 ლობის საშინელებას. კაცი, რომელსაც ქათამი არ დაეკლა და ჰიანჰველა  
 არ გაეპყლიტა, როგორ შეჰბედავდა აზრიანი სიცოცხლის მოსპობას?! ახ-  
 ლა კი, ის გერმანელი ტირში ჩამოკიდებულ საქანელა მიზნად წარმოიდგი-  
 ნა, მიზნად, რომელსაც ყოველთვის ნიშნად ამოღება უნდა, თორემ თვი-  
 თონ მოგსპობს დაუნდობლად...

— ეინ ისროლა?! — მკვახედ იკითხა მეთაურმა.

ამირანი გონს მოვიდა.

— მე, ამხანაგო მეთაურო!

— დიდებულძე, თქვენ დისციპლინა დაარღვიეთ! — მკაცრად წარმოს-  
 იჭკა ასმეთაურმა და სახელოთი მკერდთან მაზარის ტალახის წმენდას  
 შეუღდა.

— გამოყვეით!

ამირანი გაჰყვა მეთაურს მოკლულისაყენ. შათ თან აეღვენენ ბოლიტბელი და ოცმეთაურები.

— ესენი ცხენოსანი მზერაეები იყვნენ, კარგად ღრმად მარჯვენაში — ამბობდა მეთაური. — რომ არ გესროლა, იქნებ ცოცხლად შეგვეპყრა მთელი რაზმი. რა „ენა“ გვეყოლებოდა!! მაგრამ არა, ისინი ცხენებზე იყვნენ... ეს ბორცვებიც... სულერთია, დაგვიძვრებოდნენ ხელიდან, რა წამს შეგენიშნავდნენ. ჩვენ კი ღერ გამოვეყიდებოდით. ახლა ვნახოთ, დიდებულიძე, რა მხეცი მოჰქალი!

ქერათმინი ახალგაზრდა გერმანელი გრძლად გამოტილიყო. თითქოს დასძინებოდა. სისხლს ოდნავ დაეცვარა მკერდი, სადაც რამდენიმე რკინის ჯვარი ეკიდა.

ამირანს ეძნელა მკვდართან მიახლოება. ის გარდაცვლილ მამასაც ვერ მიეკარა გამოსამშვიდობებლად. მაშინაც უცნაური გრძნობა აწყალებდა. ეს გრძნობა შიში არ იყო, არც თუ ზიზღი. ხომ უყვარდა მამა! მაგრამ ამირანს არ შეეძლო კუბოსაც კი მიჰკარებოდა. ახლა კი აქ, სიკვდილის თარეშში ჩაბმულს, უნდა დაეძლია ეს უცნაური გრძნობა „მკვდრისადმი სიძულვილისა“, და იმ ფიქრით, რომ „ვიღაცამ შორიდან სროლით მოჰკლა“, იგი გერმანელს დასწვდა, ყელთან შებნეული წამოსასხამი შეუხსნა და ნიშნება გამოაჩინა.

— ობერ-ლეიტენანტი! — სიამაყით წარმოსთქვა ასმეთაურმა, — ტყვია კი შიგ ულში ჩაგისვია, ყოჩად, სნაიპერული საჭმეა. განაიარადე!

მეთაურმა პარაბელუმში აათვალღერა და ტარზე წარწერიანი ვერცხლის ფირფიტა რომ შენიშნა, წაკითხვას შეუდგა.

— ნეტა ვინ წაიკითხავს?

ამირანმა რევოლვერი ჩამოართვა.

— „ესეგელთა დივიზიას მეთაური უბოძებს ამ იარაღს ლეიტენანტ ფონ კეტლერს დაზვერვის შესანიშნავად ჩატარებისათვის 1940 წელს“.

— თქვენ გერმანული იცით?

— ესწავლობდი ბავშვობიდან. მიყვარდა.

— გიყვარდა?!!

— გერმანულ ენაზე მდიდარი ლიტერატურა მოიძებნება ზელოვნების, ისტორიის, ფილოსოფიის დარგებიდან, — მექანიკურად პასუხობდა უცნაურ ბურანში მყოფი ამირანი.

— ჰო, გასაგებია. ინტელიგენტი... მაგრამ მაინც ყოჩად, ამათთან ბრძოლაში შენ ოქროს მარჯვენა იქნები. ნადავლი შენია, დიდებულიძე!

— ოპ! — ზიზღით შესძაბა უკვე გონზემოსულმა ამირანმა. — მე მაგათი არა მინდა რა. მე ჩემი მშობლიური შაშხანით ვიბრძოლებ!

მეთაურმა მხრები აიჩეჩა. არ იცოდა, შეექო ამირანის სურვილი თუ დაეგმო.

— ამხანაგო დიდებულიძე, ავტომატი მე დამითმე — სთხოვა ოცმეთაურმა.

— ინებეთ.

— მე კი, — სთქვა ასმეთაურმა და ბუდიდან ამოიღო მშვენიერად შენახული ნაგანი, — ამ შემთხვევის აღსანიშნავად გიბოძებ ამას, ხოლო შენ სახსოვრად დამითმობ ამ პარაბელუმს. ახლა გაუჩხრიკე ჩანთა!

მოკლულს ჩანთაში აღმოაჩნდა წითელი და ლურჯი ფანჯრით დასერილი რუკა, ფოტოსურათი ახალგაზრდა გერმანული ტიპის სახესაცხე ქალისა, სახსოვრად რომ უგზავნიდა 1941 წლის ივნისში ვინმე „ფუფქუქუ და სახლში გასაგზავნად დაწერილი ღია ბარათი, რომლითაც ალექსანდრე კოტეხიძე ნებდა, ხვალ შევალთ ნ—ქალაქში, სადაც დავყოფთ ორიოდ კვირას და იქიდან გამოგვიგზავნი მდიდარი საჩუქრებით სავსე ამხანაოსო.

რუკაზე ამკარად ჩანდა, თუ როგორ მოემართებოდნენ დაკლავნილი ფერადი ისრები ამ სოფლით ნ—ქალაქისკენ, ხოლო ისართა რკალებში მოთავსებული ციფრების მნიშვნელობა შტაბში უნდა ამოეხსნათ.

— ეს რუკა დიდებულ ცნობებს შეიცავს. ფრონტის შტაბი დიდად დააფასებს ამ შენაძენს, — მიმართა პოლკის მეთაურმა, მხნე, ჭალარა პოლკოვნიკმა ასეულის მეთაურს, როდესაც გამოდიოდნენ ქოზიდან, სადაც შტაბი იყო მოთავსებული. — ახლა კი განალაგე შენი ასეული, მოისვენონ და დანაყრდნენ. მანამ თქვენ განგიკუთვნებთ საბრძოლო უბანს.

ასმეთაური გადმოდგა აივნის მოაჯირზე განკარგულების გასაცემად.

— მოითმინე, — შეაჩერა პოლკოვნიკმა. — დაუძახეთ მებრძოლ დიდებულებს!

ამირანი პოლკოვნიკს გამოეკიმა.

პოლკოვნიკი ერთხანს დააცქერდა ამირანს და სახეზე ღიმილმორევით მიმართა:

— თქვენ დისციპლინის დარღვევისათვის უნდა დაგსაჯოთ... დივიზიის მეთაურმა არ დაივიწყა თქვენი საგმირო საქმე და დაგაჯილდოვით წითელი ვარსკვლავის ორდენით.

პოლკოვნიკმა ამირანს შეახსენებინა მაზარა და თავისი ხელით გულზე დააბნია ორდენი.

— ახლა შეისვენეთ!

ამირანი, სერჯანტი, განიბი, მინსკი და მათეშვილი თავისი ათეულის სხვა მებრძოლებთან ერთად მიადგნენ იქვე, სოფლის მოედანთან, მდგარ ქოხს.

კარებში მათ შემოეგება ჭალარა კოლმეურნე.

— მობრძანდით, ყმაწვილებო, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! მე ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი გახლავართ, მიკოლა ბონდარენკო, ეს კი ჩემი ქალიშვილია, ჩვენი სკოლის მასწავლებელი მარია, — მიუთითა ცისფრად მოსირმულ უბრალო შავ კაბაში გამოწყობილ ქალიშვილზე, რომელიც სტუმრებს მასპინძლური ღიმილით ათვალეირებდა.

— ამ ჩექმებით იატაკს დაგისვრით, — თითქოს მოიბოდიშა სერჯანტმა და შეაბიჯა ქოხში.

— ეგ რა ბედენაა, მაგ ჩექმებს მშობლიური მიწა აქვს მოყოლილი, ნუ მომერიდებით, მოეწყეთ როგორც საკუთარ სახლში. მარია! ბიჭებს ცხელი შიი და ვარენიკები მოართვი!

— ახლავე, მამა! — დაფაცურდა გოგონა.

— გეშიღბათ!

— ო, ძალიან ბევრი ვიარეთ, ცხელი საქმელი ახლა ცხონებაა! — ნერწყვის ყლავით წარმოსთქვა განიბმა, რომელსაც შტაბთან მეთაურის ლოდინში ჩანთის თავი უკვე მოეხსნა, ხორცის კონსერვი ამოვლო და გასახსნელად გაემზადებინა. — ცხელ საქმელს ახლა არც ისე ხშირად ვიახლებით ხოლმე!

— სამაგიეროდ ცხელი ამბები აღარ გამოგლევა, განანო! — შენიშნა მათეშაილმა.

— გიყვარდეს! აკი ამირანის დაჯილდოებით დაიწყოს!

— ჯერ საღა ხარ, ორდენებით, ნახავ, მეკრდებს რაღაცა...  
კიდევ რამდენ ბინოკლიან და რუკებიან ფრიცს შევხვდებით!

— ყმაწვილებო, თუ არ დამძრახავთ და ცოტა ჩვენებურ არაყსე უარს არ მეტყვიო... — ეშმაკურად გადაავლო მასპინძელმა თვალი ყველას და რაკი შენიშნა მორცხვობა და უხერხულება, დასძინა: — შობლიური პურიდან არის გამოზდილი და ცეცხლივით მხურვალეა. მოგვხვდება!

— არა, მამავ, ნუ შეწუხდები, მალე ჩვენი ზემდეგი ჩამოარიგებს ჩვენს ულუფას.

— მანამდე, ყმაწვილებო, მანამდე, სულ ცოტა!

მოხუცი მკვირცხლად გავარდა საკუქნაოში და მალე იქიდან გამოიტანა საესე ბოთლი, დამარილებული სოკო ხის დიდი ჯამით და ღორის ხორცის ნაჭერი.

მარიამმა სუფრა ვაშალა, უკრაინული სუფრა — მაძღარი და გულუსვი. სუფრას შობლიური მასპინძლობით თავს დასტრიალებდა მიკოლა ბონდარენკო.

— მადინად შეეჭეციო, ყმაწვილებო, მუშა მინდვრისთვის არ ვარგა, თუ მკამელი არ არის, მით უმეტესი მებრძოლი!..

— გამარჯვებათ! — პირჯვარის გადაწერის შემდეგ წარმოსთქვა შემოსულმა.

— ო, ნიკიფორ პეტროვიჩ, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! მარია, ტაბურეტი შოართვი ნიკიფორ პეტროვიჩს!

— ნუ შესწუხდებით, მე აქაც კარგად მოვთავსდები. — და შემოსული მოხუცი მებრძოლთა გვერდით, სუფრის ბოლოსთან, კედლის გასწვრივ სკამზე ჩამოჯდა.

— არაყს მიირთმევთ? — გაუწოდა მიკოლამ ჩაის კიჭა მოვარდისფრო ასმელით.

— ახლა კი შევსვამ ერთ ყლუბს, მიკოლა, ქვეყნის ამ აღსასრულის დღეს, — ჩამოართვა მოხუცმა, გადააკრა, ცარიელი კიჭა უკან გადააწოდა და დასძინა: — ხედავ, რა ხლება? რაც ბინდდება, მით უფრო მკაფიოდ მოსჩანს ცეცხლის ალი. დენაევო იწვის, პასეკა იწვის, კრასნოდერენია აღშია გახვეული. ზარბაზნების გრიალიც გვიახლოვდება, როგორც ქარი-შხალი.

მიკოლამ ნადველით და სეველით ჩამომძიმებული ქუთუთოები ერთ წამს გააფართოვა და მერე თვალი ისევ ჩაჭუტა.

— გადასწვან, არა უშავს რა, ისევ ავაშენებთ!

— ამოდენა სიკეთეს ისე მალე ველარ აღვადგენთ, მიკოლა!

— ძველი ბერი რამ აღარც არის საჭირო!

— მაშ რიდასთვის ვაშენებ, თუ კი აღარ იყო საჭირო?

— არა, ისეთს ავაგებთ-მეთქი, მინდა გითხრა, რასაც ველარ გადასწვა-

ვენს!

— ჰო, ეგ კარგი სთქვი, მაგრამ რად იწვის გღმა სოფლები?

— ბტერი დაუნდობელი და ვერაგი აღმოჩნდა.

— ყველა მტერი დაუნდობელია და ვერაგი. განა ეს ჩვენმა მთავრობამ არ იცოდა? ჰა? რათ მოუშვა აქამდე? გადასახადს ზომ ვინდობთ, ცოტა იყო? მეტი წაეღო! ჩვენ, შენც, მეც, ყველამაც შევიღებთ არ დავიშურეთ, რას დავიშურებდით ქვეყნის მშვიდობისათვის, რატომ ვერაგობთ მის წინააღმდეგ?

— ნიკიფორ პეტროვიჩ, ეს ომი ისეთი დიდი ომია და ისეთ დიდ მტერთან, რომ იქნებ ანგარიშში ესეც უნდა მომხდარიყო, თორემ შენ თითონ არ გიყვარდა ხოლმე კუტუზოვის ამბების მოყოლა? იქნებ ჩვენ სოფლიდანაც დავიწყეთ გერმანელების ცენა, ვინ იცის!

— ეჰ, ვინ იცის?

— არის, ვინც იცის, ნიკიფორ პეტროვიჩ, ახლა კი ერთიც მიიართეთ!

— არა, გმადლობთ, ძროხებს უნდა მივხედო.

მებრძოლები განკვირდნენ მათი საუბრითა და სტუმრისადმი მასპინძლის განსაკუთრებული პატივისცემით.

— ვინ არის ეგ უკმაყოფილო?— იკითხა ერთმა, როცა მოხუცი გავიდა.

— არა, ყმაწვილებო, თავისებური კაცია, ჩვენი კოლექტივის საუკეთესო სტახანოველი, კაცი პატიოსანი და მულამ მართალი, მხოლოდ ცოტა ბუზღუნე უყვარს შინაც და გარეთაც, თანაც ჯიუტია. თავისი ჯალაბობიდან ზურგში არავინ ვაგზავნა. ქვეყნის ბედი ჩემ სახლში უნდა გადავიტანო და ჩემმა მთავრობამ, სადაც უნდა იყოს, იქიდან უნდა იზრუნოს ჩემზეო.

ამირანს ეჩქარებოდა.

აღრე მათათვა სადილობა. მაგიდის კუთხე მოისუფთავა ხელსახოცით და შეუდგა წერილის წერას:

„ჭირფასო მზია!

დღეს დაიწყო ჩემი პირველი ნათლობა. დღეს პირველად ვესროლე ნამდვილ მტერს შაშხანა და კაცი მოგვალი. ქერათმიანი, ახოვანი ახალგაზრდა გერმანელი. შას აქეთ რამდენიმე საათმა განვლო და მაინც შიშით ვადევნებდი თვალებს ჩემ გულს, ეს ნამოქმედარი ზომ არ გადმეჭყევა მეოქი საშინელებად, სინიდისის შემამფოთებელ საშინელებად? არა, უცნაურობამდე მშვიდადა ვარ. არ ვიცი იმიტომ, რომ წინ მიძევს კიდევ უამრავი მსგავსი საქმე, თუ იმის შეგნება მიზეზი, რომ სამშობლო მავალებს მტერი უღმობლად ვანადგურო?!..

ყოველ შემთხვევაში, შენ ამას გამიგებ, შენ, რომელიც ერიდებოდი ყოველთვის ვეამბნა ჩემთვის ანატომიურ კაბინეტში შენი მუშაობის დეტალებზე, რომ ჩემი სული არ აგეშფოთებინა სისხლით და ლეშით, დღეს კი უსაშველო ხოცვა-ტლეთის აქტიური მონაწილე ვხდები.

რა ვეებერთელა რამ ყოფილა მოვალეობის შეგნება!

როგორც სიყვარული ყოვლისშემცველი მიზანია, ისე ეს შეგნება ეუფლება მთელ ჩემს ხასიათს, ჩვევებსა და მიზნებს.

ჭირფასო მზია, ეს ჩემი ამბავი სანტიმენტალობად არ ჩამომართვა, არც ნებისყოფის სისუსტედ; სამშობლოს სახსნელად, თუ საჭირო იქნება, მტრების ჯალათად ვადგიქცევი, უწყალო ყასბად დანით ხელში!

და თუ ამას შენ ვიამბობ, იმიტომ რომ ჩემი შენდამი ჯერ კიდევ აღზღული სიყვარული ჩემს ყოველ ნაბიჯს წითელ არშიად მოჰყვება, მაჩქარებს ჩვენს შორის გადაღობილი ურჩხულის მოსასპობად.



გწერ მზია, და თან არ ვიცი, ჩამოვდისწერებს ეს წერილი თუ არა, მთელი ქვეყანა ფრონტზეა წამოსული. შენი კოლეგები სასწაულებს ახდენენ. ნეტავი სად და როდის შევხვდებით?

უძლეველი იმედი კი ჩამბუღებია გულში — მეგერა, შენთან შეხვედრა!..

ნახვამდის!

ვკოცნი. შენი ამირანი“.

წერილს რომ მორჩა, გულს უფრო მეტად მოეშვა. თავი დაიმშვიდა. კაცობრიობამ მძიმე ომი დაიწყო და ამირანიც ერთგვის ამ ომს. ღირებულებათა ნამდვილი გადაფასება ხდება. ცეცხლი და სისხლი განზანს კაცობრიობას. სერე კი, როგორც ნაწვიმარზე ღაისში, სიცოცხლის მზე ისევე ხალისით ინათებს ქვეყნად. „შენ გამიგებ ამას, მზია, როდესაც კვლავ შეგხვდებით“...

პაპიროსის ბოლი რამდენჯერმე ღრმად ჩაისუნთქა და ოთახის ერთ კუთხეს მიადგა.

პატარა მაგიდის ზევით კედელზე გაკრული ხელით ნახატების დათვალიერება დაიწყო.

ოსტატურად ნახატები იყო. მცირეწლოვანი ბავშვებისათვის დასურათებული იყო პუშკინისა და სხვა რუსული ხალხური ზღაპრები. ამ სურათებში იცნო მეხსიერებაში მექანიკურად ფოტოსავით ანაბეჭდი, გზაზე უკანაკნელად შეხვედრილ ფორანში მსხდომთა სახეები. „მეზადურის ცოლი“ ის ქალბატონი დედაკაცი იყო, ხარებს რომ მიერეკებოდა, „მეზადურე“ კი — სახლის პატრონი მივოლა.

— ვინ დახატა? — შეეკიოხა მარიამს, როდესაც ქალმა გვერდით ჩაუარა.

— მე დაეხატე!

— ყოჩაღ, თვალიც და ოსტატობაც დასრულებული მხატვრისა გაქვთ. სად ისწავლეთ?

— მოსკოვში.

— მერე?

— მერე ჩემ სამშობლო სოფელში ჩამოველ მასწავლებლად.

— კოლეგები ვყოფილვართ.

— თქვენცა ხატავთ?

ამირანმა საპასუხოდ უბიდან ამოიღო სახატავი ბლოკნოტი და სანგვიჩი. თვალის დახამზამებაში მოწითალია ხაზებით გაავლო მარიამის სახის ნახევარპროფილის კონტურები და თვალები ისევე განცვიფრებით შემყურე გამოუყვანა, როგორც სინამდვილეში შესცქეროდა.

— ო, თქვენ ნამდვილი ოსტატი ხართ!

— მე მოქანდაკე ვარ. თავისუფალ დროს ფრონტზე მინდა დავაგროვო მომადლისთვის საბუშაო ესკიზები, ფრონტზე ბევრ საინტერესოს შეხვდები.

— მე, — ბავშვივით შეცქერიალდა მარიამი, — აი, რაში ვიჩენ ნიჭს, — მიუთითა უკრაინული არმიებით ფერად ნაქარგებს, პირსახოცებს, კედელზე რომ იყო გაკრული, რომლებიც სხვა საფენებზე ძლიერ უყვარს საერთოდ რუს ხალხს, ასე ლამაზად რომ რთავს სასტუმრო და საწოლ ოთახებს.

ფერებში ცისფერი, წითელი და ნაზი მოწვეანო სჭარბობდა. რკეთ ნაზ არშიებად იხლართებოდნენ კვადრატების ძეწკვებით თუ ჯუჯბურღი/ლუანდრების ყვავილნარეკ ხლართებში ფრინველები და ცხოველები, რომ გეგონები ვათ, სლავური ზღაპრები ცოცხლდება და ყველაფერი ნაზმარტვდება.

— მაგრამ, ჩემი მთავარი საქმე ჩემი ჭკეყნის ბავშვების სამშობლოს ღირსეულ შვილებად აღზრდაა!

— ახლა ჩემი მთავარი საქმეც ის არის, მამულს დაუფრტკიცო, რომ მე მისი ღირსეული შვილი ვარ! — გაუღიმა ამირანმა, მერე ჩააცქერდა მარიამის ლამაზ და ჭკვიან თვალებს და შეეკითხა:

— რაღას უცდი, რატომ არ მიდიხარ სოფლიდან?

ქალმა თვალები დახარა.

— მე მამასთან უნდა დავრჩე, კოლმეურნეობის ქონების მოვლა-პატრონობაში უნდა შევეშველო. კიდევ ბევრი სხვა საქმე გაჩნდება და ვინ იცის როგორ დაეჭირდე.

საუბარში გართულ ამირანსა და მარიამს მიუახლოვდა მინსკი და ამირანს მხარზე მარჯვენა დაადო.

— ამხანაგო დიდებულებო, ნახატებზე რომ ბაასობთ, სულ ჩემი ალიოშა მაგონდება. ის მეოთხე ვაჟია ჩემი. ჯერ კიდევ ფეხზე ვერ დგებოდა, რომ ნახშირით დამითბუბნა ქოხი. იმის გამო სახლში მთელი აურზაური ტყდებოდა. დიდიდან გავიდოდა ჩემი დედაკაცი კირით სავსე ვედრით და დიწყებდა შავი წრეების, მამლების, თვალებდაჭყეტილი ფიგურებისა და აკვამლებული ბუხრიან ქოხების წაშლას, — ამბობდა სიცილით მინსკი და ამირანი და მარიამიც იცინოდნენ.

— მინსკი, მხატვრობა დიდი საქმეა, უკვდავების მოხვეჭის საქმეა, პირიქით, ბელი უნდა შევუწყოთ შენი ალიოშას სურვილების განხორციელებას.

— ხელს კი ვუწყობდი და შევუწყობ კიდევ, მაგრამ რაც შეეხება უკვდავებას; მე მგონია ცოცხალი ადამიანების შექმნა უფრო მეტი უკვდავებაა! მინსკიმ კმაყოფილებით ჩაჰუტა ცალი თვალი და თითქოს დიდი რამ საიდუმლოება გაუზიარაო, დაუმატა:

— ის რომ დიდი მხატვარი გამოვიდეს, ვანა ჩემი უკვდავება არ არის?

— რასაკვირველია!

— შენ ჯერ არა გყავს შვილი?

— არა.

— არც შენ, რასაკვირველია, — მათბრუნდა მინსკი მარიამს, რომელმაც აპარბლებული სახე მიიბრუნა — ზო და, როცა გეყოლებაო, ნახავთ, რომ ყველაზე დიადი ქანდაკება და სურათი შვილია!

მინსკიმ ღიმილით მიატოვა ისინი და როცა შორჩა მაგიდასთან თამბაქოს შეხვევას, იქიდან მიაძახა:

— მე შვიდი ვაჟი მყავს და ამიტომაც შეიძლება უკვდავი ვარ!

პოლიტხელი და ოცმეთაურები ქოხში შემოვიდნენ.

ახალი ამბავის მოლოდინში მებრძოლებმა შესწევითეს მხიარული ბაასი.

— ამხანაგებო, მე უბრალო ბრძანებით არ შემიძლია დავიწყო საქმე. სამშობლომ დიდი და მძიმე ამოცანა დაგვაყისრა, დიდი კონკრეტული ამოცანა, — დაიწყო შემოსელებისთანავე პოლიტხელმა და ყველას თვალი შეაღლო.

მებრძოლები მზადყოფნით შესცქეროდნენ.

— შიშზე ლაპარაკი ზედმეტია. სამშობლო ჩვენგან გმირობას მოითხოვს, ცოდნასა და ზედამიანურ მოხერხებას. ჩვენ უნდა გადავჭრეთ ყველა კარავალი ათასი სიცოცხლე, რომ საკუთრო ვაშს შემოუბრუნდეთ და გვეუბნებოდეთ მტერს და საბოლოოდ გაანადგუროს. სამშობლო ჩვენგან მსხვერპლს მოითხოვს. ჩვენმა ასეულმა ამ სოფელთან, — ამ შარაზე და ამ მდინარესთან უნდა შეაჩეროს მტერი, დააყოვნოს რაც შეიძლება მტრ ხანს... შევძლებთ?

— ჩვენ აქ მაგისტვის ვართ მოსული, — წარმოსთქვა განიშმა.

— ნე ჩემს შეილებს გამოთხოვებისას გამარჯვებასა და მშვიდობას დავაბირდი, — დააყოლა მინსკიმ.

— გაუმარჯოს მხედართმთავარს დიდ სტალინს!

— სამშობლოსათვის, სტალინისათვის! — შესძახეს ერთხმად.

როცა მებრძოლები ქოხიდან გადიოდნენ, მარიამმა კარავანში შეაჩერა ამირანი.

— წერილი არ დაგრჩეთ, მომეცით, უკანასკნელი ფოსტა ათი წუთის შემდეგ გადის სოფლიდან!

## თავი მხორა

ზინდღებოდა.

ცივი ქარი დაბლა ჩამოწოლილ ღრუბლებს აფორიაქებდა.

დასავლეთის პორიზონტი თანდათან უფრო ნათლდებოდა. ცას აწვდენილი აღის ენები შავი კვამლის რხევით ღრუბლებს შეერთებოდნენ. ღრუბლები თითქოს ცის თალით დაფუხებული კვამლი იყო. უკრაინის თვალუწვდენი მინდვრები კი შავ ხალიჩად გაფენილიყო.

შორიდან მოისმოდა ყრუ გრგვინვა. მიწა ზანზარებდა.

ასეულის მეთაური უფროსი ლეიტენანტი ივანოვი ნიკიფორ პეტროვიჩის ეზოდან ღურბინდით მიდამოს ათვალეირებდა.

დაბლა, სოფლის გასწვრივ, ბორცვებში მდინარე ორ ტოტად იყოფოდა და ტირიფებით დაფარულ ლელიან კუნძულს ჰქმნიდა. მარცხნივ მდინარის ტოტები ერთდებოდა ხიდთან, რომელზედაც სოფლის შარაგზა გადიოდა დასავლეთისაკენ.

— გზის მარცხნივ საშინელი ქაობია. ჩვენ იქ ბატებსაც კი არ ვუშვებთ, — დაკოყრებული ხელი გაიშვირა ნიკიფორ პეტროვიჩმა ცარცის შრეებიანი ნაპრალების ზოლისაკენ, სიშორეში აღმოდებულ კამარას რომ უერთდებოდა. — ამ ქაობებში მტრის ტექნიკა ვერ გამოივლის.

— მართალი ხართ, მტერი მოგვაწყდება გზის მარჯვენა მხრის მინდვრით და თავს მოიყრის ამ ხიდთან და შარაზე. სოფლის ამ მაღლობიდან უნდა შევეცადოთ მტრის მოგვრიებას, — შენიშნა პოლიტბელმა გონჩაროვმა.

— ეს მდინარეც და სოფლის ეს მაღლობიც საკმაო სიმაგრეა. ჩვენი ამოცანაა 4—5 საათით შევაჩეროთ აქ მტერი. ეს უნდა შევძლოთ! — სთქვა ივანოვმა და გასძახა:

— მათეშვილო!

— ვარ, ამხანაგო ასეულის მეთაურო!

— ხელის ტყვიამფრქვევით უნდა გახვიდე გაღმა შარაზე და აქ წარცხნივ ჭობებში ჩაუსაფრდე მტერს!

— იმ არყნარშიც, ჭობებში რომ არის, შეიძლება წინააღმდეგობის კენძის შექმნა. ცოცხალ ძალას დაუზიანებს მტერს, — კვლავ შეეშველა ნიკიტორ პეტროვიჩი ივანოვს და ჩიბუხი გააბოლა.

— სწორია! — დაადასტურა ივანოვმა. — განიწო! თქვენი ათეულით, ხელის ტყვიამფრქვევით და გრანატებით დაიკავეთ ის პატარა წარადი! — ბრძანა ასმეთაურმა, მაგრამ როცა შენიშნა მათთან ერთად წასასვლელად გამზადებული ამირანიც, შეაჩერა.

— დიდებულძე, შენ აქ დარჩები. ტანკააწინააღმდეგო თოფს ჩაიბარებ. მინსკი, შენ ზიდგაღმა იმ ბებერ ტირიფზე მოთავსდი სნაიპერის შაშხანით. თავის დროზე ხიდს ააფეთქებ! თქვენ კი, — მიღბრუნდა პოლიტხელსა და ოცმეთაურებს, — ეს კუნძული და გაღმა ნაპირები მისასროლ წერტებად გაიხადეთ და ისე განლაგდით, რომ ქოხებიდან მოშორებით იყოთ. ბატარეა მოათავსეთ ზალში!

ნაწილი მდინარის პირას და ფერდობზე ორ მწკრივ თხრილებში განლაგდა. ტანკააწინააღმდეგო თოფებით ღრმულებში ჩასხდნენ. ღრმულებში, ორმოებში, ლოდებსა და ღორღებს მოფარებულნი გაფაციცებით შეუდგნენ შეხამებას.

მტრის დასახვედრად აწყეს მზადება.

ამირანმა ნასახლარი აირჩია ბეჭობის კუთხეში, საიდანაც თვალწინ ეშლებოდა კუნძულის ნაწილი, ხიდი და აღმართით სოფელში ამომავალი შარა. მალე ასმეთაურმა გამართა სათვალთვალო პუნქტი, სადაც მედროშე, უფროსი სერჟანტი ლიტოვჩენკო დარჩა.

— აქ ჩვენ უთანასწორო ბრძოლა მოგვიხდება. სამშობლო და სტალინი გვაბარებს ამ კუთხეს და ჩვენგან ელის მრავალი ათასის ხსნას. თქვენ იცით, რა შეუპოვრები და მამაცება იქნებით ჩვენი ქვეყნის სასახლოდ. გმირულად დაეხოცოთ. ვისაც რა უბანი გვაბარია — სისხლის უკანასკნელ წუთამდე დაეიცვათ! არ დაზოგოთ მტრის ცოცხალი ძალა, ტექნიკა, ანადგურეთ, ანადგურეთ, ანადგურეთ! — ასეთი იყო მეთაურის გულას სიღრმეიდან წარმოთქმული უკანასკნელი სიტყვები, და ყველა შეუდგა თავისი პოზიციის უკეთესად მოწყობას.

(გაგრძელება იქნება)



რადა, რადა? დღეს ჩემს მიმართ —  
ბოროტება რატომ განთებს? —

რად მიბრუნებ ახლა უკან  
ამ ჩემს სურათს და ბარათებს!

შენ მოიხზოე ჩემგან, შეკაცრად —  
შენს წერილთა დაბრუნებას;  
მე ვასრულებ რაინდულად  
მაგ თინიან გულის ნებას.

მაგრად კოცნას გულის თრთოლვით,  
შენ რომ მიძღვენ — მე რომ მოგეც, —  
უკან ველარ დაიბრუნებ,  
ვერც მიბრუნებ ვერასოდეს!

ის ენთება ჩაუქრობლად  
რომ ალანძოს ჩემი სული,  
როგორც მე მწვავს — სამწუხარო  
ნეტარების დღე წარსული!

1926 წ. ვენეცია

## ანტიქი

ყრმავ მშვენიერო, მე მივდივარ და შენ კი ამ ქვეყნად ცხოვრებას იწყებ;  
ქუშმარიტება გამოცდილი მაქვს და ამ ჩემს სიტყვებს ნუ დაივიწყებ;  
მხოლოდ წუთთა ქვეყნად ყოველი, ღრუბლის ჩრდილსა პავებს წუთისოფელი,  
ბედს ნებისყოფა გამოსქედს, მაგრამ შემთხვევა არის ბედის მფლობელის  
გრძნობა განაგებს კაცთა გულისთქმას, ჭკუა კი იმას მსახურობს მარად,  
მაგრამ შენ მუდამ — ბედთან ბრძოლაში — ჭკუას ხმარობდე ფოლადის  
ფარად!

ნუ დაუჯერებ ცრუ მოჩვენებებს, შენ დაემყარე საკუთარ ფესვებს, —  
სიძულელიამდე გიყვარდეს კაცი, მაგრამ ყოველთვის სიკეთე სთესე!

ღალბინებისას თუ ტოლ-მეგობრებს შენს გვერდით ზედავ, შენს  
მახლობლად გრძნობ, —

მაგრამ როდესაც გაგიჭირდება — მათ ნურც მოელი და ნურც მოუხმობ!  
თამაშით საგე ამ ქვეყანაში — შენც თუ წააგე თამაში წამით, —  
მაინც მხნედ იყავ, იმხიარულე — და ბედისწერას დასცილე ამით!

მომართე საყვ, პირდაპირ განვლე — გზა ჯერ უცნობი, მიუწვდენელი, —  
მუდამ წინ გასწი დაუნანებლად, წინ! დაე მოხდეს მოსახდენელი  
მე კი — დამმარბე უბრალო ადგილს, დე იქ უცნობმა მიწამ დამფაროს,  
რომ არ მომავნოს აღამიანმა და მე საფლავის ქვა არ მომმაროს!

1918 წ. თბილისი

ერთი ია იდგა ველად,  
თავდახრილი მიმზიდველად.  
მშვენიერი, სათნო ია.  
მას ეწვია მწყემსი ქალი,  
მხიარული, ბაგე ლალი.  
ველმინდორი გადმოეფლო  
იმდეროდა გრძობით მთვრალი.

ფიქრობს ია გულის კენესით:  
„ყველა ვარდზე უტურფესი  
აჰ, მცირე ხნით მაინც ვიყვე!“

ვიდრე მომწყვეტს სატრფო ჩემა,  
მკერდს მიმიკრავს მომხიბულელი.  
აჰ, მცირე ხნით ვყოფილიყავ  
ყველა ვარდზე უფრო მწველი!“  
მაგრამ ქალმა მორცხვი ია,  
მინდვრად ვერც კი შეამჩნია,  
და გასრისა საცოდაო.  
კვლავ აღმოხდა იას კენესით  
სიამის ხმა უმძაფრესი:  
„რა კარგია—ვევლები მაინც  
მისი ფეხით განასრესი!“

## მ ი ნ ი ო ნ

(ბალადა)

იცი ქვეყანა, სად ლიმონი ყვავილობს ველად.  
მწვანე ფოთლებში ფორთოხალი ოქროსფრად ელავს.  
მოჰქრის შრიალით ლავვარდ ციდან ნიაფი ნაზი,  
მღუმარებს დაფნა და ეხვევა ხეს უსურვაზი.  
იცი ეს კარგად? და გიტაცებს შენ ეს მიდამო?  
იქითკენ წამო, ჩემთან ერთად, იქითკენ წამო!

იცნობ შენ იმ სახლს, მას ამშვენებს თალი მაღალი,  
დიდნი დარბაზნი ლაპლაპებენ ელვარე ალით.  
დგანან ტანდაკნი და ახელენ თვალებს დარდინს:  
„რა გიყვეს, ბაგეშვო, საცოდო, რა დაგმართია?“  
იცი ეს კარგად? არ გიზიდავს შენ ეს მიდამო?  
იქითკენ წამო, ჩემო კარგო, იქითკენ წამო!

იცნობ შენ იმ მთას, სად ისვენებს ღრუბელთა ჯარი,  
სადაც მიიკვლევს სქელ ალმურში ვზას სახედარი,  
გვირაბში ცხოვრობს ვეშაპების მოდგმა ვერანი,  
ინგრევა კლდე და მოჩხრიალებს გიფი ჩქერალი.  
იცი ეს კარგად და გიზიდავს შენ ეს მიდამო?  
— გაგვიფი მამავ, იმ მხარეში, წავიდეთ, წამო!

## განუოჩება



გითხრას მშვიდობით არ ძალუძს ენას,  
დეე თვალთაგან იყოს ეს თქმული, **ვარკუნული**  
ო, განუოჩება სულს ელდით სერავს, **გინგლიჩიშეკა**  
თუმც თამამი ვარ და გაბედული.

ამგვარ წუთებში ღონდება გული,  
ტრფობის საწინდარს მოიცავს ბნელი.  
ცოვდება ბაგე — ცეცხლით გზნებული,  
ხელს ეუფლება ცახცახი ნელი.

შეფარვით კოცნა უფრო ტკბილია,  
შენი ბაგენი მზიზღავენ მაშინ.  
ასე გვახარებს პირველი ია,  
როდესაც მოვწყვეტთ ნაადრევ ბაღში.

კვლავ გიძღვნა ვარდი აღარ მწყურია,  
რომ გთავაზობდი ალერსით გუშინ,  
ჩემო ფრანცისკა — გაზაფხულია,  
თუმც შემოდგომა დამდგარა გულში!

## მოვაჩისადმი

ველად აფრქვევ მთასა და ველს  
სხივებს მოციმციმეს.  
მიმსუბუქებ აუტანელ  
ნალველის სიმძიმეს.

ციდან შენი გადმოხედვა  
ჩემს მინდვრებსაც კშვენის.  
თითქოს ბედის მეგობარი  
შემომტკეერის ღხენით.

გულო, ეამის ღხენა-წუხილს  
შენ განიცდი თრთოლით,  
ობლად ვლიდე სიმძიმისა  
და სიამეს შორის.

მაშ, მდინარეე, იჩხრიალე,  
შე არ მეღის ღხენა.  
ერთგულების და ტრფობის მზე  
უკვე ჩაესვენა.

ერთხელ მაინც ხომ ვიგემე  
სიყვარულის ემზი,

რასაც ველარ დაივიწყებს  
კაცი სიცოცხლეში.

მაშ, მდინარეე, იჩხრიალე  
ჩვეულ გატაცებით.  
და ჩემს ჰანგებს შენებურად  
ააყოლე ხმები.

ზამთარში როს აღიდღები  
გამალებით მსრბოლი,  
და ყვავილებს გაზაფხულის  
შხეფს აკურებ ბროლის.

სეიანია, ვინც არს ობლად  
შეუცნობლად შურის,  
გულს უამებს სატრფოს ახლოს  
გრძნობა საამური.

მრავალი რამ შეუცნობი,  
ვით ხმა იღუმალი,  
ჩვენი მკერდის ხვეულებში  
ზორიალობს ღამით.

## კოჰკი მთაზე



ცაღაზიდულ მთის მწვერვალზე  
მოსჩანს კოჰკი ობლად მდგარი,  
ტაიქოსან რაინდების  
ძველისძველი შესაფარი.

ვადაბუგულ კარიბჭეზე  
გაუშლია დუმილს ფრთები.  
მიმონგრეულ კედლებს შორის  
თავისუფლად ვეხეტები.

აქ მარანი იყო წინათ  
სანუკველი ღვინით სავსე.  
აღარ ჩადის ხელადებით  
შიგ ასული მოკისკასე.

და დარბაზშიც არვის იწვევს,  
სტუმრებს თასებს აღარ უვსებს,  
კურთხეული ტრაპეზისთვის  
არ აწოდებს ზედაშს ხუცებს.

სასმისს პაესაც ვერ მიართმევს—  
ვნების აღით გულმხურვალეს.  
უცაბედი ძღვენისათვის  
ვგრ მიიღებს უცებ ალერსს.

დაბუგულა ძველი კოჰკი,  
დასდებია რუხი ფერი,  
ცეცხლს შთაუნთქავს სახურავი,  
კიბე, კარი და ეკვდერი.

მაგრამ, ციტრით და ფლიავით  
მწვერვალნი როს ვადმოვლახე.

და სატრფოსთან ვერფულ ვეძღუ  
ნანგრევები კოჰკში ვეჩინებ

ვიგრძენ თითქოს სიამეს გვეფენს  
ხავსიანი თალი ვრცელი,  
თითქოს წინათ, გარდასულ ეამს  
საზეიმოდ აქ მოველით.

და რჩეული სტუმრებისთვის  
მორთულია კოჰკი ძველი,  
და ჩვენ, კეთილ დროის შეილნი,  
ჯვარისწერის წამს მოველით.

თითქოს უკვე საყდარში ვართ  
მღვდლის წინაშე კრძალვით მდგარი,  
ის მოგემართავს: „გსურთ

ურთერთი?“ —

„დიახ!“ — ვამბობთ მომღიმარნი.

და გალობა ძველისძველი  
გულს ზიბლავს და ავსებს შვეებით.  
ბრბოს მაგიერ გრძნეულ ჰანგებს  
იმეორებს შორი მაები.

და როდესაც დაისის წამს  
მისწყდა ჰანგი სანუკვარი,  
მგზნებარე მზემ ლურჯ  
მწვერვალებს  
დააფრქვია სხივთა ღვარი.

მსახურ ქალს და ვნებიან პაეს  
უბრწყინდებათ ლაღა სახე,  
ქალი მიჯნურს ღვინოს უსხამს,  
ვაჟი სასძიას ტუჩს შეახებს.

## ს ა ს მ უ რ ი

გამომერწილი საგანგებოდ, ამოდ რხეული,  
კობტა სასმური, ღვინით სავსე, მეჭირა ხელში.  
ესვამდი ტკბილ შარბათს, უშრეტ ვინით გატაცებული —  
მსურდა ერთბაშად დამეცალა სევდა-ნალღველი.

ამდროს ამური მეწვია და მარტოკა მსხდომი  
როცა მიხილა — გაიღიმა მოკრძალებულად.  
თითქოს ხელქმნილსა მიცოდებსო, გულთამხილველი.



— „ძვირფასო ჩემო, სხვა სასმისი მე ძალშიმს მოგცე,  
 მით დაიოკებ სულის ღელვას, მოიკლავ წყურვილს.  
 სასმისი იგი, უტკბილესი ნეტარით სავსე,  
 ეხლავ რომ გიმძღვნა რას მიბოძებ სამაგიეროდ? **ჯიგჯიგისა**“

ო, რა თავაზით, თანაგრძნობით ენამზევობდა  
 ცელქი ამური, ვინაც ტრფობით აღგზნებულ მოჯნურს  
 მყის მომივლინა შენი თავი, ძვირფასო ლიდა.

რას შენს ლამაზ ტანს მოგეხვევი თავდავიწყებით,  
 და ერთვულ ბაგის ბალზამს ხარბათ დაეწაფები —  
 ვიერძნობ სიამეს ხანდაზმული სიყვარულისა,  
 აღსავსე ციფრ ნეტარებით სულს ვეუბნები:

„არა, კურჭელი ამნაირი, ამურის გარდა,  
 არცერთ ღმერთთაგანს შეუქმნია, არცა ჰქონია.  
 თვითონ ვულკანუსს არასოდეს გამოუძერწავს,  
 სათუთ ჩაქუჩით, ამნაირი ნაზი ნაკეთები.  
 და ვენახებში დიონისოს რომ გაეგზავნა  
 მწიფე მტევნების დასაწნებად, თავის ერთგული,  
 უპკვიანესი, უხუცესი დავნთა კრებული —  
 თვით ყური ეგდო ტკბილი მაჭრის დუღილისათვის —  
 სასმელს ამნაირს ის ვერასდროს დააყენებდა!“

თარგმნილი ხარობონ ვარდუშვილმა მიერ.



# როგორ და ჯუღიანა\*)

მოკმედეგა მართხა

სურათი I

ვერონა, ზერ ლორენცოს სენატი.

შემოდან ლორენცო და პარისი.

ლორენცო—ნუთუ ხუთშაბათს? მოკლე დროა, ბატონო ჩემო.

პარისი—ჩემმა სიმამრმა კაბულეტმა ინება ასე  
და მეც არ ვფიქრობ დავაბრკოლო ეს აჩქარება.

ლორენცო—თქვენ შეუბნებით, რომ ქალის აზრს არ იცნობთ ჯერე,  
ეს მე არ მომწონს, უჩვეულო ამბავი არის.

პარისი—უზომოდ გლოვობს იგი ტიბალტს, სწორედ ამიტომ

ვერ მოვაზერხე სიყვარულის შეთქვა ბევრი რამ:

აკი ვენერაც არ გვიღიმიც ცრემლთა სადგომში.

სახიფათოდა მიაჩნია იმისა მამას,

რომ მწუხარებას ასე მისცა თავი ჯუღიეტამ

და რომ შესწყვიტოს ნიაღვარი მისი ცრემლების,

მართლაც და ბრძნულად დააჩქარა ჩვენი ქორწილი;

განმარტოებულს მწუხარება უფრო ჰოცავს,

რასაც ადვილად განვარიებთ შეუღლებითა.

ახლა კი უკვე აჩქარების მიზეზი იცით.

ლორენცო—(თავისთვის) ნეტავ მიზეზი შეყოვნების მე არ მცოდნოდა.

აი, ბატონო, ქალბატონიც მოღის აქეთკენ.

(შემოდის ჯუღიეტა).

პარისი—რა ბედნიერი შეხვედრაა, ჩემო შეუღლე.

ჯუღიეტა—ეგ იქნებ მოხდეს, თუ ოდესმე გაგხდი შეუღლე.

პარისი—ეს იქნებ მოხდეს, უნდა მოხდეს კიდევ ხუთშაბათს.

ჯუღიეტა—რაც უნდა მოხდეს, ის მოხდება.

ლორენცო— რაღა თქმა უნდა.

პარისი—სააღსარებოდ მოხვიდოდი მოძღვართან, ალბათ.

ჯუღიეტა—თუ გიპასუხებ, ეს ნიშნავს, რომ გაგენლო შენა

და არა მოძღვარს.

პარისი— მაგრამ იმას ნუ დაუშალავ,

რომ მე გიყვარვარ.

ჯუღიეტა— მე ის მიყვარს, გამოგიტყდები.

პარისი—ჩემს სიყვარულში, მჯერა, იმას გამოუტყდები.

\*) იხ. „მნათობი“ № 7—8.

- ჯულიეტა—რაკი მაგრე გსურს, უფრო მეტი ფასი ექნება,  
როცა უთქვენოთ გავენდობი, ვიდრე პირისპირ.
- პარისი—საბრალოვ, შენი პირისაზე ცრემლს შეუღალახავს.
- ჯულიეტა—ცრემლებს ძალიან მცირე ბრალი მიუძღვის.  
იგი ისედაც ულამაზო და გონჯი იყო.
- პარისი—ცრემლებზე უფრო მაგ სიტყვებით ვნებთ ახლა იმას.
- ჯულიეტა—ცილს კი არ ვსწამებ, მართალს ვამბობ, ბატონო ჩემო.  
ეგეც არ იყოს, რაიცა ვთქვი, ჩემს სახეზე ვთქვი.
- პარისი—ეგ შენი სახე მე მეკუთვინის, შენ კი აძაგებ.
- ჯულიეტა—ეგ შეიძლება მაგრეც იყოს, რაკი მართლაცდა  
იგი მარტო მე არ მეკუთვინის. წმინდაო მამავ,  
ახლავ მოიცილით, თუ მოვიდვ მწუხრის ლოცვისას?
- ლორენციო—მე მზად გახლავარ მოგისმინო, საბრალო ბავშვო.  
ბატონო ჩემო, უნდა გთხოვოთ, მარტო დაგვეტოვოთ.
- პარისი—ღმერთმა დამიხსნას შევაფერხო ღვთისმსახურება.  
ხუთშაბათს ადრე გაგაღვიძებ, ჩემო ჯულიეტა,  
ახლა მშვიდობით, მიიღე ეს წმინდა ამბორი.
- (გადის).
- ჯულიეტა—კარი ჩაკეტე და იტირე შენც ჩემთან ერთად.  
არსაით შევლა, არსაით ხსნა, არსით იმედა.
- ლორენციო—უკვე გავიგე, ჯულიეტა, შენი ნაღველი  
ფიქრით თავს ვიტეხ, გამოსავალს მივაგნო რასმე.  
თურმე ხუთშაბათს გრადთან უნდა დაგწერონ ჯვარი  
და არა ძალას აღარ ძალუძს, რომ შეაყოვნოს.
- ჯულიეტა—ნუ მეუბნება, რომ გაიგე, მამაო, ისე,  
თუ არ მასწავლი, ვით ჩავშალო ეგ ჯვარისწერა.  
მაგრამ შენს სიბრძნეს თუ არ ძალუძს მომცეს მე შევლა,  
მაშინ განზრახვა ჩემი მაინც ჩასთვალე ბრძნულად  
და ამ მახვილით მე ახლავე უშველი ჩემს თავს.  
რომეოსი და ჩემი გული ღმერთმა შეპყარა,  
შენ კი ხელები შეაერთე. ვიდრე ეს ხელი  
შეერთდებოდეს კიდევ სხვასთან ან ჩემი გული  
მუხანათურის ორგულობით სხვას აირჩევდეს,  
ღე, ამ მახვილმა გამიგმიროს ხელიც და გულიც.  
ან რჩევა მომეც შენ ხანგრძლივი გამოცდილებით,  
ან იცოდე, რომ ეს მახვილი, სისხლისა მსმელი,  
გადაიქცევა შუამავლად ბედს და ჩემს შორის  
და ის გადასწყვეტს, რაკი შენმა სიბრძნემ და ხანმა  
ვერ შესძლო საქმე მიეყვანა კეთილ ბოლომდე.  
ჩქარა მითხარი, ნუ აყოვნებ და მხსნელსა გზასა  
თუ ვერ მასწავლი, მაშინ სიკვდილს არ დაეყოვნებ.
- ლორენციო—შეჩერდი, შვილო, იმედის მსგავსს რაღაცას გიტყვი,  
მაგრამ განწირულ მოქმედებას მოითხოვს იგი,  
მსგავსსა თვითონ იმ საშინელი განწირულების,  
რომლის თავიდან აცილებას ვცდილობთ ჩვენ ახლა.  
რაკი გჭონია ნებისყოფა ისე ძლიერი,

რომ გრაფ პარისტან შეუღლებას სიკვდილს არჩევდი, თქმა აღარ უნდა, იმ შერცხვენის ასაცილებლად დამეთანხმები მოგონილსა სიკვდილს მიმართო.

თუ კი ვაბედავ, მე ვასწავლი შენ გამოსავალს.



ქართული  
ლიტერატურის  
სამეცნიერო  
ცენტრი

ჯულიეტა—ოღონდ პარისტან ნუ მიმათხოვენ და თუნდ მზობრად,

გაღმოვტე კოშკის ქონგურიდან ანუ ვიარო ქურდ-ბაცაცებში უგზო-უკვლოდ. თუნდა მიბრძანე, ასაბრ გველებს ბნელ ხერხელებში დავიდვა ბინა, გაცოფებულ დათვის მიმაჯაჭვეთ, ჩამკეტეთ ღამით აკალდამაში, დამაყარეთ მკვდრების ჩონჩხები.

კბილებ ჩამტვრეულ, გაყვითლებულ ყბებში ჩამფალით; გინდა მიბრძანეთ ახალგათბრილ საფლავში ჩასვლა, ცოცხლად დამმარხეთ, გამახვიეთ მკვდრის სუდარაში. ამის მოსმენაც კი ოდესღაც ტრუანტელს მგვრიდა, ახლა უშიშრად, უყოყმანოდ მას შევასრულებ, ოღონდ კი დავრჩე ერთგულ ცოლად საყვარელ ქმრისა.

ქორეცო—მაშ ყური მიგდევ; მზიარულად ვასწიე სახლში და განაცხადე თანხმობა ამ ქორწინებისა.

ხეალ საღამოს კი, —ოთხშაბათი არის ზომ ხეალე? —

შენ მარტოდ-მარტო დაიძინე, ნებას ნუ მისცემ, რომ შენთან ერთად შენს ოთახში დაწვეს გამძვლი.

აჰ, ეს შუშა თანწაილე და ხეალ საღამოს დაძინების წინ გამოსცალე. როგორც კი დაღვ, ძარღვებში ფიცხლავ ცივი ძილი დაგივლის მაშინ, შეგიჩერდება მიჯისცემა, არც ტანის სითბო, აღარც ოდნავი სუნთქვა გაგეშს, რომ ცოცხალი ხარ.

ეს ვარდისფერი ბაგენი და ღაწვები შენი გაფითრდებიან, ნაცრისფერად გადიქცევიან; თვალის სარკმელი მაშინ ისე დაგებურება, როგორც დახურავს სიცოცხლის დღეს შავი სიკვდილი; ყველა სახსარი, მოკლებული ძველს მოქნილობას,

ღუნე და ცივი გაგინდება სიკვდილის მსგავსად. და ასეთგვარად მოკრუნჩხული, გაშეშებული, როგორაც მკვდარი, ორმოცდარ საათს იქნები. შემდეგ კი ისე გაიღვიძებ, ვით ტკბილ ძილიდან. ამგვარად საქმროს, როცა დილით გამოგივლის ის, მკვდარი დახედები შენს საწოლში, მაშინ შეგმოსვენ,

როგორც ეს არის მიღებული ჩვენს ქვეყანაში, საუკეთესო სამოსით და ღია კუბრით, საგვარეულო აკლდამაში წაგასვენებენ.

ამსობაში, ვიდრემდის შენ გაიღვიძებდე, შევატყობინებ მე რომეოს წერილით ამას, ისიც გამოსწევს აქეთყენა და ორიენი დაველოდებით მოთმინებით შენს გაღვიძებას. ხოლო, როგორც კი გაიღვიძებ, იმავე დამეს შენი რომეო მოგაშორებს აქურობას.

ამით იხსნი თავს შერცხვენიდან, თუკი ქალურმა  
სისუსტემა და მერყეობამ შენი მხნეობა  
და მამაცობა არ გასტემა მოქმედების დროს.

ჯუღიუღი — მომე, მომეცი ეგ წამალი! შიშს ნუ მიხსნი  
ლორენცი — ჰა, გამომართვი. წადი მალე და ამ საქმეში  
იყავი მტკიცე. მე ახლავე ბერს გავაგზავნი,  
წერილს გავატან მანტუაში შენს მეუღლესთან.

ჯუღიუღი — ო, სიყვარულო, მომეც ძალა, მხოლოდ ის მიხსნის.  
მშვიდობით იყავ, წმინდა მამავ!

(გაღიან).

## სურათი II

ღარბი კაპულეტების სახლში.

შემოდინ კაპულეტო, ჭნი კაპულეტო გამდელი და  
ორი თუ სამი მსახური.

კაპულეტო — ვინც აქ სწერია, დაპატივე ყველა ისინი.

(მსახური გადის).

შენ კი წადი და, არამზადაც, დაიჭირავე  
ოცი ნაცადი მზარეული.

მეორე მსახური — ერთსაც კი არ მოვიყვან ცუდს, ბატონო ჩემო. ჯერ  
გამოვცდი, თითების ლოკვა თუ იციან.

კაპულეტო — მერე და ვითომ ეგ რა გამოცდაა?

მეორე მსახური — ი მოგახსენოთ, ბატონო: ვისაც საკუთარი თითყ-  
ბის ლოკვა არ შეუძლია, იგი ცუდი მზარეულია. პო-ლა, მეც ისეთს  
არავის წამოვიყვან, ვინც თითს არ ილოკავს.

კაპულეტო — გეყოფა, წადი! (გადის მეორე მსახური). მე ვშიშობ, რომ  
ველარ მოვასწრებთ

ჩვენ მომზადებას. ჩემი ქალი წავიდა ბერთან?

გამდელი — დიახ, გეაბლათ.

კაპულეტო — იქნება ღვთით, ჩაავონოს რამ.

რა ჰირვეული და თავნება გოგოა მაინც!

გამდელი — შეხედეთ, როგორ მხიარული მოდის იქიდან.

(შემოდის ჯუღიუღი).

კაპულეტო — სად ყილობდი, მითხარ, ჩემო ჯიუტო გოგო?

ჯუღიუღი — სადაც მასწავლეს მე უოდვების მონანიება,

რომე თქვენა და თქვენს ბრძანებას არ ემორჩილებდი.

წმინდა ლორენციომ დამავალა გავერთხო თქვენს წინ

და პატიება გამოგთხოვოთ. გთხოვთ მომიტევოთ,

ამერიდან მე ყველაფერს გემორჩილებით.

კაპულეტო — გრაფთან საჩქაროდ, ეს ანბავი შეატყობინეთ!

ხვალე დილითვე გაიხარხოს ეს საქმე უნდა.

ჯუღიუღი — მე უკვე შევხედი ქაბუკა გრაფს ბერის სენაკში

და სიყვარულიც გავუმღაგენე, მაგრამ ისე, რომ

ზომიერების საზღვარი არ გადამილახავს.

კაპულეტო—დიდად მახარებს ეს ამბავი. ადექი ზეზე.  
ეს ასეც უნდა მომხდარიყო. გრაფი მანახვეთ.



არ გეყურებათ, წადით გრაფთან, სოხოვეთ მოვიდეს!  
ღმერთს გეფიცები, ღირსეული მოძღვარი არის, მთელი ქალაქი მისგანა ვართ დავალებული.

ჯულიეტა—არ წამომყვები ჩემს ოთახში, ჩემო გადია?  
შემარჩევინე შესაფერი სამკაულები,  
რომ ღირსეულად ვიყო ხვალე.

ქნი კაპულეტო— არა, ხვალ არა,  
ხუთშაბათამდე კი ადრეა.

კაპულეტო— გაპყვეი, ძიძა,  
გაპყვეი, რადგან ჩვენ ტაძარში ხვალევე წავალთ  
(გადიან გამდელი და ჯულიეტა).

ქნი კაპულეტო—ვეღარ მოვასწრებთ სახვალიოდ ჩვენ მომხადებას,  
უკვე დამეა.

კაპულეტო— ჩემად იყავ, მე მოვაგვარებ.  
დამოჯერე, რომ ყველაფერი რიგზე იქნება.  
შენ ჯულიეტას მიეშველე, კარგად მოირთოს.  
არ დავიძინებ მე ამაღამ, მარტო დამტოვე,  
ღიასახლისი მე ვიქნები. ჰეი, არ გესმით?  
ყველა წაეიდა. არა უშავს, თვითონვე წავალ,  
გრაფს შევამზადებ სახვალიოდ. გული შევებას გრძნობს,  
რომ ეს თავნება ვოგო ბოლოს მოვიდა გონსა.

(გადიან).

ხუროთი III

ჯულიეტას ოთახი.

შემოდის ჯულიეტა და გამდელი.

ჯულიეტა—ეგ სამოსელი სჯობს სხვას ყველას, მაგრამ, გამდლო,  
გემუდარები, რომ ამაღამ მარტო დამტოვეო.  
ძინდა ვილოცო გულმზურვალედ და ვთხოვე ზეცას  
წყალობის თვალთ გადმომხედოს. შენც კარგად იცი,  
რომ ჩემი სული საესე არის მძიმე ცოდვებით.

(შემოდის ქნი კაპულეტო).

ქნი კაპულეტო—ამოირჩიეთ? დახმარება ხომ არ ვსურთ ჩემი?  
ჯულიეტა—არა, ბატონო, ყველაფერი ამოვარჩიეთ,  
რაც კი შეპფერის ხვალინდელ დღეს. ნება მიბოძეთ,  
მარტოკა დავარჩე. ძიძა თქვენთან იყოს ამაღამ.  
ამ აჩქარებით ბევრი საქმე შეხვდა თქვენს ხელებს.

ქნი კაპულეტო—მშვიდობის ღამე, ჯულიეტა! ახლა დაწევი.  
მეტე სიმშვიდე გჭირდება შენ.

(გადიან ქნი კაპულეტა და გამდელი).

ჯულიეტა—მშვიდობით იყავ!  
ეჰ, ღმერთმა იცის, კვლავ ერთმანეთს როდისღა ვნახავთ.

მე შიშის ცივი ერუანტელი მიეღოს ძარღვებში  
და ლამისაა გამეყინოს სიციცხლას სითბო.  
ისევე უკან გამოვიხშობ, რომ დამამშვიდონ.  
გამდლო, გესმის? თუმც რას ვიხშობ? რას  
მწუხარე სცენა მარტომ უნდა გავითამაშო.  
აი ეს შეშაც! რა იქნება, რომ ამ წამალმა  
არ იმოქმედოს? მაშინ ძალით გამათხოვებენ?  
ო, არა, მაშინ ეს დამიხსნის. შენ აქ იყავი

(დასდებს ხანჯალს).

ან საწამლავი ხომ არ არის? იქნება ბერმა  
გაიძვერულად შეამზადა, რომ მომაკვდინოს:  
ეს ჯვარისწერა იმისთვის ხომ შემბღალავია,  
რადგანაც აღრე რომეოსთან დამწერა ჯვარი.  
და თუმცა ვშიშობ, მაინც ვფიქრობ, ეს არ მოხდება,  
რადგან აქამდე ყველა იცნობს, როგორც წმინდა კაცს.  
ასეთი ფიქრი აღარ უნდა გავივლო გულში.  
მაგრამ ვაი თუ საფლავში მწოლს გამოძვლივინოს,  
ვიდრე რომეო მოვიდოდეს ჩემს წასაყვანად.  
ვაიმე, მაშინ აკლდამაში უნდა დავიხრჩვე.  
აკლდამა კია მოშხამელის პაერთ სუნთქავს,  
მეც მოშხამული უნდა მოვკვდე ან თუ არ მოვკვდი,  
ხომ სულერთია: ბნელი ღამე, შავი სიკვდილი  
ანუ ადგილის შემადრწენი საშინელება,  
სადაც მრავალი ასეული წლობით აქამდე  
ჩემთა წინაპართ ძვლები სულ იქ იმარხებოდა,  
სად ახლად მკვდარი, სისხლიანი ტიბალტის გვამი  
იხრწნება თავის სუდარაში, სადაც აჩრდილნი,  
როგორც ამბობენ, ღამღამობით განსაზღვრულ საათს  
ღაძრწიან თურმე. აჰ, ვაიმე, ხომ სულერთია:  
გამოღვიძებულს მანამ, ვიდრე რომეო მოვა,  
ჯოჯოხეთური გარემოცვა იმ აკლდამისა,  
იგი სიმყრალე, შემადრწენი კენესა-ღრიალი.  
როგორც მიწიდან ამოღებულ მანდრაგორის ხმა,  
რომელიც მოკვდავთ გააგიეებს, მე ჭკვიდან შემშლის.  
და შემდეგ უნდა, როგორც გიჟმა, მე გიჟურადა  
დავიწყო ჩემთა წინაპართა ძვლებით თამაში.  
ან სუდარიდან ამოვაგდო ტიბალტის გვამი.  
გაცოფებული მივარდე ჩემს წინაპრის ძვალსა  
და როგორც კეტი დავირტყა ამ განწირულს თავში.  
შეხედე, თითქოს ბიძაშვილის აჩრდილსა ვხედავ.  
რომეოს ეძებს, რომელმაც ის დაშნით განგმირა.  
შეჩერდი, ტიბალტ, ო, შეჩერდი! ჩემო რომეო,  
აჰა, მოვდივარ, სადღეგრძელოს ვსვამ ამით შენსას!

(დავარდება სწოლზე).

სურათი IV

დარბაზი კაპულეტების სახლში.



ერკონესული

შემოდს ქ-ნი კაპულეტი და გამდელ მამულში ჩივიან

ქ-ნი კაპულეტი—სანელებელი მოიტანე, პა გასაღები.

გამდელ—კომშსა და ხურძას თხოულობენ ნამცხვრებისათვის.

(შემოდის კაპულეტი).

კაპულეტი—აბა, ყოჩაღად, მარდად, აბა. მამალმა უკვე

ორჯერ იყილა. სამრეკლოზეც დარეკა სამი.

ჩემო კეთილო ანჯელიკა, სამხარეულს

მიხედე ერთი, არაფერი არ დაიშურონ.

გამდელ—რას დაფუსფუსებთ აქ ქალივით, წადით, დაწეით,

ძილს ნუ გაიტებთ, უქეიფოდ იქნებით ხვალე.

კაპულეტი—აჰ, სულაც არა. აქამლისაც მითხებია

ღამე ამაზე უმნიშვნელო საქმეებისთვის,

მაგრამ არასდროს არ გყოფილვარ უქეიფოდა.

ქ-ნი კაპულეტი—დიახ, მუსუსი ბრძანდებოდით თქვენ თავის დროზე,

ახლა კი მაგგვარ ღამისთვის ნებას არ მოგცემ.

(გაღონ ქ-ნი კაპულეტი და გამდელი).

კაპულეტი—აჰ, იქვი, იქვი!

(შემოდის სამი თუ ოთხი მსახური შამფურებით, შენით და კალათებით).

შენ, ძმობილო, ეგ რაღა მოგაქვს?

1 მსახური—ზნარეულისთვის მომაქვს რაღაც, თუმც რა, არ ვიცი.

კაპულეტი—მამშ, მარდად, მარდად! (გადის პირველი მსახური) სმელთ

შეშა გამოარჩიე.

პიეტროს ჰკითხე, ის გასწავლის, სად ალაგია.

მეორე მსახური—თავი მეცა მაქვს და იმითი თვით ვნახავ შეშას,

პიეტრო რისთვის შევაწუხო.

(გადის).

კაპულეტი— ჩინებულად სთქვა.

მამშ, ნაბუშარო, კუნძის თავი იქნები აწი.

ღმერთო მიშველე, პა, გათენდა! საცაა გრაფიც

მობრძანდება და მუსიკასაც მოიყვანს თანა,

ასე შეშპირდა. (ისმის მუსიკის ხმა) მუსმის კიდეც მე მუსიკის ხმა.

ძიძაე, მეუღლეე, ძიძაე-მეთქი! არ გეუბრება?

(შემოდის ძიძა).

წადი, ჯულიეტა გააღვიძე, ჩაცმა უშველე.

მე კი წაეალ და საუბარით შევიტყეე პარისს.

მამ ჩქარა, ჩქარა! სიძე კაცი უკვე მოვიდა.

აბა იჩქარე, გეუბნები!

(გაღონ).



## ხუ რ ა თ ი V

ჯულიეტას ოთახი.

შემოდის გამ დ ე ლ ი.


 ეროვნული  
 ბიბლიოთეკა

გამ დ ე ლ ი—გამოიღვიძე, ქალბატონო. არ გეყურება?  
 ჩქარა ადექი, ჯულიეტა, ჩემო ბატონო,  
 პატარა კრავო, სიყვარულო. უპ, ძილის გუდაც!  
 ადექი აბა, პატარძალო, შეყვარებულო!  
 ხმასაც არ იღებს. იქნებ ფიქრობ, მთელი კვირისთვის  
 გამოიძინო შენ ერთბაშად? მართლაც, მერწმუნე,  
 გრაფი პარისი მოსვენებას იმითი ნახავს,  
 რომ შენ როგორმე მან ამაღამ არ მოგასვენოს.  
 ღმერთო მიხსენი, როგორ ტკბილად დაუძინია!  
 მაგრამ ხომ უნდა გავადვიძო. ჰე, ქალბატონო!  
 გესმის თუ არა, ქალბატონო? ო, ქალბატონო!  
 გრაფი მოგისწრებს საწოლში და წამოგახტუნებს.  
 მაგრამ ეს რაა? ჩაუცვამს და კვლავ დაწოლილა.  
 უნდა როგორმე გავადვიძო. ჰე, ქალბატონო!  
 ო, ღმერთო ჩემო, მომეშველეთ, იგი მკვდარია!  
 ო, შავო ღღეო, ო, რად გაეჩნდი?! არაყი მასვით!  
 ჰოი, ბატონო, ქალბატონო, მომეშველენით!

(შემოდის ჭ-ნი კაპულეტა).

ჭ-ნი კაპულეტა—რა ამბავია, რა ხმაური?

გამ დ ე ლ ი— ო, წყველი დღე!

ჭ-ნი კაპულეტა—რაო, რა მოხდა?

გამ დ ე ლ ი—შეხეთ ერთი. ო, მიძიე დღეო!

ჭ-ნი კაპულეტა—გაიძე, შეილა, ერთადერთო სიცოცხლევ ჩემო!  
 ადექ, შემხედ. ან მოკვდები მეც შენთან ერთად.  
 მომეშველენით! დაუძახე, რომ მოგვეშველონ.

(შემოდის კაპულეტა).

კაპულეტა—გამოიყვანე ჯულიეტა. სირცხვილი არის:  
 შეუღლე უკვე მოსულია.

გამ დ ე ლ ი— იგი მკვდარია!  
 გარდაიცვალა, მოკვდა იგი, ო, ბედშავო დღევ!

ჭ-ნი კაპულეტა—ახლო მიმიშვით, შეზახედეთ. გაი ცივია!  
 არც სისხლი უჩქეტს და სახსრებიც გაშეშებია.  
 ბავთ გაცლიათ, დაუკარგავთ სიცოცხლის ნირი.  
 სიკვდილი ისე დასწოლია, ვით ტურფა ყვავილს,  
 მთელის მინდვრის თვალს ნაადრევი რთვილ დააზრობს.

გამ დ ე ლ ი—ო, ბედკრულო დღევ!

ჭ-ნი კაპულეტა— ო, მწუხარე, ვაების დროო!

კაპულეტა—სიკვდილი, რანაც ჩემს სასჯელად ქალი წამართვა  
 ენას მიბორკავს და სიტყვისაც არ მათქმევინებს.

(შემოდან ლორენცო, პარისი და მემუსიკენი).

ლორენცო—ეკლესიაში წასასვლელად მზადაა ქალი?

- კაპულეტ — დიახ, მზად გახლავთ წასასვლელად, მაგრამ უკანვე  
ვეღარაოდეს დაბრუნდება. ო, ჩემო შვილო,  
შენი ქორწილის წინა ღამით შენს მეუღლესთან  
სიკვდილი დაწვა. აბა ნახე, შენი ყვაილი  
უკვე დამკნარი, განგმირული სიკვდილის მიერ.  
სიკვდილი გახდა ჩემი სიძე, ჩემი მეგობარი;  
იგი ჩემს ქალთან დაქორწინდა. მე უნდა მოგვედო  
და ჩემს სიცოცხლეს, ჩემს ქონებას იმას ვუტოვებ.
- პარისი — როგორ ველოდი მე ამ დილის შეუქის დანახვას  
და ნაცვლად კია მან ასეთი სინათლე მომცა!
- ქანი — კაპულეტ — ო, დაწყველილო, უბედურო, საქულველო დღევ!  
ბოროტო წუთო, რომლის მსგავსი არც კი უნახავს  
დროს თავის ხანგრძლივ მგზავრობაში. ეს ერთი მყავდა,  
მხოლოდ ეს ერთი საყვარელი, საბრალო ბავშვი,  
გულის იმედი, მხოლოდ ერთი გამხარებელი  
და უღმობელმა სიკვდილმა ის მომტაცა თვალთგან.
- გამდელი — პოი, ვაებაე! აჰ, ვაიმე, წყევლო დღეო,  
ბოროტო დღეო, უბედურო, უღმობელო დღევ!  
რომლისა მსგავსი არ მინახავს მე არასოდეს!  
ო, დღეო, დღეო, დღევ წყევლო, საზარელო დღევ!  
ჯერ არასოდეს არ ყოფილა ასე შავი დღე!  
ბედკრულო დღეო, დაწყველილო, უღმობელო დღევ!
- პარისი — გაწბილებული, გაღანძვლი, თბოლი, მკვდარი!  
შენგან, სიკვდილო საზარელო, შენ გამაწბილე.  
შენგან წყევლო, შენ გამკიცხე, შენ დამდე მსჯავრი.  
ტრფობავ! სიცოცხლე! მკვდარო ტრფობავ, არა სიცოცხლე.
- კაპულეტ — შექულებული, წვალელებული, გაწამებული  
მკვდარი ვარ, მკვდარი! უბედურო დროვ, რად მოხვედი?  
რატომ მოგვიკალ სიხარული? ო, ჩემო ბავშვო!  
ბავშვო კი არა, ჩემო სულს. შენ ხომ მკვდარი ხარ!  
ვაი მკვდარია ჩემი ბავშვი და მასთან ერთად  
ჩემი ყოველი სიხარულიც დამარბულია.
- ლორენცო — გაჩუმდით, კმარა სირცხვილია. უნდა იცოდეთ,  
რომ დამწუხრებით მწუხარება არ იკურნება.  
ზეცას და თქვენცა, ორთავე გედოთ წილი ამ ქალში,  
ახლა მთლიანად წაიყვანა თავისთვის ზეცამ  
და ეს მით უფრო კარგი არის თვითონ ქალისთვის.  
ვერ დაიფარეთ სიკვდილისგან თქვენ თქვენი წილი,  
ზეცამ კი თვის წილს საუკუნო სიცოცხლე მისცა.  
მის ამალეება იყო თქვენი მუდმივი ნატვრა,  
ახლა კი, როცა ის ღრუბლებზე მალა აფრინდა  
და თვითონ ზეცას მიადწია, ახლა თქვენ სტირით.  
არ გყვარებიათ თქვენი ბავშვი, სიანს, ჰეშმარიტად,  
რადგან ხედავთ, რომ კარგად არის და ეს გავიყებთ.  
ის კი არ არის ქორწინების ბედნიერება,  
დიღბანს იცოცხლოს გათხოვილმა. უფრო კარგია,

რომ გათხოვილი ქორწილს შემდეგ ჩქარა მოკვდება.

ცრემლი შეიშრეთ. მშვენიერი ეგე სხეული  
შეამკეთ ახლავ ყვავილებით და, ვით წესია,  
საუკეთესო სამოსელში გამოწყობილი  
ეკლესიაში წაასვენეთ. თუმცა ბუნება  
ჩვენ გვაიძულებს, რომ ვიტიროთ, ესეც გახსოვდეთ,  
ბუნების ცრემლი გონებისთვის სიხარულია.



კ ა ზ უ ლ ე ტ ი — სულყველაფერი, ლხინისათვის რაც მოვამზადეთ  
ახლა დაკრძალვის მწუხარე დღეს უნდა მოხმარდეს.

მუსიკის ხმები სევდიანმა ხარმა შესცვალოს,  
ლალი ქორწილი გადაიქცეს მწუხარ ქელეხად,  
ტყბილი ჰიმნები ნაღვლიანმა მოთქმამ შესცვალოს  
და ამ ჯვარსაწერ გვირგვინითა საფლავი მოვართოთ.  
სხვამც ყველაფერმა შეიცვალოს დანიშნულება.

ლ ო რ ე ნ ც ო — წადით, ბატონო, ქალბატონო, თქვენაც წაბრძანდით,  
თქვენაც ჰარისო. სულყველანი მოემზადენით,  
და საფლავამდე გაჰყვეთ უნდა მშვენიერ ცხედარს.  
გაგრისზებიათ ზეცა მძიმე ცოდვებისათვის  
და მეტად ნუღარ არისხებთ მაგ უმადურებით.

(გადიან კაზლუტი, ჭნი კაზლუტი, პარისი და ლორენცი).

პ ი რ ვ ე ლ ი მ ე მ უ ს ი კ ე — როგორც სჩანს, უნდა ჩავლაგოთ ჩვენი  
სტვირები

და გზას გავუდგეთ.

გ ა მ დ ე ლ ი — ჩაალაგეთ და მალე წადით,  
მეგობრებო, ეს რა შეგვემთხვა!

(გადის).

პ ი რ ვ. მ ე მ უ ს ი კ ე — თავს გეფიცებით, შეიძლება რამეს გამოვრჩეთ.  
(შემოდის პიეტრო)

პ ი ე ტ რ ო — აბა, დამკვრელებო, „გამხნევედი გულო“ დაუქარით,  
„გამხნევედი გულო“.

თუ გინდათ, რომ ცოცხალი დაგრჩე და არ მოგკედე, „გამხნევედი  
გულო“ დაუქარით.

პ ი რ ვ. მ ე მ უ ს ი კ ე — მერე და, რატომ „გამხნევედი გულო“?

პ ი ე ტ რ ო — იმად, რომ ჩემი გული ისედაც მღერის „ჩემი გული მწუხარებას  
მოუცავს“. ო, დამკვრელებო, დაუქარით რამე მზიარული,  
გამამხნევით!

პ ი რ ვ. მ ე მ უ ს ი კ ე — არაფერსაც არ დაუქვრავთ, ახლა დაკვრის დრო  
არ არის.

პ ი ე ტ რ ო — მაშ, არ დაუქრავთ?

პ ი რ. მ ე მ უ ს ი კ ე — არა.

პ ი ე ტ რ ო — რაზან ეგრეა, მე თქვენ ჩავაცეცხლებთ.

პ ი რ ვ. მ ე მ უ ს ი კ ე — რა უნდა ჩავაცეცხო?

პ ი ე ტ რ ო — ფული არა, რა აქმა უნდა. მასხარებს დაგიძახებთ, თქვე ქუჩა-  
ქუჩა მოყაყანებო.

პ ი რ ვ. მ ე მ უ ს ი კ ე — მაშ შენც მონის ჯილაგისას გიწოდებთ.

პიეტრო—მაშინ მონის ჯილაგი ჩაცხებებს ხანჯალს მაგ ვოვრაში.  
თავი მომაბეზრეთ ერთი. ისე გი-მა-ებთ და ისე გი-რე-ებთ.  
უგასაღებოთ მიმიხვდით.

პირვ. მემუსიკე—თუ გვი-მა-ებთ და გვი-რე-ებთ, მაშინ ჩვენს ნოტე-  
ბით ვიპასუხებთ.

მორე მემუსიკე—უფრო კარგი იქნება შენი ხანჯალი ჩააგო და ჰკუა  
იხმარო.

პიეტრო — მაშ უფროხილდით ჩემს ჰკუას. ხანჯალს ჩაეაგებ, სამაგიეროდ  
კარგად მიგტყეპავთ ჩემი ფოლადის ჰკუით. თუ შეგიძლიათ  
მიპასუხეთ:

„როს მწუხარება გულის დარდს აშლის,  
როცა მოგვიცავს მკმუნვარე სევდა,  
ტკბილი მუსიკა ვერცხლის ხმით მაშინ...“

რატომ ვერცხლის ხმით? რატომ ტკბილი მუსიკა ვერცხლის  
ხმით მაშინ? აბა, რას მერტყვი შენ სიმონ ჭამანო?

პირვ. მემუსიკე—იმიტომ, ბატონო, რომ ვერცხლს ტკბილი ხმა აქვს.

პიეტრო — ძალიან კარგი, შენ რაღას იტყვი, ჰუგო სტვირო?

მორე მემუსიკე—მე კი ვფიქრობ, ვერცხლის ხმით იმიტომ, რომ  
მემუსიკეები ვერცხლისთვის უკრავენ.

პიეტრო — ეგეც ჩინებულია. შენ კი რას მერტყვი, ჯემს?

მესამე მემუსიკე—მართალი ვითხრა, არ ვიცი, რა უნდა ვთქვა.

პიეტრო — ა, მომიტევე, შენ ხომ მომღერალი ხარ. მაშ, გეტყვი:

„ტკბილი მუსიკა ვერცხლის ხმით მაშინ“ იმიტომაც, რომ  
თქვენისთანა ყმაწვილებს ძალიან იშვიათად აქვთ ოქრო  
საჩხრიალებლად.

„ტკბილი მუსიკა ვერცხლის ხმით მაშინ  
თავს გვაგრძობინებს ისევე მხნედა.“

(გადის).

პირვ. მემუსიკე—ეს გესლიანი არამზადაა!

მორე მემუსიკე—ჯიანდაბას მაგისი თავა, ჯაკომო სახლში შევი-  
დეთ, ჭირისუფლებს მოვუცადოთ და სადილად დავრჩეთ.

(გადიან).

მოკმედეგა მახუთი

სურათი I

მანტუა, ქუჩა.

შემოდის რომეო.

რომეო — ძილის მლიქვნელ თვალს თუ ვერწმუნე, მაშინ სულ მალე  
მე სიზმრეული წინათგრძობა სიხარულს მითხრობს.  
გული, მკედრისა შბრძანებელი, შვებით ზის ტახტზე  
და მთელი დღეს უჩვეულო, უცნობი სული  
ცაში დამაფრენს მხიარულის ტკბილის ფიჭრებით.  
მესიზმრა თითქოს ჩემმა სატრფომ მნაზა მე მკვდარი.

რა უცნაური სიზმარია? მკვდარს ფიქრებს აძლევს, —  
ტუჩებში კოცნით მან სიციცხლე შთამბერა თითქოს  
და მეც ვავცოცხლდი, შევიქენი იმპერატორი.  
რაოდენ ტკბილი უნდა იყოს თვით სიყვარული,  
როს ჩრდილიც მისი განუზომელს შეებას გვანიჭებს.



(შემოდის ბალთაზარი).

აჰა, ამბავიც ვერონადანს რაო, ბალთაზარ?  
წერილი მოგაქვს ბერისაგან? ჩემი მეუღლე  
როგორა ცხოვრობს? მამაჩემი ხომ კარგადაა?  
როგორდა არის ჯულიეტა? კვლავ გკითხავ, რადგან  
ის თუა კარგად, არაფერი იქნება ცუდად.

ბალთაზარი — ის კარგადაა და მაშე ცუდიც არაფერია:

კახულეტების აკლდამაში სძინავს მის სხეულს,  
უკვდავი სული კი დაფრინავს ანგელოზებთან.  
საგვარეულო აკლდამაში როგორ დაკრძალეს,  
მე თვითონ ვნახე და მყისავე გამოვეშურე,  
თქვენთვის მემამნა. მომიტყევთ ცუდ ამბავს გითხრობთ,  
აკი თქვენ თვითონ დამაკისრეთ ეს საშასტური.

რომეო — უ თუ მაგრეა? აღარ მჯერა, ვარსვლავნო, თქვენი.

სად ვცხოვრობ, იცი: მიიტანე ჭაღალდ-მელანი,  
დამიჭირავე თან ცხენებიც, — ამაღამ გავსწიე.

ბალთაზარი — ვთხოვთ, მოთმინება იქონიოთ, ბატონო ჩემო:

სულმთლად გაფითრდით და თვალებიც არეული გაქვთ.  
ეს კი რაღაც ცუდს მოასწავებს.

რომეო — შენ გჩვენება.

მარტო დამტოვე, რაც ვიბრძანე, ის გააკეთე!  
ნუთუ ბერს ჩემთვის წერილი არ მოუწერია?

ბალთაზარი — არა, ბატონო.

რომეო — არა უშავს. ახლა წადი და  
დაიჭირავე შენ ცხენები. მეც მალე მოვალ.

(გადას ბალთაზარი).

ო, ჯულიეტა, ამაღამვე დაწვეები შენთან.  
ჯერ მოვიფიქრო რანაირად. ავო განზრახვევ,  
განწირულ კაცთა ფიქრში როგორ ჩქარა გაიზღებდი  
მე ექიმბაში მოზავონდა, სადღაც აქ ცხოვრობს.  
ცოტა ხნის წინათ დავინახე წარბშეკმუხენილი,  
დაკონილ ჩერებში გახვეული ბალახს არჩევდა.  
გამხდარი არის შესაბრალოდ, მკაცრ სიღატაკეს  
გადუქციეია ის ძვალ-ტყავად. თავის საბრალო  
დუქნის კედლებზე დაეკიდა კუს და ნიანგის  
ფიტულები და საზარელი ქეცედი თევზის.  
თაროებზე კი გლახაკურად მას ცარიელი  
ყუთები ეწყო, თან შუშები, მწვანე ჭოთნები.  
იქვე მარცვლებიც დაეყარა ობმოდებული,  
პურის გამხმარი ნამცეცები, რაღაც ძაფები.



ყველაფერი ეს გამოეწყო, რომ დაენახათ.  
 რაწაძს ვიხილე სიღატაკე მე ასეთგვარი,  
 ვთქვი, „კაცსა ვინმეს საწამლაეი თუ მოუნდება,  
 რის გაყიდვისთვის მანტუაში სიკვდილით სჯიან,  
 ეს შესაბრალო მათხოვარი უთუოდ მისცემს“.  
 სჩანს, გულმა მიგრძნო საწამლაეი დამყირდებოდა.  
 მომყიდის კიდევ ეს ღატაკი. თუ კი არ ვცდები,  
 ეს სახლი უნდა იყოს მისი. დღეს უქმე დღეა,  
 მისი ღუქანიც დაკეტილი იქნება. ჰეი,  
 ჰე, ექიმბაშო!

(შემოდის ექიმბაშო).

ექიმბაშო— ვინ მეძახის ასე ხმაშაღლა?  
 რომეო—აქ მოდი, ჩემთან. მე ვხედავ, რომ შენ ღარიბი ხარ.

ჰა, გამომართვი აქ რომოცი დუკატი არის.  
 უნდა მომყილო საწამლაეი სწრაფადმოქმედი,  
 ისეთი, რაიც მაშინათვე ძარღვებს დაივლის  
 და კაცს, სიცოცხლე-მოძღვლებულს სიკვდილს მოუტანს.  
 თან სხეულს უნდა ისე სწრაფად გაშორდეს სუნთქვა,  
 რა სისწრაფითაც ზარბაზნის ტუჩს საბედისწეროს  
 გაცაშორდება მარდი ტყვია ცეცხლმოდებული.

ექიმბაშო—ასეთი შხამი კი მაქვს, მაგრამ ჩვენი კანონი  
 სიკვდილითა სჯის მის გამყიდველს.

რომეო— ნუთუ სიკვდილის  
 გეშინია შენ, ასეთ ღატაკს, ასეთ გაჭუტულს?  
 შიმშილი ბუღობს შენს ღაწვებში და თვალებს შენსას  
 სიცოცხლეს ართმევს გაჭირვება და სიღარიბე.  
 ზურგით ატარებ დამყირებას მათხოვრობისას,  
 ქვეყანაცა და კანონებიც მისი შენ გმტრობენ.  
 ქვეყანა არ ჰქმნის ისეთ კანონს, რომ შენ გამდიდრდე.  
 მაშ დაგმე მისი კანონები— ღარიბი ნუ ხარ.

ჰა, გამომართვი!

ექიმბაშო—სიღარიბე მზდის მე თანახმას,  
 არა სურვილი.

რომეო—თუ მასეა მეც სიღარიბეს  
 გადაეუხდი და არა სურვილს.

ექიმბაშო— აი გახსენი  
 რამე სითხეში ეს შხამი და ისე დალიე:  
 თუნდ ოცი კაცის ძალა გქონდეს, იმწუთში მოგკლავს.

რომეო—ჰა, შენი ოქრო: უფრო შხამავს იგი კაცის სულს  
 და უფრო მეტს კლავს ამ საზიზღარ წუთისოფელში,  
 ვიდრე ეს შხამი, რის გაყიდვას შენ გიკრძალავენ.  
 ეს მე მოგყიდე საწამლაეი და არა შენა.  
 მშვიდობით! საჭმელს იყიდი და მით გასუქდები.  
 წამო, ბალზამო, საწამლაეი როდი ხარ, წამო!  
 იქ, ჯულიეტას აკლდამაში უნდა დაგცალო.

(გადიან).

## ხუროთი II

ბერ ლორენცოს სენაი.

შემოდის ბერი ჯიოვანი.


 თბილისში  
 გიგლიძის გამოსცემს

ბერი ჯიოვანი — ფრანცისკანელო წმინდა მამავ! ძმაო, არ გესმას?  
 (შემოდის ლორენცი)

ლორენცი — ძმა ჯიოვანის ხმას ჰგავს ესა. მშვიდობის მოსვლა  
 რა დაგაბარა. შენ რომეომ? ან წერილობით  
 თუ მაცნობა მე თვის ამბავი, წერილი მომე?

ბერი ჯიოვანი — ჩვენიე ორდენის ფეხშიშველა ძმის სანახავად  
 ვავსწიე ჯერე, მსურდა ისიც თან ვამყოლოდა.  
 სნეულთ უფლიდა ჩვენს ქალაქში მაშინ იგი ძმა.  
 მაგრამ როს ვნახე, დაგვაკავა ქალაქის მცველმა,  
 კიშკარი ბეჭდით დაგვიბეჭდა და არ გავციშვია,  
 ეგონა, თითქოს ორივე ჩვენ იქ ვყოფილიყოთ,  
 სადაც მძვინვარებს შავი ჭირი. და მანტუისკენ  
 ჩემი საჩქაროდ გამგზავრება მან დააყოვნა.

ლორენცი — ჩემი წერილი რომეოსთან ვიღამ წაიღო?

ბერი ჯიოვანი — ისეთნაირად ეშინოდათ იმ სნეულების,  
 ვერ მოვახერხე გამეგზავნა, — აი აქა მაქვს.  
 ვერც ვინმე ვნახე, ისევე შენთან რომ მოეტანა.

ლორენცი — ოჰ, უბედობავე, გეფიცები ჩვენს წმინდა ძმობას,  
 რომ უმნიშვნელო როდი იყო იგი წერალი:  
 მეტად საჭირო საქმეს ვწერდი, და შეიძლება  
 უბედურება რამე მოჰყვეს რომ ვერ მიიღო.  
 ძმაო ჯიოვან, ძალაყინი მოსძებნე სადმე  
 და ჩემს სენაქში მოიტანე.

ბერი ჯიოვანი — ახლავე, ძმაო.

(გადის).

ლორენცი — ახლა კი უნდა აკლდამაში ვავსწიო მარტომ.  
 სამ საათს შემდეგ ჯულიეტა გამოიღვიძებს.

როგორ დამწყველის, რომ რომეოს ეგე ამბავი  
 ვერ მივაწვდინე. ისევე დავწერ და გავუგზავნი.  
 ვიდრე რომეო მოვიდოდეს, ჯულიეტას ჩემთან  
 დავაცდევინებ. ო, საბრალო ცოცხალი გვამო,  
 გამომწყვდეული მკვლრებთან ერთად აკლდამაში  
 (გადის).

## ხუროთი III

სასაფლაო. იქვეა კაპულეტების აკლდამა.

შემოდის პარისი და მისი ფარეშა ყვავილებით და ჩირალდნით.

პარისი — ეგ ჩირალდანი აქ მომეცი, შენ გამეცალე  
 და მოშორებით ლადექ სადმე. თუმცა ჩააქრე,  
 არ მინდა ვინმემ დამინახოს. წა, ურთხმელის ქვეშ  
 დაწექ და ყურით გულბშიერად გაეკარ მიწას:

სულ უმნიშვნელო მოძრაობაც ვისიმე ფეხის  
ამ ახალ გათხრილ საფლავეებს ფხვიერ მიწაზე  
შეუძინეველი არ დაგრჩება, ყველას გაიგებ.  
თუ კი შენიშნო ვინმე ახლოს, სტვენით მანიშნე.  
ეგ ყვავილები მე მომეცი. ახლა წადი და  
ისე მოიქეც, როგორც გითხარი!



ფარეში—(თავისთვის) უნდა გამოვტყდე,  
სასაფლაოზე მეშინია მარტო დარჩენა,  
მაგრამ რას იზამ. ეჰ, გავბედავ!

ღ. (გადის)

პარისი— ტებილო ყვავილო!  
ყვავილებით ერთავ საქორწინო სარეცელს შენსას  
(აყრის ყვავილს).

ჰოი, ვაგლახ მე! გავალაკად ქვა და მიწა მაქვს,  
რომელთაც ღამით მოვაკურებ სუნელოვან წყალს,  
ან წყლით თუ არა, მაშინ მოერწყავ მდუღარე ცრემლით.  
საბოლოო ვალს შენს წინაშე იმით მოვიხდი,  
რომ ღამ-ღამობით ყვავილებსა და ცრემლს დაგაფრქვევ.

(ისმის სტვენის ხმა).

ბიჭი მათრახილებს, ალბათ, ვიღაც მოდის აქეთკენ.  
ვისი წყეული ფეხი დაძრწის ამ შუალამით  
და მადრკოლებს, რომ შევასრულო დაკრძალვის წესი!  
ჩირაღდანიტ მოდის. ო, ცოტახნით დამშალე ღამევე!

(მიეფარება).

(შემოდის რომეო და ბალთაზარი ჩირაღდნით, ძალაყინითა და წერაქვით).

რომეო—ეგ ძალაყინი და წერაქვი აქ მომაწოდე.  
აჰა, წერილი, გამომართვი. ხეღ ღილით ადრე  
მამაჩემს ნახავ და გადასცემ. ღამპარიც მომე-  
ახლა მისმინე: თავი თუ არ მოგბეზრებია,  
აქ რაც არ უნდა დაინახო ან გაიგონო,  
შენთვის იდექი მოშორებით და ჩემს საქმეში  
ხელს ნუ შემიშლი. ამ საფლავეში მისთვის ჩავდივარ,  
ერთი—რომ ვნახო ჩემი ცოლი უკანასკნელად  
და უფრო მისთვის, რომ ძვირფასი ბეჭედი იმას  
ავადრო თითზე; ის ბეჭედი ძლიერ მჭირდება.  
მაშ ახლა წადი, გამეცალე. მაგრამ იცოდე,  
თუ დაბრუნდები შესახედად, მე რას ვაკეთებ,  
ზეცასა ვფიცავ, ასო-ასოდ აგკუწავ მაშინ  
და მიმოგაბნევ აქ, ამ მშვიერ სასაფლაოზე.  
მეცა და ღამეც ერთგვარად ვართ გააფთრებული  
და უფრო შეტად ულმობელი და დაუნდობი,  
ვიდრე მშვიერი ველხვი ან ზღვა განრისხებული.

ბალთაზარი—ახლავე წავალ, ბატონო, ხელს არ შეგიშლით.

რომეო—მაგით ჭეშმარიტ მეგობრობას გამიწევ შენა.

აჰა, აიღე, იცოცხლე და იბედნიერე!



ახლა მშვიდობათ, მეგობარო!

**ბ ა ლ თ ა ზ ა რ ი**—(თავისთვის) სწორედ მაგიტომ  
დავიმალეები აქვე ახლოს. მე მაშინებენ  
მისი თვალეები და განზრახეაც მაფიქრებს დიდად.  
(მიფიქრება).



**რო მეო**—წყვეულო ხახავ, შესაზარო სიკვდილის საშოვ,  
ვინაც უტკბესი კერძი შთანთქმე მთელი ქვეყნისა,  
აჰა, მოვედი, რომ გაგიხსნა დამპალი ყბები  
(ხსნის საფლავს).

და კიდევ ერთი ლუკმა ზიზლით გადაგაყლაპო.  
**პ ა რ ი ს ი**—ეს ხომ ყოყონი მონტეგია, გაძევებულნი  
ჩემი საცოლის ბიძაშვილის მკვლელობისათვის.  
ახლა მოსულა იმისთვის, რომ მკვდრები შებღალოს.

მაგრამ შევიპყრობ.— შეაჩერე ეგ ბილწი საქმე!  
გესმის, მონტეგო, არამზადავ! შურისძიება  
ნუთუ სიკვდილზე მეტს მოითხოვს? დამნებდი, ბილწო,  
დამმორჩილდი და გამომყვევი შენ უნდა მოკვდე.

**რო მეო**—ჰო, უნდა მოკვდე, აქაც სწორედ მისთვის მოვედი.

კეთილო ყრმაო, განწირულ კაცს ნუღარ აცთუნებ,  
ჩქარა გამშორდი, გამეცალე! ამ მკვდრებს შეხედე,  
იქნება მაგათ შეგაშინონ. გემუღარები,  
ნუ გამაცოფებ, ახალ ცოდვით ნუ დამამძიმებ.

ო, გამეცალე! ზეცას ვფიცავ, საკუთარ თავზე  
მეტად მიყვარხარ: ავი აქა მე იარალით  
ჩემივე თავის წინააღმდეგ მოველ, მერწმუნე.  
მამ ნუღარ დგეხარ, გამეცალე, წადი, იცოცხლე  
და სთქვი, რომ გიხსნა შმაგი კაცის გულკეთილობამ.

**პ ა რ ი ს ი**—მე მძაგს ეგ შენი ჯადოქრობა! ბოროტმოქმედო  
ახლავ გაკავებ!

**რო მეო**— ჩხუბში მიწვევ? მამ ფრთხილად იყავ.  
(იბრძვიან).

**ფ ა რ ე შ ი**—ღმერთო, ჩხუბობენი გაეიქცევი, მცველს დაეუძახებ.  
(ვადის პარისი დაფარდება).

**პ ა რ ი ს ი**—ვაიმე, მოვეკვდი თუკი მართლა გულკეთილი ხარ  
აქლდამა გახსენ, ჯულიეტას გვერდით დამმარხე.

**რო მეო**—კარგი, დაგმარხავ. აბა, სახეს დაგხედო ერთი.  
გრაფი პარისი, ნათესავი მერკუციოსი.

ჩემმა მსახურმა ნეტავი რა მითხრა მე გზაში,  
ყურს ვერ ვუგდებდი, სული მაშინ ისე მიშფოთდა.  
მგონია მითხრა, რომ პარისსა ჯულიეტასთან  
დაეწერათ ჯვარი უნდა. ნუთუ, ესე სთქვა?  
თუ დამესიზმრა? თუ გავგიჟდი? რაკი საერთოდ  
ლაპარაკობდა ჯულიეტაზე, იქნებ მეჩვენა,  
რომ ასე მითხრა. ო, ძმობილო, მომეცი ხელი,  
ბედის მწუხარე წიგნში თურმე ერთად ვწერიავართ.  
ახლავ დაგმარხავ დიდებულსა საფლავში შენა.

საფლავში? არა, მე დაგმარხავ სხივმოსილ კოშკში.  
განგმირულო ყრმავ, ჯულიეტა არის ხომ აქა  
და მის მშვენიება აკლდამას ხდის განსხივოსნებულ  
ლხინის დარბაზად. დაწექ, მკვდარო, მკვდრისგან მკვდელად.

(ჩააწვენს პარისს საფლავში).

ხშირად მოხდება, რომ მომაკვდავს სიკვდილის წუთში  
მოიკავს ხოლმე სიხარული, ამას მომვლელნი  
სიკვდილისწინა გაელვებას არქმევენ თურმე.  
შემიძლია კი გაელვება ვუწოდო ამას?  
ო, ჩემო ტკბილო სიყვარულო, ჩემო მეუღლე!  
თუმცა სიკვდილმა გამოგწოვა შენ თაფლის სუნთქვა  
შენს მშვენიებაზე ძალა ჯერაც ვერ უხმარია.  
ვერ დაუბყრიხარ. ბაგეებსა და დაწვებს უნასას  
ისევ ამშვენიებთ ვარდისფერი. სიკვდილა იქ ჯერაც  
არ აღუმართავს ფერმიხდილი ალაში თვისი.  
ამ სისხლით მოსვრილ სუღარაში ეს შენ ხარ, ტიბალტ?  
რა შემიძლია გაგიკეთო, მე უკეთესი,  
ვიდრე ამ ხელით, რამაც შენი ნორჩი სიცოცხლე  
გადასჭრა ძირში, — ახლა შენს მტერს მოვუღო ბოლო.  
ო, მომიტევე, ბიძაშვილო! ტკბილო ჯულიეტა,  
რატომ ხარ ისევ მშვენიერი? თუ დავიჯერო,  
რომ შეგიყვარა უსხეულო სიკვდილმა შენა  
და რომ ამ ბნელში აჩონჩხილი საშინელება  
მისთვის გამყოფებს, შენ იმისი მიჯნური იყო?  
მეც მაგის შიშით აქ დაერჩები და ამ სასახლეს  
ქუფრი ღამისას აღარასდროს არ გავშორდები.  
აქ, აქ ვიქნები მატლებთან, შენს მოახლეებთან,  
სამარადისო განსვენებას აქ დავიმკვიდრებ  
და ქვეყნის ტანჯვით დაქანცული სხეულისაგან  
ბოროტ ვარსკვლავის მიერ დადგმულ უღელს მოვიხსნი.  
თვალნო შეხედეთ — კვლავ სინათლეს ველარ იხილავთ.  
მკლავნო იგემეთ თქვენ მოხვევინა უკანასკნელი,  
და თქვენც, ტურნებო, სუნთქვის კარნო, კოცნით აღბეჭდეთ  
ჩემი უვადო შეთანხმება ხარბ სიკვდილთანა.  
მაშ, მოდი, ჩემო გესლიანო გამცილებელო,  
მწარე მეგზურო, უსასოო მესაჭევე, მოდი  
და ქარიშხლებით მოქანცული ნავი ახლავე  
სალსა კლდეებსა მიაჩარცხე. შენთვის ველი, სატრფოვ.

(სვამს).

მართლაც სწრაფია, ეჭიმიბაში, შენი წამალი.  
ჩემო ტრფიალო, გაკოცებ და ისე მოვკვდები.

(კვდება)

(სასაფლაოს მეორე მხრიდან შემოდის ბერი ლორენცო ფარნო, ძალაყინით  
და ბარით)

ლორენცო—წმინდა ფრანცისკო, შენ მიხსენი! ეს მერამდევად  
წავიბორძიე მე ამაღამ საფლავის ქვებზე  
ჩემის უძღურის ფეხებითა. ვინ არის მანდა?

ბალთაზარი—მეგობარია, რომელიც თქვენ კარგად მცნობდა.

ლორენცო—ღმერთმა დაგლოცოს! ერთი მითხარ, ჩემო მსოფლიო,  
რა ლანძარია, ასე უქმად რომ აბნევს ნათელს  
იმ წლებში და თვალუბდათხრილ თავის ქალებში?  
მგონი, კაპულეტთ აკლდამიდან ანათებს იგი.

ბალთაზარი—დიახ, მამო, იქვე არის ჩემი ბატონიც,  
რომელიც ძლიერ გიყვართ თქვენა.

ლორენცო— ვინა?

ბალთაზარი— რომეო.

ლორენცო—დიდიხანია, რაც იქ არის?

ბალთაზარი— კო, ნახევარი

საათი უკვე.

ლორენცო—გამომევე შენც აკლდამისკენ.

ბალთაზარი—ბატონო ჩემო, ვერ გაგებდავ: ჩემი ბატონი  
სიკვდილის შიშით დამემუქრა, თუ დავრჩები და  
შეგხედავ იმის მოქმედებას, შე იმას უკვე  
აქ არ ვგონივარ.

ლორენცო— მაშინ დარჩი, მარტოკა წავალ.

მე შიში მიპყრობს, უბედური რამე არ მოხდეს.

ბალთაზარი—ვიდრე ურთხმელის ქვეშ მეძინა, სიზმარი ვნახე,  
თითქო ბატონი ვიღაც კაცთან იბრძოდა აქა  
და მერე ჩემმა ბატონმა ის ვიღაცა მოჰკლა.

ლორენცო—(მივა აკლდამასთან) რომეო! ვაი, რა სისხლია აკლდამის  
კართან?

ან უბატონო სისხლიანი ხმლები რას ნიშნავს

აქ, ამ მყუდრო და მშვიდ ადგილას?

(შევა აკლდამაში)

პეი, რომეო!

გაფითრებულა. ეს ვინლაა? როგორ, პარისიც!

სისხლში მოსვრილი სულმთლიანად. რა უკუღმართმა

საათმა ჩვენა მოგვივლინა ეს მწუხარება?

აჰა, იღვიძებს. ჯუღიეტა.

(ჯუღიეტა გაიღვიძებს)

ჯუღიეტა—

ჩემო მოძღვარო,

მითხარ, სად არის ჩემი ქმარი? მე კარგად მახსოვს

ახლა სად უნდა ვყოფილიყავ, — იქა ვარ კიდევ.

ჩემი რომეო სადღა არის?

ლორენცო

ხმაური მესმის.

ჩქარა მოშორდი, ქალბატონო ამ მუღმივ ძილის,

სიკვდილისა და სნეების ბუღეს. შენარმა ძალამ,

რომელსაც წინ ვერ აღვუდგებით, ჩვენი განზრახვა

სულმთლად ჩაშალა. ახლა წამო, მე გამომეყვი.

შენი მეუღლე აქ წევს მკვდარი, თანაც პარისი.

შენ წმინდა დების მონასტერში წაგიყვან ახლა.  
ნულარას მკითხავ, მცველი მოდის. კარგო ჯულიეტა,  
წამო, წავიდეთ. დაყოვნება მე აღარ ძალშიძს.



(გადის)

ჯულიეტა—შენ თვითონ წადი, მე აქედან აღარ მივდივარ.

მაგრამ ეს რაა? ჰიქა ჩემი ტრფიალის ხელში.  
მამ საწამლაემა მოუღო მას უდროოდ ბოლო?  
ხარბო, სულ შესვი? მე კი წვეთიც არ დამიტოვე,  
რომ მას დავეხსენ. დაგიყოცნი ახლა მაგ ტუჩებს,  
იქნება ბედზე საწამლაევი აქვთ შერჩენილი  
და ის მომაკვდენს. (კოცნის) ო, თბილია შენი ტუჩები.

პირველი დარაჯი—(შვიგნიდან) გაგვიძებს, ბიჭო, რომელი გზით უნდა  
წავიდით?

ჯულიეტა—ხმაური მესმის, მამ ვიჩქარებ. ხანჯალიც ბედზე.

(ამოიღებს რომოს ხანჯალს)

ჰა, შენი ბუდე, მომკალ, შენ კი აქ მოისვენე.

(ხანჯალს დაირტყამს და თავს მოიკლავს)  
(შემოდის დარაჯი და პარისის ფარეში)

ფარეში—აი სადაც ის ჩირალდანი ანათებს, იქა.

პირველი დარაჯი—მიწა სულ სისხლით მოსვრილია. ახლავე წადით,  
კარგად დაძებნეთ; ვინც კი შეგვხვდეთ სასაფლაოზე,  
ყველა შეიპყართ.

(გადის რამდენიმე დარაჯი)

საზარელი სანახავია.

აქ გრაფი გდია განგმირული. ჰა, ჯულიეტაც.  
ორი დღის წინათ დაკრძალულსა ახლა სდის სისხლი  
და თბილიც არის, ვით ახალი მიცვალებული.  
წადით ახლავე, პრინცს აცნობეთ. კაპულეტებსაც  
შეატყობინეთ. მონტეგები გამოადვიძეთ.  
ზოგი აქ დარჩეს, აქ ეძიეთ: ჩვენ ვხედავთ მხოლოდ  
ნიადაგს, სადაც ეს ბედკრული ამბავი მოხდა,  
მაგრამ თუ კარგად არ გავიგეთ ჩვენ ყველაფერი,  
რა ნიადაგზე მოხდა იგი, ვერ გამოვარკვევთ.

(შემოდის მეორე დარაჯი და შემოჰყავს ბალთაზარი)

მეორე დარაჯი—გი მსახური რომეოსი. ეზოში ვნახეთ.

პირვ. დარაჯი—პრინცის მოსვლამდე აქა გყავდეთ, თვალი გეპიროთ.

(შემოდის სხვა დარაჯი და შემოჰყავს ბერი ლორენცი)

მესამე დარაჯი—ბერი შევიპყარ. სულ კანკალეებს, ოხრავეს და ტირის,  
ეს ძალაყინი და ნიჩაბიც ამას წაფართვით,  
სასაფლაოდან მიდიოდა და თან მიჰქონდა.

პირვ. დარაჯი—საეჭვო არის მეტისმეტად. ბერიც აქ გყავდეთ.

(შემოდის პრინცი ამალით)

პრინცი—რა უბედური შემთხვევაა ამ აღრიანად,  
დილის ძილსა და მოსვენებას რომ გვიფრთხოვს ჩვენა?

(შემოდან მოხუცი კაპულეტი, ჭანი კაპულეტი და სხვები)

- კ ა პ უ ლ ე ტ ი — ნეტა რას ნიშნავს ეს ყვირილი და ხმაურობა?  
ქ-ნი კ ა პ უ ლ ე ტ ი — ხალხი ქუჩაში გაიძახის — „რომეო“, „პარუსი“.
- ზოგიც „ჯულიეტას“ იძახის და ყველანი ერთად  
წივილ-კივილით გამორბიან ჩვენს აკლამისკენ. ერკონუნული  
გეილანკონუსი
- პ რ ი ნ ც ი — გამაგებინეთ, ეს რა ელდა გვიშფოთებს სმენას?  
პ ი რ ვ. დ ა რ ა ჯ ი — ჩვენო ხელმწიფევ, განგმირული პარისი აქ წევს,  
თანაც რომეო მკვდარი არის და ჯულიეტაც,  
წინათ მიცვლილი, თბილია და ახლად მოკლული.
- პ რ ი ნ ც ი — გამოარკვიეთ, ამ საშინელი ელეტის მიზეზი!  
პ ი რ ვ. დ ა რ ა ჯ ი — აქ ბერი არის და მსახური მკვდარი რომეოსი,  
საფლავის ქვების ასაგდება იარაღები  
აღმოაჩნდათ თან.
- კ ა პ უ ლ ე ტ ი — ო, ზეცაო! თი მეუღლევ!  
შეხედე ერთი, ჩვენს ქალიშვილს სისხლი როგორ სდის.  
მახვილს შეშლია თვის სამყოფი, აბა შეხედე,  
ქარქაშის ნაცვლად ჩვენი ქალის გული უნახავს  
და ცარიელი ქარქაში კი მონტეგეს ჰკიდია.
- ქ-ნი კ ა პ უ ლ ე ტ ი — ვაი, სიკვდილის საშინელი სანახაობა,  
ვით გლოვის ზარი, მე მაუწყებს საფლავში ჩასვლას.  
(შემოდიან მონტეგე და სხვები)
- პ რ ი ნ ც ი — მოდი, მონტეგო, დღეს შენ ადრე ამდგარხარ ზეზე,  
რომ დაგენახა შენი ვაჟი, შენი მემკვიდრე,  
თუ როგორ დაწვა უფრო ადრე.
- მონტეგე ი — ჩემო ხელმწიფევ,  
ჩემი მეუღლე წუხელ მოკვდა: შვილის განდევნის  
მწუხარე სევდამ შეაჩერა იმისი სუნთქვა.  
კიდევ რა ელდა ემუქრება სიბერეს ჩემსას?  
პ რ ი ნ ც ი — შეხედე ერთი, თვითონ ნახავ.
- მონტეგე ი — ო, გაუზრდელო,  
მამაზე ადრე საფლავს ჩასვლა რა ზრდილობაა!
- პ რ ი ნ ც ი — საყვედურისთვის შენ ცოტა ხნით იყუჩე ახლა,  
ვიდრემდის კარგად გაეარკვევდეთ ამ ბნელ საქმეებს  
და მივაგნებდეთ მის სათავეს, მის მდინარებას.  
შემდეგ კი თვითონ მევე განვსჯი თქვენს მწუხარებას  
და სიკვდილითაც არ დაგზოგავთ. მანამ დაჩუმდით  
და მოთმინებას დაუშონეთ ნაღველი თქვენი.  
საეჭვო პირნი აქ მომგვარეთ!
- ლორენცო — მთავარი მე ვარ,  
თუმცა ყველაზე ნაკლებ ძალშია ავის ჩადენა.  
დროც და ადგილიც მერყველებენ ჩემს წინააღმდეგ  
ამ შემაზრუნესა მკვლელობაში. მეც თქვენს წინ ვდგეგვარ  
გასამტყუნებლად ჩემივ თავის და მოსარჩლედაც  
მსჯავრდასადებად და ამასთან შესაწყალებლად.
- პ რ ი ნ ც ი — მამ ჩქარა გვითხარ, რაც კი იცი.  
ლორენცო — მოკლედ გიამბობთ,  
რაღვან ხანმოკლე სუნთქვა ჩემი ადარც კი არი

იმდენად გრძელი, რომ მომქანცველ ამბისთვის მეყოს.  
 მკვდარი რომეო ქმარი იყო ჯულიეტასი.  
 და ჯულიეტა იმ რომეოს ერთგული ცოლი.  
 ისინი თვით მე შევეუღლე, ხოლო იმათი  
 ქორწინების დღე ტიბალტისთვის შავი დღე გახდა,  
 რომლის მოკვლისთვის გააძევეს ყმაწვილი ქმარი.  
 ამას გლოვობდა ჯულიეტა და არა ტიბალტს.  
 თქვენ რომ შეილისთვის შემოგახსნათ ნაღველის ალყა,  
 იგი დანიშნეთ, მითხოვება გსურდათ ძალათი  
 გრადე პარისისთვის. ჯულიეტა ჩემთან მოვარდა  
 გაშმაგებული. შემთხოვდა, რომ მერჩია რამე,  
 რითაც მეორე ქორწინებას ავაშორებდი.  
 თან მაშინებდა თავის მოკვლით იქვე, სენაკში.  
 მეც ჩემი ცოდნის ხელოვნებით გამოვურჩიე  
 ძილის მომგვრელი სასმელი მას, რამაც მაშინვე, —  
 როგორც ველოდი სწორედ ისე, — მკვდრის სახე მისცა.

ამასობაში წერილითა ვამცნე რომეოს,  
 რომ მოსულიყო ის ჩემთან ამ საშინელ დამეს  
 და ჯულიეტას გამოხსნაში მომშველებოდა.  
 ამ ნათხოვარის საფლავიდან. საწამლავს სწორედ  
 ამაღამ უნდა შეეწყვიტა თვის მოქმედება.  
 ძმა ჯიოვანი, ვინც წერილი წაიღო ჩემი,  
 შემთხვევით აქვე შეაჩერეს, და წუხელ იმან  
 წერილი უკან დამიბრუნა. მაშინ ისევე  
 მართო მოვედი ჯულიეტას გაღვიძების დროს,  
 რომ გამომეხსნა წინაპართა აკლდამისაგან.  
 ვფიქრობდი ჩემთან დამეძალა სენაკში, ვიდრე  
 მოვახერხებდი რომეოსთვის მეცნობებინა.  
 მე აქ მოვედი ჯულიეტასი გაღვიძებამდე  
 ცოტახნით ადრე. და ეიხილე უდროოდ მკვდარი  
 გრადე პარისი და ერთგული რომეოც მასთან.  
 მალე ჯულიეტამ გაიღვიძა. მუდარით ვთხოვე  
 წამოსულიყო ჩემთან ერთად და მოთმინებით  
 გადაეტანა ღვთის განგება. უცებ ხმაური  
 გავიგონე და გავეცალე აჭაურობას,  
 ჯულიეტა კი, განწირული, აღარ გამომყვია,  
 აჭავე დარჩა და, როგორც სჩანს, თავი მოიკლა.  
 აი ეს იყო ყველაფერი, რაც მე ვიცოდი.  
 იმ ქორწინების საიდუმლო ძიძამც იცოდა.  
 თუ ამ საქმეში მე რაიმე ბრალი მიმიძღვის  
 მკაცრი კანონის მრისხანებამ დე შეიწიროს  
 ჩემი მოხუცი სიცოცხლე თვის ვადაზე ადრე.

პ რ ი ნ ც ი — ჩვენ სულყოველთვის წმინდა კაცად მიგვაჩნდი შენა.  
 რომეოს ბიჭი სადღა არის? ის რაღას გვეტყვის?

ბ ა ლ თ ა ხ ა რ ი — მე ვამცნე ბატონს ჯულიეტას გარდაცვალება,  
 ისიც მაშინვე მანტუადან გამოეშურა





ქართული

ენციკლოპედია

- და აქ მოვიდა, ამ ადგილას, ამ აკლდამაში.  
 პა, ეს წერილი გადმომცა და ასე მიბრძანა,  
 მამამისისთვის მიმეტანა დღეს დილით ადრე,  
 თან დაემეტქრა მე სიკვდილით, თუ კი მაშინვე  
 არ ვუვცლოდი და მარტოკას არ დაეტოვებდი.
- პ რ ი ნ ც ი—აქ მომაწოდე ეგ წერილი, დახვდავ ერთი.  
 გრაფის მსახური რაღა იქნა, მცველს რომ მოუხმო?  
 შენი ბატონი აქ, კაბუკო, რას აკეთებდა?
- ფ ა რ ე შ ი—მან ყვავილები მოიტანა ცოლის საფლავზე,  
 მე კი მიბრძანა მოშორებით წავსულიყავი.  
 მეც გავეცალე. მერე ვიღაც ჩირაღდნიანი  
 მოვიდა მალე, მან დაიწყო საფლავის გახსნა.  
 ჩემი ბატონი იმ წუთშივე მივარდა იმას,  
 მე კი გავიქეც სანქაროდ, რომ მცველისთვის მეხმო.
- პ რ ი ნ ც ი—ეგე წერილი ადასტურებს მოძღვარის სიტყვებს,  
 იმათს სიყვარულს, ჯულიეტას სიკვდილის ამბავს.  
 აქა სწერია, რომ ვიღაცა ლატაკ ექიმბაშს  
 მიუყიდა საწამლავე რომეოსათვის,  
 რომ აკლდამაში მომკვდარიყო მეუღლის გვერდით.  
 მტრები სადღაა? ჰეი მონტეგ და კაპულეტო!  
 შეხედეთ ერთი მაგ მტრობისთვის რა ბედი გერგოთ:  
 ზეცამ მოგიკლათ სიზარული თვით სიყვარულით.  
 ორი ძვირფასი ნათესავი დაგკარგე მეცა  
 იმის გამო, რომ თქვენს ქიშპობას თვალს ვარიდებდი.  
 ჩვენ სულყველანი დასჯილნი ვართ.
- კ ა პ უ ლ ე ტ ი— ძმონ მონტეგო,  
 მომეცი ხელი, ქალიშვილის გამოსასყიდად  
 მე ეს შეყოფა. მეტის თხოვა არ შემიძლია.
- მ ო ნ ტ ე გ ი—სამაგიეროდ მე მოგცემ მეტს. მე ჯულიეტას  
 უნდა ავეუგო ქანდაკება წმინდა ოქროსი;  
 ვიღრე ვერონა თვის სახელით იხსენიება,  
 აღარ იქნება სხვა ქანდაკი უფრო ძვირფასი,  
 ვით ქანდაკება კარგ და ერთგულ ჯულიეტასი.
- კ ა პ უ ლ ე ტ ი—რომეოც ასე იელვარებს მეუღლის გვერდით.  
 ამ ჩვენი მტრობის და ქიშპობის საბრალო მსხვერპლნი!
- პ რ ი ნ ც ი—ამ გათენებამ მოგვიტანა მშვიდობა მწარე,  
 მზემ არ ინება გლოვის ნიშნად დღეს გამოჩენა.  
 აწ ვითათბიროთ იმათ ბედზე, წავიდეთ ბარემ:  
 ზოგს მივუტევოთ, ზოგიც უნდა დავსაჯოთ ჩენა.  
 ან სამწუხარო სხვა ამბავი იქნება განა  
 რომეოსა და ჯულიეტას ამბავისთანა?!

(დასასრული)

თარგმანი ინგლისურიდან მახტანზ ზელიძისა

ლიბირი ბენაშვილი

## ვაჟა-ფშაველა

წიგნი პირველი

ყოველი ერის ლიტერატურაში ეპიკური პოეზია ორგანიულად იყო დაკავშირებული ხალხის სულიერი ენერჯის მომწიფების მომენტთან. ანტიკურმა ბერძნებმა პომპროსში გამოამყდენეს თავისი შინაგანი პოტენცია; იტალიელებმა—ვირჯილიუსსა და დანტეში; რუსებმა—იგორზე სიმღერაში, პუშკინისა და ლერმონტოვის პოემებში; ინგლისელებმა—შექსპირსა და ბაირონში; სპარსელებმა—ფირდოუსში; გერმანელებმა—გოეთეში; ფრანგებმა—როლანდზე სიმღერაში; ქართველებმა—რუსთაველში, ილიას, აკაკისა და ვაჟას პოემებში. ეპიკურ პოეზიაში ზუსტად და სრულყოფილად ცნატრდება არამართო გმირების ზასიათი, არამედ მთელი ერის დამახასიათებელი ნაციონალური თვისებანი. რა გინდ ზოგადობასა და საყოველთაობას არ უნდა აღწევდენ პოემის გმირები, მაინც ნაციონალური ელფერი დაჰკრავს მათ სულიერ ზრახვებს. მხოლოდ ნაციონალური კოლორიტით ვანსხევებთ ერთმანეთისაგან ერთსა და იმავე ეპოქაში, ერთსა და იმავე კანონზომიერებაში, ერთსა და იგივე სულიერ ვითარებაში დაბადებულ ეპიკური პოეზიის გმირებს. ეპოსში შექმნილი გმირები მხოლოდ ამ განსხვავებით ზდებიან საინტერესონი შთამომავლობისათვის. ყოველი პოეტური გენის დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს ეროვნულ ფარგლებს გარეთ გასვლა და ზოგად ადამიანური ღირსების შენარჩუნება; მაგრამ ამ ზოგადობაში ადამიანური სიმალღე არამც თუ ვერ შლის გმირის ნაციონალურ ზასიათს, არამედ ერთი მეორეს აესებენ, აფართოვებენ და ბუნებრივად შრავილფეროვანს ზდიან. ამ ზოგად კანონს ერის ლიტერატურაში არა აქვს გამონაკლისი. ამ ლიტერატურული კანონის ერთ-ერთ ბრწყინვალე დადასტურებას წარმოადგენს დიდი ქართველი პოეტი—ვაჟა-ფშაველას ეპიკური შემოქმედება. „ალუდა ქეთელაურის“, „სტუმარ-მასპინძლის“, „გველის-მკამელის“ და „ბახტრიონის“ აეტორი, უპირველესად ყოველისა, ქმნის გმირებს თავისი ხალხისა და დროისათვის, მაგრამ მისი უკვდავი შემოქმედების ძალა იმაშია, რომ იგი ინარჩუნებს მარადელ მიმზიდველობას ყველა დროისა და ხალხისათვისაც.

ვაჟას მიმართ არაერთხელ გამოუთქვამთ საყვედური, რომ მის ნაწერებში არა სჩანს ქართველი ერის ბედიო. ამ საყვედურმა აიძულა ვაჟა გამოეთქვა აზრი ზოგიერთ საკუთარ ნაწარმოებზე. „რაც შეეხება იმას,—სწერდა ვაჟა,— თუ რამდენად შეეძელ საქართველოს მომავალი ბედის თუ უბედო-



ბის განსკვრეტა, ამაზე ბ. ივ. ვართაგაეას უნდა მოეხსენო შეძლები: ამგვარი კითხვის პასუხი არ შეიძლება ერთმა ლექსმა, ან მოთხრობამ გამოხატოს, არამედ პოეტის მთელმა ცხოვრებამ, მისმა მოღვაწეობამ მთელმა იმის ნაწერებმა. როგორ გგონიათ, არა მაქვს მე წარმოდგენილი, როგორ ჩვენს ქვეყნისა ბრწყინვალეთ? ნუ თუ ეს არა სჩანს ჩემი ნაწერებიდან? რომ ეს არ მწამდეს, თქვენ გგონიათ, მე კალამს ავიღებდი ხელში?.. ურწმუნოთა შრომა ამაოა, შეუძლებელიც მგონი; იმ ხიდს, რომლის გადაბრუნებაც მუშამ შეუძლებლად იცნო, — თავის დღეში გადაბრუნებას არ შეუდგება. ნუთუ ჩემი ნაწერები ამ მომავალს, ჩვენს ყოფა-ცხოვრობაზე, ჩვენს ბედზე არას ამბობენ? ვერაფერი პოეტი ვყოფილვარ, თუ ეს მომავალი არა სჩანს იქ, არა სჩანს ის, რაც „დროთა სვლამ“ უნდა განახორციელოს; დიახ, იმ დროთა სვლამ, რომელიც თქვენ უმნიშვნელო, ფუქსავატი სიტყვები გგონიათ. თუ მე ნიჭი მაქვს ჰეშმარიტი შემოქმედებისა, უქვევლად წარსულით თუ აწმყოს აღწერით უნდა რამეს ვამბობდე მომავალზე, თუ არა და ჩემი ნიჭიერება ცარიელი მტნება, უშინაარსო სიტყვებია. ერთმა უსწაველმა ფშაველმა მითხრა, რომელსაც „ბახტრიონი“ წაეკითხა, მოსწონებოდა ძალიან და ყელგადაგდებით, თითქოს შეკაზმულს ცხენს მთხოვდა საჩუქრად, მეხვეწებოდა: ე-ე-ე, თუ დმერთი გწამ, ნუ დამიძალავ, სწორედ სთქვი, საქართველოს თავისუფლებას არ გულსხმობ, „ბახტრიონში“ რომ ამბობ: „ელირსებაო ლუხუმსა ლაშარის გორზე შადგომაო“.

— იქნებ ვგულისხმობდე, — ვუბახუხე.

„სწორედ საქართველოს თავისუფლებაზეა ნათქვამი, დაიყინა ფშაველმა და ხელმეტი ათასი მჭერმეტყველი პროფესორი რომ მოგვეყვანათ, იმას აზრს, რწმენას ვერ გამოუცვლიდნენ.“

თუ ჩემს მკითხველებს ამისთანა რამეს აგრძნობინებს ჩემი ნაწერები, საკმარისია, მაშასადამე; საკმარისადაც წარმოდგენილი მქონია საქართველოს მომავალი სვე-ბედი“. (ვაჟა-ფშაველას თხზულებანი, 1930 წ. ტომი 3, გვ. 457.).

ზემონათქვამში ვაჟა ხაზს უსვამს არა მხოლოდ თავის შემოქმედების პატრიოტულ მოტივს, არამედ იმ ფაქტსაც, რომ ყოველი ჰეშმარიტი შემოქმედის მხატვრულ ნაწარმოებს თავისი დროისა და ერის ბეჭედი აზის; ამის გარეშე არ არსებობს მალალი ხელოვნება. ამ ფაქტის დასადასტურებლად ვაჟა ასახელებს პოემა — „ბახტრიონს“. მართლაც ამ ნაწარმოებში ყველაზე უფრო სრულყოფილად გამოჩნდა ვაჟა-ფშაველას ეროვნული თვალსაზრისი; უდიდესი სიყვარული თავისი ქვეყნისა და პატივისცემა თავისუფლებისადმი. დრო, რომელიც „ბახტრიონში“ გამოისახა, ყველაზე უფრო კრიტიკული იყო ქართველი ერის ისტორიაში. თავის არსებობის არც ერთ პერიოდში საქართველოს ისე არ უგრძენია „ყოფნა-არყოფნის“ ტრაგიკული შეგნება, როგორც მე-16 საუკუნის დასასრულისა და მე-17 საუკუნის დასაწყისის მიჯნაზე. მაგრამ მთელი სიდიადე ვაჟასი, როგორც შემოქმედის, იმაშია, რომ ქართველი ერის ეს ტრაგიკული მომენტი „ბახტრიონში“ გამოისახა, არა როგორც კერძო და შემთხვევითი, როგორც ფაქტიური მასალებისა და კონკრეტული დროის კანონიზირებული აღბეჭდვა, არამედ, როგორც განზოგადოებული მოკლეა. დრო და ისტორიაში ბორკილებად არ გვევლინებიან ნაწარმოების შექმნის დროს. ვაჟამ ეპოქის სული გამოი-



ბერი ლუხუმი, ზეზვა, სუმელჯი, ზოშარეული, თავს ისე თავდასუფლად გრძობენ საკუთარ თემში, როგორც ღმერთები ოლიმპზე; მათ შეუძლიან სიბრავისაგან გამოწვეული გრგვინვა იუპიტერივით და დამწვინებელი სიხარული ძვესივით. მტერთან ბრძოლაში ვენერაზეც კი უმეტრად ლუბელნი არიან აქილესივით, მეგობრებისადმი მზრუნველნი და გულისხმიერნი ოდისევსივით. ვაჟას ეპიკური გმირების ხასიათი ჰომეროსის გმირების ხასიათს მოგვაგონებს. ამით იმის თქმა კი არ გვინდა, რომ ისინი მსგავსები არიან, არამედ მათ აქვთ წარმოშობის საერთო ნიადაგი. განა ჩვენი ტრადიციებითა და ადათებით შეკავშირებული თემის შინაგანი ყოფა და ხასიათი არ ჩამოგავს ჰომეროსის დროინდელი ძველი ბერძნების საზოგადოებრივ ყოფასა და ხასიათს!? მთაში ზომ პირიმზესა და სპარსანგელოსს ლოცულობდნენ ისევე, როგორც ძველი ბერძნები იუპიტერსა და აპოლონს. ხატობაში ისეთივე ღრეობა იმართებოდა, როგორც დიონისოს დღესასწაულზე. ანტიკური ბერძნების მსგავსად, თემი დამნაშავეს სჯიდა არა სამოკალაქო და სისხლის სამართლის კრდექსების ძალით, არამედ საადათო კანონით, რომელსაც შურისძიება ელვა საფუძვლად. ომში მიმავალნი თუშფშაფ-ხევსურნი ბერძნებივით საკუთარი ხელით სჭედდნენ საომარ მახვილს. მოსაზღვრე ტომებთან ურთიერთობის რეგულიატორი იყო არა სარწმუნოება, როგორც ეს ხდებოდა ქრისტიანულ და მაჰმადიანურ ტომებში, არამედ ვაჟაკობა.

ვაჟაკობითა და მალალი ზნეობის თვალსაზრისით აწესრიგებდნენ ადამიანთა ურთიერთობას ჩვენი შორეული წინაპრები. მაგრამ ამ საერთო ნიადაგის გარდა იყო ერთი ფაქტორი, რომელიც აგრე აახლოებდა ერთმანეთთან ძველ ბერძნებსა და ქართულ თემებს. ეს იყო ბედის რწმენა. ანტიკური ოსტატებისათვის ბერძნული მითოლოგია იყო შემოქმედების ქეშმარიტი წყარო. ვაჟასათვის ქართული მითოლოგია წარმოადგენდა მისი შემოქმედების არამართო არსენალს, არამედ მის ნიადაგსაც. ანტიკური ადამიანის ენებიანობა და ტრაგიკული ხასიათი გამოწვეული იყო ბედისწერასთან ტიტანიური ბრძოლის შედეგად. ბედისწერა გმირებს ამარცხებდა, მაგრამ სულიერ თავისუფლებას კი ვერ უსპობდა. გმირები სუბიექტურად ყოველთვის ერთგულნი რჩებოდნენ საკუთარ თავისადმი. ვაჟა-ფშაველას ეპიკურ პოეზიაში გმირის პირადი ვნება დაყვანილია გამძაფრების ისეთ ხარისხამდე, როდესაც დიალექტიური გზით პიროვნული გადადის ზეპიროვნულში და იქცევა ერთგვარ ბედისწერად. ჩემის აზრით, ამაშია ვაჟას, როგორც შემოქმედის სიდიადე. ეს თვისება ანსხვავებს მას ყველა ქართველი მწერლისაგან და ანათესავენს ბერძნებთან. იგივე თვისება აახლოებს მეორე ქართველ დიდ მწერალთან, მარადღაუფიწყარ ალექსანდრე ყაზბეგთან. ეს ორი მთელი ქართულ ძარღვმაგარ ლიტერატურაში მოვიდა, როგორც დიდი მორალური კულტურის მატარებელი ადამიანები, როგორც მოძღვართ-მოღძვრები.

ვაჟა-ფშაველას კიდევ აქვს ერთი თვისება, რომელიც ძალიან აახლოებს მას ძველ ბერძენ ოსტატებთან. ეს თვისება შემოქმედების სახალხო ხასიათში შედგენდება. ანტიკური პოეტური ეპოსისათვის დამახასიათებელი იყო მისი სახალხო თვისება. შინაგანი განლაგება მოვლენებისა ეპოსში ემორჩილებოდა, არა მხოლოდ სუბიექტური ვნებების გადმოცემას, არამედ ხალ-

ხის ვნებების ჩვენებასაც. ხალხი ორგანიული ნაწილია ანტიკურ ეპოსისა. სწორედ ამ თვისებით განსხვავდება ბერძნული პოეტური ეპოსი შემდგომდროინდელი ეპოსისაგან—საერთოდ და ევროპული ეპიკური პოეზიისაგან—კერძოდ.

საქონის  
ნივლინი

პოემა „ბახტრიონი“ იწყება ლირიკული შესავალით. პოეტი უდიდესი ექსპრესიით და პლასტიურ ფერებში აღწერს ყოველდღიური ვარაძით დაღლილი მთების მიძინების პროცესს. დღემ პირბადე ჩამოიხურა და თითქოს მიყუჩნდნენ საფლავებში ვმირების მშფოთვარე ძელები. მაგრამ ქარი, ეს მარადმოუსვენარი სტიქიონი, რატომღაც ქვითინებს ღრუბლებთან ერთად. ღრუბლებს კი, გულჯავრიანებსა და მუდამ ფხიზლებს, გული ვერ მოუფხანიათ და ცრემლი სდით ალაზნიანი. მთის წყაროები ახმაურდნენ, ყვავილები გამოცოცხლდნენ. რძით გაივსო მთათა ჯიქანი. ბუნება გაცოცხლდა და რაღაც სადღესასწაულო ფერი მიიღო. პოეტს არ შეუძლიან გულდამშვიდებით უცქიროს ამ სასწაულებრივ სანახაობას და მიესალმება მარად მღუმარებაში მყოფ თვალმუყუფდენელ მთის ქედებს.

„მოგესალმებით, ქედებო,  
მომაქვს სალამი გვიანი,  
ჩემსამც სამარეს ამკობენ  
თქვენი ღეკა და ღვიანი!  
თქვენგანა გულობს ეს გული,  
შიგ გრძნობა უდულს ღვთიანა.

თქვენი მიწოვავ მეც ძუძუ,  
ლაღიან-ბარაქიანი,  
ნუმც გაჯავრდება პირიწზე,  
ნუმც დამწყევლიან იანი,  
რომ იმათ დედის ძუძუთა  
ესუქლები ცოდვილიანი.“

ლირიკული შესავლის ბოლო სტროფში ვაჟა მადლობას უძღვნის მთების მღერარ წიაღს, რომელმაც შობა და გაზარდა იგი. პოეტა ჰპირდება, რომ უდიდეს ამაგს ორმაგად გადაუხდის და მთებსავე დაუზრუნებს სახელსა და დიდებას. ვაჟამ დაპირება ღირსეულად შეასრულა; და თუ ჩვენთვის მარად ტრფიალების საგანს წარმოადგენს მთების კალთებზე მერყენი ბუდესავეთ მიკრული ჩარგალი, ეს ვაჟას მარადუქნობი ღვაწლით აიხსნება.

ლირიკული წინათქმა დამთავრდა და დაიწყო ეპიკური ქვეყანა. პოეტის სუბიექტური განცდები ადვილს უთმობენ ვმირების მოქმედებას. სამოქმედო ასპარეზზე გამოდის მთიელი ქალი-სანათა.

„გორი რამ ჩასდგამს შუბის წერად,  
მტხა— იფნებით ფარული.  
იქ ჰყრია დიდი ლოდები  
შავფერი, ციხის-კარული.

ლიბო-დათხრილი კოშკები  
უშხეოდ ჩამოგველული.  
ბერი ტიროდა დიაცი,  
ისმის ქვითინი ქალური“.

ვინაა ეს ქალი? რამ მოიყვანა აქ, მარტოდ-მარტო, სალოცავ ხატთან? ვის დასტირის იგი? ინსტინქტიურად ეს კითხვები აღძრებიან მკითხველის წინაშე. ვაჟა პირდაპირ როდი უპასუხებს ჩვენს ცნობისმოყვარეობას. რომ უფრო ტრაგიკულად გამოჩნდეს მტირალი ქალის მდგომარეობა, ვაჟა ვა-

ნინებს, რომ იქ, სადაც მუხლისთავეებზე დამხობილი ქალი ქვითინებს — სასაფლაოა. გმირების აკლამა. აქ წმინდა გიორგის ხატია დასვენებული და ფშაველთა სალოცავის ადგილსამყოფელი. ტრადიციის ძალით, აქ დღესასწაული უნდა ყოფილიყო დღეს, მაგრამ ხალხი არა სწავნიან, თემის მეთაურის — ხევისბერის ომანიანი ხმა ისმის. აღარც სანთლების სინათლე მოსჩანს. ვაჟა იძულებულია იკითხოს:

„ხალხს ნუთუ დაჰვიწყებია,  
წმინდა გიორგი თავისა?!  
ეს რაღაც ცუდ საქმეს ჰნიშნავს,  
მომასწავებელს ავისა.  
საჯარეს დიაცს რა უნდა?  
არ თუ ეშინის დავისა?

მარტოს აუნთავ სანთლები  
და ხატიც უდიდებია;  
მარტოს დაუკლავს საკლავი  
თვითონვე უტყავებია;  
მარტოდ-მარტოკას დიაცსა  
ხატ-ღმერთი უხსენებია“.

რატომ? ამ კითხვას ვაჟა არ უპასუხებს, პასუხი კი აუცილებელია. მაგრამ ეპიკურ ნაწარმოებში ავტორი როდი ჩაერევა მკითხველის ცნობის-მოყვარეობის დასაქმყოფილებლად. გარემოებამ მოითხოვა პოემაში ახალი პერსონის შემოყვანა, რათა მან გახსნას კოლიზია. და, აი უკვე გვესმის ფეხისხმა. ვიღაც კაცო გამოჩნდა; მისი დატანჯული სახე და გარეგნობა ამტკიცებდა, რომ შორიდან იყო მოსული. უცნობი მოუახლოვდა დედაკაცს, თოფზე დაეყრდნო და გულმოდგინებით უსმენდა დიაცის ქვითინს.

„ტიროდა, ემდურებოდა  
ხოშარელთ ბედისწერასა.  
გულს იმჯიღავდა, ჰკითხავდა  
ნანგრევენს ცრემლის დენითა;  
სრულ ჩვენ რაღა ვართ ტანჯვასში,  
კენესა რად ისმის ჩვენითა?  
როდემდის უნდა ვსტაროდეთ,  
მიწა ვასველოთ ცრემლითა?  
ან მიწა რად არა ძლება  
დამდნარის გულის წყენითა?!

როდემდის უნდა ვიბანოთ  
სისხლით პირი და ხელები?  
შვილთა მაგიერად დიდებსა  
ბუძუს გვიწოდენ გველები?!  
როდემდის უნდა ფეხითა  
ვლახოთ ჩვენივე წელები.  
ცეცხლები გვერტყა ათასი,  
გულის, გონების მწველები?!  
ვაჰმე, გაგვიწყდა, აღარ გყავს  
ამ ფშავის ხეის მცველები!“

უცნობი მიხვდა, რომ რაღაც დიდი უბედურება უნდა მომხდარიყო ფშავეთში. ცნობისმოყვარეობამ აიძულა ვინაობა ეკითხა დედაკაცისათვის; მაგრამ ქალის მწუხარება იმდენად ძლიერი იყო, რომ შეკითხვა უცნობისა — ვერ გაიგო. უცნობი ხელახლა ეკითხება. მტირალი ქალი თითქოს ფიზიკურად მწუხარებისაგან და უკვირს: — „აღარ მეგონა თუ მაშირი კიდევ მიწაზე დადისა“. ბოლოს მათ შორის გაიმართება დიალოგი. უცნობი მგზავრი გაკვირვებულია, თუ ვის ზისცა დედაკაცს უფლება, აკეთოს მამაკაცის საქმე? „ხომ არ აყრილან ფშაველნი, ჩქამ რო არ ისმის ხალხისა? როგორც შინახე, არ არის ლხინი კაცის და ქალისა, შენობა მინდა გავიგო, ვარ თქვენის მიწა-წყალისა“. ასეთი ლოგიკური გზით და ბუნებრივად დადგა მომენტი, როდესაც დედაკაცის ვინაობა უნდა გამოემკლავნდეს. ბედამწარებული ქალი იძულებულია დააკმაყოფილოს უცნობი მგზავრის კითხვა:

„ჩემ რა იკითხვის, დედილას,  
 უკლოსი, ბედით შავისა,  
 დავკარგი ყველა თვის-ტომი,  
 ვინაც კი მყავდა თავისა.  
 წარდენა დაგვეცა ხოშარელთ,  
 წყუელი თათრის ჯარისა.  
 მამრთა შააკლეს მტერს თავი  
 ხსენება გაწყდა კაცისა.  
 ვასუქდა ხოშარის გორი  
 სამარეებით ხშირითა.  
 ვინც დაერჩით ცოცხლად დიაცნი,  
 დახოცილებსა ესტირითა.  
 ჩვენ რო გენახავენ მტირალთა,  
 ბალღებიც ატირდებიან;  
 გლოვის მიზეზსა გვკითხავენ,  
 დედებს რო გვაკვირდებიან.  
 არ მიიღებენ პასუხსა,  
 უფრორე აყვირდებიან;  
 ძუძუთ ვათირებთ ბალღებსა,  
 რჩისთვის რო აბირდებიან!  
 რად გვინდა დედებს შვილები?

რაზე ვწვალდებით ნეტავი?  
 გაზრდი, გალაღებს ვაჟაკი,  
 ლამაზი გორის მდრეკევე  
 გალაღებს, მაგრამ ტყვედ დედა  
 დღეს მთელი — ხვალე მკვდარია,  
 მოვა წაიღებს უეცრად  
 სისხლისა ნიაგ-ღვარია.  
 პირსისხლიანი მსინჯველი  
 შვილის, დუშმანიმც არიას  
 სანათაი ვარ მე, შვილო,  
 აფხუშოური ქალია,  
 აქა ვარ გამოთხოვილი,  
 ბერიძე მყავდა ქმარია.  
 შვიდი გავზარდე ვაჟაკი,  
 თვითო ლომისა დარია.  
 შვიდივე გამიწყდა ერთ დღესა,  
 მამაც იმათთან მკვდარია,  
 ხოშარის გორზე დავმარხენ,  
 თავზე დასტირის ქარია.  
 ორ კვირას საფლაგებ ვთზარე,  
 იმათ თავშესაფარია.“

ამ აქტის შემდეგ ჩვენთვის უკვე ნაცნობი და ახლობელი ხდება სანათას, ამ მრავალგზის ტანჯული დედის სახე. მაგრამ ყოველივე ეს — მხოლოდ ბიოგრაფიული ელემენტია თვალცრემლიანი დედისა. ჩვენ კიდევ ვერ ვიცნობთ სანათას ხასიათს; მისი ადამიანურ ბუნება დაფარულია და მხოლოდ სიბრალულს განვიცდით მისადმი. ქეშმარიტ მხატვრულ ქმნილებაში სიბრალული ჯერ კიდევ არ არის თანაგრძნობა. სიბრალულს ლოგიკური გადასვლა თანაგრძნობაში იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როდესაც გმირის ხასიათი ნათელი და გარკვეული გახდება ჩვენთვის. ხასიათის გაურკვეველობა ექვეს აღძრავს სანათას მიმართ. დასძლევს თუ არა მოხუცი დედა სულიერ ტკივილებს?! სანათას სუსტ ორგანიზმისათვის ძნელი, ფრიალ ძნელი ასატანია შვიდი შვილისა და ქმრის ტრაგიკული დაღუპვა ერთ დღეს. მაგრამ ვაჟა გადაკვრით გვანიშნებს სანათას ხასიათის სიმტკიცეს. მოხუცი ქალი მარტოდ-მარტო მოვიდა გმირების აკლდამსთან; მარტომ აანთო სანათელი, საკუთარი ხელით დაჰკლა საკლავი მაშინ, როდესაც სათემო წესით დედაკაცს აკრძალული ჰქონდა მარტოდ მოსვლა საჯაროზე, და მიცვალებულთა საწესოს შესრულება. ქალმა გადალახა ხელშეუხებელი ტრადიცია, რათა უფრო მეტად გვაგრძნობინოს უბედურება, რომელიც თავზე დაატყდა ხოშარელთ. მამაკაცებმა შემოსეულ მტერს შეაკლეს თავი. დედაკაცების ამარა დარჩა თემი. სანათას სურს მამაკაცის როლის შესრულება: „უკაცურთ კაცობა გვმართებსო“ — ამბობს სანათა. აქ უკვე ისახება კონტრუბი ქალის ხასიათისა:

„ვინ ემსახუროს, მაშ ხატსა?  
 მაშ ვინ აღნთოს სანთელი?

მაშ ვინ დაგვიკლას საკლავი?  
 ვინ მოაკმოს საკმელი?!

უკაცურთ კაცობა გვმართებს.

ხატიც შავინდობს ცლდვად,  
რო გვნახავს გასაქირშია\*.

სანათს, რაკი თავისი უბედურება უცნობ მგზავრს გავუზიარებთ, უკაცურად შეუშსუბუქდა; თითქოს უცნობმა მიისაკუთრა ნახევარი სატკივარი ბედგამწარებელი დედისა. შემთხვევით მოსულ მგზავრთან საუბარმა ქალს ცნობიერება დაუბრუნა, უფრო აქტიური შეიქმნა, ტკივილები მიუყუჩნდნენ. მგრძნობიარებამ ადგილი გონიერებას დაუთმო. ფსიქოლოგიურად მომწიფთა სიტუაცია, რათა უცნობის მოსვლის მიზეზი გამჟღავნებულყო. მოხუცი ქალი უცნობს — ვინაობას ჰკითხავს. მგზავრის საუბრადან უცნობი ჩვენთვის ახლობელ ადამიანად იქცევა. მას კვირია ჰქვია სახელად. დაბადებით ფშაველია, მაგრამ ოცი წელი თუშებთან მწყემსობაში გაატარა. თავის მშობლიურ კუთხეს მოწყვეტილი თავისიანების ამბავს „საბაროდ ვადამაველთა“ — წეროებს კითხავდა.

„ოც წელს მიწა მაჭვს ლოვინად; ავდარში შავი ნისლები  
ცა მახურია საბნადა, ტანზე მეხვევა ნაბდადა“.

სანათა მიხვდა, რომ ოც წელს თავის მშობლიურ კუთხეს მოწყვეტილი კაცი შემთხვევით არ მოვიდოდა ფშაველთან; იგი კვლავ ეკითხება უცნობს მოსვლის მიზეზს. ნახევრად დაფლეთილ ტანსაცმელში გამოწყობილ კვირიას სახით, ჩვენს წინაშე სდგება ერთი მხრივ ეროვნული უბედურების მაუწყებელი ადამიანი და მეორე მხრივ — უდიდესი პატრიოტი. პოემში მაცნედ მოსულმა კაცმა დაგვაიწყა სანათს უბედურება და უფრო დიდი ეროვნული ტკივილი გვაგრძნობინა. ვანა შეიძლება უცრემლოდ წაიკითხო კვირიას მონოლოგი, თათრების მიერ, საქართველოს ერთი ულამაზესი კუთხის — კახეთის აოხრების ამბავზე!

„აწიოკებენ ქალ-რძალსა, ნიქილა-მოხდილ ქალადა  
ნამუსსა ხდიან ძალადა, არეინ გადურჩათ რჯულ-ძალთა  
ჰკრეფავენ ურჯულოები, ყველას ბეგარას ადებენ.  
სილამაზესა ღალადა, ვისაც ჰკვლენ გზა-გზის პირებზე,  
მოელი კახეთი ჰცეულა თავებს მარგილზე ავებენ“.

ბუნებრივად ისმება კითხვა: სად გაქრნენ კახეთის ლომგულა ვაჟკაცები? რატომ მისცეს მტერს უფლება — კახეთი გათავისუფლეთ ნიქილაახდილ ქალად? იქნებ სულმოკლეობამ დასძლია მათ, ჰქვიათა მიატოვეს და ტყვებს შეაფარეს თავი? მაცნე კვირიას ნაამბობიდან სჩანს, რომ კახელებს სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის და მისი დიდებული სახელის დასაცავად სიცოცხლე არ დაუზოგავთ. მტრის უამრავ ლაშქართან თავგაწირულმა ბრძოლამ სიცოცხლე წაართვა მამაც მეომრებს. რიცხვმა აჯობა თავგანწირვას. მტერმა ბრძოლის ველზე დაცემულ კახთა გვამებზე გადაიარა და სახლში უმწოდ დარჩენილ მოხუცებს, ქალებსა და ბავშვებს შეესია. ვანადგურებულ კახეთს თუშები გამოეჭომაგნენ:

„დაჯავრდნენ თუშნი, რო ნახეს ქვეყანა ნაოზარია. პირი ჰქნეს, იმათ წინ უძღვის ზეზვიი საოცარია. მე გამომგზავნეს საჩქაროდ ფშავს და ხევსურეთს მზირადა და ღამაბარეს ხეწნითა სიტყვა, სათქმელი პირადა:

„ჩვენაც ხომ თქვენი ძმანი ვართ, სისხლით, ხორციით და რაგულითა. მტერმა დაგჩაგრა, გვიშველე; გაუტეხელნო გულმა, უბაროდ, განა არ იტყვი, მთანიც ხომ ვერა გვარობენ, გვიშველეთ, ფშაველ-ხევსურნო, ბარზე თათრები ხარობენ“.

ეროვნული უბედურების მაუწყებელი კვირია ეპიკური ტონით, მაგრამ ამაღლებული ფაქტებით, მოგვითხრობს კახეთის აოზრების ამბავს და გვაძინობს შურისმაძიებელ თუშების განწყობილებას. კვირია ამხნევებს მოხუც სანათას: „დედა-შვილობას, ნუ სჩივი, ღმერთმა აცხონოს გმირები, რომ არ წაიღეს საფლავში ლაფით მოსვრილი პირები... ჩვენც იმათ მივდეეთ კვალზედა. იქნება ამ ორ კვირაზე შავზედე შავეთის კარზედა. მანამდე ეცოცხლობთ, მტერი გეყავ, ბევრად სჯობს ვიყვნეთ ცდაზედა, როცა დრო მოვა და გაპქრეს ბედის ვარსკვლავი ცაზედა ცოცხალს კი უნდა ეხუროს — ვაეკაცსა ქუდი თავზედა. სიცოცხლეს აუგვიანსა სიკვდილი მიჯობს ხმალზედა. რომ ჩემი ბინა სხვას პრჩება, ჩემი ცოლი და შვილები, — თუ დღეშმის ხმალი არ მომკლავს მე თვითონ ვავიგმირები“. საოცარი იყო ვაე-ფშაველას, როგორც ოსტატის ჯადოქრული ხელი „ბახტრიონის“ ავტორმა კვირია დაფლეთილ ტანსაცმელით, უშნო ყარბის სახით შემოიყვანა პოემაში და სულ ოთხი გვერდის მანძილზე დიდების მწვერვალს მიადწია მან — თავისი ხასიათის მთლიანობითა და მორალური სიმადლით. კვირიას ვაეკაცურმა ბუნებამ ბედგამწარებულ სანათას საკუთარი ტკივილება დააეიწყა და საზოგადო ვარამზე დაიწყო ფიქრი: „ეგებ ინებოს ბატონმა, ვაგმარჯეებისყოსთ მტერზედა, თუ ამას ვავიგონებდი, არ ვიტირებდი მკედრებზედა. იმავ დღეს, შვილო, დედილამ, კრელს ჩავიცომდი კაბასა“. ეს უბრალო ქადილი როდია! და განა იკადრებდა ქადილს დედა იმ შვიდი შვილისა, რომლებიც მტერთან ბრძოლაში ღიმილით ეგებებოდნენ სიკვდილს და სამშობლოს საკურთხეველზე მსხვერპლად მიჰქონდათ თავიანთი განუშვორებელი სიცოცხლე?

„მეხად დაეცა მტრის ჯარსა, მისთიბდა, როგორც ყანასა. ეცადა, მაგრამ ვინ დალევს,

რიყეზე ქეებს და ლოდებსა! ვინ დაპლევს თათრის ლაშქარსა, უთვალავს, გასაოცებსა“.

მოხუცი სანათა მარტო იმ შვიდი დაღუპული ვაეკაცის მშობელი როდია! მისი სახით პოემაში წარმოდგენილია — „ქართელის დედა“, „ძუძუ ქართელისა“ — მამულს რომ უზრდიდა უერთგულეს შვილებს. ქართელის დედობამ მგლოვიარე სანათას ახალი სული ჩაუდგა და შურისმაძიებელ დედაცადად აქცია. — „რალა მიჭირდა თუ მტრისას, ვაეღეტას ვავიგონებდი“.

„გვიშველე, ლაშარის ჯგარო, დაგვირდა შენი თავია,

შენის ფრანგულით აკურთხე ოღშ-ფშაველ-ხევსურთ ზავია;



ნუმც დაედლებვისთ, შენს შადლსა,  
ზღვაში ჩასული ნავია.  
ჩაუძველ ლაშარელათ,

ტანზე შაიბი ხმალია,  
გეიჭირს და გამოგვეყენე  
შეუმუსრაფი ძალეა.  
ქონესული  
გინგულირთუქს

ამ ლოცვის ფონზე მთიელი მიხუცი ქალი მოსჩანს, როგორც უწმინდესი დედა საქართველოსი; მაგრამ იგი მარტო მლოცველი არ არის, არამედ მომქმედიცაა. „შილო, დედილამ, მე თვითონ, წავალ შეგტირებ ფშაველთა; ყველას შეგტირებ ჩემ დარდასა, ვისაც შავზელები გზა-ველთა. მე თუ რვა სული შავსწირე, თითოს ვერ გაიმეტებენ. ფშაველნი აიწლებიან, თუ მტერს სამ დაიმედებენ“. ამის შემდეგ სანათა და კვირია ერთი-მეორეს სცილდებიან. კვირია ხევსურეთში მიდის ზეზვიანს მიერ დანაბარების გადასაცემად. სანათა კი გმირების აკლდამებთან რჩება; იგი მზადაა მუხლის თავებზე დამსახილმა ჩასძახოს გმირების მღუმარე ჩონჩხებს. „იძინეთ მშვიდად, შეილებო! შურისძიებამ, რომელიც თქვენ გტანჯავდათ სიკვდილის წინ, მახვილი ააღებინა ხელში ქართველ ვაჟაკებს და მტრის შესამუსრად გაემგზავრნენ. სისხლი ალებული იქნება“. აქ დაასრულა თავისი როლი მიხუცი სანათამ. პოემაში მისი მოქმედება შესწყდა, მაგრამ ეს სახე, შექსპირის აჩრდილივით, თან დაგვდევს და ყურში ჩაგვძახის: „იძიე შური სამშობლოს მტრებზეო!“

ვაჟა-ფშაველა „ბახტრიონის“ სუვეტურ კომპოზიციაში ზუსტად იცავს ეპიკური პოეზიის კლასიკურ, კანონიზირებულ წესს. ამ წესმა აიძულა ვაჟა დუმილით აეწყო გვერდი ხევსურეთში კვირიას მოგზაურობის აღწერისათვის. პოემაში ამ მოგზაურობის მხოლოდ შედეგი მოსჩანს. შედეგი კი ფრიად დიდი იყო. მთებიდან ზღვაივით დაეშვა ფშავე-ხევსურთა რჩეული ლაშქარი. ლაშქრის შესაკრებ ადგილად თემის მეთაურებმა აირჩიეს ლაშარის ჯვარის გორა. ხევის ბერები ზარების გუგუნით აღუწყებენ ხალხს სამშობლოს განთავისუფლების მოახლოების ეჟას. ცხენების ფეხთა თქარუნსა და საბრძოლო ყივიანაში, ზარების ხმა მოისმოდა, როგორც მოწოდება შურისძიებისაკენ. აბჯროსან ფშაველებს წინ მოუძღოდათ თეთრ ცხენზე მგდომარე ბერი ლუხუში, ხოლო მამაც ხევსურებს სუმელჯი და ზონარეული. მგლური ნაბიჯით მეომრები უახლოვდებიან დათქმულ ადგილს, ლაშარის ჯვარის გორას. მოახლოების ნიშნად მთებზე ცეცხლი ანთეს. ცეცხლის შუქზე აღმასებრ ბრწყინადენენ დროშის თავები. ლაშქარი შესდგა და მღუმარებამ მოიცვა ხატის ადგილსამყოფელი. თანახმად ადათისა — ჯარის მეთაურებმა ქადაგი (მრჩეველი) მიგზავნეს ლაშარის ჯვარის ხატთან რჩევის მისაღებად. მეომრები მუხლისთავებზე დაემხნენ მიწას და მედროშეებმა დროშები დაჰხარეს. პირმოპინარე ქადაგიც გამოჩნდა; მან აღუწყა ლაშქარს, რომ ხატი იხარულით იძლევა დასტურს — მტრის დალაშქრისას:

„უჟას ჩვენს ლაშარის ჯვარსა,  
მის კარს რო შეიყარენით,  
ქვეყნის წამწყმედთან საომრად

მალეც რო ავიყარენით.  
წინ მომეგება სიცილით  
ბელლის კარს მოდგა მზებურა,



მდუმარება დაარღვია ვიღაც უცნობმა ქალმა, რომელიც ხეცმტბიანი, ცხენზე მჯდომარე, უახლოვდებოდა ლაშქარს:

„ქალი ჰგავს სამოთხის ყვავილს ხორცშესხმულ სიყვარულს, ნარწყავსა უკვდავებითა; აუწყველს უწყავენიანს.“

ყველა განცვიფრებამ მოიცვა; მხოლოდ ფიქრში წასული ბერი ლუხუმი არ დაბნეულა. იგი მშობლიური კილოთი ეკითხება ქალს: „ვისი ხარ, შეილო, რას დახვალ, მტრობა გგულავდეს იქნება?“. მამა-შვილურმა მოპყრობამ გაამხნევა მთიელი ქალი — ლელა. ლუხუმის კითხვას იგი გაბედულად უპასუხებდა: „სამოყვართ მოველიო“. საუბარში ხევესურთა სარდალი — ხოშარეული ჩაერევა; იგი ქალს უწუნებს საქციელს და მოსვლის მიზეზს ჰკითხავს. ქალის პასუხიდან ირკვევა, რომ ლელა მთაში განთქმული გმირის — შანშეს შვილია. ის მოვიდა აქ, ქართველთა ლაშქარში, რათა შური იძიოს მტერთან ბრძოლაში ტრაგიკულად დაღუპული ძმებისათვის. მიუხედავად ქალის გულწრფელი თხოვნისა, ამაყი მთიელები ვერ შერიგებიან იმ აზრს, რომ მათ მხარდამხარ დიაცმა იბრძოლოს. „მამა სადა გყავს სულ-კრული? ქალს რადა გვზავნის ომშია?“ — ეკითხება ლუხუმი. თავმომწონე ქალი იუკადრისებს მამის აუგად ხსენებას. აუგი რომ ჩამოაშოროს მშობელს — ლელა უამბობს შანშეს მდგომარეობას. ირკვევა, რომ გმირი შანშე მრავალჯონსმა კრილობამ ლოგინს მიაჯკვა. მაგრამ როდესაც მან შეიტყო თუშ-ფშავ-ხევესურები მტრის წინააღმდეგ საომრად მიდიანო, ქალიშვილს აბჯარი მოატანინა, ცხენი შეაკმაზინა და ამხედრდა; მაგრამ კრილობებისაგან გამოწვეულმა სისუსტემ ვაჟკაცურ გამბედაობას აჯობა და მოკვეთილ ხესავით დაეცა მიწაზე... ჯარის სარდლებში შანშეს მდგომარეობამ სიბრაღული აღსძრა მისდამი, და ლელას ურჩევნ დაბრუნდეს უკან მამის მომვლელად. მიუხედავად ქალის მუდარისა, ლელას უკან დააბრუნებენ. მაგრამ ამ ლაშქარში იყო კაცი, რომელიც სუბიექტურად წინ აღუდგა თემის მეთაურების გადაწყვეტილებას. ეს იყო კვირია. კვირია გრძნობდა, რომ ამ გადაწყვეტილებას საფუძვლად ედვა არა გონიერება, არამედ თავმოყვარეობა. ჯარის მეთაურებმა ვერ გაითვალისწინეს თუ რა დიდი როლის შესრულება შეეძლო ქალს მტრის ტაქტიკურ მოტყუებაში. კვირია უფრო შორს იმზირება და საჭიროდ ცნო ხელიდან არ გაეშვა ბედნიერი შემთხვევა. ლაშქრიდან გაიპარა და ქალს უკან დაედევნა. კვირია და ლელა ერთ-ერთს დაძმობას შეფიცავენ; შემდეგ კვირია გაუმხელს თავის ტაქტიკურ გეგმას. ამ გეგმის მიხედვით — ლელა და კვირია ერთი დღით ადრე მივიდოდნენ ბახტრიონს. კვირია თათრების მეთაურს მიართმევდა ლამაზ ლელას, ამ გზით ორივე მოახერხებდნენ ციხეში შესვლას, შიგნით-შესულნი კი ბრძოლით გაუღებდნენ ციხის კარებს ქართველთა ლაშქარს. ლელა გულწრფელად მიიღებს კვირიას გეგმას და ორივე გაუღდნენ ბახტრიონის გზას.

კვირიას ჯარიდან გაპარვის ფაქტს შეუმჩნევლად არ ჩაუვლია. მეომრებს ეჭვი შეეპარათ კვირიას მოქმედებაში. ხოშარეული მას დალატს სწამებს, სუმელჯი კი სიმხდალუში სდებს ბრალს. მხოლოდ მონუც ლუხუმს არ შეუძლია ირწმუნოს კვირიას დალატი. განათიადის ეპის ჯარი დაიძრა კახეთისაკენ. ვაჟა-ფშაველას უბრწყინვალესი ოსტატობით აქვს აღწერილი

კახეთის ულამაზესი ბუნება. ვაჟა თავდავიწყებით უმღერს ალაზნის მარცხენა ნაპირზე აღმართულ კავკასიონის მთებს. ამ მთების სილამაზემ ათქმევინა ვაჟას:

„ნამძინარევი დევები,  
ისევ ბურანში არიან,  
ერთს ადგილს დგომით ტანჯულნი  
შეჭირვებულან ძალიან

გულშეკერდს ერთმანეთს აბჯენენ,  
წარბშეუბრუნლად მდგარნია.  
წვანან ხმა-ამოუღებლად,

როგორც საფლავში <sup>ქვეყნის</sup> ~~ქვეყნის~~ <sup>ქვეყნის</sup> ~~ქვეყნის~~  
ნეტავ ბუნების ქმნილება  
სხვა მათ რა შეედარება.  
მალ-მალე შავი ჯანლები  
თავზე რომ დაეფარება?  
ნისლი ფიქრია მთებისა,  
იმათ კაცობის გვირგვინი.“

დიდებულადაა თქმული მღვმარე მთები თითქოს ენას იღვამენ; მათი ხმა ყურს ესმის. მწუხარება სტატიურობისაგან გამოწვეული ჩვენთვის აბლობელი და გასაგები ხდება. რალაც საოცარმა ძალამ მიჯაჭვა ერთ ადგილზე ეს ყოვლისშემძლე გოლიათები! მათ თავზე კი მუღმივ მოძრაობაში მყოფი სტიქიონები თითქოს დასცინიან თვალშეუწყვედნელ მთების უძრაობას. პოემა „ბახტრიონში“ ვაჟა ბუნების დამოუცილებელ სურათებს როდი ქმნის, არამედ იგი ორგანიულად არის დაკავშირებული გმირების ხასიათთან. გოლიათი მთები მეომრებში აღძრავენ არა მარტო მათდამა სიყვარულის გრძნობას, არამედ გმირობისადმი მისწრაფების სურვილს. მუღმივი თოვლით დაფარული კავკასიონი, ეს ერთგული გუშაგი საქართველოსი, ბახტრიონს სალაშქროდ მიმავალ ფშავ-ხევსურებში აღტაცებასა და სიხარულს იწვევს. „მიდიან ფეხშეუშლელად, კალთა ჩაკეცეს მთებისა“. ფშავ-ხევსურთა ლაშქარი ნაქერალაში ეურთდება თუშების ჯარს. ვაჟას ოსტატური ბრწყინვალეობით აქვს აღწერილი ფშავ-ხევსურთა ვაჟკაცური შეხვედრა თუშებთან. ბატალური სცენები ხელს არ უშლის ვაჟას მთავარი გმირების ხასიათის გახსნაში. თანასწორი სიძლიერით იმორჩილებს ვაჟა — მასებებსა და ინდივიდუალთა ფსიქოლოგიურ სამყაროს. თეთრ ცხენზე მჯდომარე ბერი ლუხუში პირველი შეიჭრება თუშების ლაშქარში და ბრძოლაში გამოითხოვს თუშების ბელადს — ზეზვას. „მე ჯერ თათრებთან რა მინდა, შავისი სისხლი მწყურია. დღლს და გადმოდღლს გულიდამ მაგის მტრობა და შურია“. ეს ვაჟკაცური სითამამე გააოცებს მეომრებს და ერთგვარ ბინდი ჩამოწვება მათ სახეზე; გმირი ზეზვა კი მყის იცნობს თავის ძველ თანამოლაშქრეს და ხმალმოდერებით წამოვა ლუხუმისაკენ; „გაეკინკლავნენ ერთმანეთს ხმალ-შუბებით და ფართა; მერე აკოცეს მხურვალედ, ამბავს ჰკითხავენ ძმურადა“.

„გენაცვლე, ძმავ ზეზვაო,  
რო თვალით გნახე კიდევა.  
მიყვარს, ძმობაშა, ხმალ-და-ხმალ

შენი მტრისაკე მიწვეა.  
კაცო, შენც დაბერებულხარ,  
ვაგზშირებია ქალარი“.

პოემა „ბახტრიონში“ — ვაჟას თუშების სარდალი — ზეზვა შემოჰყავს, როგორც დასრულებული ხასიათის ადამიანი, ადამიანი რომლის ნაჭრილობებ სახეში მოსჩანს ყველა კეთილშობილი თვისება ქართველი მეომრისა. იგი თავის თავზე ამბობს:

„ლაშქრობამ ჩამომაბერა,  
ძაღლ-უმადურად გდებამა,

სრულ ლაშქარსა ვიან, რაგვი  
ქუძუს მომხსლიტა



ეს გაბედული წარმოდგენა საკუთარ პიროვნებაზე სიამაყეს როდი იწვევს! შორეულ ასოციაციებით ქვეყნობრივად ცოცხლდებიან გმირები, რომლებმაც თავიანთი ლამაზი სიცოცხლე მსხვერპლად მიიტანეს ქართული ერის საკუთრებეველზე და მომავალ თაობებს არსებობის უფლება მოგვანიჭეს. მტერთან ბრძოლაში ამ გმირებს გზას უკაფავდა არა მხოლოდ პირბასრი მახვილი, არამედ მორალური სამართლიანობა.

„ვისაც ჩვენ არ ვებრალებით,  
ჩვენ შევიბრალოდ რისიდა?

სიკვდილი თვითონ უფალსა  
გაუჩენია მტრისიდა!“

ერის არსებობის ეს უნივერსალური კანონი ნათელ სვეტიცვით უძღოდა წინ ქართველ მეომრებს ყოველ ბრძოლაში; იგი ანიჭებდა მათ მორალურ მთლიანობას და ზნეობრივ სიმადლეს. იმავე კანონმა გამოატარა პატარა საქართველო მრავალ საუკუნოვან ისტორიის მძაფრ ქართველებში და მოიყვანა ჩვენს დრომდე, როგორც მშობელი ნაციონალური გენიის: რუსთაველისა და სტალინის. მხოლოდ ლუხუშისა და ზეზვიას მსგავს ადამიანებს შეეძლოთ ერის ცხოვრებაში, ყველაზე ტრაგიკულ პერიოდში, როდესაც ქართველი ხალხის „ყოფნა-არყოფნის“ საკითხი წყდებოდა, ეხსნათ სამშობლო სიკვდილისაგან. ერის არსებობის გრძელი ჯაჭვის ამგვარ ტრაგიკულ რგოლს წარმოადგენს ბახტრიონის ციხის აღება. ვაჟამ უდიდესი გულთამხილობის წინათგრძნობით შეიციწო ეს და ბახტრიონზე მიმავალ ლაშქარს ზეადამიანური სული შთაჰბერა:

„გადმოდგა ბორბალაზედა  
თავისუფლების მთვარეა.  
ალაზნისაკე წავიდა  
ურჯულოს სისხლის ღვარია.  
ნალესის ფრანგულებისა  
ცასა სწუდებოდა ალია.  
სრულ სისხლით დანაბეჭდია  
მეომართ დანაკვალაია.  
ქარავ-საჩეხი მტრებისა  
მინგრეულ-დანავალაია.  
გასწყვიტა ჩვენმა ლაშქარმა  
მტერი, უღმერთოდ ცალაია.  
მიჰკივის თათრებს ზეზვი,

შეუბოვარი, მალია;  
გულ-რკინა ზოშარეულსა  
შუა გადუტყდა ხმალია!  
ცრემლი ერევა თვალებზე  
სწუხს ამისაგან, მწყრალია.  
ლუხუშმა თოფი გამაპკრა,  
არ აღუფეთქდა ფალია;  
დროშას მიუძღვის ლომივით,  
ამიიწვავდა ხმალია.  
შამაუძახა ლაშქარსა,  
გულდინჯმა ომში ცხარია:  
„შამყევით, ვისც ქული გხურავთ,  
ვინაც არა ხარ ქალია!“

თავგანწირული ბრძოლით აღებული იქნა ბახტრიონის ციხე-სიმაგრე. ამ აქტით ბახტრიონის გმირებმა ერთი უბრწყინვალესი ფურცელი ჩასწერეს ქართველის ცხოვრებაში.

პოემა „ბახტრიონი“ — ციხის აღებით სუჟეტურად დასრულდა. თითქოს დასრულდა კოლიზიაც და ამბავთა შემდგომმა გაგრძელებამ დაჰკარგა აზრი: საწინააღმდეგოდ სუჟეტური კანონზომიერებისა, ვაჟა კვლავ აგრძელებს პოემას. ჩვენ შესავალში აღვნიშნეთ, რომ გარემო, რომელშიაც ვაჟას გმი-

რები დაიბადნენ და აღიზარდნენ, ძლიერ ჩამოგავს ანტიკური ბერძნების ცხოვრებას. ამ გმირების მხატვრული განსხეულება უნდა მღვმდარყო ბერძნული ეპიკური პოეზიის ტექნიკური ზერებით. ანტიკურ ისტატეს, წინააღმდეგ კანონიზირებული სუვეტური კომპოზიციისა, აინტერესდებიან ცხოვრების საბოლოო ხედრით: ამ ნიადაგზე ჰომიროსი სუვეტურ კომპოზიციის აბსოლუტურ სრულყოფაშია კი — არ აქცევდა ბორკილად, გადაულახავ ზღურბლად. ჰომიროსის კომპოზიციის დასრულების შემდეგ ყველაზე უფრო აინტერესებდა გმირების ბედი. ამ ნიადაგზე ამბავი სუვეტურად სრულდებოდა, ხოლო ნაწარმოები გრძელდებოდა. ანტიკური პოეზიის ეს ზერები ბოლოს კანონად იქცა. შემდეგდროინდელი პოეტები, რომლებიც თავიანთი გენიის წყალობით უახლოვდებოდნენ ანტიკურ სრულყოფას, ამ გზით მიდიოდნენ. ჩვენი რუსთაველი ამ ფაქტს ბრწყინვალედ ადასტურებს. უკვდავი «ვეფხისტყაოსანის» სუვეტური კომპოზიცია დასრულდა ქაჯეთის ციხის აღებით, მაგრამ ამბავი გრძელდება გმირების ბედის დასრულებამდე. ვაჟა-ფშაველა შეგნებულად, თუ რაღაც ინსტინქტის ძალით, მისდევს ანტიკური პოემის გზას. ვანა მკითხველსათვის ინტერესმოკლებული უნდა იყოს კითხვა, თუ რა ბედი ეწვია გმირებს, რომლებმაც კეთილშობილად მოიბადნეს ვალი თავისი ქვეყნისა და ხალხის წინაშე? თუ აქამდე გმირების სული, მათ მიერ ჩადენილ საქმეებში ცხადდებოდა, ახლა პოეტი ვანზე სტოვებს საქმეებს და პირდაპირ შედის მათ სულში, რათა ერთხელ კიდევ გვაჩვენოს ამ სულის სიდიადე, თავისი უმწიკვლო ფორმით.

გმირების სულის ამგვარ ჩვენებას ვაჟა საოცარი ორიგინალობით და უდიდესი გულთამხილველი გრძნობით აღწევს. სამშობლოსაკენ მობრუნებულ ბახტრიონის გმირებს ხალხი ეკითხება: «ვის მოგილოცოთ სახელი, ვინა ხართ სახელიანი?». ლაშქარი კითხვაზე ერთხმად უპასუხებს:

«—პირველ — ობოლი კვირია,  
სახე აქვ ნათელიანი;  
მეორე — ლელა ბაჩლელი  
ქალი ხელ-ფარტენიანი;  
მესამე — ბერი ლუხუმი,

კურთხეულ გამდელიანი;  
მეოთხე — ხომარეული,  
არწივი მხარ-კვერიანი;  
მეხუთე — გივი სუმელჯი  
მოგყვავის ნაჭრევიანი».

ჩამოთვლილ გმირთა შორის არა სჩანს ზეზვიას სახელი, და ჩვენ ეკვი გვიპყრობს სულმოკლებამ ხომ არ დასძლია თუშების ბელადს! ხალხი კვლავ ეკითხება მეომრებს: «თუშნი ვინ ვარგდა, მითხარით, კაცად ვინ უფრო არია?». ამ კითხვის პასუხმა უნდა გაფანტოს აღძრული ეკვი. ამიტომ მოუთმენლად ველით ლაშქრის პასუხს.

«ზეზვავი, ძმაო, ზეზვავი,  
მთელი თუშების დარია.  
არა ყოფილა გაზრდილი  
მომცრო სდგომიყო ტანია.  
ისა ყოფილა ვაჟკაცი,  
ღირსი წელთ ერტყას ხმალია.  
ლომია, უფალსა ვფიცავთ,  
სწრაფი, ვით ელვა — ქარია,

კშვენოდა, ძმობამ, ვაჟკაცსა  
დაზარნიშული ფარია.  
მაგრამ დაგვიტრეს რჯულ-ძალდა,  
გასწირეს ცოცხალ-მკვდარაა:  
თუ გაზრდის, — ფურმა გაზარდომ  
აი მისთანა ხარია!  
ვერ ვნახეთ, რო დაეკენესოს,  
ან შეცვლილიყოს სახითა,

თუმცა შაიქირვეს ძალიან,  
 ცრემლით ატირდნენ ცხარათა.

თავით დაურქვეს დროში  
 მისივე შუბის ტარითა.



ხედავ ზეზვას და გვერა ქართველი მეომრის გმირული სულს, ქართველი ერის ისტორიის მთელ მანძილზე ამგვარ გმირს ცალ ხელში ხმალი ეჭირა, მეორეში კი გუთნის მადლიანი ხელსაკელი. ბუნებით მშვიდობიანი იყო იგი და მიწას ხნავდა. მიწაც ხელზეაიანი გვექონდა; ოჯახსა და ხალხს მოდგმის გავრცელების საშუალებას აძლევდა. გმირი ცხოვრებაზე, სიცოცხლეზე ფიქრობდა და აზროვნებდა. კაცობრიობის კულტურის საგანძურში თავისი წვლილი კეთილშობილი გულიც შეჰქონდა. მაგრამ მტერი არ ასვენებდა მას. ლამაზსა და მდიდარ ქვეყანას ეცილებოდა. მაშინ მშვიდობისმოყვარე ქართველი მარცხენას — გუთნის ხელსაკიდს ნებაზე მიუშვებდა და მთელი ენერჯია მახვილმომარჯვებულ მარჯვენა ხელში გადაჰქონდა. სახლში შემოჭრილ მტრისაგან იცავდა ოჯახსა და ერის პატიოსნებას. მტრის ურდოები სჭრიდნენ და სჩებდნენ მას; მაგრამ ნაჭრილობევი სახე უფრო ამშვენებდა და ვაჟკაცურ იერს აძლევდა. ამ დაჭრილ-დაჩეხილი სახით შევიდა მეფის რუსეთის მფარველობის ქვეშ. ფიზიკური ჭრილობები მოიშუშა, მაგრამ ნაციონალური თავისუფლება კი წაართვეს. იგი ოცნებობდა ახალ გმირზე, ეძახდა მას, ელოდა მის მოსვლას ხან ბაზალეთიდან, ხან გორის ქონგურებიან ციხიდან და ბოლოს ეს გმირი იმავე გორიდან მოვიდა. აჰ, საქართველოს გულში დაბადებულ ადამიანმა, დიდი რუსი ხალხის საუკეთესო შვილთან ერთად — დაამსხვრია მონობის ბორკილები და ერებს ნაციონალური თავისუფლება მიანიჭა.

ასეთი ლოგიკური ასოციაციები აღძრა ჩვენში, ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონის“ გმირმა — ზეზვამ. მაგრამ ვაჟამ ბრწყინვალედ იცოდა, რომ ჩვენ მარტო ზეზვას მსგავსი გმირები არ გვეყოლია, ზოგჯერ ლაჩრებიც და სულმოკლეებიც გამოგვერეოდნენ, ისინი ხან ბრძოლის ველიდან გამორბოდნენ, ხან იუდასავით გროშის ფასად ქართველი ხალხის ინტერესებს ჰყიდნენ, ხან „უჩემოდ ვინ იმღერეთობის“ თვალსაზრისით მოძმეს კეთილ საქმეში ხელს უშლიდნენ, ხან კი თავიანთი უხასიათობის გამო მლიქვნელობდნენ ურთერთ-შორის. ვაჟამ ბახტრიონში წიწვოლას სახით მოგვეცა ტიპური სახე ამგვარი სულმოკლე და ლაჩარი ადამიანისა. როცა ხალხი მეომრებს ეკითხება: „ახლა ისა სთქვით, მოყმენო, ვინ დარჩა სირცხვილანო“, მეომრები უპასუხებენ: „წიწვოლამ ლაფით გაგვთხიფა, გაგვექცა სირბილიანი! ნეტავ სად დაიმალება, სირცხვილით სიკვდილიანი“.

„ხალხში როგორ-ღა გამოვა?  
 ხატში როგორ-ღა მოდგება?  
 უკლოს, უკეთურს, ბეჩაფსა  
 სად დაეკარგა გონება?!  
 რად არ ირჩივა სიკვდილი,  
 და თათრებისა მონება?“

ვინ-ღა გაივლევს ახლოსა,  
 ჩააქვავებენ დედანა.  
 მიწამ შაქამოს ცოცხალი  
 ე, მაგისთანა მხედარი!  
 ომშით გამოქცეულსა  
 მეხი დაეკეს მედგარი!“

პოემიდან ბოლოს ვიგებთ, რომ სირცხვილს ვეღარ გაუძლებს წიწვოლა და თავს ჩამოიხრჩობს. დედა წიწვოლასი შემდეგი სიტყვებით დაიტირებს შვილს:

„შვილო, სირცხვილი მაკმეი,  
 ძეძუ დასწყევლე დედისა!  
 თვითონ შენა ხარ მწამლავი  
 თავის უბედო ბედისა.  
 რად არ იქ მოჰკვდი, ბეჩავო,

რად ხარ ყელსაბელიანი?  
 რად არ მაძიხვედ, წიწოლა,  
 პირნათელ სახელიანი?  
 გასწირე თავის ხსენებელსა  
 საწყევლარ-სარბეველსა

წიწოლამ რაკი უღალატა სამშობლოს, მის ცხედარს, როგორც მოღალატისას, თემი არ მიეკარა „თასი დაღვარეს ხატშია: ახლოს მიუგდეს არვინა, წიწოლას დანაშაული აწეულია ცამდინა, დაამცრო ჩვენი სახელი, მთელს ლაშქარს გული ატყინა. არც ვინ სამარეს გაუთხრის, არც ვინ შეუკრავს კუბოსა; მარტომ იტიროს დედამა, ცრემლი წინ დაიგუბოსა“... ასე სასტიკად მოექცა ხალხი ქვეყნის მოღალატეს. ამ ქცევაში გამოიხატა ერის ზნეობრივი სიმადლე და მორალური კეთილშობილება. წიწოლას მაგალითი გაკვეთილად დარჩა ყველა სულმოკლე ადამიანისათვის. ადამიანი, რომელიც პირადულს მადლა აყენებს ერის ინტერესებზე, ისევე დაიჯება, როგორც წიწოლა დაისაჯა ხალხის მიერ. ეს წმინდა ანდერძი ვაჟამ დაგვიტოვა შთამომავლობას, როგორც გაფრთხილება ცდუნებისაგან თავის დახსნისათვის.

პოემა „ბატრიონის“ დასასრულს, თემი მოიკითხავეს თავის უსაყვარლეს შვილს — ლუხუმს „ბერი სადლაა ლუხუში, დამრიგებელი ფშავისა?“ ლაშქარი თემის კითხვას გარკვეულ პასუხს არ აძლევს. შეპირებულ მეომრებს თვით უყვირთ, თუ როგორ დაიკარგა ბერი ლუხუში. ამ გაურკვეველობამ ლუხუმის ამბის გაგების სურვილი აღძრა მკითხველში. ეს სურვილი სრულიად ბუნებრივია. პოემის ბოლო ნაწილში ვაჟა შეეცადა ამ კანონზომიერი სურვილის დაკმაყოფილებას. ამ მოტივით ვაჟა ჰქმნის სიმბოლიურ (და არა სიმბოლისტურს) სურათს. მაღალ მთის ძირას, უღრან-უღაბურ ტყეში ლუხუმი იწვა დაქრილი; მას ტყეისაგან მკერდი ჰჭონდა დაღეწილი. იქვე მახლობლად, მაღალ კლდის გამოქვაბულში ბუდობდა ჯაგირით მოსილი „ვეება გველი“. გვირაბის ახლოს ადამიანთა და ცხოველთა ძეგლები იყო დაგროვილი; ეს გველის აებედითობას ადასტურებდა. ერთ დღეს გველი, როგორც ნისლი, ზეზე იყო გაწოლილი; იგი გამოროტებით წიოდა და მსხვერპლს ელოდა. ამ დროს გველს მოესმა კენესის ხმა. თვალთახედვა აღლოთი გააყოლა ხმას და დაინახა დაქრილი კაცი, რომელსაც მკერდზე ეტყობოდა მიმხმარი სისხლის გუბე. ადამიანის მტერი ერთ წუთს ივიწყებს ბოროტებას. შეებრალება მას უმწეოდ დარჩენილი მკერდ-დაღეწილი ვაჟკაცი და დაუწყებს ენით წყლულების ლოკვას. თანაც თავისი ცრემლებით უსველებს ნაჭრილობებ მკერდს. ამგვარი მზრუნველობით მომავლად ვაჟკაცს მოაბრუნებს, საზრდოსა და წყალს თითონ უზიდავს. გველი ყოველდამ უამბობს ლუხუმს ორი ობოლი ძმის ზღაპარს. ბოლოს ვაჟა დაასკვნის:

„ამბობენ: შაძაღებინა  
 ღნეულსო ფეხზე დადგომა;

ელირსებაო ლუხუმსა  
 ლაშარის გორზე შადგომა!“.

„ბატრიონში“ ამ სიმბოლიურ სურათის ჩართვამ ვაჟას მკვლევარებს საშუალება მისცა გაეკეთებინათ არა სწორი დასკვნა. ზოგიერთი მათგანი



სთვლის ამ სურათს ვაქას მხატვრულ სისუსტედ, ზოგიერთმა კი პანთეონ-მის მარცვალი აღმოაჩინა შიგ და გამოიყენა იმის დასადასტურებლად, თითქოს ვაქა პანთეონი იყოს. ჩვენი ღრმა რწმენით ორივე აზრი არ ეყრდნობა კუშმარიტებას და წარმოადგენს სუბიექტურ შეხედულებას. ვინაა იმისთვის?

დღეს ვაქას მკვლევარებში დავას არ იწყებს ის ფაქტი, რომ ლუხუმში პოეტი გულისხმობდა საქართველოს. ამრიგად ბერი ლუხუმში სიმბოლოა საქართველოსი. მაგრამ როგორ ავხსნათ გველის საკითხი? რატომ შემოიყვანა ვაქამ თავის უკვდავ პოემაში გველი, რომელსაც ჭრილობამიყენებულ ლუხუმის მკურნალობა დააკისრა? ამ კითხვის პასუხი გაგვიძნელებდა, თუ წინასწარ არ გვეცოდინება იმ ორი ობოლი ძმის ზღაპარი, რომელსაც გველი ყოველამ უამბობდა ლუხუმს. დღემდე არც ერთ მკვლევარს ამ ფაქტისათვის არ მიუქცევია ყურადღება; ამიტომ მათი დასკვნა ყოველთვის სუბიექტური იყო. ისმება კითხვა: რაში მდგომარეობს ამ ზღაპრის სული? ჩვენ ბევრი ამო ძებნის შემდეგ, მივმართეთ მთიელთა მითოლოგიურ ლეგენდებსა და ზღაპრებს. ვაქას მეგობარმა — დიმიტრი დედუშაურმა გვიამბო ორი ობოლი ძმის ზღაპარი, რომელიც ჩარგალში სტუმრად ყოფნის დროს თვით უამბენია ვაქასათვის. ზღაპრის შინაარსი ასეთია: ორი ობოლი ძმა იყო ერთი-მეორეზე უკეთესი ვაქაცები და ერთი-მეორის მოსიყვარულენი. ნადირობის ეპოს მათ მეფის ასული შემოეყარათ. ასულის სილამაზემ თვალი მოსტაცა ჭაბუკებს და ორივემ სიყვარული გამოსთხოვა ქალს. ქალმა თანხმობა განაცხადა — ერთის პირობით: ერთი წლის მანძილზე, ვინც ვაქაცობითა და ერთგულებით დაუმტკიცებდა ქალს თავისი ქვეყნისადმი სამსახურს, იმისი ცოლი შეიქმნებოდა. მიუხედავად ასეთი პირობისა, ძმებს შორის — ურთიერთისადმი სიყვარული არ შერყეულა. უამრავ მტერთან ბრძოლაში ორივემ ერთი და იგივე ძალით ისახელა თავი. არ იყო ისეთი მოწინააღმდეგე, რომელიც ობოლ ძმებს არ დაეძლიათ. ბოლოს მათ ქვეყანას მტრის უამრავი ლაშქარი მოაწვა. გადმოლახა სახელმწიფოს საზღვარი და სამშობლოს გულისაკენ დაიძრა. მტრის ლაშქარს წინ მოუძლოდა ორი გოლიათი ჭაბუკი, რომელთაც მუზარადების მაგიერ თავზე მრგვლად დახვეული ცოცხალი გველები ეხურათ. მეფის ასულმა იხმო ორი ობოლი და სთხოვა: ამ ორ გოლიათს უნდა შეებათო; ამავე დროს ურჩია: პირველ შეტაკებისთანავე მახვილით გველები განკვეთეთო, რადგანაც გველები ანიჭებენ ძლიერებას გოლიათებსო; ამ საუბარში ორი გოლიათი უკვე შემოიჭრა სასახლეში და მეფეს მორჩილება მოსთხოვა. მახვილმომარჯვებულ ორი ობოლი ძმა მეფის სასახლის კიბეებიდან ძირს დაეშვა. ძმებმა ორივე გოლიათს პირველ შეტაკებისთანავე თავიდან გველები მოგლოჯეს და თვით დაიხურეს თავზე. ძმებმა გოლიათები დაამარცხეს. მეფის ასულმა თვალი მოჰკრა თუ არა გველთაგან ძმებს, გული შეუწყუხდა და უსულოდ დაეცა სასახლის აივანზე. მეფემ ჭურუმსა და ეჭიმს გამოუძახა. ჭურუმმა მეფეს ურჩია გველის შხამი დააღვეინეთო ქალს, ეჭიმმა კი — ერთ-ერთი ძმის გულიდან გამოეყონი სისხლიო. მეფემ დაიბარა ჭაბუკი ძმები და გადასცა მათ ჭურუმისა და ეჭიმის რჩევა. ძმებმა გველებს მიმართეს შხამისათვის. გველებმა უარი განაცხადეს სიტყვებით: „ქალი და გველი ერთი მეორის მოსისხლე მტრები არიანო, ჩვენ ბუნებას ეწინააღმდეგება მსხვერპლის გაღება ქალისათვისო“. ესა სთქვეს და უმაღლესი გაიფანტ-

ნენ მახლობელ ტყეში. მაშინ მეფემ ერთ-ერთი ძმის გული მოიკბოვა. ჭაბუკებმა მცირე დრო ითხოვეს დაფიქრებისათვის და იმავე ტყეში შევიდნენ, სადაც რამდენიმე წუთის წინათ გველები გაიფანტნენ. ერთ-ერთ ძმას სულმოკლეობამ დასძლია და მეორე ძმას მახვილი მკერდში გაუჭრა. უცებ საოცარი წივილი მოისმა, გააფთრებული გველი ძმის მკერდს კეცდნენ შემოეხვია და დაახრჩო. შემდეგ მახვილით მკერდგაპობილ ძმას მიაშურა და დაუწყო მკურნალობა. მომაკვდავი ჭაბუკი შეეკითხა გველს: „შენ ხომ ადამის მტერი ხარ, რატომ იკისრე ჩემი მკურნალობა?“ გველმა უპასუხა: „მე ევა მძულს და არა ადამიო. ვაეკაცი უმწეოდ გნახე და შემებრალეო, სიბრალული ხანდისხან ადამიანის სახლის მფარველობასაც გვაკისრებსო“. განკურნებული ჭაბუკი სასახლეში გამოცხადდა და ქალს სამკურნალოდ თავისი გული მიუტანა, მაგრამ მეფის ასული უკვე მომკვდარიყო“. ასეთია ორი ობოლი ძმის ზღაპრის სქემატიური ჩონჩხი.

ამრიგად არა პანთეიზმისათვის, ან ულოგიკაბის გამო, შექმნა ვაქამ ეს სიმბოლიური სურათი პოემა ბახტრიონის დასასრულში, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ დაედასტურებია გმირული სულის აპოლოგია. თუ მხდაუ წიწოლას, სამშობლოსადმი ღალატის გამო, არც ერთი ადამიანი არ მიეკარა, სამაგიეროდ გმირ ლეხუმს — თვით გველიც კი დაეხმარა მტრის ხელით მიყენებულ ჭრილობის განკურნებაში. ლეხუმის ვაეკატურად მოქმედებამ გველსაც კი მოუღბო გული; წიწოლას სიმხდალემ ადამიანი გააბოროტა და გულჭეა არსებად აქცია. გმირობისა და სიმხდალის კონტრასტია გამო-სახული პოემა „ბახტრიონის“ სიმბოლიურ სურათში.

# ალექსანდრე ნეღუციძის ღიფაკაფუკური შახეღუღებანი

Какой светильник разума угас!  
Какое сердце биться перестало!  
Некрасов

როცა ალექსანდრე წულუკიძეს მრავალრიცხოვანი პროცესია უკანასკნელ გზაზე მიაცილებდა, თან მიჰქონდა უამრავი გვირგვინი, მათ შორის წითელ ლენტეანი, რომელსაც ამშვენებდა წარწერა: „Дыхание пошлости тебе дышать мешало“. ამ სიტყვებში სიმბოლურად გამოიხატა არა მარტო მძიმე ეპოქა, როცა მოღვაწეობდა ეს შესანიშნავი ადამიანი და მკვნიბარე ბოლშევიკი-რევოლუციონერი, არამედ მთელი მისი პიროვნული ყოფაც. ის ოცდაცხრა წლის ახალგაზრდა დაიღუპა. მის შემოქმედებითს ენერგიას და ნათელ გონებას ჯერ კიდევ ბევრი ჰქონდა გასაკეთებელი, თუმცა თავისი ასაკისათვის მან ისედაც ბევრი მოასწრო და ბევრი გააკეთა. მის რევოლუციურ მკვნიბარებას წინ ვრცელი გზა ჰქონდა სამოქმედოდ და საასპარეზოდ, თუმცა, რაც გააკეთა, ოქროს ასოებით არის აღბეჭდილი ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლის ისტორიაში. თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე დიდი ლიტერატურული ნაყოფიერებით იგი ისევე გვხიბლავს და გვანცვიფრებს, როგორც დობროლუბოვი და პისარევი. ალექსანდრე წულუკიძე ამხანაგ სტალინთან ერთად წლების მანძილზე ეწეოდა დაუცხრომელ რევოლუციურ მოღვაწეობას, მეტად თვალსაჩინო როლს ასრულებდა ამიერკავკასიის ლენინურ-სკრული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შექმნის საქმეში, „უმციერესობის ჯგუფიდან, სხვა ამხანაგებზე ადრე დაიწყო მუშაობა და ამასთან ერთად ბრძოლა „შესაშე დასის“ უმრავლესობის წინააღმდეგ.“<sup>1)</sup> მან მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მოახმარა კაცობრიობის ბედნიერი მომავლისათვის ბრძოლას, დაიფრფლა მის სამსხვერპლოზე, სამაგიეროდ ჩვენს წინაშე აღიმართა, როგორც უკვდავი მონუმენტი, რომელიც მარად ბრწყინვალე ვარსკვლავად გაუნათებს გზას თაობებს შრომისა და ბრძოლისათვის. თითქმის მის შესახებ სიტყვა პოეტმა:

<sup>1)</sup> ლ. პ. ბერია „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“, 1939 წ. გვ. 33.

«Природа-мать!  
Когда б таких людей  
Ты иногда не посылала миру,  
Заглохла б нива жизни».....



ბაკურიანი

თეორიული სიღრმით და ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის კლასიკური პერიოდისათვის ბრწყინვალე ნაშრომში ლ. პ. ბერია ალექსანდრე წულუკიძის მოღვაწეობის ყოველმხრივ დახასიათებას გვაძლევს: „...ერთერთი განათლებული მარქსისტი, ნიჰიერი პროპაგანდისტი და პუბლიცისტი, რევოლუციონერი, მუშათა კლასის საქმის ბოლომდე ერთგული, ამხანაგ სტალინისა და ლ. კეცხოველის უახლოესი მეგობარი“<sup>1)</sup>—აი, ვინ იყო ალექსანდრე წულუკიძე, რომელიც თავის შრომებში „განსაკუთრებული სიღრმითა და თანმიმდევრობით ანეითარებდა მარქსისტულ შეხედულებებს პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის, პოლიტიკური ეკონომიის, მუშათა კლასისათვის პოლიტიკური პარტიას აუცილებლობის საკითხებზე, ნაციონალურ საკითხზე და სხვ.“<sup>2)</sup> წულუკიძემ ასეთივე დიდი როლი შეასრულა ქართული მარქსისტული კრიტიკის განვითარებაში. ამ ლიტერატურულ კრიტიკას საქართველოში მან ერთერთმა პირველმა გაუქაფა გზა, როგორც მარქსისა და ენგელსის შემდეგ რუსეთში—პლენხანოვმა, ხოლო ევროპაში—ფრანც მერინგმა. მაგრამ, ცნობილია, რომ პლენხანოვს ხელოვნების თეორიაშიც ჰქონდა კანტიანური გადახრები, პოლიტიკური ოპორტუნისმი, ხოლო მერინგი დაზღვეული არ იყო შეცდომებისაგან. როცა ვეცნობით საშა წულუკიძის კრიტიკულ წერილებს, ჩვენ ვხედავთ, რომ ეს საოცარი ნიჰის ადამიანი ლიტერატურულ კრიტიკაშიც მარქსისა და ენგელსის, ლენინისა და სტალინის მოძღვრების, კემზარიტად შემოქმედებითი მარქსიზმის ბოლომდე ერთგული დარჩა.

ხელოვნებისადმი ინტერესი საშა წულუკიძემ ბავშვობიდანვე გამოიჩინა და ლიტერატურული მოღვაწეობაც ადრე დაიწყო. მისი ორი ლექსი, მათ შორის ერთი ავტოგრაფი, დაწერილი 1892 წელს, ინახება მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის არქივში. მოწაფეობის დროიდანვე დაწერილი მისი ლექსები, როგორც თანამედროვენი გადმოგვცემენ, ზელიდან ხელში გადადიოდა და მკითხველთა ინტერესით სარგებლობდა. ცხრაშეტი წლის ყმაწვილმა იმ დროს დიდ გაზეთ—„ივერიაში“ 1895 წელს დაბეჭდა ესკიზი „ღამის სურათები“, რომელიც თავისი შინაარსით და ლიტერატურული სამკაულით ახლოს დგას გასული საუკუნის 90-იანი წლების მხატვრულ პროზასთან. აქ ავტორი მოურიდებლად აამკარავებს ტანჯულ, ეფემერულ ცხოვრებას იმ საზოგადოებაში, რომელიც დამყარებულია ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრასა და დაუნდობელ ექსპლოატაციასზე. მილიონობით მასების განწირვაზე დასაძლუბავად. მან შესანიშნავად იცის, რომ კაპიტალიზმის პირობებში, თუ ერთის მხრივ, ვშრომელთა უდიდესი მასა განიცდის საშინელ სიღატაკეს, ჩაგვრას და დამკირებას, მეორეს მხრივ, თვით გაბატონებული კლასების განცხრომა და ფუფუნება რყენის

<sup>1)</sup> ლ. პ. ბერია „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“, გვ. 33—34.

<sup>2)</sup> იქვე, გვ. 34.

მათ, კიდევ უფრო ამახინჯებს. ბურჟუაზიულ საზოგადოებაში <sup>საქმეებზე-</sup> ლია სიყალბე, ცბიერება, მკვლელობა და ძარცვა-გლეჯა, <sup>იმ არ არსებობს</sup> არც უანგრო მეგობრობა, არც წმინდა სიყვარული, იქ ცოლქმრობაც კი შენიღბულია, რომ დაიფაროს მისი მრავალი დანაშაული.

## II

ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ცხოვრება დაქვემდებარებულია ფულზე და ყველაფერი ქონებით იზომება. ეს განსაზღვრავს მეგობრობას, ცოლქმრობას, სიყვარულს, თუმცა მორალის ამ სფეროშიც გარეგნულად გამოიძიან სულ სხვა მანტიით, რაც ბრწყინვალედ გამოხატეს მე-19 საუკუნის რომანისტებმა. ამ საკითხს ეხება წულუკიძე თავის წერილში ნადეჟდა ერისთავისადმი და მიუთითებს, რომ ლიტერატურამ „შესამჩნევად“ გვიჩვენა კაპიტალისტურ სინამდვილეში, როგორც ქორწინების ვაჭრული ხასიათი, ისე მეგობრობისა და სიყვარულის გაუტანლობა. რას წარმოადგენს ცოლქმრობა იმ საზოგადოებაში, სადაც მპრძანებელი ფულია და სადაც ყველაფერი „ლითონით“ ზომიან? „...ცოლქმრობა ვერ წარმოადგენს იმ იდეალს, სახეტარო მეგობრობას, რომელიც ამ სიტყვაში იმალება. მისთვის რომ ჩვენში გავარკვეით თუ როგორია ცოლქმრობა და მეუღლეთა მეგობრობა, საჭიროა გადავავლოთ თვალი ევროპის ცხოვრებას, მოწინავე ერების ისტორიას, რომ მით ნათლად დავინახოთ იმ საზოგადოებაში, ბილწი, უაზრო ცოლქმრობა, რომელიც მეგობრობის პირბადის ქვეშ იმალება.“<sup>1)</sup> თავდაპირველი ისტორია მოგვითხრობს ცოლქმრობის შორის ისეთ დამოკიდებულებას, რომელიც შრომის განაწილებას ემყარება, მიზნად ისახავს ერთმანეთის ბედნიერებას და თავისუფალია ვაჭრული ურთიერთობისაგან, ვინაიდან ამ დროს არ არის სიმდიდრე, არ არის ფუფუნება, ქალისა და მამაკაცის შეუღლება წარმოადგენს „უბრალო შრომის განაწილებას, ე. ი. ქმარი გარეთ ან მტერს იგერებდა, ან ნადირს კლავდა და შინ მოჰქონდა, მხოლოდ ცოლი შინ თჯახობდა, საჭამადს თუ სხვა რასმე ამზადებდა.“<sup>2)</sup> მაგრამ ისტორიული განვითარება შემდეგ ისე წარიმართა, რომ ეს ძველი ურთიერთობანი დაირღვა იმ ახალი წარმოების საფუძველზე, რამაც შეარყია ძველი ცხოვრების მდინარეება, როგორც მატერიალურ, ისე სულიერ სამყაროში. ამ ახალი მატერიალური წარმოების ნიადაგზე „ხალხი განათლდა, ვაჭრობა გაჩაღდა, გაჩნდა მდიდარი და ღარიბი და ცხოვრებამაც ფერი იცვალა. მამაკაცი, როგორც უფრო მომქმედი, ფულის პატრონი გახდა და სიამოვნების ძებნა განცხრომაში და ფუფუნებაში დაიწყო. ქალი შეიქნა ამ განუბიერებელი გემოვნების დამაკმაყოფილებელი, მდიდარი თითქო სიყვარულის სახელით ყიდულობს ფულით ლამაზს ტანად და ხორცად ქალს. (რასაკვირველია ასედაც ხდება, რომ მდიდარი ქალი ლამაზ კაცს ყიდულობს, ეს მხოლოდ როლები შეცვალა).“<sup>3)</sup> ასეთ ვაჭრულ საზოგადოებაში ზედმეტია ლაპარაკი ჰუმანიზმსა და დემოკრატიაზე იმ ადამიანების მხრივ, რომლებიც ფულის ბატონ-პატრონი გამხდარან, რომლებსაც ხელთ უპყრიათ მატერიალური უზრუნველყოფის სადავეები და მხოლოდ

<sup>1)</sup> ილ. წულუკიძე „თხზულებანი“, 1943 წ. გვ. 277.

<sup>2)</sup> იქვე.

<sup>3)</sup> ილ. წულუკიძე „თხზულებანი“, გვ. 277 — 278. ხაზი ატეორიისა. — გ.ჯ.

იმანზე ფიქრობენ, რომ პირადი კეთილდღეობა გაიხანგრძლივებს, „მეს“ ყველა მოთხოვნილება, როგორც არ უნდა იყოს, ახირებული თუ უზუნო, ბარბაროსული თუ უკანონო, მაქსიმალურად დაიკმაყოფილოს; ამასთან არაფერს მოერიდონ, თუნდაც სხვის გაყველფას, დამცირებას და განადგურებასაც. რაღა დარჩენია დარბი ქალს, რომელსაც ბუნებამ მხოლოდ ფიზიკური არსებობა მისცა და ცხოვრებამ ყველა გზა დაუხშო პიროვნული კეთილდღეობის მიღწევაში? „ღარიბი ქალი, რომელიც სიღარიბეს მაწინააღმდეგავს და უფროსს და ვაჭრობს თავის თავით; ვინც უფრო მეტს მისცემს, ის არის მისი მფლობელი. ერთის სიტყვით ქალი შეიქნა ფუფუნების საგნად“. ეს სინამდვილე ისე ნათლად წარმოიდგინა წულუკიძემ, ისე ღრმად განსჭვრიტა ამ საზოგადოების მთელი საზიზღარი არსებობა, რომ ყოველი სტრიქონიდან ჰქრის სიძულვილის ძლიერი ქარიშხალი, რომელიც წალუკით ემუქრება ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრაზე დამყარებულ ბურჟუაზიულ „სამოთხეს“.

ამ ყოფაშია კაპიტალისტური ევროპა და ამის მიზეზია სიმდიდრის უწესრიგოდ განაწილება. ეს თვით სიმდიდრის შედეგია. სოციალური ინსტიტუტის ღრმა ანალიტიკოსს შეეძლო მხოლოდ ასე ნათლად წარმოედგინა და შეემჩნია: „რაც უფრო მდიდარია ქონებით ხალხი იქ, მით მეტი გარყვნილებაა“. შეიძლება თუ არა ასცდეს ამ უკუღმართ გზას კაპიტალისტური რუსეთი ან ისეთი ბატარა ქვეყანა, როგორც საქართველო? არა ბურჟუაზიული საზოგადოების ბატონობის პირობებში ამ გზას ვერავინ ასცდება, „ეს პირდაპირ შედეგია წინსვლის, პროგრესის, განათლების, გამდიდრების...“<sup>1)</sup> ამას არა მარტო ხელოვნება და ლიტერატურა გვიჩვენებს, არამედ ყველა ადვილად შეამჩნევს, ცხოვრებას თუ ოდნავ დააკვირდება. წულუკიძე შესანიშნავად იცნობდა მე-19 საუკუნის ევროპულ და რუსულ ლიტერატურას, რაც მას საშუალებას აძლევდა მიეთითებინა, რომ ეს ფაქტი კარგად გამოხატეს „ევროპის სხვადასხვა მწერლებმა და ერთმა რუსეთის ცნობილმა რომანისტმა ლ. ტოლსტოიმ...“<sup>2)</sup> აქ ძნელია არა მარტო გარჩევა, თუნდაც უბრალო ჩამოთვლა იმ მწერლებისა, რომლებმაც გასულ საუკუნეში პირველხარისხოვანი რომანები და მოთხრობები შექმნეს ბურჟუაზიულ მორალზე, კაპიტალისტური საზოგადოების პირობებში მეგობრობის, სიყვარულის, ცოლქმრობის, ოჯახის თემაზე. გავიხსენოთ ბალზაკის, დიკენსის, სტენდალის, ტეკერეის, მოპსანის, ზოლას, დოდესა და მრავალი სხვა გამოჩენილი ბელეტრისტის პროზაული შედეგები. მოიგონეთ რუსულ ლიტერატურაში დოსტოევსკისა და კოროლენკოს, გორკისა და აქსაკოვის, კუპრინისა და ვერესაევის შესანიშნავი რომანები. ქართულ ლიტერატურაში გიორგი წერეთელი და არსენ მამულაიშვილი, ანასტასია ერისთავ-ხოშტარია და შიო არაგვისპირელი, ჭოლა ლომთათიძე და ხალხსანი მწერლების მთელი თაობა. გავიხსენოთ ვრცელი რომანი „მოლიპულ გზაზე“ ანასტასია ერისთავ-ხოშტარიასი. რა შესანიშნავად ასწერა ავტორმა თავად სარდიონიშვილის ოჯახის ისტორია თითქმის მთელი ორი თაობის მანძილზე. აიღეთ ლამაზი მაკინე, რომელიც ძმის ჯიბრზე მისთხოვდება ხანშიშესულ მოხელეს, რომელიც „ჯამაგირის კაცია“ და „ბევრი

<sup>1)</sup> ალ. წულუკიძე „ოხულებანი“, გვ. 278.

<sup>2)</sup> იქვე.

ფული აქვს“. ეს ფული იზიდავს მაკინეს. ამ ფულს მიჰყვება იგი ცოლად. ამ ფულით იმართება დაუსრულებელი ორგანიზაციები. ლალიონმა „ეფემის“ ოცნებაში“ ასევე მოხდენილად დახატა, თუ როგორ აყალბებს და დუპირებს ადამიანს ბურჟუაზიული სინამდვილე. ლამაზ სოფელს მტკიცედ შეიყვარებს ქალაქიდან ჩამოსული ახალგაზრდა ვაჭარი გიორგი პინტილიანი. დაინიშნება მასზე. გიორგი თბილისში მიდის, მაგრამ უკან აღარ ბრუნდება. ის ირთავს მახინჯს, მაგრამ მდიდარ ქალს. ეფემია ამოდ ოცნებობს ბედნიერ ცხოვრებაზე. როცა ყოველივეს შეიტყობს, საბრალო ქალი თავს იცლავს.

ბურჟუაზიული საზოგადოების ამორალიზმი ბრწყინვალედ გააშიშვლა ქართული ფსიქოლოგიური ნოველის საუკეთესო ოსტატმა შიო არაგვისპირელმა. მან საუცხოოდ ასახა სიყვარულისა და ცოლქმრობის რაობა ბურჟუაზიულ სინამდვილეში. მოპასანისებური ნოველა „ქარი კი ამ დროს ზმუოდა, კენესოდა და გმინავდა“ რეალისტური ფერებით გადმოგვცემს ცოლ-ქმრის დამალულ ღალატს, რომელიც ფარისევლობის მანტიამა გახვეული. აი, კანკელარიის მოხელე ტიტკოს მოუკვდა ცოლი. ქმარი დაკრძალვის შემდეგ გაიგებს, რომ ცოლი ღალატობდა, ვინმე ვახტანგის წერილის უნებლიე გამოჩენა ფარდას ხდის დაფარულ ღალატს. „წერილის ნაგლეჯში“ მკაფიოდ არის ნაჩვენები, რომ შეუძლებელია ცოლ-ქმრის შორის მტკიცე სიყვარული არსებობდეს ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. არაფერს ვიტყვით სტრინდბერგის „საქორწინო ისტორიების“ მსგავს ნოველაზე „ჩემი პირველი სიყვარული“, სადაც ავტორი თავისუფალი სიყვარულის შეუძლებლობას გვიმტკიცებს და გვიჩვენებს ადამიანის ბუნებაში ჩამარხულ მისწრაფებას— ეძიოს პირველი სიყვარულის სახეობა, ჰპოვოს ასეთი ქალი და ცოლად შეირთოს. კირილეს ბავშვობისას უყვარდა ნუნუ. ცოლად ვერ შეირთო. 18 წლის შემდეგ ხვდება მის ქალიშვილს, რომელიც საესებით დედას ჰგავს, და ცოლად ირთავს. არაფერს ვიტყვით „ფრინველი—ფენაქის“ შესახებ ეორჟ როდენბახისებურ<sup>1)</sup> ნოველაზე, სადაც გმირი შეიყვარებს იმ ქალს, რომელიც მისი ცოლის მსგავსია. თუ, ერთის მხრივ, ამ ორივე შემთხვევაში მამაკაცის გრძნობას თან ახლავს ზნეობრივი სიფაქიბე, არ ღალატობს პირველ გრძნობას, პირველ სიყვარულს, მეორეს მხრივ, იგი დამარცხებულია, ვინაიდან არსებითად მის ღალატს წარმოადგენს. გამოდის, რომ არ არსებობს ისეთი ცოლქმრული ცხოვრება, სადაც ღალატი არ იყოს. მაგრამ წაიკითხეთ „მომილოცნია ახალი წელი“. მდიდრულად მორთული სახლის ზემო სართულში საახალწლო ზეიმა, ქეიფი, სიმღერა, ცეკვა-თამაში, ქვევით კი მეძავე ქალი, წელში მოხრილი დედაბერი, სარდაფში აგდია. ის ბურჟუაზიული საზოგადოების მსხვერპლია. ის ამ საზოგადოებამ გარყვნა, წაართვა სილამაზე, ძალა, ენერჯია, ყველაფერი, რაც გააჩნდა, მაგრამ არაფერი მისცა. ის ამ საზოგადოებამ გასტყორცნა თავისი წრიდან, როგორც გაცვეთილი, დახავსებული საგანი, და მშვიერ-

1) ცნობილია ბელგიელმა რომანისტმა ეორჟ როდენბახმა რომანში „მკვდარი ბრიტე“ დახატა მდიდარი ვან-გოგი, რომელსაც ცოლი ვარდაცვალა და დიდ მწუხარებას განიცდიდა. ერთხელ ის შეხვდება ქალს, რომელიც საესებით ჰგავს მის ვარდაცვალ ცოლს. დღობლოვდება მას, მაგრამ აღმოჩნდება, რომ ეს ქალი სულმდებალია. ვან-გოგი მკლავს მას. ასეთივე შინაარსს შეიცავენ როდენბახის რომანები „ცხოვრების ზეით“, „ბელოუნება განდენილობაში“ და ა. შ.

მწყურვალნი, ავადმყოფნი ჩაადგნენ ნესტიან სარდაფში. ზევით მხარულუბაა. ოდესღაც ისიც ასე მხიარულობდა. მასაც ისევე ეხვეოდნენ, კაცნიდნენ, როგორც ახლა ეალერსებიან ზემო სართულში მოკისკისე ქალბჭა. ვინ იცის, როდემდის გასტანს მათი მხიარულება. ბოლოს ცხელი წყლის კუთხეებში უღებლად სარდაფში მოხვედებიან, როგორც ეს მეძავე ქალი, და სიცილო ტირილად შეეცვლებათ. ასეთია ცხოვრება! ამიტომ გაბრაზებული მეძავე ქალი, რომელსაც წარსული მოაგონებს, რომელსაც ერთხელ კიდევ დაიანახვის, თუ რა საზიზღარი, რა აუტანელია პირფერობასა და მოტყუებაზე დამყარებული ცხოვრება, ცეცხლს წაუკიდებს ზემო სართულს, რათა იგი დაჰფერფლოს და თვითონაც შიგ იფერფლებს. აი ბურჟუაზიული სინამდვილის პიროვნება და საზოგადოება, მისი ერთი დამახასიათებელი სურათი! მთა არაგვისპირელის ნოველები: „ბალღი ყოფილხარ“, სადაც მეგობარს მეგობრის ცოლს არ ინდობს, „სულ ერთია“, რომელიც სიყვარულს ქონებით ზომავს, „ხითხითებს და ხითხითებს“, სადაც ახალგაზრდა ცოლი ატყუებს ბებერ ქმარს, რომელსაც იგი ფულისათვის წაჰყვია, — დიდი დამაჯერებლობით გვიხატავენ ბურჟუაზიული საზოგადოების გაჩვენებებს, გათახსირებებს და საზიზღრობას. ამ საზოგადოების ძირითად შინაარსს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, დამცირება და გასარება წარმოადგენს. ეს საზოგადოება ბილწი და ბოროტია. ამიტომ სწერდა წულუკიძე თავის მეგობარს: „ამ უქანასქნელ სტრიქონებს აღელვებული ვაპოლოვებ, ვიგონებ რა სიბილწეს და სითახსირეს დღევანდელი საზოგადოებისასო.“<sup>1)</sup>

მე-19 საუკუნის რუსულმა და ქართულმა მხატვრულმა პროზამ დიდი დამაჯერებლობით ასახა ეს თემა. მაგრამ არ არის შემთხვევითი, რომ წულუკიძე თავის პირად წერილში ცალკე ჩერდება მხოლოდ ლევ ტოლსტოიზე და ასახელებს მის „კრეიცერის სონატას“. აქ, პირველყოვლისა, ლაპარაკობს ღრმად განათლებული მარქსისტი-ლენინელი და მახვილი ლიტერატურული კრიტიკოსი. არც ერთ ჩვენს მიერ შემოთღასახელებულ მწერალს ისე ღრმად, პირდაპირ და მოურიდებლად არ ჩამოუხსნია ნიღაბი ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ცოლქმრობის, მეგობრობის, სიყვარულის დემორალიზაციისათვის, ისე მკაცრად არ გაუშვიშვლებია მათი მოჩვენებითი ხასიათი, მათი სიყალბე, სიმახინჯე და გაუტანლობა, როგორც გრაფ ლევ ტოლსტოის. არცერთ მწერალს ისეთი გულსტიკივილი არ გამოუთქვამს ამის გამო, იმდენი ცრემლი არ დაუღვრია, არ უფიქრია, იმდენჯერ არ მოუხსენიებია სახარება და ქრისტეს სახელბ, როგორც გრაფ ლევ ტოლსტოის. და თითქმის არცერთ მწერალს, რომლებიც ჩვენ მოვიხსენიეთ, ისე სუსტი, უეფეჭტო, მიზანმიუღწეველი პანაცეა არ გამოუგონებია ამ დიდი სოციალური ბოროტების მოსაპოხად, როგორც გრაფ ლევ ტოლსტოის. ამიტომ ძნელია მოინახოს ამ საკითხის ყოველმხრივი განხილვისათვის უფრო სრული მხატვრული მასალა, ვიდრე გრაფ ლევ ტოლსტოის „კრეიცერის სონატა“. ამ მოთხრობის მიხედვით შეგიძლია, ერთის მხრივ, ბრწყინვალედ გამოაამჯარავო ბურჟუაზიული მორალის მთელი სისაზიზღრე და, მეორეს მხრივ, ასევე ბრწყინვალედ უჩვენო, თუ რა უტოპიურია გრაფ ლევ ტოლსტოის „ბოროტების წინააღმდეგობა“, რა უშედეგოა ზრუნვა ზნე-

1) ილ. წულუკიძე, „იხილულებანი“, გვ. 278. ხაზი ჩვენია.—გ. ჯ.



ობრივი გაკეთილშობილებისათვის, როცა ამორალიზმის ეკონომიკური ბაზისი მისპობილი არ არის.

ამიტომ ალექსანდრე წულუკიძის არჩევანში ვხედავთ, როგორც განათლებულ მარქსისტ-ლენინელს, ისე დიდი დიპაზონის მახვილ-ლოტკრატურულ კრიტიკოსს. მან საცესებით სწორად მიუთითა, რომ ლევ ტოლსტოიმ ფარდა ახლდა სცენას, საზოგადოებას „მისი სურათი ნათლად დაანახა, ამცნო მთელი სიბილწე, ფლიდობა, გარყვნილობა, მაცდურობა, რომელიც ცოლქმრობის, სიყვარულის სახელით დაფარფანობს და საზოგადოებაში პატივისცემამაა. ამ მხრივ მადლობის ღირსია „Крейцера соната“-ს გამომჩენილი ავტორი, მაგრამ სამწუხაროდ მან ფილოსოფიურად ვერ ახსნა ვერც მიზეზი ამ მოვლენისა და ვერც საშუალება მოგვაწოდა ძეცნიერული.“<sup>1)</sup> რამდენადაც ღრმა და ძლიერი იყო ტოლსტოი ბერეუაზიული საზოგადოების, მისი მორალის სისტემის, ეთიკური ნორმების, ურთიერთობის კრიტიკაში, იმდენად ზედაპირზე და სუსტი აღმოჩნდა იმ გზებისა თუ ღონისძიებების დასახებაში, რითაც ძველ რუსეთს თავი უნდა გადაერჩინა პირდაპირი წალეკვიანგან. ეს საცესებით სწორად შენიშნა ალექსანდრე წულუკიძემ.

მაგრამ რას წარმოადგენდა თვით ტოლსტოის მოთხრობა, რომელსაც ახალგაზრდა კრიტიკოსმა ასეთი მაღალი შეფასება მისცა?

„კრეიცერის სონატას“ ჩვენ ვერ დავამოკრებთ მის ცნობილ ბოლოსიტყვიანას, ერთი წლის შემდეგ დაწერილს. ეს ნაწარმოები როდია მართოდენ მხატვრული სიტყვის შედეგრი. ეს არის რაღაც საოცარი ერთიანობა მხატვრული პროზისა და ფილოსოფიის, ხელოვნებისა და პუბლიცისტიკის, მაგრამ ისეთი ერთიანობა, რომელიც ოდნავაც არ ბღალავს სახეებით აზროვნების სუვერენიტეტს, ოდნავაც არ გამოდის მისი სპეციფიკური სამყაროდან, საცესებით ჩნება მის წიაღში, როგორც გენიოსი მხატვრის შესანიშნავი პროზაული ქმნილება.

„კრეიცერის სონატაში“, რომელიც დაწერილია 1889 წელს, ტოლსტოიმ სასტიკად დაკვმო ბერეუაზიული საზოგადოების ამორალიზმი. მან შემთხვევით არ ათქმევინა მოთხრობის ეპიზოდურ გმირს—ულამაზო, ხნიერ ქალს შემდეგი სიტყვები: „აქორწინებენ ისეთებს, რომლებსაც ერთმანეთი არ უყვართ, ხოლო შემდეგ უკვირთ, რომ უთანხმოებით ცხოვრობენო.“<sup>2)</sup> არის თუ არა ასეთი ქორწინება ნამდვილი, კეშმარიტი, ადამიანური? არა, არ არის. „ცოლქმრობა უსაყვარულოდ არ არის ცოლქმრობა... მართო სიყვარული ასპეტაკებს ცოლქმრობას და მართო ის ცოლქმრობაა კეშმარიტი, რომელიც ასპეტაკებს სიყვარულს.“<sup>3)</sup> ბერეუაზიულ საზოგადოებაში ცოლქმრობა წარმოადგენს მოტყუებას ან ძალადობას. „ჩვენში, — ამბობს „კრეიცერის სონატას“ ერთ-ერთი მოქმედი გმირი, — ადამიანები ქორწინდებიან, არ ზედავენ რა ცოლქმრობაში არაფერს, გარდა სქესობრივი კავშირისა, და გამოდის ან მოტყუება ან ძალადობა. როცა მოტყუებაა, ეს კიდევ უფრო ადვილი ასატანია. ქმარი და ცოლი მხოლოდ ატყუებენ ადამიანებს, რომ ისინი ერთქორწინებაში არიან, ნამდვილად კი ცხოვრო-

1) ილ. წულუკიძე „თხზულებანი“, გვ. 278. ხაზი ჩვენია — გ. ჯ.

2) იხ. ლ. 5. ტოლსტოი „თხზულებათა სრული კრებული“.

3) იქვე გვ. 51.

ბუნ მრავალკოლიანობით და მრავალქმრიანობით. ეს საბაგლობაა მაგრამ კიდევ მოსათმენია; მაგრამ მაშინ, როგორც ეს უფრო ხშირად ხდება სოლომე, როცა ქმარმა და ცოლმა თავის თავზე იყისრა გარეგნული ვალდებულება ერთად იცხოვრონ მთელ სიცოცხლეში და მეორე თვიდანვე უკვე სწყობო ერთმანეთი, სურთ გაშორდნენ და მაინც ასე თუ ისე ცხოვრობენ, მაშინ ეს გამოდის ის საშინელი ჯოჯოხეთი, რის გამოც ლოთდებიან, თავს იკლავენ, ერთმანეთს ჰკლავენ, თავს იწამლავენ და ერთმანეთს სწამლავენ...<sup>1)</sup> უპრუნველყოფილი კლასების ქალებს მართალია აძლევენ განათლებას, მაგრამ ტოლსტოის ეს ცარიელ სიტყვებად მიაჩნია, ვინაიდან ქალის განათლება ყოველთვის იქნება შეფარდებული მამაკაცის შეხედულებასთან მისადმი. „Ведь все мы знаем, как мужчины смотрят на женщину: „Wein, Weib und Gesang“ и так в стихах поэты говорят. Возьмите всю поэзию, всю живопись, скульптуру, начиная с любовных стихов и голых Венер и фрин — вы видите, что женщина есть орудие наслаждения; она такова на Трубе и на Грачевке и на придворном бале.“<sup>2)</sup> როცა ქალს უყურებენ, როგორც ტკობის იარაღს, ტკობის საგანს, როცა ეს შეხედულება გამეფებულია მამაკაცში, მაშინ ლაპარაკი ქალთა განათლებაზე ტოლსტოის არააობად მიაჩნია. ამიტომ ამბობს იგი, რომ ჯერ რაინდები გვარწმუნებდნენ ქალებს ვალმერთებთო, სინამდვილეში კი მას უტყუროდნენ, როგორც ტკობის იარაღს. ახლა გვარწმუნებენ, რომ პატივს სცემენ ქალს. მაგრამ ქალისადმი შეხედულება კვლავ იგივე რჩება. ის ტკობის იარაღია. მან ეს იცის, და სანამ ეს შეხედულება არსებობს, მანამდე ქალი მონის მდგომარეობაშია, ვინაიდან აღამიანები მით სარგებლობენ, როგორც ტკობის იარაღით. ამიტომ ტოლსტოის არა სწამს ლაპარაკი არც ქალთა ემანსიპაციასზე, განთავისუფლებაზე. „და იი, ათავისუფლებენ ქალებს, — სწერს ტოლსტოი, — აძლევენ მას ყოველგვარ უფლებას, მამაკაცის თანაბრად, მაგრამ განაგრძობენ უტყურონ მას, როგორც ტკობის იარაღს; ასე ზრდიან მას ბავშვობაშიც და საზოგადოებრივი აზრითაც“. ამიტომ „Она все такая же приниженная, развращенная раба, и мужчина все такой же развращенный рабовладелец“. და ტოლსტოი მწარედ დასცინის „ქალთა განთავისუფლებას კურსებსა და პალატებში“. გიმნაზიებსა და კურსებს არ შეუძლიათ შესცვალონ ამ მხრივ რაიმე. „ამის შიგვლა შეუძლია მხოლოდ მამაკაცის შეხედულების გამოცვლას ქალისადმი და ქალებისას თავიანთი თავისადმი.“<sup>3)</sup> ის გარემოება, რომ ერთმა ქალმა „უფრო მეტად იცის მათემატიკა, ხოლო მეორე ქნარზე (Арфа) უკრავს, არაფერს არ შეცვლის“. ასეთ საზოგადოებაში მამაკაციც გარყვნილ ცხოვრებას ეწევა. „კრეიციერის სონატას“ მთავარი მოქმედი გმირი ტრუხანგესკი ცოლის შერთვის შემდეგ მართალია იჩენს ერთგულებას მეუღლისადმი, ოჯახისადმი, მაგრამ ის აღიარებს, რომ ცოლთან მისი ცხოვრება მაინც უზნეო იყო. მას სიყალბედ მიაჩნია გავრცელებული თეორია თითქოს სიყვარული იდეალურია, ამალღებული, სინამდვილეში კი ის სხვა არაფერია, თუ არა სამარცხენო ღორობა.

<sup>1)</sup> ლ. ნ. ტოლსტოი, ტ. X, გვ. 53.

<sup>2)</sup> იქვე, გვ. 71.

<sup>3)</sup> ლ. ნ. ტოლსტოი, ტ. X, გვ. 72.

შეიძლება თუ არა ამ დიდი ბოროტების თავიდან აცილება, რა საშუალება გააჩნია ადამიანს ბოლო მოუღოს მას? ამ კითხვაზე ტოლსტოის პასუხი მოცემულია ბოლოსიტყვაობაში, სადაც ავტორი განმარტებებს იძლევა და წარმოგვიდგენს გზებს მოთხოვნაში მხილებული უმცირესობის მოსასპობად. ჩვენ ვფიქრობთ, რომ იმ ხუთი დებულებიდან, რომლებსაც ტოლსტოი აყენებს, ძირითადი, არსებითი და გადამწყვეტია მეორე დებულება, სადაც „ანა კარენინას“ ავტორი პირდაპირ აყენებს საკითხს: თუ ჩვენ გვსურს ბოლო მოუღოს ცოლქმრულ ცხოვრებაში დაღატაკ და ეჭვიანობას, საქირთა „შეიცვალოს შეხედულება ხორციელ სიყვარულზე, რათა მამაკაცები და ქალები იზრდებოდნენ ოჯახებში და საზოგადოებრივი აზრით ისე, რომ ისინი ქორწინებამდეც და ქორწინების შემდეგაც არ უყურებდნენ შეყვარებას და მასთან დაკავშირებულ ხორციელ სიყვარულს, როგორც პოეტურ და ამაღლებულ მდგომარეობას, როგორც ამას უყურებენ ახლა, არამედ უცქირონ მას, როგორც ადამიანისათვის დამამცირებელ პილტუჯულ მდგომარეობას, და რომ ქორწინების დროს მიცემული ერთგულების პირობის დარღვევა საზოგადოებრივი აზრით ისჯებოდეს თუნდაც ისევე, როგორც მის მიერ ისჯებიან ფულადი ვალდებულებების დარღვევნი და საგაქრო მოტყუებანი და არ უმღეროდნენ მას, როგორც ეს ხდება ახლა რომანებში, ლექსებში, სიმღერებში, ოპერებში და ა. შ.“<sup>1)</sup> ასეაი ტოლსტოის რეცეპტი იმ ბოროტების მოსასპობად, რომელსაც ის წარმოგვიდგენდა „კრეციერის სონატაში“ და რომელსაც მიაწერდა ცივილიზაციას, პროგრესს, ფულის მეურნეობას. ეს არ იყო არც მიზეზის „ფილოსოფიური ახსნა“ და არც მეცნიერული საშუალების გამოჩნება, როგორც ამის შესახებ ბრწყინვალედ მიუთითა ალექსანდრე წულუკიძემ.

თავის კლასიკურ წერილებში ლევ ტოლსტოის შემოქმედებაზე ლენინმა ვენიალურად განმარტა დიდი რუსი მხატვრის ასეთი დამოკიდებულება, როგორც ცივილიზაციისა და პროგრესისადმი, ისე ბოროტებიდან თავის დაღწევის საშუალებებისადმი. ლენინმა ახსნა მიზეზი, თუ რატომ დასცინა ტოლსტოიმ ცივილიზაციას. ლენინმა მიუთითა, რომ გენიალურ მხატვარს მართლაც არ შეეძლო არ დაენახა—ცივილიზაციას მასებისათვის სიღატაკის გარდა არაფერი მოჰქონდა. ამიტომ იგი ამხედრდა მის წინააღმდეგ, გამოაცხადა ეს უკანასკნელი, როგორც მოჩვენებითი ცოდნა და წერილში „პროგრესი და განათლების განსაზღვრა“, რომელიც დაწერილია 1862 წელს, დაგმობილია. გაბატონებული შეხედულება, თითქოს პროგრესი საერთო კანონი იყოს კაცობრიობისათვის. როგორც ლენინი მიუთითებს, ტოლსტოი მაგალითისათვის მიმართავს აღმოსავლეთის ქვეყნებს და ცდილობს ევროპის განვითარებული ქვეყნების გვერდით აღმოსავლეთის ჩამორჩენილი ქვეყნების არსებობა გამოიყენოს, როგორც საბუთი პროგრესის საერთო კანონის გასაბათილებლად. თუ „ლიუცერნი“<sup>2)</sup>, რომელიც დაწერილია 1851 წელს, ტოლსტოი ცივილიზაციას აცხადებს მოჩვენებითი ცოდნად, „პროგნოზში“ და განათლების განსაზღვრაში“ ტოლსტოი უარყოფს პროგრესს. ტოლსტოის ასეთი შეხედულებებიდან ლენინი სავსებით სამართლიანად დაასკვნის, რომ მისი იდეოლოგია წარმოადგენს აღმოსავლური წყობილების, აზიური წყობილების იდეოლოგიას. ლენინი წერს:

<sup>1)</sup> ლ. ნ. ტოლსტოი, ტ. X, გვ. 108.

„კაცობრიობის წინსვლის საერთო კანონი არ ასრებობს, — აცხადებს ტოლსტოი, — როგორც ამას გვიმტკიცებენ აღმოსავლეთის უმოძრაო რეალობები“.

აი, სწორედ აღმოსავლეთის წყობილებს, აზიური წყობილების იდეოლოგიას წარმოადგენს ტოლსტოველობა თავისი ისტორიულ-სოციალური შინაარსით.<sup>1)</sup> ტოლსტოველობის ამ რეალურ, ისტორიულ შინაარსში ლენინმა გენიალური შორისმჭვრეტელობით დაინახა პესიმიზმი და ასეეტიზმი, „ბოროტების წინააღმდეგობის“ თეორიის წყარო. „აქედან გამომდინარეობს ასეეტიზმიც, — წერს ლენინი, — ბოროტებასადმი წინააღმდეგობადაც ძალმომრეობით, ღრმა პესიმიზმის კილოც, რწმენაც, რომ „ყველაფერი — არაარობაა, ყველაფერი მატერიალური არაარობაა“ („ცხოვრების აზრის შესახებ“, გვ. 52) და რწმენა „სულს“ „ყოველივე დასაბამის“, რომლის მიმართ ადამიანი მხოლოდ „მუშაკია“, „რომელიც მიჩენილია თავისი სულის ზნის საქმეზე“, და სხვა. ტოლსტოი ერთგულია ამ იდეოლოგიისა „კრეიციერის სონატაშიც“, როცა ის ლაპარაკობს: „ქალის ემანსიპაცია არა კურსებზე და პალატებში, არამედ დასაძინებელ ოთახში“, და არც 1862 წლის სტატიაში, სადაც აცხადებს, რომ უნივერსიტეტები ამზადებენ მხოლოდ „გაღიზიანებულ ავადმყოფ ლიბერალებს“, რომლებიც „სრულებით არ ესაჭიროება ხალხს“, რომელნიც „უმიზნოდ მოწყვეტილან წინააღმდეგ წრეს“, „ვერ ნახულობენ ადგილს ცხოვრებაში“ და სხვა.“<sup>2)</sup> ახასიათებს რა ასე ღრმად და ამომწურავად ტოლსტოის იდეოლოგიას, ლენინი ჩვენ გვაძლევს პესიმიზმის ისტორიული საჩუღლისა და წყაროების უღრმეს მეცნიერულ განმარტებას. ლენინის განსაზღვრით, პესიმიზმი, აქელაცია „სულისადმი“ ჩნდება ისეთ ხანაში, როცა „მთელი ძველი წყობილება „გადატრიალდა“ და როდესაც ამ ძველ წყობილებაში აღზრდილი მასა, რომელსაც ღედის რძესთან ერთად შეუთვისებია ამ წყობილების საფუძვლები და ჩვეულებანი, ტრადიციები, რწმენანი, — ვერ ზედავს და არც შეუძლიან დაინახოს, როგორია ის ახალი წყობილება, რომელიც „მყარდება“, რა საზოგადოებრივი ძალები და სახელდობრ როგორ „ამყარებენ“ მას, რა საზოგადოებრივ ძალებს შეუძლიათ ხანა აურაცხელ, განსაკუთრებით საშინელ უბედურებათაგან, რომელნიც ახასიათებენ „რღვევის“ ეპოქებს.“<sup>3)</sup>

ასეთი იყო პესიმიზმის საფუძვლები ტოლსტოის შემოქმედებასა და აზროვნებაში, და ასეთია, საერთოდ, საფუძვლები ყველა და ყოველგვარი საზოგადოებრივი პესიმიზისა.

მაგრამ პესიმიზმი არ ნიშნავს, თითქოს საიმედო აღარაფერი პქონდეს ადამიანს. ტოლსტოის პესიმიზმიც არასოდეს არ მისულა ნილილიზმამდე. ამ საკითხს შეეხო ალექსანდრე წულუკიძე 1897 წლის 21 ნოემბერს ელენე ჰიჭინაძისადმი წერილში, სადაც გაილაშქრა კიტა აბაშიძის წინააღმდეგ და წამოაყენა სავესებით სწორი მარქსისტული დებულება: „განა პოეტი თუ ცხოვრების სიმწარეს დაკვერის ჩანვით — ეს იმას ნიშნავს, რომ მას ცხოვრებაში აღარაფერი საიმედო დარჩენია? თვით ის პოეტები, რომლებითაც კიტა თავის აზრს ამტკიცებს, თუ ერთ ადგილს ტირიან, მეორე

1) ლენინი ლიტერატურის შესახებ, 1941 წ. გვ. 101.

2) იქვე.

3) იქვე, გვ. 102, ხაზი ლენინისაა. — გ. 28.

ადგილას მდერიან სიცილით. იგივე თქმის ბელეტრისტების შესახებაც<sup>\*)</sup>. ამ საკვებით სწორი დებულების კონკრეტული ცხადყოფნა იქნენ შეგვიძლია მრავალი მაგალითი მოვიტანოთ ალექსანდრე პუშკინის, ჯორჯორთბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ვახტანგ ორბელიანის და სხვათა თვით ყველა ქვეყნის რომანტიკოსების შემოქმედებიდან.<sup>\*)</sup>

## III

მაგრამ რა არის ხელოვნების არსობა, მისი ფუნქცია?

ხელოვნების ფუნქციას მარტო ის კი არ წარმოადგენს, რომ ცხოვრება გამოხატოს და ამით გავლენა იქონიოს სინამდვილეზე. მარქსისტულ ესთეტიკამდე ეს შესანიშნავად იცოდა რუსეთში ჯერ ბელინსკიმ, შემდეგ ჩერნიშევსკიმ და რაზნოჩინელების მთელმა თაობამ ზაიცევის ჩათვლით. ეს იცოდა ქართულმა სალიტერატურო კრიტიკამ 60-იან წლებშიც, რომ აღარაფერი ვთქვათ 80-იანი წლების ხალხოსნურ თეორიაზე. ხელოვნებამ უნდა გამოხატოს საზოგადოებრივი ცხოვრება, როგორც ეს მიუთითებს მარქსმა და ენგელსმა თავიანთ მრავალრიცხოვან შენიშვნებში მსოფლიო ლიტერატურაზე.<sup>\*)</sup> ამ შეხედულებას იცავდა პლენანოვი, როცა წერდა: „...სთქვა, რომ ხელოვნება — ისე როგორც ლიტერატურა — არის ცხოვრების გამოხატვა, ნიშნავს გამოსთქვა, თუმცა სწორი, მაგრამ ამასთან ჯერ კიდევ გაურკვეველი აზრი. იმის გასაგებად, თუ რა სახით გამოხატავს ხელოვნება ცხოვრებას, უნდა ვაიგო ამ უკანასკნელის მექანიზმი. ცივილიზებულ ხალხებში კი კლასთა ბრძოლა ამ მექანიზმში წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ზამბარას. და მხოლოდ თუ განვიხილავთ ამ ზამბარას, თუ მხოლოდ მივიღებთ მხედველობაში კლასთა ბრძოლას და შევისწავლით მის მრავალ განსხვავებულ პერსპექტივებს, ჩვენ შეგვეძლება რამდენიმედ მაინც დამაკმაყოფილებლად განვმარტოთ ჩვენთვის ცივილიზებული საზოგადოების „სულიერი“ კულტურა. „მისი იდეის განვითარება“ გამოხატავს მისი კლასების ისტორიას და ერთმანეთთან მათი ბრძოლის ისტორიას.“<sup>\*)</sup>

ხელოვნებამ რომ უნდა გამოხატოს საზოგადოებრივი ცხოვრება, მისი ტენდენციები, უჩვენოს რეალური სინამდვილის მკაფიო, ტიპური სურათები, ამასთან დაინახოს განვითარებაში მყოფი ცხოვრების პერსპექტივა — მეცნიერული სიზუსტით ესმოდა ალექსანდრე წულუკიძეს და ამიტომ იყო, რომ 1898 წელს დაწერილ კრიტიკულ წერილში — „ახალი ტიპი ჩვენს ცხოვრებაში“ იგი უსაყვედურებდა ლალიონს, რომელმაც თავის მოთხრობაში ბურჟუაზიის წარმომადგენელი ნიკო კალაძე მოაკვლევინა ძველი, ფეოდალური არისტოკრატის უკანასკნელ წარმომადგენელს. იგივე დავლაძეს. ეს ფაქტი წულუკიძემ მიიჩნია საზოგადოებრივი ცხოვრების შინაარსს დაშორებულად. შესაძლოა ცხოვრებაში ხშირად ხდებოდეს ასეთი ამბავი, მაგრამ ის არ შეიძლება ჩავთვალოთ ტიპიურ მოვლენად, ვინაიდან ცხოვრების განვითარება ისეთია, რომ ამ სტადიაზე ორ საზოგადოებრივ

\*) ეს საკითხი დაწვრილებით არის განხილული ჩვენს წინგში „კრიტიკული მტივლები“.

\*) კ. მარქსი და ფ. ენგელსი „ხელოვნების შესახებ“.

\*) გ. ვ. პლენანოვი, „თხზულებანი“, ტ. XIV, გვ. 118. ხაზი პლენანოვისაა — გ. გ.

კლასს შორის ბრძოლაში საბოლოოდ გამარჯვებული გამოდის ბურჟუაზია, რომელიც აპყრობს, როგორც ეკონომიური, ისე პოლიტიკური ცხოვრების გაბატონებულ მწვერვალებს. ქართულ კრიტიკაში ეს საკითხი პირველად წულუკიძემ გადასწყვიტა და, თუ დღეს ლიტერატურულ-თეორიაში ეს თვალსაზრისი საბოლოოდ დადასტურებულად მიჩნეულა, მაშინაც ის თვალსაზრისი საბოლოოდ დადასტურებულად მიჩნეულა. „ჩვენი აზრით, ლათინის იღებს ალექსანდრე წულუკიძის ესთეტიკიდან. ჩვენი აზრით, ლათინის, რომ ამ ორ ტიპთა შორის ბრძოლა, რომლითაც თითქმის იწყება მისი მოთხრობა, ბოლომდის ლოლიკურათ გაეტარებინა, არ აპყრობდა ფანტასტიკურ გულისთქმას, არამედ ცხოვრებას ბოლოშიაც დაჰკითხებოდა, იგი ნიკოს არ მოაკვლევინებდა ივანეს. გამარჯვებას ბოლომდე ამ ახალ ტიპს შეაჩვენდა. თუმცა აქ გამარჯვება მხოლოდ ფიზიკურია, მაგრამ მოთხრობა, რომელიც ამ ორ ტიპთა ბრძოლის დამახასიათებელია, იმით უნდა ბოლოვდებოდეს, რითაც თვით ცხოვრებაში ბოლოვდება. თუმცა ანაირი შემთხვევა შესაძლებელია ხშირადაც ხდებოდეს, მხოლოდ იგი მაინც არ არის დღევანდელი ჩვენი საზოგადოების კლასიური ბრძოლის დასკვნა; იგი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ნამდვილ სურათს არ წარმოადგენს.“<sup>1)</sup> მხოლოდ ღრმად განათლებულ მარქსისტ-ლენინელს შეეძლო ასე ამომწურავად დაეხასიათებინა სოფლად კაპიტალიზმის შეჭრით გამოწვეული სინამდვილე და მიეთითებინა მწერლის ამ შეცდომაზე. საესებით ბუნებრივია, რომ აქ ჩვენ უნებლიედ გვაგონდება ენგელსის ერთი წერილი ინგლისელი მწერალი ქალის მარგარიტა პარკენისადმი. სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ წულუკიძე მას არ იცნობდა, ვინაიდან ენგელსის წერილი გვიან გამოქვეყნდა. ლალიონისადმი წულუკიძის საყვედური საესებით ანალოგიურია შენიშვნისა, რომელიც ენგელსმა გამოსთქვა პარკენის რომანის „ქალაქელი ქალიშვილის“ შესახებ. ხოლო თუ აქ სრულიად სხვადასხვა ლიტერატურულ მასალაზე დასკვნა ერთნაირია, შეიძლება იმით აიხსნას, რომ კვლევის მეთოდი ერთი იყო — მეცნიერული, მარქსისტული. როცა მეთოდი ერთი და იგივეა, როცა ეს მეცნიერული მეთოდი ბოლომდე თანმიმდევრულად არის გამოყენებული, მაშინ შედეგიც ერთნაირია. არსებობდა ეს იყო რეალიზმის პრინციპის თანმიმდევრული დაცვა და მწერლისაგან იმის მოთხოვნა, რომ ცხოვრების ტიპური ხასიათები ტიპურ გარემოებაში სწორად ყოფილიყო გადმოცემული.

1888 წელს ენგელსი მარგარიტა პარკენეს თავისი რომანის „ქალაქელი ქალიშვილის“ შესახებ სწერდა: „თუ მე რაიმე შემიძლია გავაკრიტიკო, ეს შეიძლება იყოს მხოლოდ ის ფაქტი, რომ მოთხრობა არასაკმაოდ რეალისტურია. ჩემი აზრით, რეალიზმი გულისხმობს დეტალების სიმართლის გარდა, ტიპული ხასიათების ტიპურ გარემოებაში გადმოცემის სისწორეს. თქვენი ხასიათებრივად აკმაოდ ტიპური არიან იმ ფარგლებში, როგორშიც ისინი მოცემული არიან თქვენს მიერ, მაგრამ არ შეიძლება იგივე ითქვას გარემოებათა შესახებ, რომლებიც მათ განსაზღვრავენ და აიძულებენ მათ იმოქმედონ.“

„ქალაქელი ქალიშვილში“ მუშათა კლასი გამოყვანილია, როგორც პასიური მასა, რომელსაც არ შეუძლია თავის თავს დაეხმაროს, რომელიც არც კი იძლევა ცდას თავისი თავის დახმარებისა. ყველა ცდა დააღწიოს თავა

1) ალ წულუკიძე „თხულებანი“, 1943 წ. გვ. 17 — 18.

დამაჩლუნგებელ სილატაკეს გამომდინარეობს გარედან, ზემოდან (მართ-  
ლაც ეს კლასი ყველაზე ღარიბი, ყველაზე ტანჯული, ყველაზე მრავალ-  
რიცხოვანია, როგორც ამბობს სენ-სიმონი, ყველაზე ღარიბი, დამცირებულ-  
ლი კლასია, როგორც ამბობს რობერტ ოუენი). მაგრამ <sup>ესე მას იმის სწორი</sup> აღწერა 1800 და 1810 წწ., სენ-სიმონისა და რობერტ ოუენის დროს, ასე  
აღარ არის 1887 წ. იმ ადამიანთათვის, რომელსაც პატივი ჰქონდა დაახ-  
ლოებით 50 წლის განმავლობაში მონაწილეობა მიეღო მეზობლი პროლე-  
ტარიატის ბრძოლაში და ყოველთვის ესელმძღვანელნა პრინციპით, რომ მე-  
შათა კლასის განთავისუფლება უნდა იყოს თვით მეშათა კლასის საქმე...<sup>1)</sup>  
ენგელსი პარკენს<sup>2)</sup> უსაყვედურებს გადახვევას სინამდვილიდან, ობი-  
ექტური რეალობის არასწორად გამოხატვას. ანალოგიური საყვედური გა-  
მოსთქვა წულუკიძემ ლალიონის მიმართ. მართალია, ავტორი მოთხრობაში  
„ფიჩალი დაეღაძე“ ტიპიურ ხასიათებს იძლევა ტიპიურ გარემოებაში,  
მაგრამ სინამდვილის ძირითადი ტენდენციის სწორი ლოგიკური დასკვნა,  
სწორი გამოხატვა ბოლოს აღარ სჩანს, ვინაიდან ახალი საზოგადოებრივი  
კლასის — ბურჟუაზიის წარმომადგენელი იღუპება ძველი ფეოდალური  
კლასის — არისტოკრატის წარმომადგენლის ხელით, მაშინ როცა სინამ-  
დვილე ამჟამად პირველის ხასიათებლად მიემართებოდა.

სოფლად შეჭრილი საგაქრო კაპიტალის ვითარებაში ორ საზოგადოებ-  
რივ კლასს და ორ საზოგადოებრივ ტიპს განიხილავს ალექსანდრე წულუ-  
კიძე ლალიონის მოთხრობის მიხედვით. ერთის მხრივ არის ბურჟუაზიის  
წარმომადგენელი ნიკო კალაძე და მეორეს მხრივ ფეოდალური არისტოკ-  
რატის შვილი ივანე დაეღაძე. კრიტიკული წერილი „ახალი ტიპი ჩვენს  
ცხოვრებაში“ წარმოადგენს ამ კლასების ვრცელ სოციალურ, ეკონომიურ,  
პოლიტიკურ და ლიტერატურულ ანალიზს. ეს წერილი უნდა ჩაითვალოს  
ქართული მარქსისტულ-ლენინური ლიტერატურული კრიტიკის პირველ  
კლასიკურ ნიმუშად, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა თანამედროვე  
მხატვრული თვალსაზრისის განვითარებაში. წერილი აყენებს ხელოვნების  
თეორიის მთელ რიგ არსებით საკითხებს, მათ შორის ძირითადია ლიტე-  
რატურული კრიტიკიუმის დადგენა. წულუკიძე ილაშქრებს ქართული ლე-  
გალური მარქსისტების ბელადის ნოე ეორდანიას, აგრეთვე იდეალისტური  
ლიტერატურული კრიტიკის წარმომადგენლის კიტა აბაშიძის წინააღმდეგ.  
მართალია, წერილი იხსენიებს მხოლოდ ნ. ეორდანიას, მაგრამ მკითხველი  
ადვილად მიხვდება, რომ აქ გაკრიტიკებულია კ. აბაშიძის სტატია „ცხოვ-  
რება და ხელოვნება“, რომელიც „მოამბის“ 1895 წლის ნომერში დაიბეჭდა.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

<sup>1)</sup> იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი „ხელოვნების შესახებ“, გვ. 163.

<sup>2)</sup> მარგარიტა პარკენსი გასული საუკუნის 80-იანი წლების ინგლისელი მწერალია, რომელმაც თავისი მარველი მოთხრობის შემდეგ გამოაქვეყნა მხატვრული ნაწარმოებები: „უმუშევარი“, „კაპიტანი ლობი“ და სხვ. ის დაცემირებული იყო ელვინორია მარქსთან და დადიოდა ენგელსის სახლში. თავის მოთხრობებში მან აღწერა ინგლისის მეშათა კლასის ცხოვრება.

## ონორე დე ბალზაკი და ქართული ქალი

ონორე დე ბალზაკის რომანი „ოქროსფერთვალება ქალი-შვილი“ პარიზში გარდახვეწილი ქართველი ქალის განსაცვიფრებელ ამბავს მოგვითხრობს.

ეს ამბავი მოხდა 1815 წელს.

პარიზის შუაგულში ღვთაებრივი სილამაზის ქალიშვილი ცხოვრობდა. დანიშნულ საათს ტუილრის მთავარ ხეივანში ელევანტური ყმაწვილკაცობა იყრიდა თავს, რომ მისი მომხიბვლელი შვენიერებით დამტკბარიყო. ენით გამიოთქმელი მღელვარება აიტანდა ხოლმე ყველას, როცა ის ხეივანში გამოჩნდებოდა. მისი სახისა და ტანის პარმონიულ ნაკეთებში გულის წამლები ქალური ეშში ელვარებდა. ის ეკუთვნოდა ქალთა იმ ჯგუფს, რომელსაც რომაელები „ცეცხლოვანს“ უწოდებდნენ. განსაკუთრებით იზიდავდნენ გულს მისი ყვითელი, ვეფხისებური თვალები, რომლებშიაც ოქროს მოალერსე შუქი ციმციმებდა. პარიზელმა ქაბუკებმა ამის გამო ოქროსფერთვალება ქალიშვილი უწოდეს მას.

— ის იდეალური ქალია, ისეთი, როგორსაც ხანდახან თუ შეხვდები ესპანეთში ან იტალიაში, საფრანგეთში კი — არასოდეს, — იტყოდა ხოლმე მისი შვენიერებით მოხიბლული პარიზელი დენდი ანრი დე მარსე.

ოქროსფერთვალება ქალიშვილის ვინაობა საიდუმლოებით იყო მოცული; საჭირო გახდა ამუშავებულიყო შეყვარებული ქაბუკის მიხედრილობისა და მოხერხების მთელი მექანიზმი, რომ დე მარსეს მისი ვინაობისა და ბინისთვის მიეგნო. პაკიტა ვალდესი (ასე უწოდებდნენ ოქროსფერთვალებას) ერთი მიხრწნილი ესპანელი არისტოკრატის დონ-ისოზის პალაცოში ცხოვრობდა სენ-ლანზარის ქუჩაზე.

ბალზაკის ფანტაზიამ ესპანელ გრანდის სამყოფელი საშუალო საუკუნეების სტილის ციხე-დარბაზად გადააქცია. ჯერ არც ერთ უცნობს არ შეუღია მისი კარი. პარიზის არც ერთ სახლს არა აქვს კარების ასეთი საიდუმლო სისტემა და ვერც ვერსად შეხვდება კაცი მისი მცველი მსახურების ასეთ უცნაურ ფიგურებს, რომელნიც მის შესავალს სამთავიანი ცერბერების სიფხიზლით დარაჯობენ. ესენი არიან: ბებერი ესპანელი შვეიცარი, მასზე უფრო ველური და კუშტი მაჟორდომი, შემზარავი გამომეტყველების ნულატი, ეშმაკის მსგავსი ბებრუხანა, რომელიც განუშორებლად თან დაჰყვება ოქროსფერთვალებას და დამუნჯებული, გაქვავებული მსახურები. არც ერთ პარიზელს არ უნახავს ასეთი ავი ძაღლები, რომელთაც დღისით საგანგებოდ ამშვენენ, რომ ღამით სასახლის ბაღში გაუშვან.



„პაიტი ვალდესი, ალბათ, დონ-ისოხის საყვარელია, — გაიქცა და მარსემ, როცა ყველაფერი ეს შეიტყო. — მხოლოდ ოთხმოცო წლის ესპანელ გვამს შეუძლია ასეთი გამაფრთხილებელი ზომების მიღება“.

ანრი დე მარსე ლორდ დედლის უკანონო შვილი იყო. მისი მშობელი და მოკრძალებული გარეგნობის იქით, რომელსაც ქალურ სილამაზას სიღბრ გადააფენოდა, ლომის გულადობა და მაიმუნის სიმარჯვე იყო ჩასაფრებული. ლორდ დედლის თავის ხანგრძლივ სიცოცხლეში არა ერთი ქალი შეხვედრია, რომელსაც უარი როდი უთქვამს მისთვის, ესოდენ მომხიბვლელი პორტრეტის ასლი წარმოეშვათ. მისი მეორე შედეგები იყო ქალიშვილი ეფენი, რომელიც სწორედ იმ ესპანელ გრანდს შეაჩჩა, რომლის სასახლის კედლები ასე საიდუმლოდ იფარავდნენ ოქროსფერთვალება ქალიშვილს. ეს კია, რომ ეს ამბავი, ისევე, როგორც თვით ეფენის ამქვეყნიური არსებობა, სრულიად უცნობი იყო ანრისათვის. საერთოდ ლორდი საქიროდ არა სცნობდა თავისი შვილებისათვის გაენდო ის ნათესაური ურთიერთობა, რომელსაც იგი ყველგან გააბამდა ხოლმე.

ანრი დე მარსემ პირველი შეხვედრის უმალ დაატყვევა ოქროსფერთვალებას ყურადღება. საყვარულის მაცდურ საიდუმლოებაში გაწაფულმა ქაბუქმა აღვილად ამოიკითხა პაიტიას თვალებში გამოხატული სურვილი: „შენ ხარ ჩემი იდეალი, ჩემი ფიქრისა და ოცნების საგანი. წამოიყვანე, შენი ვარ!“

ასე დაიწყო მათი ვიეური რომანი, რომელიც ბალზაკის ხელში ვნებათაღელვის საშიშ ქარიშხლად გადაიქცა. მწერალი საღებავებს ინგლისური გოთიკური რომანტიზმის საგანძურიდან სესხულობს. მისი გმირები ხანდახან თვითონ გრძნობენ, როგორ მეორედებიან მათ განცდებსა და სიტუაციებში ანნა რადკლიფის „საშინელებათა რომანის“ ელემენტები: საიდუმლო შეხვედრა, ახვეული თვალები, გასისხლიანებული ხანჯლები, გამოცანად ქცეული მუნჯი მსახურები. ამ ამბავში ყველაფერი, ადამიანები და ნივთები, საყვარულის ტკივილი და აღტაცება, ბალზაკის სიტყვით, მიაგავდა იმ აღმოსავლურ პოემას, სადაც იგივე მოკაშკაშე მზეა, რომლის სხივებსაც საადისა და ჰაფიზის მთრთოლვარე სტროფები გაუმსქვალავს.

პირველი შეხვედრის დროს დე მარსეს ყურადღება მიიპყრო მუმიის მსგავსმა დედაბერმა, რომელიც მათ პემანს ესწრებოდა და ირგვლივ სამარის სიცივეს და ფრუანტელს ჰფენდა. იგი ბუხართან იჯდა, წითელი ზაფერდით გადაკრულ დივანზე. მის საოცარ თავსაბურავს დიდი წარმატება ექნებოდა ჩინეთში; სადაც მშვენიერების იდეალად სამინელებაა მიჩნეული. ბებერი მკვეთრ კონტრასტს ჰქმნიდა პაიტიას გვერდით და იმ საუცხოო პოეზიის ფონზე, რომელსაც საყვარულის პირველი სიახლოვე ჰბადებს.

— ვინ არის ეს ქალი? — ეკითხება ანრი პაიტიას.

— ეს ერთადერთი ქალია, რომელსაც მე შემიძლია მივენდო, თუმცა მან ერთხელ უკვე გამყიდა, — წყნარად წარმოსთქვა პაიტამ. — საყვარელო ანრი, ეს დედა-ჩემია. ის საქართველოში იყიდეს, როგორც მონა, იმ იშვიათი სილამაზის გამო, რომლისგანაც ახლა ძალიან ცოტა რამ შერჩა. ის მხოლოდ თავის მშობლიურ ენაზე ლაპარაკობს.

დედაბერი განაგრძობდა ჯდომას ზვიადი გამომეტყველებით. იგი უგრძნობელ ქანდაკებას ჰგავდა. უყვარდა თუ არა მას თავისი ქალიშვილი? პასუხის გაცემა შეუძლებელი იყო.

სიყვარულის ხელოვნებაში ვაწრთენილ დენდისთვის პაკიტა ვალდესი ცოცხალ შარადას წარმოადგენდა. მისი უცნაური საქციელი და ხალხურსო სიტყვები პათოლოგიური ვნებათაღელვის ეპიკებს უღვივებდნენ ქაბუჯს. „იგივე ხმა და იგივე გზნება!“ — წარმოსთქვა ქალმა, პარტიკან მწიგნულად შეხედა ანრის. მერე სათუთი მოძრაობით შემოხსნა საყვლა და ჩუქჩულით წარმოსთქვა: „აი ჩემი საყვარელი ყელი“. ერთხელ კი საოცარი თხოვნა გაუბედა: ჩემს ნებაზე მოგრთავო. კარადიდან ქალის ტანისამოსი გადმოიღო, საყვარელს წითელი ზავერდის კაბა ჩააცვა, თავი ქალის თავსაბურავით შეუშკო, ხოლო მხრებზე შალი წამოასხა. ყველაფერი ეს მასში პათოლოგიურ გზნებას და ალტაცებას იწვევდა.

მართალია, მამაკაცის სიახლოვემ გააღვიძა მასში ქალი, მაგრამ გრძნობის ეს ახალი ნაკადი ავადმყოფური ვნებათაღელვის მდინარებას შეერწყო და საშიშ ნიაღვრად გადაიქცა, რომელშიაც წყლის წმინდა წვეთები ჩამონარეცხ ქვიშნარს შეერთვიან.

დე მარსეს ეჭვი თავშეუჯავებელი მრისხანებით შეიცვალა, როცა ერთხელ ღამით სიყვარულის ექსტაზში პაკიტას აგზნებულმა ცნობიერებამ იგი უცნობი სატრფოს ხატებად აქცია და მისმა ბაგეებმა ქალის სახელი წარმოსთქვეს.

ახლა კი ყველაფერი ცხადი გახდა. პაკიტა ვალდესი ჰომოგენური სიყვარულით იყო შეპყრობილი. მისმა პარტიორმა დიდი ფულით შეისყიდა იგი დედისაგან, ხოლო მწვევე ეჭვიანობის გრძნობამ აიძულა იგი მძიმე ურდულებით გადაეკრაზა სასახლის კარი.

ყველაფერი ამჟღავნებდა იმას, რომ ეს საოცარი რაყიფი ესპანელი გრანდის მეუღლე უნდა ყოფილიყო. მაგრამ ამჟამად იგი ლონდონში იყო და პაკიტას მარჯვე დრო ჰქონდა თავისი ქალური ცნობისმოყვარეობა დაეკმაყოფილებინა.

მაგრამ რატომ აიჩრია მან დე მარსე? იქნებ ეს არჩევანიც მისი ავადმყოფური ვნებათაღელვით იყო ნაკარნახევი?

რომანი სწრაფად უახლოვდება ტრაგიკულ ფინალს.

შეურაცყოფილი პარიზელი დენდი შურისძიებაზე ფიქრობს... მან საიდუმლო კოზპორტის მექანიზმი აამოძრავა, რომ ოქროსფერთვალემა ქალი-შვილი სიკვდილით დაესაჯა.

ერთი კვირის შემდეგ, ღამით, სან-რეალის სასახლის ბაღის კიშკართან ეტლი გაჩერდა, რომელშიაც საიდუმლო ორგანიზაციის ოთხი წევრი გადმოსხა. ანრის ანგარიშით, მობინადრენი ღრმა ძილში უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ მარტივას ოთახიდან სინათლის შუქი გამოდიოდა. ქაბუჯი მიხედა, რომ უკვე დაგვიანებული იყო. უეჭველია, ლონდონიდან დაბრუნდა მისი რაყიფი, რომელმაც მას მოუსპო არა მარტო სიყვარულის გრძნობა, არამედ შურისძიების საშუალებაც. როცა მან სასახლის კიბე აირბინა და განათებული ოთახის კარი შეაღო, მის თვალებს საზარელი სურათი წარმოუდგა: ოქროსფერთვალემა სისხლში ცურავდა. ჩამოხეულ ტანისამოსსა და დაკაწრულ სხეულზე, უწესრიგოდ არეულ ნივთებსა და კედლებზე ხანგრძლივი და სასტიკი ბრძოლის კვალი აღბეჭდილიყო.

— იმ სისხლში, რომელიც შენ მას აჩუქე, მთელი სისხლი უნდა გადამიხადო! — განწირული ხმით კიოდა უცნობი ქალი.

იმავე წუთს ის და დე მარსე ერთმანეთს პირისპირ შეხედდნენ.

მოულოდნელი საშინელებიანაგან მათ სისხლი გაეყინათ მარსეში და შეშინებული ცხენებივით ფეხები აუკანკალდათ. და მართლაც, შეუძლებელი იყო რომელიმე ორეული მათზე უფრო მსგავსი ყოფილიყო. მათ ერთი ხმით წარმოსთქვეს ერთი და იგივე კითხვა:

— ლორდ დედლი მამა-თქვენია?

და ორივემ თავი დახარა თანხმობის ნიშნად.

ამ ტრაგიკულ წუთში ოთახის კარი ოქროსფერთვალემა ქალიშვილის დედამ შეაღო.

— შენ მეტყვი, რომ სასიკვდილოდ არ მოგიყიდა ჩემთვის შენი ქალიშვილი, — წარმოსთქვა მარკიზამ ბებრის დანახვაზე. — შე ორმაგად გადაგიბდი, ოღონდ ჩუმად.

• მან შავი ხის კარადიდან პარკი ოქრო გადმოიღო და ზიზლით დააგდო ბებრის ფეხებთან. ოქროს ეღერამ გამოაცოცხლა ღიმილი დედაბრის გაყინულ სახეზე.

ასეთია ბალზაკის რომანის შინაარსი.



საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბალზაკის რეალისტური შემოქმედება განვითარებული ფრანგული რომანტიზმის საუკუნეში მიმდინარეობდა. მწერლის ირგვლივ რომანტიული ამბოხებისა და ოცნების ზვირთები ბოზოქრობდნენ. მათი მხეფები ზოგჯერ იმ ლარიბულ მანსარდსაც სწვდებოდნენ, სადაც ბალზაკი თავისი საუკუნის ქრონიკას დაკვირვებული თვალით სწავლობდა, რომ მისი სიმართლისათვის მიეგნო. ხანდახან მასაც გაიტაცებდა ხოლმე რომანტიული ამბოხების ფინი. ამ განწყობილების შედეგია „ადამიანურ კომედიის“ პირველ კარის ტრილოგია „ისტორია ცამეტისა“.

„ოქროსფერთვალემა ქალიშვილი“ ამ ტრილოგიის მესამე ნაწილს შეადგენს. მისი პირველი რედაქცია 1834 — 1835 წლებში დაიბეჭდა „პარიზის ცხოვრების სცენების“ სერიაში. რომანის მეორე, საბოლოოდ გადაამუშავებული გამოცემა (1843 წ.) ბალზაკმა მიუძღვნა ფრანგული რომანტიული მხატვრობის კოლორიტულ ფიგურას — ეფენ დელაკრუას. ამ სუვენირის საფუძველს მარტო ის როდი ჰქმნიდა, რომ ფრანგ რომანტიკოსთა შორის აღმოსავლეთი ყველაზე მეტად დელაკრუას ვულს იზიდავდა და, მაშასადამე, ჰაფიზისა და საადის პოეზიით გამოთბარი „ოქროსფერთვალემა ქალიშვილიც“ მისი სულის თანაზიარი უნდა ყოფილიყო. ერთ-ერთი მთავარი გარემოება ისიც იყო, რომ დელაკრუას რომანტიულ ამბოხებაში ბალზაკს თავისი განწყობილების ჰანგები ესმოდა. მასში მიწის იმდენი სურნელება და სიყვარული იყო, რომ ჩვენ შეგვიძლია აქ არსებითად რეალიზმისა და რომანტიზმის თავისებური სინკრეტული ფორმა დავადასტუროთ.

„ოქროსფერთვალემა ქალიშვილი“ ამ ტრილოგიაში მაინც ყველაზე რომანტიულია. პაკიტა ვალდესი აღმოსავლური ზღაპრების მადითაა მოქსოვილი. თვითონ ბალზაკი ძალიან კოლორიტულად ამბობს: „ქვეყნებობოდა, თითქოს მის არსებობაში განსხეულებულან ის უმეტესად აღმოსავლური აზრები და ოცნებები, რომლებიც აღმოსავლურ პოეზიას ქალზე გამოუთქვამსო. მისი სულისა და სხეულის ხატებაში ჩვენ იმავე ეკზოტიკურ ნახაზობასა და ფერებს ვეკრებთ, რომლებიც ტეოფილ გოტიეს ფანტაზიას ქართველი ქალის წარმოსახვაში ესახებოდნენ (შეადარე მისი „ქალის პოემა“ „მინანქრებსა და კამეებში“-სთან).

მაგრამ ისიც სწორია, რომ ეს რომანტიული ეკზოტიკა ერთ საყოველთაოდ ცნობილ შეხედულებაზეა აღმოცენებული. ქართველი ქალისა და მამაკაცის სილამაზეს მუდამ მრავალი მეხოტბე ჰყავდა. ეს აღფრთოვანებული ზოტბა ჯერ კიდევ უხსოვარ დროში წამოიწყეს ბერძნებმა, როცა მედვას სახე გამოძერწეს არგონავტების თქმულებაში. ამის შემდეგ ეს ზოტბა არ შეწყვეტილა. საერთო შეხედულებას აჯამებდა ვინკელმანი, როცა სწერდა: დღესაც არსებობენ ხალხები, რომელთათვისაც სილამაზე სრულიად არ ითვლება უპირატესობად, არ ითვლება იმიტომ, რომ მათ შორის ყველა ლამაზიაო. და ასეთ ხალხად უწინარეს ყოვლისა იგი ქართველებს ასახელებდა<sup>1)</sup>.

უფრო მეტიც: სახელგანთქმული ეთნოგრაფები ქართველი ქალის მშვენიერებას მიაწერდნენ ზოგიერთი აღმოსავლური ხალხის ჯიშის გაკეთილშობილებას. ცნობილია, რომ შარდენის დაკვირვებას, რომელიც მის სამოგზაურო მემუარებშია მოთხრობილი, ლორენსი და დარვინიც ემყარებოდნენ<sup>2)</sup>.

ბალზაკის პაკიტა ვალდესი ამ საყოველთაოდ ცნობილ შეხედულების მხატვრული სახეა.

მაგრამ ამ რომანს მთელი ეს რომანტიული საბურველი რომ შემოეცალოთ, დარჩება იქ კიდევ ერთი რამ, რომელიც მწერალს არც აღმოსავლური ეკზოტიკიდან აუღია, არც საკუთარი ფანტაზიით შეუქმნია. ბალზაკისავე სიტყვით რომ ვთქვათ, ეს არც გამონაგონია, არც რომანი. All is true — აქ ყველაფერი მართალია.

ეს სიმართლე შეეხება ტყვეებით ვაჭრობის ფაქტს, რომელიც ყველაზე სამარცხვინო ფურცელს წარმოადგენს საქართველოს ფეოდალიზმის ისტორიაში.

ეს ამბავი საყოველთაოდ იყო ცნობილი არა მარტო აღმოსავლეთში, არამედ დასავლეთ ევროპაშიაც. ამის საბუთად, სხვა რომ არაფერი გვქონლეს, ბალზაკის რომანიც საკმარისი იქნებოდა.

ევროპაში შგზავრობის დროს საბა-სულხან ორბელიანს კენძულ მალტაზე ტყვე ქართველებიც უნახავს. „ღმერთმან იმდენი დღეგრძელობა და ცხოვნება მოგცეთ, — სწერს იგი, — რამდენი ასი ათასი ტყვე ან იმ ქალაქში, ან კენძულში, და ან ნაკებში ჰყვანდესთ... ქართველნიც ვნახე: ზოგი აფხა-

<sup>1)</sup> И Виякельман: „Мысли по поводу подражания греческим произведениям в живописи и скульптуре“. Избр. произв. и письма, 1935, стр. 91.

<sup>2)</sup> Чарльз Дарвин: „Происхождение человека и подбор по отношению к человеку“, пер. Сеченова, СПб, 1872, II, стр. 396—398.

ზი, ზოგი იმერელი, გურული, მეგრელი, რომ თათრისთვის წაერთმიათ. ენა ისევ კარგა იცოდნენ“<sup>1)</sup>.

ეს საყოველთაოდ ცნობილი გარემოება საფუძველს უდევს გულუბრების ერწატ შევლივისათვის ხუმრობით მიუწერა: „გადადსქმე მემც მომიხდება კონსტანტინეპოლში მონა-ქალის ყიდვა, ისიც ქართველი მონა-ქალისა, იმიტომ რომ აღამიანი, რომელსაც მხეველები არა ჰყავს, მე-რეგვენად მიმანიათ“<sup>2)</sup>.

დასავლეთ-ევროპის სხვადასხვა ლიტერატურულ წყაროში გაბნეულია საყურადღებო ცნობები და მოსაზრებები უცხოეთში გაყიდული ქართველი ახალგაზრდობის შესახებ. მაგალითად, შვეიგერ-ლერხენფელდი, სხვათა შორის, სწერს: „მონობაში გაყიდული ქართველი ქალები არც ისე უბედურები იყვნენ, როგორც ჩვენში ფიქრობენ ჩვეულებრივ. არსებითად მათი მდგომარეობის ცვალებადობა ბრწყინვალე იყო. ქართველი ქალი ჩერქეზ ქალზე უფრო ინტელიგენტია, ბატონობის მოყვარული და ინტრიგებში დახელოვნებული. იმიტომ ისინი არა მარტო სწრაფად ეგუებოდნენ თავიანთ ახალ ხედვებს, არამედ სრულ ბატონობასაც აღწევდნენ მაჰმადიანი დიდებულების პარამხანებში“<sup>3)</sup>.

ბალზაკის რომანი საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ქართველ ქალს ასეთი ბედი შეიძლება ევროპის სალონებშიაც სწვეოდა. მაგრამ გულუბრველობა იქნებოდა საზოგადო ხვედრად მიგვეჩნია იგი, ზოლო შეუწყნარებელი უგუნურება — მონობაში გაყიდული ქართველი ქალის ხვედრი ბედნიერებად ჩაგვეთვალა და არა ტრაგედიად. შვეიგერ-ლერხენფელდის „მოსაზრებას“ არავითარი საფუძველი არა აქვს. არსებითად ეს იმ ევროპელი „ჯენტლმენების“ შეხედულებაა, რომელთაც ქალის ბედნიერებისათვის მხოლოდ სარეცელი ემეტებათ.

საქართველოდან აღმოსავლეთის მეკობრეებს და ქართველ ფეოდალებს კონსტანტინეპოლის ბაზარზე გაჰყავდათ არა აკენის ბავშვები, არამედ დაქალებული ასულები. მათ თან მიჰყვებოდათ სულის გამანადგურებელი სევდა სამუდამოდ დაკარგულ მშობლიურ კერაზე და შელახულ ქალურ პატიოსნებაზე, რასაც ისინი დედის ნანასთან ერთად ეთვისებოდნენ.

ის, რაც მიუწვდომელი აღმოჩნდა ევროპელი მოგზაურისა და ეთნოგრაფისათვის, ნათლად ესახებოდა ბალზაკის თვალს. მხოლოდ მას შეეძლო განეკვირბა ის ღრმა სულიერი მეტამორფოზა, რომელიც მონობაში გაყიდულ ქართველ ქალს უნდა განეცადა.

ოქროსფერთვალემა ქალიშვილის დედა ტრაგიკულ შთაბეჭდილებას სტოვებს. ოდესღაც ულამაზესი ქალი, რომელიც, უეჭველია, მნახველს ზიზღავდა არა მარტო სხეულის ჰარმონიული ნაკეთებით, არამედ ამ ნაკეთებში მოკიაფე სიცოცხლითა და კეთილშობილებით, გადაქცეულა ახლა უგარმობელ ქანდაკებად, გამოშწირალა, დამუნჯებულა. განცდილი ფსიქიური ტრავმა მთელს მის გარეგნობაზე აღბეჭდილა. ევროპის დიდ ცენტრებში დაბე-

<sup>1)</sup> საბა-ჰელბან ორბელიანი: „მოგზაურობა ევროპაში“, 1940 წ., გვ. 129.

<sup>2)</sup> Г. Флорбер: „Письма“ собр. соч.; VII, 84.

<sup>3)</sup> Швейгер Лерхенфельд: „Женщина, ее жизнь, права и общественное положение всех народов земного шара“ 1833, ст. 3.

რებულს არც ერთი ევროპული ენა არ ესმის. ის მხოლოდ ქართულად ლაპარაკობს და სულს ტკივილებს მისი მშობლიური ქდერით იყუჩებს.

რა ძლიერი პროტესტია უძლური არსებისა!

ის გაპყიდეს როგორც ნივთი. ახლა ის თვითონ ჰყიდის საკუთარ ქალი-შვილს. მის სულში სამუდამოდ ჩამქრალა დედობრივი სიყვარულის შუქი. მაგრამ ვანა პაკიტა ვალდესი მისი სიყვარულის ნაყოფია? ის მხევლის სარეცელზე ჩაისახა, ის დამორჩილებული სხეულის ნაშიერია და არა კეთილშობილი სულისა, რომელსაც სიყვარული სწყუროდა.

ვეგენია გრანდეს შემქმნელს შესანიშნავად ესმის, რა ინფერნალური გარდაქმნა დაეუფლება ქალის არსებას, როცა მის სიყვარულის გრძნობას მოუკლავენ. საბერძნეთის გენიას არა ნაკლებ ესმოდა ეს, როცა არგონავტების მითის ტრაგიკულ სცენებს ჰქმნიდა.

ეს არის შურისძიება მედეასი.

ბალზაკის შეცდომას მხოლოდ ის შეადგენს, რომ ტყვეთა ვაჭრობა მას ქართველი ხალხის ჩვეულებად მიაჩნია. მისი მართებული გაგებისა და დაფასებისათვის მას არ მოეპოვება არც ჩვენი ხალხის, არც ჩვენი ისტორიული ფაქტების საჭირო ცოდნა. მაგრამ ეს მოაზროვნის შეცდომაა და არა ბელოვანისა.

## აუხაზთა ზრდილობის საკითხისათვის \*

როგორც საჭურველი იყო დასაბამიდან საშუალება, რომლითაც ერი მტრისგან იცავდა თავს, ასევე არა ნაკლებად იფარავდა მას დამარცხებისა და განადგურებისაგან წესი და ჩვეულება.

თუ იარაღის დაყრა ერს უქაღდა დამცირებასა და დამონებას, წესისა და ჩვეულებათა დაკარგვა უმზადებდა სულიერ და მორალურ დაცემას და ბოლოს აღგვას პირისაგან დედამიწისა.

წარსული ჩვენი, რომელიც წარმოადგენს დაუსრულებელ რკენას რომთან და არაბობასთან, სპარსობასთან და თურქობასთან, ამის მკერმეტყველი დადასტურებაა.

თუ ქართველს ბრძოლის ველზე არა ერთხელ უმუხთლა ბედმა, მან საბოლოო ბრძოლა მათ მაინც მოუგო და თავი შეიმაგრა იმ ციცაბოზე, რის შემდეგაც უკვე იწყებოდა განადგურებისა და გაჭრობის უფსკრული.

სხვა მრავალ მიზეზს შორის ერთი მთავარი მიზეზთაგანი ჩვენი ვადარჩენისა ისიც იყო უთუოდ, რომ მრისხანე და უღმობელ ხანაშიაც უტყუარად და გარდაუხვევლად იცავდა ქართველი თავის წესსა და ჩვევებს, გამომდინარეს მისი დიადი წარსულიდან.

სჯული და ზნე ეპყრა ქართველს იმ შემთხვევაშიაც, როცა, უცხო ტომთა მღვრიე მორევში მოხვედრილს, არსაიდან არ უჩანდა ნიშანი ხსნისა. აქაც მისდევდა იგი თავის ჩვევებს: ტრფილს თავისუფლებისადმი და პატივისცემას უფროს-უმცროსისადმი, ქალისადმი თავაზიან მოპყრობას, თანაც ინარჩუნებდა სახელებს თავისი დიადი წინაპრებისას.

უტყუარად შეიძლება ითქვას, როცა მოზღვაგებულ მტერთან ბრძოლა იარაღით ხელში მარცხით თავდებოდა და ქართველს გათქვეფა ემუქრებოდა, მაშინაც კი განაგრძობდა ბრძოლას ის ძალა, რომლის სახელი იყო ზნეობრივი ურყეობა ერისა. იგი შესდგებოდა თავისი მიწა-წყლისა და ენის სიყვარულისაგან, წინაპართა წესებისა და ჩვევათა ერთგულებისაგან. და ახლა ფარულად იწყებოდა ისეთი ხასიათის ჰიდილი, რაც გათამამებულ მტერს შეიძლება არც კი ზმანებოდა. ამ იღუმალ შერკინებაში გამარჯვება უნდა დარჩენოდათ იმით, ვისი მაღალი ზნე და ჩვევები ემსახურებოდნენ აღმდინათა კეთილშობილებას, სულის ამაღლებასა და ოჯახურ სიმტკიცეს.

\* აუხაზთა ზრდილობის გამოწვევით შრიფტის უქონლობის გამო აუხაზური სიტყვების ტრანსკრიპცია დაცული არაა.

სწორედ ასევე გადაურჩა განადგურებასა და გაჭრობას მუდამ ქართველობასთან ერთად მიმავალი, ზოგ შემთხვევაში კი მოზღვაგებულ მტერთან ბრძოლაში მისი ამართული ფარი — აფხაზეთი.

როგორც ძველი დროის მეომარი აბჯარში ჩაქედღიღრი წაჭაღვებოდა მტრების წინაშე, ასევე თავისი წესებითა და ჩვეულებებით შექსკმული აფხაზი ხდებოდა ყველას, ვინც კი მისი ქვეყნის ნაპირებისაკენ იწვედა.

თუ აფხაზი იძულებული ხდებოდა მიეღო ბერძენ-რომაელებისა ან სპარსელთა მიერ შემოღებული ახალი წესები, ის ერთი წუთითაც არ უშვებდა ხელიდან თავის ზნესა და ჩვევებს, რომელთა სათავეც განვილი საუკუნეთა ურიცხვობაში იკარგებოდა.

ყოველი ფეხის გადადგმა ძველი აფხაზისა განუყრელად ემორჩილებოდა ერთ დაუწყრელ და იქნებ მით უფრო მკაცრ და გარდაუვალ კოდექსს, რომლითაც იყო წარმართული მთელი მისი ცხოვრება.

აფხაზთა კარის გარიგება იმ თავითვე არა ერთხელ ყოფილა მწერალთა და მოგზაურთა აღწერის საგანი. მაგრამ ბევრ უცხოელის ნაწერს თან სდევდა ერთი დიდი ნაკლი: უმეტესს მათგანს ეს ქვეყანა ბირად აღასოდეს არ ენახა და ისინი ამ ხალხის გასაოცარ ჩვევებს აღწერდნენ სხვების ნაამბობით. ეს კი ჰქმნიდა ტნებლიეთ მიცდურ და გამოუჩვეველ მდგომარეობას.

თვით აბლონ როდოსელის მიერ აღნიშნული და მისი წყალობით მთელ დედამიწას მოდებული ამბავი, თითქოს აბასგები თავიანთ მიცვალებულებს მიწაში კი არ მარხავდნენ, არამედ ხეებზე სდებდნენო, დიდის სიფრთხილით უნდა იქნას მიღებული. და არა იმიტომ, რომ ასეთ „დაკრძალვას“ ადვილი არა ჰქონოდას კაცკაციელ ერთა შორის, არამედ იმიტომ, რომ ეს წესი შემოღებული უნდა ყოფილიყო დროებით აფხაზებზე გაბატონებული რომელიმე ერის მიერ და მისი ბატონობის გადაგდებისთანავე ეს უცხო წესი მყისვე უარყოფილ იქნა.

წინააღმდეგ ამისა, აფხაზებს შემონახული ჰქონდათ უძველეს დროიდან მომდინარე ჩვეულება „აფსთგარა“.

აფს — სული, ათგარა — ამოყვანა.

„სულის ამოყვანა“ მდინარეში დაღუპული ან უფსკრულში გადაჩეხილი ადამიანისა და შემდეგ მისი სულის მიწას მიბარება, რადგან სჯეროდა აფხაზს — მიცვალებულს მოსვენება არ მიეცემოდა მანამდე, სანამ მიწას არ მიბარდებოდა.

თუ აფხაზური ზრდილობათა სტატუტი, ზოგ შემთხვევაში მკაცრი და უცნაური იყო, ის მაინც მუდამ ასრულებდა თავის სამსახურს ერისადმი და ყველასურის კედელივით იმართებოდა იმ ზნეობრივი მოშვებულობის წინააღმდეგ, რაც ზშირად თან ახლდა უცხოელების შემოსევას, გარეგან კულტურასა და ცივილიზაციასა.

აფხაზთა კარისგარიგება შეუძმჩნეველად ჰქმნიდა მტკიცე ეროვნულ დისციპლინას, ურომლისოდაც ამ მცირერიცხოვანი ხალხის გადარჩენა იმ ხანებში მართლაც შეუძლებელი უნდა ყოფილიყო. დაუშრეტელი ძალით აღვივებდა იგი შორალურ ძარღვს ერისას და ისე, როგორც უკვდავად ჰქმნიდა ერთ რომელიმე რაინდის სახელს, ვაჟკაცობით ნაქებს, ასევე ფარზე აჰყავდა ხალხს ზრდილობით და თავაზიანობით სახელ-განთქმული ადამიანი. ასე დაბადებიდან უკანასკნელ წუთამდე აფხაზი უნდა დამორჩილებოდა მთელ



რიგ წესებს, რომელთა აღსრულებლობა მოქალაქობრივ სიტყვილს უჭადა.

„მე ვემორჩილები აფსუა აწას“ (აფხაზურ წესს), — ამბობს ეს, წლის მოხუცი აფხაზი ტაბაგუ პაპა და სიამაყესთან ერთად <sup>წესი</sup> ~~წესი~~ <sup>წესის</sup> მის გამოთქმაში იღვმელი მორჩილება და თავის დახრა გარდაუვალი „აწასის“ წინაშე.

რა არის, თუ არ რაღაც სასწაულით დღევანდელ დრომდე მოღწეული ჩვენ წინაპართა მცნებების ანარეკლი, როდესაც იგი ამბობს: აღმამიანთათვის ორი ქეშმარიტება არსებობს ქვეყანაზე: ახაწარა და ახააძარა, რაც სიტყვა-სიტყვით ნიშნავს: პირველი — ვაჟკაცობას, ხოლო მეორე — თვითაღზრდას.

ახ — თავი, ააძარა — აღზრდა.

ნამდვილ ვაჟკაცად ის ითვლებოდა ძველად, — დასძინა მოხუცმა, — ვინც თავს სდებდა მოყვასისათვის. ასეთი ვაჟკაცის სახელი შთამომავლობას უმწიკვლოდ რჩებაო.

უდიდესი სიმდიდრე ამ ქვეყნად აგულრა არისო, — ამბობს იგივე მოხუცი, რომელმაც არც ერთი ენა არ იცის, გარდა აფხაზურისა, და რომელიც ბზიფს არ გასცილებია.

აგულრა იმედსა ნიშნავს, აგუ — გულს.

ასეთი მცნება მოქალაქობრივობას და განმტკიცებას მოიხვეჭდა მხოლოდ ისეთ ხალხთა შორის, სადაც დროის უკუღმართობისა და ისტორიული ქართველებისაგან გადასარჩენად, ყოველგვარი ადამიანური შესაძლებლობის ამოწურვის შემდეგ, ერთად-ერთ ნუგეშად აგულრა-ლა რჩებოდა და ვინც ამ უკანასკნელსაც დაჰკარგავდა, ის იჭნებოდა უთუოდ სულით და აზროვნებით ღარიბი და უპოვარი.

სიტყვა აგულრა სამართლიანად გამოხატავს აქ სულის სიმდიდრეს და შემართულობას, რაც ჩვენი წინაპართა თვისება იყო.

ძველებისგან გამიგონია, — ამბობს ეს მოხუცი, — უდიდესი სიფრთხილე მართებს ადამიანს იმის მიმართ, რაც მისი პირიდან წარმოიშვებაო: მას შეუძლია როგორც აშენება, ისე დამხობაცო.

სათავე ასეთი გამოთქმისა ჩვენი წარსულის ისეთ ხანაში უნდა ვეძიოთ, როდესაც ქვეყნის საზღვრის ერთ კარებთან ბერძენ-რომაელების ლეგიონერთა ჯავშანის ქლარუნი ისმოდა, ხოლო მეორე კარებთან სპარსთა ურიცხვი ლაშქარი იდგა, რომელიც მზად იყო ჩვენი ციხე-სიმაგრეებისაკენ გაეჯაფა გზა.

ასეთ სასტიკ და უღმობელ ხანაში ყოველი სიტყვა მესვეურისა, თუნდ უბრალო ერისკაცისა, დიდი სიფრთხილით და თავდაპყრით უნდა თქმულიყო: აქ სულ ახლოს უვლიდნენ გვერდს ერთმანეთს როგორც გადარჩენა, ისე დამხობა.

იმთავითვე ნათქვამი იყო: ზრდილობა ჩვენში ის საზოგადოება გახლდათ, რომლითაც ვაჟკაცობასთან ერთად ადამიანის ღირსება განიზომებოდა. მაგრამ უცხოელს, მწერალს თუ მოგზაურს, შეეძლო ისე გველო აღმოსავლეთიდან დასავლეთით ეს ტყით დაბურული ქვეყანა, რომ არაფერ ღირსშესანიშნავისათვის არ მოეკრა თვალი. და მხოლოდ მაშინ, როცა შესდგამდა ფეხს როჭოსაგეთ ბზაკლნარში მიმალულ აფხაზის სახლში, მის

წინ გადაიშლებოდა ისეთი წესი და გარიგება, რაც ზოგიერთ სასახლეებსაც არ ზმანებოდა.

შეიძლება ითქვას, რომ აფხაზები იმ ხალხთა რიცხვს ეკუთვნიან, რომლებსაც ჩვეულებრივ მისალმებებთან ერთად მოეპოვებათ მრავალი „არა ჩვეულებრივი“ მისალმებაც დაკავშირებული ცხენოსნობასა და ნადირობასთან, მესაქონლეობასა და მემინდვრეობასთან.

როგორც შინ იცავდა აფხაზი წესსა და ზრდილობას, ისე მისდევდა იგი განკუთვნილ წესს მოგზაურობაში ან ლაშქრობაში.

სანამ აფხაზი უნაგირს მოავლებდა ფეხს, მანამდე უნდა შესრულებულიყო თადარიგი უზანგის დაჭერისა.

უზრდელთა და ძეგლის გამტეხთა“ რიცხვს მიეთვლებოდა ის, ვინც ჯიქურ მივარდებოდა თავის ცხენს, დანარჩენებს არ მიხედავდა და უნაგირს მოახტებოდა.

ცხენზე შეჯდომა თავისთავად მარდად და სწრაფად უნდა მომხდარიყო, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, რაც უფროსი არა ერთხელ მიმართავდა თხოვნით იმათ, ვისაც მისი მარჯვენა უზანგი ეჭირათ — თავი არ შეეწუხებინათ და უზანგისათვის ხელი გაეშვათ.

ამ შემთხვევაში ზუსტად იყო დაცული უფროს-უმცროსობა, წლოვანობის მიხედვით. ბოლოს, მარცხენა ხელით მოჭიმავდა აღვირის ტოტებს წინა კუმპულის (ტახტას). თავზე მარჯვენაში დაკეცილი მათრახი ეჭირა, შესდგამდა თუ არა მარცხენა ფეხის წვერს უზანგში, ასეთი სიტყვებით მიმართავდა იმათ, ვისაც მისი მარჯვენი უზანგი ეკავა:

ამახუ ალფხა ჰაუაიტი!

რაც სიტყვა-სიტყვითი ნიშნავს: შტოს წყალობა იყოს ჩვენთანო.

სანამ უნაგირს გადაახტებოდა, ჯერ კიდევ ჰაერში, დაკეცილი მათრახის ელვისებური გასმით, ჩოხის კალთები ისე უნდა მოექცია, რომ არც ერთი კალთა ბალიშიდან არ უნდა გადმოსრილებოდა.

ზემოაღნიშნულ მისალმებაზე დანარჩენები უპასუხებდნენ:

ამჟა ალფხა უოუაიტი!

გზის წყალობა იყვეს შენთანო!

ასე მეორდებოდა უზანგის დაჭერის წესი თითოეულისათვის უფროს-უმცროსის მიხედვით.

გზაზე ყველაზე წინ ორ-სამი ცხენის მანძილზე, უფროსი მიდიოდა, დანარჩენნი კი უკან მისდევდნენ მიყოლებით.

თუ ვისმეს მასთან საუბარი სურდა, დაწინაურდებოდა და მარცხენა ფრთიდან ამოუდგებოდა უფროსს. ეს იმისათვის, რომ მისი მათრახის მოჭნევისათვის (რომელიც მარჯვენაში ეჭირა) ხელი არ შეეშალა. იმავე დროს უმცროსს არც ისე ახლოს უნდა მიეგდო თავისი ცხენი, რომ უფროსის უზანგს მისი უზანგი გაჰკარებოდა, რაც დიდ სირცხვილად მიაჩნდათ აფხაზებს.

ასეთი წარმოდგენა შეიძლება იმ დროიდან იყვეს შემონახული, როდესაც აფხაზები ლაშქრობაში დადიოდნენ, სწრაფად და შეუმჩნეველად დიდ მანძილებს ჰფარავდნენ და ამ შემთხვევაში ყოველგვარი ხმაური სახიფათო უნდა ყოფილიყო.

ყველა მხედარს, მიუხედავად ამინდისა, ნაბადი უნდა ჰქონოდა უნაგირზე მიკრული. ნაბადს ოდნავ ირიბად აკრავდნენ. უზრდელობად ითვლებოდა მათრახის წარა-მარა გადაყვრა.

საუბრის დამთავრებისას უმცროსს კვლავ უნდა დაეძინა ადგილი და ასე განეგრძო გზა.

თუ ერთად მიმავალ რამდენიმე ცხენოსანს ერთი მგზავრი შეხვედებოდა, მათი სალამი, იმ შეხვედრილის სალამს არ უნდა წასწრებოდა. ახალგაზრდას — კი პირველი უფროსი ესალმებოდა. იგულისხმება: იგი არ უნდა ბედავდეს ნება დაუერთველად უფროსთან შებაასებას. მანდილოსანთან შეხვედრისას სალამს პირველი მამაკაცი აძლევს.

ფონის გადასვლისას, წყალში ფეხს შესდგამს ცხენი თუ არა, წინ მიმავალი უფროსი იტყვის:

აფან ალფხა ჰაუაიტი!

რაც ნიშნავს: გეწყალობდეს ჩვენი ფონი!

თუ აფხაზმა გზაში დაალოდინა ვისმე, მიუახლოვდება თუ არა უცქველად ასეთი საბოდიშო სიტყვებით მიმართავს:

რახუ უზფშუპ!

არახუ — ჯოგი, აზფშრა — ლოდინი.

სიტყვა-სიტყვით ეს ნიშნავს: გელოდოს შენ ჯოგი. გადატანით: გელოდოს შენ სიმდიდრე (გამდიდრება). სიტყვა „ჯოგი“ აქ იმითომ არის ნახმარი, რომ იმ დროს, როდესაც ასეთი მისალმება იქნა შემოღებული, სიმდიდრეს უმთავრესად სწორედ ჯოგი შეადგენდა.

თუ ზეზე ასულ კაცს გაუარა, აფხაზი უცქველად ეტყვის მას:

ნარ ულბაიტი!

ალბაა — რა — ჩამოსვლა (ზემოდან)

სიტყვა „ნარ“-ის მნიშვნელობა უცნობია. გადატანით — უცნებლად ჩამოვიყვანოს ხიდან.

სხვაგვარი მისალმება ამ შემთხვევაში დიდ უზრდელობად ჩაითვლება. თუ ნახირით მიმავალ მწყემსს შეხვდა, ასეთი სიტყვებით მიმართავს მას აფხაზი:

უბზაჰეიტი!

ეს ნიშნავს: კეთილად გამწყემსინოს შენი ნახირი. აქაც სხვაგვარი მისალმება სირცხვილად მიაჩნდათ.

სხვანაირად მიესალმებიან, თუ ნახირს კაცი მთაში მიერეკება: ბზახოუცალტ. რაც ნიშნავს: უცნებლად (უკლებლივ) აგარეკინოს ნახირი მთაშიო.

დანიშნულ ადგილის მიახლოებისას ერთ-ერთი უმცროსთაგანი წინ გაიჭრება და დაიწყებს ჯირითს. აფხაზები ამას „ჩახუშმარის“ს ეტყვიან.

აჩ — ცხენი

ხუმარ — ი.ამაში, ჯირითი.

ჯირითი გრძელდება 3—5 წუთს. მერე მოჯირითე ბრუნდება და კვლავ თავის ადგილს იჭერს. ამით ატყობინებს იგი მასპინძლებს სტუმრების მიახლოებას.

ამ წუთიდან იცვლება სიარულის თადარიგი: უფროსის მიმყოფნი მას მარჯვენა ფრთიდან ეტყვიან. ეს იმისათვის, რომ ცხენიდან ჩამოხტომას დააპირებს იგი თუ არა, დაასწრონ და უზანგი დაუჭირონ.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მოვიყვანო აფხაზური ტერმინოლოგია, ცხენის მოკაზმულობასთან დაკავშირებული.

აყუადრ — უნაგირი, ამაზა — ტახტა, ასუფალ — ფრთა, აკუადრემაკუაქები, აბალს — ბალიში, ასახთან ჩგუაბა — თოქალთო, ანგუბუქვალმუსსაფულე, ამაფრბა — სამკერდული, აწხუწად — საძუე, ამგურბა — მოსართავეები, აშკლ — ავეანდები. აფდნ — იმ ღვედებს ეწოდება, რაზედაც მოსართავეებს ამაგრებენ. ახშტ — ის ღვედია, რომელიც ზემოდან უვლის ბალიშს (გარსაკრი), ნახუთა — ნახეთა, აყუნა — ვერცხლის მოჭედულობა საერთო მოკაზმულობისა. ამამპალგა — უწყვეტი — ის ღვედებია, რაზედაც ნაბაღს ავრავენ. ახშგა — იმ ღვედსა ჰქვიათ, რომლითაც ამაგრებენ უნაგირს კედელზე. ახნაშაჰაგა — ღვედის ბორკილები, რომლებიც, კოხტად შეკრული, კეხზეა მიმაგრებული. ალაგამ — რკინა, ცხენს პირში რომ უდებენ, აღურა — ახუ — აღვირის ტარი, აღურა აქ — აღვირის წინა ნაწილი, ახთა — ზედა ნაწილი აღვირისა (თავზე რომ უვლის ცხენს), ახუწრბა — იმ ღვედსა ჰქვიათ, რომლითაც კისერზე იკვრება აღვირი.

მათრახის ნაწილები: აყნ — მათრახი, აწლა — ხელის გასაყოფი ღვედი, აქ — თვით მათრახი (დაწნული ღვედი), აფწაწა — წვერი ანუ ენა მათრახისა, ახუ — ტარი მათრახისა (ჯოხი).

უნაგირს აქვს პატარა საიდუმლო ჯიბე, სადაც ინახავენ სადგის, თასმებს, სანთელს და სხვ. ამას „ამაძაჯაბას“ ეტყვიან აფხაზები.

ამაძა — საიდუმლო, აჯაბა — ჯიბე.



დიდ ყურადღებას აქცევენ აფხაზები საკლავის დაკვლას, მის გატყავებასა და ხორცის განაწილებას.

ყოველ საკლავს აქვს როგორც საპატიო, ისე ნაკლებად საპატიო ნაჭრებიო, ამბობენ აფხაზები. საპატიო ნაჭრები, რა თქმა უნდა, საპატიო პირს უნდა მიერთვას. ამ შემთხვევაში წესი და თადარიგი რომ არ დარღვეულიყო, ახალგაზრდა აფხაზს კარგად უნდა შეესწავლა დანის გამოსმა საკლავისათვის, მისი გატყავება, გამოშიგნვა და შემდეგ, რაც მთავარია, კოხტად და სუფთად სახსრობლივ ხორცის დანაწილება.

თი რას გადმოგეცემ! ამის შესახებ სოფელ ღურთფშის მცხოვრები მამადან საქანია:

ორმოცდაათი წლის წინათ ცხოვრობდა ორი გამოჩენილი გამანაწილებელი ხორცისა — ასოცდათი წლის ალხაზ აჩბა და ასრეა წლის თაგვაგვა საქანია. მე მათთან ვსწავლობდი საკლავის დაკვლას, გატყავებას და ხორცის განაწილებას.

დიდ ცოდვად და სირცხვილად ითვლება, — ამბობს იგი, — ფეხზე მდგომი საქონლისათვის დანის გამოსმა. საკლავი მიწაზე უნდა იწვეს და ბასრი სატყვერით ან დანით უნდა დაიკლას. მერე მარცხენა ფეხით სახლის ბოძზე უნდა ჩამოეკიდნათ; გატყავება სწორედ მარცხენა ფეხიდან იწყებოდა, მაგ-

რამ ისე, რომ ტყავი არ გაიჭრას, ქონიც არ გააყვეს და, რაც *წრავარი*აა ბალნით არ გაქუქვიანდეს.

ყოფილა შემთხვევა, — გადმოგვცემს მაიდან, — როდესაც ხორციზე აღმოჩენილ ბანლის გამო მთელი ვერძი სუფრიდან ხელუხლებლად გასტანიათ. გატყავების შემდეგ ხორცი კარგად უნდა გაერეცხათ *მდინარეში ან წყაროზე*. იმას, ვინც სახსრობლივ ანაწილებს ხორცს, აფხაზები „აქუაე-შავ“-ს ეძახიან.

აშარა — გაყოფა, აქუაე — ხორცი, ე. ი. ხორცის გამანაწილებელი. მაიდანის სიტყვით და იმავე დურიფშის მცხოვრების ესიფ ხაგბაა გადმოცემით საკლავის საპატიო ნაჭრებად ითვლება:

ახბეა — ნახევარი თავი ცხვრისა ან თხისა; ეძლევა პირველ სტუმარს. აგუჩამა — ის ნაწილი, რომელსაც შემდეგ დუმა მიჰყვება; ესეც საპატიო პირს ეძლევა.

აფლად — ის ნაწილი, რომელიც უშუალოდ „აგუჩამას“ აკვრია; ეძლევა სტუმრის მომყოლ უფროსთაგანს.

აფშაყა — ბეჭი, მეტად საპატიო ნაწილი საკლავისა, აძლევენ გაზრდილს. ის, ვინც ბეჭს მიიღებს, სთლის მას გრძლად და ძალზე თხლად და უნაწილებს თანამოსუფრეებს.

ამახა — ბარკალი; ამ ნაჭერს აძლევენ მეგობრობის ნიშნად. აეაშარა — ძალიან გემრიელი ნაჭერი; ეძლევა ახალგაზრდას სტუმართა შორის.

აფშაწ — არა საპატიო ნაჭერი. გულსა და ღვიძლს უყოფენ ყველას. არფპ-ას — ფილტვებს აძლევენ ქურდს, რათა მას ქურდობაზე ხელი აეღო.

აღნიშნულ ნაჭრების გარდა, სტუმრებს, რა თქმა უნდა, სხვა ნაჭრებსაც ურიგებდნენ.



ზრდილობასა და თავაზიანობას გვერდს არ აუქცევდა აფხაზი იმ შემთხვევაშიც, როცა სასწორზე იყო დადებული ღირსება და სახელი, თავმოყვარეობა და თვით სიცოცხლე. აფხაზთა კოდეჭის თავისი მფარველი ფრთებით არა ერთხელ ამართულა ორ მოპირდაპირის შორის, როცა წყევლასავით თვალს უჭრიდა მათ შურისძიება და მეტოქეობა, შუღლი და სისხლის აღება. და თამამად შეიძლება ითქვას, რომ შეწყნარება და პატიება დამნაშავესა, თავაზიანობით გამოწვეული, ისეთივე ღირსეულ საქმედ იყო მიჩნეული, როგორც სისხლით გაბანვა სისხლისა.

აქ ნებას ვაძლევეთ თავს მოვიყვანოთ აფხაზეთში მომხდარი ამბავი, როცა მთელი სიცხადით მკერდით შეეჯახა ურთიერთს ორი ისეთი მოპირდაპირე მტნება, როგორიცაა ზრდილობა და თავაზიანობა, შუღლი და სისხლის აღება.

დიდი ხანი დასდევდა მამსირ ადღეობა მოსაკლავად რეშე ათუმას: ძველთა ძველი სისხლი იყო მათ შორის. რეშე ძალზე ფრთხილობდა, მართო

არსად დადიოდა, შეღამებისას კარს არავის უღებდა და თუ, სტუმრები არა  
პყავდა, ცეცხლის ანთებასაც ერიდებოდა ფაცხაში.

ერთხელ მამსირ ადღეობა ავად გახდა. ლოგინად ჩაეარდა დე მორჩენა-  
არ უჩანდა. მაგრამ სიკვდილისა არ ეშინოდა ადღეობას. ერთსა-  
არ აძლევდა მოსვენებას: რეშუ ათუმა ცოცხალი რჩებოდა.

ადღეობა მარტოხელა კაცი იყო, და სწორედ ეს აწუხებდა ყველაზე მე-  
ტად, რომ სისხლი აუღებელი რჩებოდა.

ერთ საღამოს „სააქაფშაროდ“ (ღამის გასათევად) მოსულეს გამოუც-  
ხადა, ამალამ თავს კარგად ვგრძნობ და თქვენც ადრე დაიშალენითო.

— მარტო დავრჩი, თუ არა, — ამბობდა შემდეგში მამსირ ადღეობა, —  
ლოგინიდან წამოვდექი, ათრთოლებული თითებით ჩოხა-ახალხის ღილები  
შევიბნიე, ყაბალახი მაგრად თავზე შემოვიხვიე, გატენილი თოფი გადავიკი-  
დე, ცხენი შევეკაზმე და როგორც უღირსი, გაველ მალულად საკუთარ სახ-  
ლიდან. დაგვიანებული ვახშობის დრო იქნებოდა, როცა რეშუ ათუმას სახლს  
მიუფახლოვდი. ხშირი ბზაკლნარით თითქმის სულ ახლოს მიველ. ცხენიდან  
ჩამოვხტი, აღირით ხეზე მივაბი, თოფი მოვიმარჯვე და უხმო ნაბიჯით  
სახლისაკენ გავემართე.

ფაცხაში ბნელოდა. მხოლოდ ჩუმი საუბარი ისმოდა იქიდან. ქალ-ვაგი  
ლაპარაკობდა. მყისვე ვიცან ხმა ჩემი მოსიხლისა. ქალი უთუოდ მისი  
ცოლი იქნებოდა. დავიმუხლე. წყნელის შუა ფრთხილად გაეყავი თოფის  
ლულა და გაეჭყავდი. ვახშობა დაამთავრეს. ქალმა ხელი დააბანინა ქმარს.  
კვლავ დაიწყეს საუბარი. ხმაზე შემეძლო მესროლა, მაგრამ ვშიშობდი:  
ქალს არ მოხედეს-მეთქი. როცა ქალი ფაცხის მეორე კუთხეში იდგა და  
ტაბაკს სწმენდა, მამაკაცი ხმას არ იღებდა.

დაწვენენ. მომიკვდა გული. ის იყო წამოდგომა დავაბირე, უეცრივ ფაც-  
ხა განათდა. მამაკაცმა კვარს მოუკიდა და საცვლების ამარა სწორედ ჩემს-  
კენ წამოვიდა. მარჯვენა თვალი დაეხუჭე და მარცხენა ძუძუს დაუბირდა-  
ბირე ჩემი თოფი, ამ დროს ქალმა შეჰკივლა:

— რას ჩადიხარ, კაცო?

— თოფი დამრჩა იქ კუთხეში რქაზე ჩამოკიდებულნი, გადმოვიღებ, —  
უპასუხა ქმარმა.

ამასობაში ისე ახლოს მოვიდა ჩემთან, რომ მკერდს უკვე ვერა ვხედავ-  
დი, მუცელში კი არ მინდოდა მესროლა.

ქალი არა ცხრებოდა.

— კვარი ჩააქრე, კვარი ჩააქრე! ახი არ იქნება, მოსისხლე რომ გესრო-  
დეს ახლა!

მამაკაცმა თოფი რქიდან ჩამოხსნა, შეტრიალდა და მშვიდად მიუჯო:

— მე არა მყავს ისეთ მტერი, საცვლების ამარას რომ მესროლოს, —  
ესა სთქვა, ლოგინთან მივიდა და კვარს სული შეუბერა. არ ჩაქრა კვარი.  
მეორედ, მესამედ შეუბერა. ფაცხა სიბნელემ მოიცვა.

ფრთხილად ზეზე წამოვდექი, ბზაკლნარში შევედი, ცხენი მოვნახე და  
აუჩქარებლად შინისკენ გავსწიე.

აქ მოყოლილ ამბავს არაფერს დავეუმატებ გარდა ამისა: მართლაც, დე-  
დის რძესთან ერთად უნდა ჰქონოდეს ადამიანს შეთვისებული ზრდილობისა  
და თავაზიანობის ცნება, რომ ასეთ საბედისწერო წუთებშიაც უტყუარად  
და გარდაუხვევლად დაეყრდნოს მას.



ქართული

აქ მომყავს აფხაზთა ძველთა ძველი ჩვეულება, რომელიც გვამბობს სოფელ უათხარის მცხოვრებმა, ასი წლის მოხუცმა ტაბაგუ პაპცამ. ამ წესს ამჟამად აფხაზეთში არაეინ არ ასრულებს. ჩემის აზრით, მას ისეთივე კავშირი აქვს წარმართობასა და მსხვერპლშეწირვასთან, როგორც უადრესად განვითარებულ ზრდილობასა და ჩვენი ხალხის ხელგაშლილობასთან.

აი ეს წესი, ისე, როგორც, ტაბაგუ მომიყვა:

— მე ჯერ კიდევ კაბუჯი ვიყავ. ჩვენ თხისა და ცხვრის ფარა გვყავდა. ერთ საღამოს, როდესაც საძოვრიდან შინ მოვრეკე ჯოგი, მამა-ჩემი თიფში (ფარეხში) შემოვიდა, ნახირს თვალი გადაავლო და სთქვა: თუ არა ვცდები, ჩვენი ფარა ათას სულს უნდა აღემატებოდეს. მოდი, დავითვალოთო. პატარა ჯოხი აიღო, სატევრიდან ხანჯლის შვილი იძრო და თვლას შეუდგა. ოც რომ დაითვლიდა, ჯოხზე ჭდეს გააქვთებდა. ათას თხუთმეტი სული ყოფილაო, ბოლოს გამოაცხნდა მამამ, თიფის ერთ კუთხეში მირეკა და ცალკე დააყენა ასი ცხვარი და თხა, განურჩევლად დიდი თუ პატარა. „კარგად დაღამდება თუ არა, აი იქ — ხელი გაიშვირა მამამ და მიჩვენა ზევით ის ადგილი, სადაც მთაში მიმავალი ბილიკი ტყეში იკარგებოდა გველის კუდივით, — მიპრეკ ამ ფარას და დასტოვებ. დეე, ვისაც შეხედეს, ადამიანი იყოს თუნდ ნადირი, ღმერთმა უბედნიეროს. თუ უვნებლად დილით ისევ ფარეხში დაბრუნდს ფარა, კვლავ ჩვენი იქნება“. ესა სთქვა და შინისაკენ გაემართა.

დაბნელდა. ასი ცხვარი და თხა სრულ სიჩუმეში თიფიდან გამოვრეკე და ცრემლით სავსე თვალებით ტყისაკენ გავსწიე. დანიშნულ ადგილას მივედი. დიდხანს დაეყურებდი უდაბურ ტყის გულში უძრავად მდგარ ცხვრისა და თხის ფარას. ეგონებ ჩემსავით ისინიც გაკვირვებულნი იყვნენ. ქვითინი ამივარდა. მერე უეცრივე მოვტრიალდი და სირბილით ძირს დავეშვი.

მთელ ღამეს თვალი არ შემიკრავს. დილით ის ფარა უკლებლივ ჩვენ ფარეხთან იდგა.





ავეტიქ ისაჰაკიანი სომხურ ლიტერატურას მოეკლინა ვასული საუკუნის 90-იან წლებში.

იგი ეკუთვნის სომეხ პოეტთა იმ პლეადას, რომელშიც მწიგნობრები პოეტები: ჰოვჰანეს თუმანიანი, ალექსანდრე წატურიანი, ლევან მანველიანი, ჰაკობ ჰაკობიანი, შუშანიკ კურდინიანი და სხვები, რომელსაც სათავეში ედგა პოეტი ჰოვჰანეს ჰოვჰანისიანი, რომლის პოეზია სრულიად ახალ ნაკადს წარმოადგენდა სომხურ ახალ ლიტერატურაში.

მართალია მის შემოჭმედებასაც თან ახლდა ზოგიერთი ის ძველი ეროვნული მოტივები, რაც უკვე მის წინა პოეტებმა გამარ-ჭათიბამ (რაფაიელ პატკანიანი), სმბატ შაპაზიზმა, გეორგ დოდოზიანი და სხვებმა დაიმღერეს, მაგრამ პ. ჰოვჰანისიანის პოეზია მაინც განსხვავდებოდა მათი პოეზიისაგან თავისი ორიგინალობით, ერთ, ლექსის გარეგნული აღნაგობით და შინაგანი ლირიული ელერით.

ავ. ისაჰაკიანი სწორედ ამ გზას გაჰყვა. მრავალნაირად აქლერდა პოეტის ქნარი, ცხოვრების ბევრ საჰირ-ბორიტო საკითხებს შეეხო იგი, იოცნება საუკეთესო მერმისისათვის, მაგრამ ანგარებით საცეს ქვეყანაზე ნუგეშს ვერ პოუვდა პოეტი, სწუხდა და წყდებოდა „გულის სიმები“. მხოლოდ ერთი, სიყვარულის სიმი-ლა შერჩა მას, როგორც მანუგეშებელი ამ წუთისოფელში.

„ღამე გვესტუმრა, სიომ დაჰქროლა,  
მოვირეს მოუბზო ეარსკვლავთა წყებამ,  
ლავიარდის ზღვაზე მოვიარემ გაჰქროლა  
და მიმიზიდა სიმთა ვალობამ.

და მეც იღვსდები აღტაცებული,  
ჩემს გულის სიმებს ჩამოეკარ მძღავრად,  
ატოკდა შყრდი, აღხინდა გული,  
სიმები დაწყდა გულის საკლავად.

და სიყვარულის შემრჩა მე სიმი, —  
ღრმად ჩამარხული გულის სიღრმეში,  
ამ სიყვარულის სიმღერა, დიმი  
აფეთქდა ყველგან ჩემს ცხოვრებაში“.

ღიახ! ბნელი ღამით იყო მოცული წუთისოფელი და მხოლოდ სიყვარული-და მიანდა პოეტს შორეულ შარავანდედად.

მაგრამ მისი სიყვარულიც ნაღვლიანი იყო და ამ სიყვარულში ჩაქსოვილი იყო სხვების ტანჯვა-გოდებაც:

პოეტმა ძლიერ აღრე განიცადა ცხოვრების სიდუხჭირე და ამიტომაც მან თავის ლექსების პირველსავე ტომს „სიმღერები და ჰრილობები“ უწოდა.

მე-19 და მე-20 საუკუნის სომხურ პოეზიაში ისე მძღავრად და ემოციურად არავის არ უგრძნია სიყვარული, როგორც ეს იგრძნო და განიცადა ავეტიქ ისაჰაკიანმა. მართალია, ზოგადი რომანტიულობით, მაგრამ უადრესად წმინდა, თავისებური, ლირიული, ფაქიზი ვრძნობებით და განცდებით გადაგვიშალა პოეტმა სიყვარულის სფერო.

„გინდა ვიქცე სედის ცვარად,  
შენს თვალეში ვიელვარო,  
ჩუმი ღამის ამო სიოდ  
შენს ნაწნავებს ვადეფარო?“



გინდა ვიქცე მე ნახ ვარად,  
რომ შენს მკერდზე მუღამ ვიყო,  
განთიადის ოქროს სხივად  
შენს სახეზე ვიცივლივო?“

გინდა ვიქცე ხედ, ყვავილად  
და ჩემს ჩრდილში დაგაწვირო,  
ან მომზნობლავ რამ ღრინველად  
ნანა ვითხრა, დავაძინო?“

რადაც ვსურდეს გაღვიქცივი,  
გაღვიქცივი მზედ და მთვარედ,  
ცად და მიწად, ზღვად და ქლდებო,  
ოღონდ, ოღონდ შემიყვარე...“

მართალია, პოეტს პირველი ნაბიჯიდანვე, ახასიათებდა აგრეთვე დიდი და ღრმა სიყვარული სამშობლოსადმი, ბუნებისადმი, ხალხისა და მშობელი დედისადმი, რომელიც უხვად და ოქროს ძაფებით არის ჩაქსოვილი მის შემოქმედებაში, მაგრამ მაინც სატრფიალო ლირიკა იყო აგ. ისაპაკიანის პოეზიის ძირითადი ლეიტმოტივი.

იგი ცდილობდა თავისი სულიერი განწყობილების გამოხატვას პოეზიაში და ეს განწყობილება და განცდა იყო, უპირველეს ყოვლისა, სიყვარული. მაგრამ მეტად მოკლე დღისა იყო პოეტის ინდივიდუალური, ინტიმური სიყვარულის არსებობა. ეს სიყვარულიც ისე, როგორც სხვა მრავალი პროზა და პოეზია დაუკავშირდა ცხოვრების უკუღმართობას; ის ერთი სიმი, რომელიც პოეტს შერჩენოდა, სიმი სიყვარულისა, ისიც სხვებმა დაწყვიტეს.

ბურჟუაზიულ ქვეყანაში ყველაფერი დამყარებული იყო კაპიტალზე. ამიერკავკასიაში სავაჭრო კაპიტალის განვითარებას და მასთან დაკავშირებულ უსიამოვნო მოვლენებს დაემთხვა პოეტის გამოსვლა სიყვარულის საქადაგებლად.

და აი, ამ კაპიტალის საშუალებებითაც წაართვეს პოეტს თავის სიცოცხლისა და სიმღერის ობიექტი—სიყვარული ქალი შეშვიკა. პოეტს გული გაუტყდა, რა თქმა უნდა, და მის პოეზიას ძალაუვნებურად შეეპარა პესიმიზმის ზოგადი ელემენტები.

მაგრამ ეს პესიმიზმი არ გადავიდა სრულ და ხანგრძლივს სასოწარკვეთილებაში, — ინდივიდუალურად არ განვითარდა პოეტის შემეცნებაში.

აგ. ისაპაკიანი ღრმად ჩაუფიქრდა ცხოვრებას, ცხოვრების წაღმა ბრუნვის გამოამწყვეე მიზეზებს და მალე ეს პესიმიზმი შესცვალა ადამიანთა უფლებების კვშმარტად განხორციელების მოთხოვნამ, თავისუფლებისაკენ მოწოდების მძლავრმა ხმამ და, მაშასადამე, მოქალაქეობრივმა და საკაცობრივ საკითხებმა, რაც გადაიქცა აგ. ისაპაკიანის პოეზიის უძლიერეს მოტივებად.

პოეტ-მოქალაქე ვერ შეურთვდა არსებულ პოლიტიკურ მდგომარეობას და მის მიერ გამოწვეულ სამშობლოსა და ხალხის ჩაგვრას. იგი არა თუ 10. „მნათობი“, № 9.

ვერ შეურიგდა, არამედ ხმა აღიმალდა კიდევ ყოველგვარ უსამართლობის წინააღმდეგ და პირდაპირი ბრძოლა გამოუცხადა ადამიანთა უფლებების, მათი ლამაზი მისწრაფებების შემზღვეველთ.

იგი ტირის, ჩივის, ხმაურობს ყველას გასაგონად, რომ მუხტანალმა უგულო ზალხმა მას სატრფო წაართვა. მაგრამ მისი ცრემლი ჩვეულებრივი ცრემლი როდია. ის მღუღარეა, მისი თვალები ცეცხლს აფრქვევენ და მის გოდებაში რისხვა გაისმის.

პოეტის წმინდა სიყვარულის საბედისწერო მარცხის შემდეგ ავეტიქ ისაპაკიანმა სცადა ქალი დაენახა, როგორც ქალი, როგორც ფიზიკური არსება, როგორც ხორციელი სიამოვნების წყარო.

მან იმღერა რამდენიმე სიმღერა და შეეხო ქალის სხეულს, მაგრამ სულ მალე იგრძნო აუცილებელი კატასტროფა, რომელიც მას გადასტყორცნიდა სახიფათო ეროტიზმში. პოეტმა შეგნებულად აუარა გვერდი ასეთს პოეზიას და დაუბრუნდა წმინდა ლირიკას და საზოგადოებრივ მოტივებს. ხელახლა მომართა მან თავისი ქნარი, მონახა და დაჭიმა დაწყვეტილი სიმები. პოეტმა თავის შესანიშნავ პოემაში „აბუ-ლალა-მაჰარი“ სასტიკად გაპოეზა, როგორც საუკუნოებრივი მონობის ჯაჭვებით შებოჭილი ეპოეა, ისი მესვეურნი, ისე საღ აზროვნებას მოკლებული ქალი და მისი ცბიერება და ღალატი, მისი კავშირი იმ ძველ სამყაროსთან, რომლის მამონა იზიდავდა და რყენიდა მას მაშინაც კი, როცა ის თავის სატრფოს ეამბოვებოდა.

პოეტმა კარგად იცოდა, რომ ამ ყოველივეს აქვს თავისი მიზეზი და ცდილობდა მის ძირ-ფესვიანად აღმოხეზვას.

ისე, როგორც დიდი ქართველი პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი თავის „მერანით“, ავეტიქ ისაპაკიანიც თავის ქარაგანით განუდგა ძველსა და რეგრესიულ ქვეყანას, გაშორდა, გაექცა და ამითი იგი, ისე, როგორც ნ. ბარათაშვილი, უფრო დაუახლოვდა ახალ ქვეყანას, ახალ ადამიანებს და გზა გაუკაფა მომავალს.

ავ. ისაპაკიანის პოემა „აბუ-ლალა-მაჰარი“ დაწერილია ნ. ბარათაშვილის „მერანის“ უშუალო ზეგავლენით.

ამას აცხადებს თვით პოეტი ავ. ისაპაკიანიც.

„მე ბედნიერად ვგრძნობ ჩემ თავს, რომ ჩემი პოემა „აბუ-ლალა-მაჰარის“ ვიხილავ უდიდეს შოთა რუსთაველის უკვდავ ენაზე. მოხარული ვარ, შეძლება მაქვს განვაცხადო, რომ ჩემი უფროსი ძმა ნიკოლოზ ბარათაშვილი იყო ამ პოემის შთაგონება. მისმა უმშვენიერესმა „მერანმა“ მე თავდავიწყებით ვამიტაცა. აბუ-ლალა-მაჰარის ქარაგანი ბარათაშვილის მერანის კვალს მისდევს“, — ამბობს ის, მაგრამ თავისთავად ცხადია, რომ „მერანი“ ვერავითარ ზეგავლენას ვერ მოახდენდა ავ. ისაპაკიანზე, თუ რომ მასშიც არ ყოფილიყო ის ღრმა სულიერი კავშირი იმ საკითხებთან, რომელიც ასე ადრევებდა და აფორაჩებდა ბარათაშვილის არსებას.

ისაპაკიანი ვერ შეჰქმნიდა ისეთ ბალახარისხოვან, პოეტურ უნიკუმს, თუ რომ მასშიც არ ყოფილიყო ცხოვრების დაკვირვების უნარი, ის ნათელი აზრები, ბრწყინვალე მისწრაფება და დიდი ნიჭი, გამოთქმის ოსტატობასთან ერთად, რაც ასე მძაფრად ახასიათებდა ნიკოლოზ ბარათაშვილს. ნ. ბარათაშვილის და ავ. ისაპაკიანის სახით საქართველომ და სომხეთმა, ამ ორმა უდიდესი კულტურის ქვეყანამ, ერთნაირად განიცადეს და დაინახეს მსოფლიო სეგდა, ადამიანთა ბედი და მომავლის ნათელი სურათები.

„აბუ-ლალა-მაჰარი“ უშესანიშნავეს განძია არა მარტო სომხურ მხატვრულ ლიტერატურაში, არამედ მთელ მსოფლიო ლიტერატურაშიც, სადაც მან ღირსეულად დაიმსახურა ევროპისა და მოწინავე ერების ყურადღება. იგი თარგმნილია თითქმის ყველა გამოჩენილ ერთა ენაზე.

„აბუ-ლალა მაჰარი“ პოეტი თითქმის ყველაფერს ზიზით უტკერის, იმ ყველაფერს, რაც კი ადამიანის დამამცირებელია, დამმონაგებელი და სულიერად დამკნინებელი, — გაურბის იმ ჰაოზს, სადაც მხოლოდ სიმყარე ბედობს და სადაც თავს იყრის ყველა ნაძირალა და ქვეწარმავალი.

პოეტს ურჩევნია სადაც შორს უდაბნოში, უწყლოდ, მზის მცხუნვარებით დაიწვას, ნადირთა შორის ათიოს დამეები, ვიდრე ტრიალებდეს საზიზღარ ადამიანთა შორის, მაგრამ პოეტის ასეთი განწყვნება, ასეთი პათოსით განმორება, რა თქმა უნდა, არ დაემთხვევა იმ მწიროს ან განდეგილის უხმო განმორებას, რომელიც ცოდვითა მოსანანიებლად მიატოვებს ყველაფერს და მიდის სადღაც შორეულ მონასტერში.

„აბუ-ლალა-მაჰარი“ ავ. ისაპაკიანის ხმა გაისმის, როგორც არსებული ცხოვრების უხამსი პირობების წინააღმდეგ დიდი პროტესტანტისა და მებრძოლის ხმა.

უმწეო პოლიტიკური მდგომარეობის, ბნელი ძალების ბოროტი მოქმედების ასეთი მძლავრი კრიტიკა და ანალიზი, ასეთი შეურიგებლობა და მათთან კავშირის გაწყვეტა, რა თქმა უნდა, ამჟამა ბრძოლას ნიშნავდა ცხოვრების ყოველგვარი სიმახინჯისა და სიყალბის წინააღმდეგ.

ავეტიქ ისაპაკიანმა ამ პოემაში თავისი პოეტური, შემოქმედებითი ძლიერება აიყვანა უმაღლეს მწვერვალამდე, ამ ქმნილების ვირტუოზული შესრულებით მან მოგვცა ისეთი ლიტერატურული შედეგები, რომელმაც ალაპარაკა ჩვენი ეპოქის ბევრი გამოჩენილი ადამიანი. შემოქმედებითი უნარი, დიდი ერუდიცია, მეკეთრი სიტყვა, მხატვრული სურათი, ღრმა ფილოსოფიური აზრი, ადამიანის სულიერი ავლადიდების განჭვრეტა, ლექსის შესაფერისი და შესანიშნავი ფორმის გამონახვა ისე ლამაზად არის ერთმანეთში ჩაქსოვილი, რომ ეს ყოველივე ჰქმნის ერთ მთლიან პარმონიზაციას.

ოქტომბრის დიდი რევოლუციის შემდეგ ავ. ისაპაკიანი დაუბრუნდა სამშობლოს და მიესალმა იმ საყვარელ ადამიანებს, რომლებმაც ახალი ცხოვრების მზე ამოაბრწყინეს ქვეყანაზე, მან დასწერა ლექსი „აბუ-ლალა-მაჰარის დაბრუნება“, რომლითაც დაგვიტკიცა, რომ ის გაეჭვა არა სამშობლოს, არა კეთილი საქმისათვის თავგანწირულ ადამიანებს, არამედ იმ მძიმე ატმოსფერას, სადაც პოეტს სუნთქვა უძნელდებოდა და სული ეხუთებოდა.

მართალია, ამ ხნის განმავლობაში ფიზიკურად ის შორს იყო თავის სამშობლოს მიწა-წყლისაგან, მაგრამ მისი ლექსები, მისი ბობოქარი სული და ნათელი, ბრძნული აზრები ყოველთვის განუწყრელი იყო მშობლიურ ხალხისაგან.

თავის პირად განცდებთან ერთად მას არა დროს არ ასვენებდა ის საზოგადოებრივი საკითხები, ის ფრად მნიშვნელოვანი მოვლენები, რომელთაც უნდა გადაეწყვიტათ ხალხის ბედ-იღბალი. ავ. ისაპაკიანმა სხვა მრავალი ლექსითაც გამოსთქვა თავისი სულიერი დეღვა, თავისი პოზიცია ამა თუ იმ საკითხისადმი, მაგრამ ძირითადში ის დარჩა, როგორც პოეტი — ლირიკოსი.

მისი ლირიკა მეტად ნაზია, სურნელოვანი, ოპტიმისტურად განწყობილი, თავგანწირული და სამშობლო ქვეყნის ვარდ-ყვავილებით იმპროვიზებული.

ავ. ისაჰაკიანის ლირიკული ხმა შორიდან მოდის, მისი ფესვები იქვეებიან მრავალტანჯული სომხეთის სასიქადულო, გპირული წარსულსთან, დიდი ლიტერატურულ-პოეტურ ტრადიციებიდან მოვსეს ხარეზაძის მოყოლებული საიათ-ნოვამდე.

პოეტის ინტიმურ, ინდივიდუალურ ხმაშიც კი გამოსქვივის სამშობლოსადმი დიდი სიყვარული და მისდამი თავგანწირვა.

იგი თავის სიყვარულის პანგებისა და სურათების ასაფერადებლად ყოველთვის იშველიებს სამშობლო ქვეყნის არარატისა და ალაგაზის კალთებზე, შირაქის ველებზე გადაშლილ ვარდ-ყვავილებს, მთიდან მოსულ სიოს, მზეს და მთვარეს, მთებსა და ველებს, ანკარა წყაროს რაკრაქს, ვარსკვლავთა ციმციმს, ფრინველთა გალობას და სხვა მრავალს.

ავ. ისაჰაკიანი, როგორც ჰემმარიტი პოეტი, უთუოდ ბუნების შესაიდუმლეა, მას ესმის არა მარტო აღამიანთა სულერი სამყაროს სიღრმეში ჩამარხული უამრავი საიდუმლოებანი, არამედ ბუნების ის ყოველგვარი პოეტური იდუმალეობა, რასაც იგი გულდასმით უსმენს და მდუმარების დროსაც კი ესმის მისი ენა.

ავ. ისაჰაკიანის პოეზია საერთოდ მეტად სტიქიურია.

იგი ხან წყნარია თავის სატრფოს თვალებივით, ნაზი და დინჯი, ხან ბოტოქარი არარატის მთაზე დატეხილ ჰეჰა-ჰუნხილივით.

მაგრამ ამ სტიქიაში ყველგან და ყოველთვის გაისმის მისი ხმა, როგორც ხმა ჰემმარიტებისა, სიყვარულისა და ღრმა აზროვნებისა.

ავ. ისაჰაკიანს თავიდანვე ახასიათებდა პატრიოტიზმი, მას სამშობლოსადმი არა ერთი და ორი ლექსი აქვს მიძღვნილი, რომელიც დიდი ხანია ხალხურ სიმღერებად არის გადაქცეული და იმღერება ყველგან.

ისაჰაკიანის პატრიოტიზმში გაისმის ნალელიანი პანგები, რაც გამოწვეული იყო სამშობლოს უნუგემო მდგომარეობით.

ისაჰაკიანი ცრემლებს აფრქვევს და ამ ცრემლებით მას სურს შეამსუბუქოს ტვირთ-მძიმეთა ის გულსაკლავი სევდა, რომელიც ათეული საუკუნოების მანძილზე კვალდაკვალ სდევდა სომეხ ხალხს.

მაგრამ პოეტი ყოველთვის როდი სტირის, იგი ამხნევეს სულის მეგობრებს, ნუგემს უნერგავს და უწოდებს თავისუფლების ზარის ჩამოსაყრავად.

როგორც ჰოვჰანეს თემანიანი, ისე ავეტიკ ისაჰაკიანიც ცნობილია, როგორც დიდი ჰუმანისტი და ინტერნაციონალისტი. ისაჰაკიანი განსაკუთრებით დიდად აფასებს საქართველოს, მის ისტორიულ წარსულს, მის მზიან აწყმოსა და მის გენიალურ აღამიანებს: შოთა რუსთაველს, ნიკოლოზ ბარათაშვილს და ხალხის უკვდავ გმირებს.

მას არაერთხელ უწერია კავკასიაზე, ქართველ ხალხზე და მისი წიადიდან წარმომობილ დიად ბელადზე — სტალინზე. გარდა ლექსებისა ავ. ისაჰაკიანს აქვს შესანიშნავი ენით დაწერილი ბევრი პროზაული ნაწარმოები, რომელთა შორის აღსანიშნავია მისი დიდი რომანი „უსტა კარო“ („ოსტატი კარო“) რომლის მხოლოდ რამდენიმე თავია დღემდე გამოქვეყნებული. უამრავ ნაწარმოებებში ავ. ისაჰაკიანს ახასიათებს სომხური ხალხური ეპილო, ცოცხალი ენა და საუკეთესო მეტყველება, რადგან მისი მრავალი

ლექსის თემა თუ შინაარსი მომდინარეობს ხალხური შემოქმედების ან ხალხის უშუალო სიტყვიერების სათავეებიდან.

ამიტომ არის იგი ხალხის საყვარელი პოეტი, მისი სული და გული, ამიტომ არის, რომ მშობლიური ხალხი მას „ვარპეტს“ (ოსტატს) უწოდებს.

სრული ნახევარი საუკუნეა, რაც ავეტიქ ისაქიანი მრავალწლოვან სომხური ლიტერატურის სარბიელზე და მან ამ ხნის განმავლობაში შექმნა ბევრი ლიტერატურული ქმნილება, შექმნა საკუთარი სტილი და სკოლა; გარდა მხატვრული შრომებისა, ავეტიქ ისაქიანი ცნობილია, როგორც დიდი საზოგადო მოღვაწე, მრავალი სახელმძღვანელოების შემდგენელი.

საზღვარგარეთ ყოფნის დროსაც პოეტი არ მოსწყდა თავის სამშობლო ქვეყნის სინამდვილეს. მისი ამ პერიოდის ლექსების უმეტესი ნაწილი იბეჭდებოდა ამიერკავკასიის სომხურ ჟურნალ-გაზეთებში.

ავ. ისაქიანის ნაწერები, როგორც რევოლუციამდელი, ისე რევოლუციის შემდეგ—გამოცემულია რამდენიმე ცალკე წიგნად. ძველსა და ახალ სახელმძღვანელოებში შესულია მისი ლექსები და პროზაული ნაწერები.

სამამულო ომის პერიოდში ავეტიქ ისაქიანის ჩანგა კვლავინდებური ენერჯითა და ენტუზიაზმით გაიწვრიალა. იგი აედერდა სამშობლოსა და ჩვენი ხალხის სიყვარულით, მათი გამირული საქმეების ღაღადით, გამარჯვების ურყევი რწმენით და დიდი ბელადის—სტალინისადმი უაღრესი პატივისცემითა და სიყვარულით.

ავ. ისაქიანმა გადაგვიშალა ჩვენი ისტორიის საუკეთესო ფურცლები, დაგვანახა ის მდიდარი კულტურა, ის ძვირფასი ლიტერატურული მემკვიდრეობა და წარუშლელი ძეგლები, რომლებიც თავგანწირული შრომითა და ბრძოლით შეუქმნიათ ჩვენს წინაპრებს.

პოეტი ომის დაწყებისთანავე თავის მთელი რიგი შესანიშნავი ლექსებით მოგვიწოდებდა ერთსულოვნად დავრამშულიყავით ბოროტი მტრის გასანადგურებლად და ჩვენი ტურფა სამშობლოს, საბჭოთა კავშირის დასაცავად, გაგველო მთელი ჩვენი ძალ-ღონე.

მან გაამხნევა ჩვენი ხალხი თავისი პოეზიის ახალი ნიმუშებითა, ცოცხალი სიტყვით, გამოსვლებითა და წერილებით. ავ. ისაქიანმა ამ ოთხი წლის განმავლობაში დასწერა როგორც მრავალი ლექსი, მოთხრობა და ნარკვევი, ისე ბევრი პუბლიცისტური წერილი, სადაც გააშიშვლა მე-20 საუკუნის კაცობრიობის ყველაზე უსაშინელები და უბოროტესი მტრის—ფაშისტური იმპერიალიზმის კაცობაშია პოლიტიკის რაობა, პიტლერული ურდობის მხეცური მოქმედება.

დიდია ღვაწლი საყვარელი პოეტის ავეტიქ ისაქიანისა, რომელიც დღეს ითვლება ერთადერთ ცოცხალ კლასიკოსად სომხურ მხატვრულ ლიტერატურაში და რომლის პოეზია ყოველთვის ჯეროვანის ყურადღებით და სიყვარულით ეხმაურება ჩვენს ახალს ეპოქას და მის ღირსშესანიშნავ მომენტებს.

ავეტიქ ისაქიანის პოეზია მუდამ უკვდავი იქნება საერთოდ ლიტერატურისა და განსაკუთრებით სომხური მხატვრული ლიტერატურის ისტორიაში.

# მიხეილ ილაიონის-ძე კუჭუზოვი

დაბადებიდან 200 წლისთავის გამო

## I

დიდი რუსი მხედართმთავარი მიხეილ ილაიონის-ძე გოლენიშჩევ-კუტუზოვი დაიბადა პეტერბურგში 1745 წლის 5 (16) სექტემბერს. მამა მისმა ილაიონ მათეს-ძემ სამსახური ჯერ კიდევ პეტრე პირველის დროს დაიწყო, ოცდაათი წელი იმსახურა საინჟინრო კორპუსში და, გადადგა რა გენერალ-პორუჩიკის წოდებით, მუშაობა განაგრძო სამოქალაქო უწყებაში. მისი პროექტების მიხედვით აგებდნენ პეტერბურგში არხებს, აშენებდნენ უდიდეს ნაგებობებს. შრომისა და სწავლისადმი სიყვარული მოხუცმა ინჟინერ-გენერალმა შეილსაც შთაუთნერგა. 1757 წელს კუტუზოვი საინჟინრო-საარტილერიო სკოლაში შეიყვანეს.

მომავალი მხედართმთავარი წარჩინებით სწავლობდა. მან გულდასმით შეისწავლა სამხედრო ისტორია და ტაქტიკა და საუცხოოდ იცნობდა არტილერიასა და საინჟინრო საქმეს. უყვარდა ისტორია და ლიტერატურა, შეისწავლა ენები — ფრანგული, გერმანული, ლათინური, ხოლო შემდგომში კიდევ — შვედური, ინგლისური, თურქული და პოლონური.

1761 წლის 1 (12) იანვარს კუტუზოვმა პრაპორშჩიკის წოდებით დაიწყო სამწყობრო სამსახური. ის მოვიდა რუსეთის არმიაში მისი უდიდესი სამხედრო წარმატებების პერიოდში. ყველასთვის სახსოვარი იყო პეტრე I დიდი გამარჯვებები ჩრდილოეთის ომში, რომელმაც უადრესად განამტკიცა რუსეთის მდგომარეობა ბალტიის ზღვის სანაპიროებზე. შეიღწლიან ომში რუსთა ჯარებმა თავიანთ შესანიშნავ ლაშქრობებში დაამარცხეს ფრიდრიხ II არმია, რომელიც საუკეთესოდ ითვლებოდა ევროპაში, და დაიკავეს ბერლინი. ამ წარმატებებმა რუსეთს დიდი ევროპული სახელმწიფოს მდგომარეობა მოუპოვეს. ძღვევამოსილ ომებში გაიზარდა და განმტკიცდა რუსეთის სამხედრო ხელოვნება, რომლის ბრწყინვალე წარმომადგენლები იყვნენ პეტრე I, რუმიანცევი და სუვოროვი. აღიზარდა რა ამ მხედართმთავართა უკვდავ მაგალითებზე, კუტუზოვმა რუსეთის ისტორიული განვითარების უფრო რთულს პირობებში ახალ უმაღლეს საფეხურზე აიყვანა რუსეთის სამხედრო ხელოვნება.

სამწყობრო სამსახური კუტუზოვმა დაიწყო ასეულის მეთაურად ასტრახანის პოლკში, რომელსაც სუვოროვი სარდლობდა. სუვოროვი შეიქნა ის მისწავლებელი, ვისგანაც შეითვისა კუტუზოვმა მხედართუფროსის ძირითადი თვისებები. კუტუზოვმა ღრმად აითვისა სუვოროვის «გამარჯვების მეცნიერების» შინაარსი. სუვოროვისაგან მან შემკვიდრებულად მიიღო მტკიცე რწმენა, რომ რუსეთის არმიის მთავარი ძლიერება მის ჯარისკაცშია, რომ

ჯარისკაცზე მზრუნველობის გამოჩენით, მისი ნდობისა და სიყვარულის მოპოვებით, შეიძლება ჯარებისაგან მოვითხოვოთ უდიდესი დაძაბვა ომში და გავიმარჯვოთ ბრძოლებში.

კუტუზოვს ეძლეოდა მეფის კარზე სამსახურის შესაძლებლობა — მაგრამ მომავალ მხედართმთავარს საბრძოლო მუშაობა იზიდავდა, და, როდესაც 1764 წელს პოლონეთში დაიწყო საომარი მოქმედებები, მან მიაღწია მოქმედ არმიაში დანიშვნას და იმ დღიდან დაიწყო კუტუზოვის საბრძოლო სამსახურის ხანგრძლივი წლები. ამ უდიდესმა საბრძოლო გამოცდილებამ და ჯარებში სამსახურის გამოცდილებამ განავითარეს მისი მძლავრი მხედრული ნიჭი. რუსი სამწყობრო ოფიცრის მძიმე შრომით, უმაგალითო პირადი მამაცობით, დისციპლინაობითა და ნიჭით აღწევდა კუტუზოვი წარმატებებს, რომლითაც აღნიშნულია მისი ცხოვრების გზა.

კუტუზოვმა თანმიმდევრულად განვლო სამხედრო სამსახურის ყველა საფეხური და ერთიმეორეზე მიიღო წოდებები: პრაპორშჩიკისა (1761 წ.), კაპიტნისა (1762 წ.), მაიორისა (1770 წ.), პოლკოლკოვნიკისა (1771 წ.), პოლკოვნიკისა (1777 წ.), ბრიგადირისა (1782 წ.), გენერალ-მაიორისა (1784 წ.), გენერალ-პორუჩიკისა (1791 წ.), გენერალ-ლეიტენანტისა (1796 წ.), ინფანტერიის გენერლისა (1798 წ.).

კუტუზოვი მონაწილეობას იღებდა ამ პერიოდის ყველა ომში. სამსახურის ფორმულარში აღნიშნულია, რომ კუტუზოვი მონაწილეობდა 1764, 1765 და 1769 წლების ლაშქრობებში. 1770 წელს თურქების წინააღმდეგ იბრძოდა მოლდავეთში, რიაბოი მოგილასთან. იმავე წელს მონაწილეობას იღებდა „პრუტზე ბრძოლაში, მდინარე ლარგაზე ლაშქრობაში“. „მდინარე კაგულზე ლაშქრობაში“. 1771 წელს — „პოპეშთან ბრძოლაში ორმოცათასიანი მოწინააღმდეგის განადგურებისას“. კუტუზოვი, როგორც ოფიცერი, განსაკუთრებული სიმაჰაცით იბრძოდა კინბურგთან, ყირიმში, დროშით ხელში იერიში მიჰქონდა ალუშტის ახლო, სოფელ შუმზე მონაწილეობდა ოჩაკოვის ალყაში და ციხე-სიმაგრეების აკერმანისა და ბენდერის აღებისას. კუტუზოვის მიერ იქნა ჩამოყალიბებული ბუგის ეგერთა კორპუსი, რომლითაც ის იცავდა საზღვრებს, რაღაც „ყოველთვის მცირეოდენი ძალებით მაცად იგერიებდა მტერს“. ეგერები იმ დროს იყვნენ რუსთა ქვეითი ჯარის ყველაზე უფრო მოწინავე და განსაკუთრებულად გაწვრთნილი ნაწილი. ჯარისკაც-ეგერებს ამზადებდნენ გაშლილი წყობით ბრძოლისათვის, ცალცალკე ბრძოლისათვის, რაც ჯარისკაცისაგან ინიციატივასა და დამოუკიდებლობას მოითხოვდა. კუტუზოვმა ბრწყინვალედ მოამზადა თავისი კორპუსი. ამავე დროს მან შეიმუშავა ეგერთა ტაქტიკა, ჩამოყალიბდა რა ის განსაკუთრებული ინსტრუქციის სახით.

კუტუზოვის იმდროინდელი მოხსენებები, პატაკები, ბრძანებები გვიხატავენ ყოველდღიურ ცხოვრებას შრომისმოყვარე, დაუღალავი გენერლისა, რომელიც სინდისიერად და ფხიზლად იცავდა რუსეთის საზღვრებს. ის აგებს სიმაგრეებს, ადგენს საზღვრისპირა რაიონების რუკებს. ის ეუფლებას საველე სამსახურის გამოცდილებას, რაც ასე საჭიროა ოფიცრისა და გენერლისათვის, აწესებს რა მკაცრ განაწესს ბანაკში, კუტუზოვი იმავე დროს მუდმივად ზრუნავს ჯარისკაცზე, მის ჯანმრთელობასა და კვებაზე.

მრავალს ბრძოლებში კუტუზოვი არაერთხელ შეხვდა პირისპირ სიკვდილს, ორჯერ მიიღო ტყვიით მძიმე სასიკვდილო ჭრილობა თავში. კუტუ-



ზოგმა დაპირის შედეგად დაპყარვა თვალი, მაგრამ განკურნებას შემდეგ კვლავ მწყობრში დაბრუნდა...

1794 წლის შემოდგომაზე კუტუზოვი სარდლობდა ცალკე კორპუსს, რომელიც იდგა უძლიერესი ციხე-სიმაგრის იზმაილის წინააღმდეგ. სადაც როგორც ფორმულარშია ჩაწერილი, „მრავალგზის ჰქონდა საქმე მტრის ცხენოსან ჯართან. დაამარცხა ის მცირე ჯარით, ქალაქიდან ეჭვს ვერსზე მტრისათვის დიდი ზარალით“.

შემდეგ საპასუხისმგებლო უბანზე ერთერთი კოლონის უფროსის სახით კუტუზოვი მონაწილეობა მიიღო — იზმაილის წინააღმდეგ სუვოროვის სახელგანთქმულ შტურმში 1794 წლის 11 (22) დეკემბერს. კუტუზოვის კოლონა უტევდა კილის კარიბჭეს. თურქთა ზარბაზნებისა და თოფების ძლიერმა ცეცხლმა შეაჩერა კოლონა, მაშინ კუტუზოვი პირადი მაგალითით გაიყოლია თავისი ჯარები იერიშზე და შეიჭრა თხრილში. ორჯერ ავიდა ზღუდეზე და ორჯერვე უკუაგდეს ის. განიცდიდა რა დიდ ზარალს, კუტუზოვი საბოლოო სუვოროვს დახმარება, მაგრამ პასუხად ის მიიღო, რომ რუსეთში უკვე გაგზავნილია მოხსენება იზმაილის აღებაზე, ხოლო თვით კუტუზოვს ის იზმაილის კომენდანტად ნიშნავსო. კუტუზოვი, შეპყრობა რა გრენადერები და ეგერები, მესამედ გაუძღვა ბასტიონისაკენ. მისმა ჯარებმა ხიშტებით გაიკაფეს გზა ციხის ცენტრისაკენ. იქ შეუერთდნენ სუვოროვის სხვა კოლონებს და სასტიკს ბრძოლებში მოსპეს თურქთა გარნიზონი. შტურმის შემდეგ კუტუზოვი წერდა ცოლს: „ჩემს დღეში ვეღარ ვნახავ ასეთს საქმეს. თმა ყალყზე მიდგება... საშინელი ქალაქი ჩვენს ხელშია... საჭიროა წესრიგის დამყარება ქალაქში... სადაც მარტო თურქთა გვამები ხუთმეტ ათასს აღემატება“. გამარჯვება სრული იყო, თუმცა „არ ყოფილა უფრო მაგარი ციხე, სათავდაცვოდ უფრო სასტიკი, ვიდრე იზმაილი. ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ შეიძლება ასეთ შტურმზე გადასვლაო“, — ამბობდა სუვოროვი.

შემდგომში კუტუზოვი პკითხა სუვოროვს, თუ რას ნიშნავდა შტურმის მომენტში იზმაილის კომენდანტად მისი დანიშვნა. „არაფერს, — მიუგო მან, კუტუზოვი იცნობს სუვოროვს, ხოლო სუვოროვი — კუტუზოვს, იზმაილი რომ არ აგველო, სუვოროვი მოკვდებოდა მის კედლებქვეშ და აგრეთვე მასთან — კუტუზოვიცო“.

იზმაილთან გამარჯვებაში კუტუზოვს უაღრესად საპასუხისმგებლო როლი ეკუთვნოდა. „ის მოდიოდა ჩემს მარცხენა ფლანგზე, მაგრამ ჩემი მარჯვენა ხელი იყო“, — მოახსენებდა სუვოროვი. დიდი მხედართმთავარი განსაკუთრებული ნდობით ეპყრობოდა კუტუზოვს. სუვოროვი ამბობდა „ერთს უბრძანე, მეორეს სიტყვა გადაუქარ, კუტუზოვისთვის კი ლაპარაკი არაა საჭირო — მან ყველაფერი იცისო“. იზმაილის აღებაზე პოტიომკინისადმი პატაკში სუვოროვი სწერდა „გენერალ-მაიორმა და კავალერმა გოლენიშჩევ-კუტუზოვი გამოიჩინა ხელოვნებისა და მამაცობის ახალი გამოცდილება, გადალახა რა მტრის ძლიერ ცეცხლქვეშ ყველა სიძნელე, ავიდა ზღუდეზე, დაიკავა ბასტიონი და, როცა მტრის ქარბმა ძალებმა აიძულეს ის შეჩერებულიყო, მან, გვიჩვენა რა მამაცობის მაგალითი, შეინარჩუნა ადგილი, სძლია ძლიერ მოწინააღმდეგეს, გამაგრდა ციხეში და შემდეგ განაგრძო მტრის დამარცხება“. იზმაილისათვის კუტუზოვი დაჯილდოვებულ იქნა გიორგის მესამე კლასის ორდენით და გენერალ-პორუჩიკის წოდებით. ის

დარჩა იზმაილის კომენდანტად და დნესტრისა და პრუტის შორის განლაგებული ჯარების უფროსად.

იზმაილის იერარქის შემდეგ კუტუზოვი გამოდის უკვე როგორც ცნობილი მხედართუფროსი, რომელსაც აკისრებენ სულ უფრო და უფრო მნიშვნელო მსახურებს. 1791 წლის 4 (15) ივნისს, პირადად სარდლობდა რა ჯარების ნაწილს, კუტუზოვმა ბაბადგთან დაამარცხა თურქთა ჯარები 23 ათასი კაცის რაოდენობით. 1791 წლის 28 ივნისს (9 ივლისს) მიჩინთან გამაწყვეტ ბრძოლაში რუსეთის არმიის მთავარსარდალმა რეპნინმა კუტუზოვის კორპუსს დააკისრა უაღრესად ძნელი ამოცანა—შემოვლითი მანევრით თურქთა წინააღმდეგ და აქ კუტუზოვმა გამოიჩინა თავისი შესანიშნავი სამხედრო ნიჭი. ის არ ეყრდნობოდა მცირედმობრავ სახაზო განლაგებებს, არამედ ოსტატურ მანევრირებას ეწეოდა, იყენებდა რა სხვადასხვაგვარ საბრძოლო წყობილებებს. დააწყო რა ჯარები ხუთ მწკრივად მარცხენა ფრთაზე კვალერიით, მან გაბედულად და შეუპოვრად შეუტია თურქთა მარჯვენა ფრთას. შემდეგ მან გამოიჩინა თავისი შესანიშნავი სიმედვრე და ხელოვნება მტრის იერიშთა მოგერიებისას. გადააღაგა რა მარცხენა ფრთისკენ ერთ ხაზზე ყველა ხუთი მწკრივი, კუტუზოვმა ცეცხლით მედგრად მოიგერია თურქთა ცხენოსანი ჯარის უზარმაზარი მასის სასტიკი მოძალემა და შემდეგ მოიგერია თურქთა ქვეითების ყველა იერიში. ბრძოლის ბოლოს მან კვლავ იერიში მიიტანა ცხენოსანი ჯარით მტერზე, რომელსაც თავი მოეყარა გამაგრებული ბანაქის უკან. თურქები დამარცხდნენ და გაიქცნენ. „გენერალ კუტუზოვის გამჭირაობა და მოსაზრებულობა ყველა ჩემს ქებას აღემატებაო“,—მოახსენებდა რეპნინი ეკატერინე დედოფალს. კუტუზოვი გიორგის მეორე კლასის ორდენით დააჯილდოვეს.

ჯარებში კუტუზოვის სამსახურის ოცდაათწლიანმა პერიოდმა, რომელიც თითქმის განუწყვეტელი ბრძოლებით და ლაშქრობითაა სავსე, გამოავლინეს მისი, როგორც ნიჭიერი მხედართუფროსის შესანიშნავი მხარეები. კუტუზოვმა გამოამჟღავნა თავისი თავი, როგორც დახელოვნებულმა ტაქტიკოსმა, რომელიც გამბედაობასა და შეუპოვრობას ათავსებდა მოსაზრებულობასთან, საბრძოლო ვითარების გულდასმით შესწავლასთან. ამ მისმა თვისებებმა, ჯარებისა და სამხედრო საქმის ყველა დეტალის შესანიშნავმა ცოდნამ, საბრძოლო გაწვრთნილობამ უდიდესი როლი ითამაშეს ისეთი გამობრძმედილი და გამოცდილი მხედართმთავარის განვითარებაში, როგორიც იყო კუტუზოვი შემდგომს ომებში.

1793 წლის დამდეგს, თურქებთან ომის დამთავრების შემდეგ, კუტუზოვი გაიწვიეს პეტერბურგში. ამ დროიდან იწყება მისი დიპლომატიური და სამხედრო-ადმინისტრაციული სამსახურის ხანგრძლივი პერიოდი.

თავისი ჰუკვისა და ნიჭის მეოხებით, განათლებისა და ფართო შეხედულებების მეოხებით, ფრიად სხვადასხვაგვარ აღამიანებზე შეგავლენის მოხდენისა და მოპყრობის უნარით კუტუზოვმა მოიპოვა თვალსაჩინო წარმატებები დიპლომატიურ სარბიელზე. კუტუზოვი არა მარტო შესანიშნავი მხედართმთავარია, არამედ—უდიდესი რუსი დიპლომატიც.

1793 წელს კუტუზოვი დანიშნულ იქნა საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად კონსტანტინოპოლში. ეს მისია უძნელესად ითვლებოდა, რადგან თურქეთში ერთმანეთს გადაეხლართნენ მთელ რიგ ევროპულ სახელმწიფოთა რთული, საწინააღმდეგო ინტერესები. კუტუზოვს უხდებოდა დიპლომა-

ტის ოსტატობით შეენარჩუნებინა ის, რაც მოპოვებულ იყო ბრძოლის ველზე.

მან მშვენიერად გაართვა თავი ძნელ დავალებას. საელჩოს მდიდრულად და მშვენიერად მორთვით მან შთაბეჭდილება მოახდინა, როგორც ბუნებრივად, ხოლო მისმა მოპყრობამ და თავაზიანობამ მოინადირეს სულთანის, ვეზირისა და თურქეთის დიდებულთა გული. კუტუზოვმა ოსტატურადაც მოახერხა რუსეთის სასარგებლოდ გადაეწყვიტნა უმნიშვნელოვანესი საკითხები, გამომდინარე იასის საზავო ხელშეკრულებიდან, კერძოდ მან მოიპოვა რუსთა ხომალდებისათვის არქიპელაგში ცურვისა და თურქეთის ნავსადგურებში შესვლის უფლება. მან მიიღწია თურქეთის საგარეო პოლიტიკაზე რუსეთისათვის მტრული გავლენების შეზღუდვას, გააძლიერა რა ამავდროს რუსეთის სახელმწიფოს გავლენა და ავტორიტეტი.

კუტუზოვმა ზედმიწევნით შეისწავლა თურქების მდგომარეობა. ამ ქვეყნის ღრმად ცოდნამ საშუალება მისცა მას საჭირო მომენტში ნათლად გაეშუქებინა ვითარება და მტკიცედ გამოეთქვა თავისი თვალსაზრისი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური საკითხების, ომისა და მშვიდობიანობის საკითხების გადაწყვეტისას. 1794 წლის 5 (16) იანვარს კუტუზოვი სწერს სუფოროვს: „ბატონი გენერალური კონსული სევერინი მომასხენებს, რომ მან შეატყობინა თქვენს ბრწყინვალეობას, თითქოს პორტას განზრახვა ჰქონდეს სამი თვის შემდეგ ომი გამოუცხადოს რუსეთსო. მე ჩემი სამსახურებრივი მოვალეობის გამო ვებედავ გაგაფრთხილოთ თქვენ, მოწყალეო ხელმწიფე, რომ ჩემი შემჩნევით, არ ვფიქრობ ასე ახლოს იყოს ჩვენთან გათიშვა... ყველგან დანგრეული მათი ციხეები არაა მოყვანილი სავსებით თავდაცვის მდგომარეობაში, მათი ფლოტი ჯერ კიდევ არაა ძლიერი, ფულად ნაწილში წამოწყებულს ცვლილებებს არ მიუღწევიათ სათანადო სიმწიფისათვის, ხოლო ყველაზე მეტად აღრეულია საშინაო მდგომარეობა, თითქმის ყველგან დაუმორჩილებლობაა, მრავალგან აჯანყებებს აქვს ადგილი, არაბეთის ნაწილი, დიდი რუმელია და ტრაპიზონის მიდამოები საკმაოდ აწუხებენ პორტას თავიანთი დაუმორჩილებლობით. ყველა ამ მიზეზმა უნდა შეაკავოს იგი, ჯანსაღი გონების განსჯით, მისთვის დამლუპველი ყოველგვარი უქილურესობიდან“.

კუტუზოვის ეს დასკვნა, დაძვარებული თურქეთის ძალებისა და საშუალებების ფხიზელ შეფასებაზე, სავსებით გამართლდა. თურქეთმა ვერ გაბედა რუსეთისათვის ომის გამოცხადება.

1794 წელს კუტუზოვმა დაამთავრა თავისი მისია კონსტანტინოპოლში და გაემგზავრა პეტერბურგს, მაგრამ ის არაერთხელ დაუბრუნდა დიპლომატიურ მოღვაწეობას. რუსეთსა და შვეციას შორის გამწვავებულ ურთიერთობის მომენტში მას ავალებდნენ შეხვედროდა და ხლებოდა შვეციის მეფეს. და კუტუზოვმაც საღებოდ შეასრულა ნაყისრი ამოცანა, ხელს უწყობდა რა რუსეთ — შვეციის ურთიერთობის გაუმჯობესებას. რომ მიეღწიათ რუსეთის მხარეზე საფრანგეთის წინააღმდეგ ბრძოლაში პრუსიის ჩაბმისათვის, 1798 წელს კუტუზოვი გაგზავნილ იქნა ბერლინში. მან ეს ამოცანაც წარმატებით შეასრულა. თანამედროვეთა თქმით „იმდენად დაუცხრომლად მოქმედებდა, იმდენად დაეინებით აკეთებდა წარდგენებს და იმდენად ძლიერ და წარმატებით ინარჩუნებდა თავისი წოდების მნიშვნელობას, რომ

სულ ცოტა ერთი წლის განმავლობაში, მაშინდელი დროის პოლიტიკური საქმეები საუკეთესოდ და სასურველად იქნა დასრულებული“.

კუტუზოვის მთელი მოღვაწეობის მანძილზე მისი დიპლომატიკური ნიჭი ეხმარებოდა მხედართმთავრის ნიჭს. ეს განსაკუთრებით ვსენოვსკიძე შემდგომში 1805, 1811, 1812 და 1813 წლებში, როცა კუტუზოვი ზღმძღვანელობდა უდიდეს სამხედრო ოპერაციებს, როცა სამხედრო ოპერაციები ღებულობდნენ ისეთ გაქანებას, რომ ისინი გარდუვალად, თავიანთი ბუნებით, უკავშირდებოდნენ დიპლომატიურ მოქმედებებს.

კუტუზოვს ეკირა მთელი რიგი უდიდესი სამხედრო ადმინისტრაციული თანამდებობანი. ის იყო ყაზანისა და ვიატკის გენერალ-გუბერნატორი, ფინეთის სახმელეთო ჯარების, ფლოტილისა და ციხე-სიმაგრეთა მთავარსარდალი, გენერალ-გუბერნატორი ლიტვანში, პეტერბურგის სამხედრო გუბერნატორი. რამდენიმე წლის განმავლობაში იყო მთავარი დირექტორი შლიახტთა სახმელეთო კორპუსისა, ძირითადი სასწავლებლისა, რომელიც ამზადებდა ოფიცრებს რუსეთის არმიისათვის. მან შესამჩნევად სრულყოფილი გახადა ახალგაზრდა ოფიცერთა მომზადება, შემოიღო ტაქტიკის სწავლება, ზშირად თვით ოფიცერთა თანდასწრებით კადეტებს ასწავლიდა ტაქტიკას, სამხედრო ისტორიას და სხვა მეცნიერებას და სიტყვიერებასაც კი. კუტუზოვი გახდა ოსტატი მომავალი ოფიცრების აღზრდისა და განათლების საქმეში.

კუტუზოვი ვერასოდეს ვერ მიაღწევდა ასეთ წარმატებებს, ის რომ არ ყოფილიყო თავისი დროის უგანათლებლესი ადამიანი. მიიღო რა ახალგაზრდობაში ფართო განათლება, ის განუწყვეტლივ სრულყოფდა მას და აღრმავებდა.

II

მე-19 საუკუნის პირველ წლებში ევროპაში დიდი ისტორიული ამბები ხდებოდა. 1800 წელს ნაპოლეონმა დაამარცხა ავსტრია და აიძულა ის ზავისათვის. 1802 წელს დადებულ იქნა ამიენას ზავი ინგლისსა და საფრანგეთს შორის; საფრანგეთის წინააღმდეგ სახელმწიფოთა მეორე კოალიცია დაიშალა. მაგრამ ეს იყო დროებითი შესვენება. ნაპოლეონი ისწრაფოდა ევროპაში ბატონობისაკენ. ეს უშუალო საშიშროებას უქადდა რუსეთსაც. 1804 წელს შეიქნა მესამე კოალიცია საფრანგეთის წინააღმდეგ. რუსეთში მოკავშირული ზღმეკრულება დადგა ავსტრიასთან. კოალიციას მხარი დაუჭირა ინგლისმა, პრუსიამ შეინარჩუნა ნეიტრალიტეტი. 1805 წელს დაიწყო საფრანგეთის წინააღმდეგ კვლავ ჩამოყალიბებული კოალიციის ომი.

კუტუზოვი დანიშნული იქნა მთავარსარდალად რუსეთის არმიისა, რომელიც 1805 წლის აგვისტოში დაიძრა ავსტრიისაკენ. კუტუზოვი უნდა შეხვედროდა ნაპოლეონს, რომელიც იდგა იმდროისათვის უდიდესი არმიის სათავეში. რუსეთის არმიისა და კუტუზოვის, როგორც მხედართმთავრის წინაშე წამოიჭრა ახალი ამოცანები, უფრო მეტად რთულნი, ვიდრე რუმიანცევისა და სუვოროვის ომების ეპოქაში.

კუტუზოვის, როგორც მხედართმთავრის, მოღვაწეობის სწორი შეფასებისათვის უნდა აღინიშნოს, რომ მას უხდებოდა მოქმედება ძნელს, არახელსაყრელ პირობებში. ჯერ ერთი, კუტუზოვს ნაპოლეონთან შედარებით არ ჰქონდა საკმაო უფლება დამოუკიდებელ გადაწყვეტილებათა მისაღებად.

მას უხდებოდა დაეცვა თავისი შეხედულებები ალექსანდრე I წინააღმდეგ, რომელიც მუდამ ერეოდა ოპერაციების ხელმძღვანელობაში. 1805 წლის ოქტომბერში ის ემორჩილებოდა ავსტრიის შტაბს, რომელიც გამოირჩეოდა თავისი ყბადალებული უნიჭობით. მეორეც, ნაპოლეონი, უკვე მომზადებული იყო ომისათვის, ვიდრე მისი მოწინააღმდეგე იყო. ეს შესაძლებლობას აძლევდა მას ერთბაშად ხელთ ეგდო ინიციატივა.

1805 წლის კამპანიის გეგმა ავსტრიელების მიერ იყო შემუშავებული. მოკავშირეთა ძალები საომარ მოქმედებათა რამდენიმე ასპარეზზე აღმოჩნდნენ მიმოფანტული.

ნაპოლეონმა, მიყვებოდა რა თავის ჩვეულ სტრატეგიას — ნაწილნაწილ დაემარცხებინა მოწინააღმდეგე, სწრაფი მარშით დასძრა თავისი 220 ათასიანი არმია ბავარიაში, გარშემოვრტყა მაკის ავსტრიელთა არმიას და 1805 წლის 7 (19) ოქტომბერს აიძულა ის კაპიტულაციისათვის. ამ მომენტში რუსეთის არმია კუტუზოვის სარდლობით ჯერ კიდევ თავს იყრიდა ბრაუნაუში (მდინარე ინზე). ავსტრიელთა კაპიტულაცია დამლუბველ ვითარებას ქმნიდა რუსეთის არმიისათვის. ნაპოლეონი არ ჰკარგავდა არც ერთ დღეს: ის მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ რუსეთის არმიას მოუშვადებელს მოუსწრებდა და დაამარცხებდა. 17 (29) ოქტომბერს ფრანგები უკვე ბრაუნაუში იყვნენ. მაგრამ რუსეთის არმია იქ აღარ დაუხვდა: კუტუზოვმა გამოიცილა თავისი მოწინააღმდეგის განზრახვა და გარშემოვრტყმის საშუალება არ მისცა მას არც მაშინ, არც შემდგომში, დაიწყო მისი შესანიშნავი უკუსვლითი მარშ-მანევრი. რუსთა არმია უკან იხევდა ალალით და ფრანგთა შობრავ კორპუსებს ადვილად შეეძლოთ დაესწროთ მისთვის. მძიმე, თითქმის უიმედო ვითარებაში მტრის ერთიორად ჰარბი ძალების წინააღმდეგ კუტუზოვმა გამოიჩინა მხედართმთავრის თვალსაჩინო თვისებები. მას ოსტატური გადასვლებით გაჰყავდა რუსთა არმია გარშემოვრტყმისა და დალუპვისაკენ. ეს იყო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება, მაგრამ ავსტრიის იმპერატორი კუტუზოვიდან მოითხოვდა ვენის დაცვას, ღუნაიზე — კრემსთან ზიდწინა სიმაგრეთა დაცვას. იმპერატორმა მას გამოუგზავნა თავისი გენერალი შმიდტი ბრძანებით არ დაეშვა რუსთა არმიის უკანსვლა. ალექსანდრე I დადასტურა ვენის დაცვის ბრძანება.

კუტუზოვი უმტკიცებდა იმპერატორებს, რომ ეს შეუძლებელი და დამლუპველი იყო, რომ სწორედ ეს სურდა ნაპოლეონს, რომ დაემარცხებინა რუსეთის არმია. კუტუზოვმა იცოდა, რომ ნაპოლეონმა უკვე გადაისროლა მორტიეს კორპუსი ღუნაის მარცხენა ნაპირზე ამოცანით — გზა მოეჭრა კუტუზოვისათვის, ხოლო მარჯვენა ნაპირზე რუსთა არმიას ფეხდაფეხ მოსდევდა მიურატი. რუსი მხედართმთავარი თანმიმდევრულად განაგრძობდა მანევრს. 24 ოქტომბერს ( 5 ნოემბერს) მიურატი უკუგდებულ იქნა აშტეტინთან ბრძოლაში, და კუტუზოვმა მოასწრო კრემსისკენ გასვლა. ს. პელტინთან არიერგარდთა დახმარებით რუსთა არმია გადავიდა ღუნაიზე და დასწვა ზიდი. მორტიე, ვერ მოასწრო რა კუტუზოვისათვის გზის გადაჭრა, 30 ოქტომბერს (11 ნოემბერს) დამარცხდა ღურენშტეინთან და უკუგდებულ იქნა ღუნაის გაღმა. ნაპოლეონმა პირველად მთელი მისი მხედართმთავრული კარიერის განმავლობაში მთელი ევროპის წინ იგემა სერიოზული დარტყმა.

31 ოქტომბერს (12 ნოემბერს) მაურატმა დაიკავა ვენა, გადაჭრა დუნაიზე და გაემართა ცნაიმისაკენ. კუტუზოვს კვლავ ემუქრებოდა გზის მოქრის საფრთხე. რომ გადაერჩინა არმია, კუტუზოვმა გადაწყვიტა ბატალიონის 6.000-კაციანი რაზმი ბრძანებით შეეჩერებინათ მიურატის მიმართული მარშალმა არ იცოდა რა, თუ რა ძალები იყვნენ მის წინაშე, გამართა შოლასარაკება დროებითი ზავის შესახებ. დროებითი ზავის შესახებ ხელმოწერილი აქტი რატიფიცირებისათვის გადაეგზავნა კუტუზოვსა და ნაპოლეონს. კუტუზოვი არ იძლეოდა პასუხს, განაგრძობდა რა უკანსვლას, მოასწრო ცნაიმის გავლა. ნაპოლეონი მიხვდა, რომ რუსებმა მოატყუეს მიურატი და უბრძანა მას დაუყოვნებლივ იერიში მიეტანა რუსთა არიერგარდზე. 4(16) ნოემბერს ბატალიონი მთელი დღის განმავლობაში უმკლავდებოდა მიურატის შემოტევას, გარემორტყმულ იქნა, მაგრამ შესძლო თავის დაღწევა 3.000 კაციით და შეუერთდა კუტუზოვს, რომელიც უკვე ოლმიუცთან იყო, სადაც თავს იყრიდნენ მოკავშირეთა ჯარები. საფრანგეთის მარშალმა მარშონმა კუტუზოვის უკანდახევას „კლასიკურად გმირული“ უწოდა.

ამგვარად, კუტუზოვმა შესძლო ნაპოლეონის გეგმების ჩაშლა და რუსთა არმიის გადაარჩენა დამარცხებისაგან. კუტუზოვის სტრატეგია სწორი იყო, და როცა მოკავშირენი ოლმიუცთან შეერთდნენ, მათ უკვე გააჩნდათ რიცხობრივი უპირატესობა ნაპოლეონზე, რომელიც ბრუნთან იმყოფებოდა. ეს უპირატესობა კიდევ უფრო უნდა გაზრდილიყო. ავსტრიელთა არმიები მოდიოდნენ იტალიიდან, ნაპოლეონის ზურგში. პრუსია ის-ის იყო აპირებდა ნაპოლეონის წინააღმდეგ გამოსვლას. კუტუზოვს აუცილებლად მიაჩნდა სანამ ფრანგებს შეუტევდნენ, თავი მოეყარა მოკავშირეთა ყველა ძალებისათვის. მანამდე კუტუზოვს ნაადრევად მიაჩნდა ნაპოლეონთან გენერალური ბრძოლის გამართვა. მაგრამ გაიმარჯვა ავსტრიის შტაბის აზრმა. კუტუზოვის წინააღმდეგ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ შეეტივნათ ნაპოლეონის წინააღმდეგ, რომელიც სწორედ ამას ელოდა. 20 ნოემბერს (2 დეკემბერს) მოხდა ბრძოლა აუსტერლიცთან. ავსტრიის შტაბის დისპოზიცია ითვალისწინებდა ფრიად აბნეულ გადასვლებს ნაპოლეონისათვის ვენიდან გზისმოქრის მიზნით. ამოდ იძლეოდა რჩევას კუტუზოვი „ხელი აეღოთ რთული მანევრებისაგან“, ამოდ აფრთხილებდა იგი, რომ არ შეიძლება მტრის წინააღმდეგ იერიში, როცა მის განლაგებას არ იცნობო.

ბრძოლის დღეს კუტუზოვი რუსთა ჯარების ერთერთ კოლონაში იმყოფებოდა. მისი აზრით მთელი ბრძოლის ველის გასაღებს პრაცენის მაღლობები წარმოადგენდა, და ამიტომ ცდილობდა იქ გაემარჯებინა თავისი ჯარები. მაგრამ კოლონაში მოსულმა ალექსანდრემ ბრძანა დაეტოვებინათ მაღლობი და გადასულიყვნენ იერიშზე. ნაპოლეონმა დაუყოვნებლივ შემოუტია და დაიკავა პრაცენის მაღლობები, გარდა ია რა ამით მოკავშირეთა ცენტრი. ამის შემდეგ ბრძოლა წაგებულ იქნა. ავსტრიამ ზავი დასდო ნაპოლეონთან. რუსთა არმია თავის საზღვრებზე დაბრუნდა.

მეფემ, რომელმაც ფაქტიურად მთავარსარდლობიდან გადააყენა კუტუზოვი და უგულვებელყო მისი რჩევა-დარიგება, მასვე დააკისრა პასუხისმგებლობა აუსტერლიცის დამარცხებისათვის. კუტუზოვი კიევის სამხედრო გუბერნატორად დანიშნეს.

## III



1806-დან 1811 წლამდე წარმოებდა ომი რუსეთს და თურქეთს შორის. ამ ხნის განმავლობაში რუსთა არმიას ზედიზედ სარდლობდა რამდენიმე მთავარსარდალი. მათ აიღეს მთელი რიგი ციხე-სიმაგრისა, არა ერთხელ აგემეს დამარცხება თურქთა ჯარებს, მაგრამ მაინც ვერ მოიპოვეს სრული გამარჯვება და მხოლოდ 1811 წელს, როცა ნათელი გახდა, რომ ნაპოლეონი ამზადებდა ახალ ომს რუსეთის წინააღმდეგ, მეფე იძულებული იყო დაენიშნა კუტუზოვი დუნაის არმიის მთავარსარდალად. კუტუზოვმა მიიღო სარდლობა, როცა რუსთა არმიის მდგომარეობა არახელსაყრელი იყო. ამას განსაზღვრავდა, უწინარეს ყოვლისა, საერთაშორისო ვითარება. ნაპოლეონი ემზადებოდა რუსეთთან ომისათვის და ევროპაში აღარ ექცობდნენ მის წარმატებაში. ამ მომავალ ომში ნაპოლეონი მნიშვნელოვან როლს ანიჭებდა თურქეთს. ის ვარაუდობდა, რომ თურქეთს ცხენოსანი ჯარის ასათსიანი შასა უკრაინაზე გავლით შევიდოდა ბელორუსიაში და შეუერთდებოდა ფრანგთა ჯარების მარჯვენა ფრთას. ნაპოლეონი სულთანს დაჰპირდა ყირიმს და ამავე დროს საშინელი სასჯელით იმუქრებოდა, თუ თურქეთი ზავს შეკრავდა რუსეთთან. ამ დროისათვის რუსთა დუნაის არმიიდან ხლთი დივიზია გაყვანილ იქნა დასავლეთ საზღვარზე განლაგებული მთავარი ძალების შემადგენლობაში შესაერთებლად. კუტუზოვს დარჩა 46 ათასი ჯარისკაცი, რომლითაც მას უნდა მოეპოვებინა თურქებზე გამარჯვება. უფრო მეტი, რუსეთის არმია გაჭიმული იყო ათასკილომეტრიან ფრონტზე, ხოლო თურქთა 80-ათასიანი არმია თავმოყრილი იყო რუსთა ცენტრის პირისპირ და ეკავა ძლიერი სიმაგრეები. ბრძოლის ამ უთანაბრო პირობებში კუტუზოვი პოულობს თავისებურ სტრატეგიულ და ტაქტიკურ გადაწყვეტილებებს. ის ხელს იღებს არმიის განლაგების გაჭიანურებულ კორდონულ სისტემაზე და თავს უყრის მას ერთ დამკვრელ მუშტად, რათა იმოქმედოს გადამწყვეტ მიმართულებით. 1811 წლის 7 (19) აპრილს კუტუზოვი რუსეთის სამხედრო მინისტრ ბარკლაი-დე-ტოლის სწერს:

„ჩვენი თავდაცვის ხაზი, რომელსაც იცავს ოთხი დივიზია, შეიძლება ითქვას, იწყება ბელგრადიდან და გრძელდება დნესტრამდე, უპირავს რა დუნაის ხეულებში დაახლოებით ათასი ვერსი. ამო იქნებოდა გვეფიქრნა, რომ შესაძლებელი ყოფილაყო ასეთი უზარმაზარი სივრცის ყველგან დაკავება საკმაო ძალით და, დაქუცმაცება უამისოდაც შემცირებული ჯარებისა, რომელსაც არ გააჩნია ძლიერი მოძრავი კორპუსები დახმარებისათვის, ვზას გაუხსნიდა მტრის პირველსავე რამდენიმედ ძლიერ კორპუსს“.

კუტუზოვი თავს უყრის თავის ჯარებს რულშუკთან. ბრძანებას სცემს ფლანგებზე ააფეთქონ ციხეები ნიკოპოლი და სილისტრია და ამ ციხეთა გარნიზონებს აგრეთვე თავს უყრის ცენტრში. ის იმგვარად ანლაგებს თავის ჯარებს, რომ ყოველგვარ მომენტში რამდენიმე მიმართულებით კონტრიერიზზე გადავიდეს მოწინააღმდეგის მიმართ.

კუტუზოვმა გადასწყვიტა იერიში მიეტანა ციხე-სიმაგრე შუმლიზე, სადაც გამაგრებულნი იყვნენ თურქები. „შუმლიში ვეზირთან მისვლა, — სწერდა ის 20 მაისს (1 ივნისს) ბარკლაის, — იერიშის მიტანა მასზე ამ ძლიერ სიმაგრეში შეუძლებელი იქნებოდა და არც არავითარ სარგებლობასაც არ მოატანდა... მაგრამ შეიძლება, ჩემი თავმდაბლური მოქცევით გავაბედვი-

ნებ თვით ვეზირს გამოვიდეს ან გამოგზავნოს რაზგრადისკენ ან შემდეგ რუსეთისკენ სათანადოდ მაგარი კორპუსი და, თუ ასეთი შედინიერება მომეცემა, მაშინ... რასაკვირველია, ღვთის შეწევნით დავამარცხებ მას...“

კუტუზოვის ამ მოხსენებებში სჩანს დიდი მხედართმთავრის უწინარე შესაფერის ვითარებაში მიიღოს ორიგინალური სტრატეგიული გადაწყვეტილება, უნარი ისარგებლოს მოწინააღმდეგის შეცდომებით და, იცის რა თურქთა არმიის სუსტი მხარე ბრძოლის ველზე, თავზე მოახვიოს მას ბრძოლა რუსეთის არმიისათვის ხელსაყრელს პირობებში. ამ კამპანიაში განსაკუთრებით მკაფიოდ გამოიმტკიცა კუტუზოვის უნარი გამოიყენოს სამხედრო მოხერხება სტრატეგიისა და ტაქტიკის ინტერესებისათვის.

კუტუზოვმა ცრუ ცნობათა მოხერხებულად გავრცელებასთან ოსტატური მიანერვის შეთავსებით უშუალოდ ციხიდან რუსეთისკენ გამოიტყუა თურქები. გაიგო რა თურქთა ჯარების გამოსვლა, კუტუზოვმა თავისი ჯარები განალაგა რუსეთის წინ ზურგით დუნაისკენ. ეს იყო უეჭველი რისკი, მაგრამ, როგორც სწერდა კუტუზოვი რუსეთთან ბრძოლის შესახებ მოხსენებაში, ეს პოზიცია იყო „არა მთლად ხელსაყრელი, მაგრამ ერთადერთი“. ის გაბედულად წავიდა რისკზე, იცოდა რა, რომ ბრძოლაში გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს არამარტო პოზიციას, არამედ, უწინარეს ყოვლისა, მის დამცველ ჯარებს.

რუსეთთან ბრძოლაში დიდი ვეზირის 60-ათასიანი თურქთა ლაშქარი განადგურებულ იქნა და სამხრეთისაკენ გაიქცა. ტაქტიკის წესების მიხედვით თითქოს საჭირო იყო მტრის ფეხდაფეხ დევნა. ამის ნაცვლად კუტუზოვი სამ დღეს გაჩერდა ადგილზე, ააფეთქა ციხე რუსეთი და დუნაის სამხრეთ ნაპირიდან ჩრდილო ნაპირზე გადმოვიდა. ეს იყო სამხედრო მოხერხების ოსტატურად გამოყენება. კუტუზოვმა იცოდა, რომ თუ გამოედევნებოდა თურქებს, ისინი გაქცევისას კვლავ თავს შეაფარებდნენ უშუალოდ, რომლის წინააღმდეგ იერიში მას საჭიროდ არ მიაჩნდა, რადგან „მნიშვნელოვანი იყო ციხის აღება კა არა, არამედ ომის მოგება“, როგორც ამბობდა თვითონ.

რუსეთის დატოვების შესახებ თავის მოხსენებაში 2 (14) ივლისს კუტუზოვმა დასწერა:

„... მე, ვეზირზე მოპოვებული გამარჯვების უმაღლეს, სრული რწმენით მივიღე გადაწყვეტილება დამეტოვებინა რუსეთი. სწორედ ამის ჩადენა შეიძლებოდა მოგებულ ბრძოლის შემდეგ, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს თითქოს იძულებითი მოქმედებად სჩანდა და მოგებულ ბრძოლის ნაცვლად თუნდ მცირე წარუმატებლობაც რომ ყოფილიყო, მაშინ უნდა გადაგვეტანა ყველა უხერხულობა და იარაღის დირსების გამო არ დაგვეტოვებინა რუსეთი... ამგვარად, მიუხედავად ნაწილობრივი ზიანისა, რომელსაც მხოლოდ პირადად მე მომავყენებს რუსეთის დატოვება, ხოლო მე ამ მცირეოდენ პატივისცემას მირჩევენია ჩემი ხელმწიფის სარგებელი... გავიყვანე რა მცხოვრებლები, გავიტანე არტილერია, ყუმბარები — ერთი სიტყვით ყველაფერი და ავაფეთქე ციტადელის რამდენიმე ადგილი, 27 რიცხვში გადმოვედი დუნაის მარცხენა ნაპირზე“. ხოლო ბრძოლის მოსურნე ოფიცრებს კუტუზოვმა აღუხსნა:

„თუ გავედევნებით თურქებს, მაშინ, ალბათ, მივალწვით უშუალოდ, მაგრამ შემდეგ რაღა უნდა გავაკეთოთ? დაგვირდება უკან დაბრუნება ისე, რო-



გორც შარშან და ვეზირი თავს გამარჯვებულად გამოაცხადებდა. უმჯობესია გავამხნევოთ ჩემი მეგობარი ახმეტ-ბეი და ის კვლავ მოვა ჩვენთან!”

დიდმა ვეზირმა ჯერ არ დაიჯერა მოხსენებები იმის შესახებ, რომ კუტუზოვი ღუნაის გაღმა გავიდა და თურქთა არმიის მეთაურნი უწინაო. რუსთა არმიის მოსახვედარი უმოქმედობით გამხნევებულმა, ნაპოლეონისა და სულთანის მიერ წაქეზებულმა, უმაღლესმა ვეზირმა 70 ათას კაცამდე გაძლიერა თავისი არმია და გაეშურა ღუნაის გაღმა რუსეთის არმიის პოზიციისაკენ. დაახლოებით 50-ათასი კაცი ჩრდილო ნაპირზე გადმოვიდნა, ხოლო სამხრეთ ნაპირას დასტოვა თავისი ბანაკი — 20 ათასი ჯარისკაცი, დროშები, სურსათი, საჭურველი. კუტუზოვი ყურადღებით აღევნებდა თვალყურს თურქთა არმიის თვითუფლს მოძრაობას. სამხედრო ხერხმა გასჭრა. თურქთა მთავარი ძალები გადმოვიდნენ ღუნაის ჩრდილო ნაპირზე. ახლა ვითარება მკვეთრად შეიცვალა, ძვირფასია ყოველი წუთი, და კუტუზოვიც თავდაცვიდან შეუბოვრად გადადის შეტევაზე. გენერალ მარკოვის შეიღათასიანი რაზმი აწყობს ფართო მანევრს მოქმედებათა რაიონიდან ძლიერ შორს და გადადის ღუნაის სამხრეთ ნაპირზე. ის გადის თურქთა ბანაკის ზურგში და სწრაფი იერიშით ხელთ იგდებს ბანაკს, დროშებს, ზარბაზნებს, საომარ მასალას. უფრო მეტი: კუტუზოვის ბრძანებით მარკოვი ღუნაის სამხრეთ ნაპირზე ამწყობებს თურქთა ზარბაზნებს და ზურგიდან ცეცხლს უხსნის ჩრდილო ნაპირზე მყოფ ვეზირის ჯარებს. კუტუზოვი შეუტევს თურქებს, დიდი ვეზირის ჯარებს მიიმწყვდევს ღუნაიზე. მთავრდება თურქთა არმიის სრული გარშემორტყმა. ამ ოპერაციაში გამომვლავნდა კუტუზოვის მხედარმთავრული ხელოვნების კიდევ ერთი მხარე — თავდაცვიდან შეტევაზე შეუბოვარი გადასვლა ბრძოლის ველის გარეთ მანევრება და მტრის კომუნიაციებზე დარტყმის გამოყენებით.

შემდეგ, გამოიყენა რა თავისი დიპლომატიური გამოცდილება, კუტუზოვი მარჯველ მიიყვანა საქმე თურქეთთან რუსეთისათვის ხელსაყრელი ბუქარესტის ზავზე ხელმოწერამდე, რითაც თურქეთი გამოირიცხა სათვალავიდან, როგორც რუსეთის მოწინააღმდეგე ნაპოლეონთან ომის დაწყების კრიტიკულ მომენტში.

ბუქარესტის ზავს მიხედვით ბესარაბია განთავისუფლებულ იქნა თურქთა უღლისაგან და შეუერთდა რუსეთს, ხოლო სერბიასა და ბულგარეთში სერიოზული ლახვარი ჩაეცა თურქთა ბატონობას. ეს იყო დიდი სამხედრო და დიპლომატიური გამარჯვება, რომელმაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა პოლიტიკური და სტრატეგიული ვითარება 1812 წლის სამამულო ომის დასაწყისში. მიუხედავად ამისა, ალექსანდრე I არმიის ხელმძღვანელობიდან გადააყენა კუტუზოვი, და რუსეთის არმიას ჩამოსცილდა თავისი სახელგანთქმული მხედართმთავარი იმ მრისხანე ეპოს, როცა ნემანის ნაპირებზე თავს იყრიდა ფრანგთა უზარმაზარი არმია.

#### IV

1812 წ. წინ ნაპოლეონი უკვე ევროპის მფლობელი იყო. განადგურებული პრუსია მის ფეხთქვეშ იყო დამხობილი. ავსტრია მის მოკავშირედ ითვლებოდა. ნაპოლეონი აგებდა გეგმებს მსოფლიო ბატონობის მოპოვებისათვის.

„ხუთი წლის შემდეგ მე მსოფლიოს ბატონი ვიქნები. დაგვრჩენია მარტო რუსეთი, მაგრამ მასაც გავსრესავო“, — ამბობდა ნაპოლეონი 1811 წელს.

რუსეთი ინგლისთან ერთად გახდა მთავარი დაბრკოლება ნაპოლეონის მსოფლიო იმპერიის შექმნის გზაზე. 1807 წელს ტილზიტის ზავის მიხედვით ნაპოლეონის მიერ თავზემონხვეული კონტინენტალური სისტემა, რომელიც ეწინააღმდეგებოდა რუსეთის სახალხო მეურნეობის განვითარებას, დამღუპველ გავლენას ახდენდა მის მდებარე მხარეებში.

1810 წლიდან ნაპოლეონმა ფართო მასშტაბით დაიწყო რუსეთთან ომი-სათვის სამზადისი, შექმნა რა უზარმაზარი, ე. წ. დიდი არმია, რომელიც 600 ათას კაცს ითვლიდა.

1812 წლის 11 (23) ივნისის დამეს ნაპოლეონი ომის გამოუცხადებლად შემოიჭრა რუსეთის ფარგლებში. რუსეთის ორი არმია ბარკლაი-დე-ტოლისა და ბაგრატიონის სარდლობით უკან იხევდა ქვეყნის სიღრმეში, შეერთდა რა სმოლენსკში 22 ივლისს (3 აგვისტოს). უკანდახევა გრძელდებოდა, რაც უკმაყოფილებას იწვევდა არმიასა და მთელს მხარეში. ყოველი მხრიდან მოითხოვდნენ ერთმართველი და სრული უფლებებით აღჭურვილი მთავარსარდლის დანიშვნას და ყველას თვალი მიპყრობილი იყო დიდებით-შემოსილი, მთელი ხალხისათვის ცნობილი მხედართმთავრის—კუტუზოვისაკენ. მეფე იძულებული გახდა დაეთმო საზოგადოებრივი აზრისათვის და 8 (20) აგვისტოს მთავარსარდლად კუტუზოვი დანიშნა. მთელმა რუსეთმა აღტაცებით მიიღო ეს ცნობა. 17 (29) აგვისტოს კუტუზოვი ჩავიდა ცარეევო-ზაიმისჩეში და ჯარების ჩამოვლისას სთქვა: „როგორ შეიძლება ასეთი ყოჩაღებით უკანდახევაო“. ეს სიტყვები მთელს არმიას მოეფინა. ყველგან ლაპარაკობდნენ: „მოვიდა კუტუზოვი ფრანგების დასამარცხებლად“. კუტუზოვმა თავის პირველ ამოცანად დაისახა უკანდახეული არმიის ხულისკვეთების ამაღლება და წარმატებითაც მიაღწია ამას.

სახელგანთქმული რუსი მხედართმთავარი განსაკუთრებულად ძნელი ამოცანების წინაშე იდგა. ის ღებულობდა არმიას უკანდახევის მდგომარეობაში. ახლოვდებოდა ომის კრიზისი, რამაც გადაწყვიტა რუსეთის სახელმწიფოს ბედი. საქმე ეხებოდა რუსეთის ყოფნა-არყოფნას, მის დამოუკიდებელ არსებობას. კუტუზოვის წინაშე იდგა ნაპოლეონის უზარმაზარი არმია. საფარსვეთის იმპერატორი მოდიოდა მოსკოვისაკენ. იმ დღეებში ნაპოლეონმა იცოდა, რომ წყდებოდა ყველა მისი გეგმების ბედი, რომ მას მათი წარმატებებისათვის უნდა მოეგო გენერალური ბრძოლა, საჭირო იყო რუსეთის არმიის მთლიანად განადგურება. კუტუზოვი ხედავდა, რომ ძალთა თანათარღობა ჯერ კიდევ არ იყო რუსთა არმიის სასარგებლოდ, რომ მისი მთავარი ამოცანა მდგომარეობდა ჯარების შემდგომს გაძლიერებაში. და სანამ ფრანგებს უფრო მეტი შანსები ჰქონდათ გენერალური ბრძოლის მოსაგებად, საჭირო იყო ბრძოლისაგან თავისაარილება. მაგრამ მან იცოდა აკრეთვე, რომ განსაზღვრულ მომენტში საჭირო გახდებდა გენერალურ ბრძოლაში ჩაბმაც. ეს მომენტი დადგა ბოროდინოში.

რუსეთის არმიას 120 ათასი ჯარისკაცი ჰყავდა. მათ შორის 10 ათასი სახალხო მოლაშქრე, 7 ათასი კაზაკი. რუსთა არტილერიას 640 ზარბაზანი ჰქონდა. ფრანგებს ჰყავდათ 135 ათასი კაცი 587 ზარბაზნით. 21 აგვისტოს (2 სექტემბერს) კუტუზოვი მოახსენებდა ალექსანდრე I:

„პოზიცია, რომელზეც მე შეეჩერდი, სოფელ ბოროდინოსთან, 12 კილომეტრზე მოკაისკის წინ, ერთერთი საუკეთესოთაგანია, როგორიც შეიძლება გამოინახოს ვაქე ადგილზე. ამ პოზიციის სუსტი ადგილი, რომელიც 11. „მართობი“, № 9.

მდებარეობს მარცხენა ფრთაზე, ვეცდები გამოვასწორო ხელოვნების მეოხებით. სასურველია, რომ მოწინააღმდეგემ ამ პოზიციაზე მოიტანოს ჩვენს მიმართ იერიში; ამ შემთხვევაში დიდი იმედი მაქვს გამარჯვებისა; მაგრამ თუ ის, ნახავს რა ჩემს პოზიციას მტკიცეს, დაიწყებს მარცხენა მხარეზე მძიმე გზებზე მანევრირებას, მაშინ დაეიწყებ სელას და დავდგენ მთავის-კის უკან, სადაც ყველა ეს გზა ერთდება“.

კუტუზოვი ხედავდა, რომ იმ ორი გზიდან, რომელიც გადიოდა ბოროდინოს ველზე, სმოლენსკის ახალი გზა პოზიციის მარჯვენა ფრთასთან უფრო ფართო და უკეთესი იყო სმოლენსკის ძველ გზაზე, რომელიც სჭრიდა მარცხენა ფრთას. სმოლენსკის ახალი გზა ძირითადი სტრატეგიული მიმართულება იყო მოსკოვისაკენ და ამ მიმართულებას იცავდა კუტუზოვი, იმ დროს, როცა პოზიციის ყველა დანარჩენ პუნქტს მხოლოდ ტაქტიკური მნიშვნელობა ჰქონდა.

კუტუზოვი, იცნობდა რა ნაპოლეონის ტაქტიკასა და სტრატეგიას, წინასწარ სჭვრეტდა მის შესაძლებელ მანევრებს. სმოლენსკის ახალ ფართო გზასთან და ცენტრს უკან თავისი მთავარი ძალების განლაგებით კუტუზოვი ინარჩუნებდა დიდი ძალებით კონტრიერიშიზე გადასვლის შესაძლებლობას. იმავე დროს, თუ ნაპოლეონი შეეცდებოდა გარშემოვლას ან მარცხით დამთავრდებოდა ბრძოლა, რუსეთის არმიას შეეძლო ებასუბნა კონტრამანევრით, დამდგარიყო მოკაისკის უკან და კვლავ დაეხურა მოსკოვისაკენ გზა. ის, თუ რამდენად მართალი იყო კუტუზოვი, სჩანს იქიდან, რომ ნაპოლეონმა ვერ გაბედა რუსთა არმიის მარცხენა ფრთის გარშემოვლა.

ამაირად, ბოროდინოს გადამწყვეტ ბრძოლაში, რომელიც თავდაცვითი იყო რუსეთის არმიისათვის, რომელშიც ინიციატივა შემომტევი ნაპოლეონის წელში უნდა ყოფილიყო, კუტუზოვმა ოსტატურად გამოსტაცა მას ეს უპირატესობა და აიძულა სისხლისმღვრელი ფრონტალური შეტევისათვის.

კუტუზოვმა ჯარებისადმი განკარგულებებში განსაკუთრებით აღნიშნა რეზერვა მნიშვნელობა, მიუთითა რა, რომ „რეზერვები შენარჩუნებულ უნდა იქნას რაც შეიძლება ხანგრძლივ, რადგან ის გენერალი, რომელიც რეზერვსაც შეინარჩუნებს, უძლეველია...“

კუტუზოვმა მოხერხებულად განალაგა თავისი რეზერვები, უზრუნველყო რა ბრძოლაში მათი გამოყენების სრული თავისუფლება.

ამგვარად, კუტუზოვმა ბრძოლის სწორი გააზრებით, საბრძოლო წყობის ოსტატური განლაგებით, რეზერვების გამოყენებით უზრუნველყო თავის მოქმედებათა მაქსიმალური თავისუფლება და ბრძოლის მსვლელობათა მართვის შესაძლებლობა. კუტუზოვი ჩაება ამ თავდაცვითს ბრძოლაში, დაჯერებული თავის ძალებში, დარწმუნებული რუსეთის ჯარების ურყევ სიმტკიცეში.

24 აგვისტოს (5 სექტემბერს) შევარდინოსთან ბრძოლის შემდეგ ორი არმია ერთმანეთის პირისპირ იდგა. კუტუზოვმა ჩამოუარა ჯარებს და ელაპარაკა ჯარისკაცებს. საყვარელი ბელადის მათთან ყოფნა აფრთხილებდა არმიას. 26 აგვისტოს (7 სექტემბერს) დილის 6 საათზე ფრანგებმა, როგორც კუტუზოვი ფიქრობდა, იერიში მოიტანეს ბაგრატიონის ფლუშებსა და რაევსკის ბატარიაზე. ფრანგთა კორპუსები შეიღვზის გადმოვოდნენ იერიშზე და უკუვდებულ იქნენ ბაგრატიონის კონტრატაკეებით. მერვე იერიშის დროს დაეცა სასიკვდილოდ დაჭრილი ბაგრატიონი. მისმა

დივიზიებმა იწყეს უკუსვლა. დაღვა ბრძოლის კრიზისი. ნაპოლეონმა გაითვალისწინა ის გადაწყვეტი მომენტი, როცა ბრძოლაში რეზერვებს შეყვანილ შეიძლება წარმატების გადაწყვეტა. მან გასცა ბრძანება: „გვარდია ცეცხლში“ და საფრანგეთის არმიის მთავარი რეზერვი უსტატურის გვარდია დაიძრა შეტევისათვის. ეს დამარცხებას უქადდა რუსეთის ჯარებს. კუტუზოვი, გაიგო რა ეს საფრთხე, რომელიც ემუქრებოდა მას მარცხენა ფრთას, ატარებს ოსტატურ მანევრს. ნაპოლეონის მარცხენა ფრთის შურავში გადაისროლა რა პლატოვის კახაკთა კორპუსი და უფაროვის საკავალერიო კორპუსი, მათ პანიკა შეიტანეს ფრანგთა შორის. თავისი მარცხენა ფრთის ბედით შეშფოთებულმა ნაპოლეონმა, შეაჩერა გვარდია და დაჰკარგა დრო, ხოლო კუტუზოვმა თავისი რეზერვი გადაიყვანა მარცხენა ფრთაზე და განამტკიცა მისი მდგომარეობა. რამდენიმე საათის შემდეგ ნაპოლეონმა შესძლო ახალი უდიდესი მსხვერპლის ფასად დაეკეცებინა რაევსკის ცენტრალური ბატარია, რომელსაც იცავდნენ გენერალ ბარკლაი-დე-ტოლის ჯარები. მაგრამ რუსეთის არმია ურყევი დარჩა ბოროდინოს ბრძოლის უკანასკნელ სათამდე. საფრანგეთის მარშლები დაეინებით მოითხოვდნენ ბრძოლაში უკანასკნელი რეზერვის — ძველი გვარდიის გამოყვანის საჭიროებას. მაგრამ ნაპოლეონი მიხვდა, რომ რუსებს ვერ გასტეხდა, რომ ბრძოლაში თავისი უკანასკნელი რეზერვის გამოყვანით, მას შეეძლო დაეკარგა თავისი გვარდია და ვერ მიეღწია ომში გამარჯვებისათვის.

კუტუზოვის ნებისყოფამ და ოსტატობამ დაამარცხეს ნაპოლეონის ნებისყოფა. ღამით ნაპოლეონმა გაიყვანა თავისი ჯარები ბოროდინოს ველიდან, სადაც დასტოვა 58 ათასი მოკლული და დაჭრილი ჯარისკაცი და 47 გენერალი, ვერ მოიბოვა რა გამარჯვება გენერალურ ბრძოლაში, რომლითაც ცდილობდა ომის ბედის გადაწყვეტას. კუტუზოვმა მოიბოვა უდიდესი გამარჯვება. კუტუზოვის დიდი დამსახურება მდგომარეობს იმაში, რომ, დაეყრდნო რა რუსი ჯარისკაცების სიმტკიცესა და ხელქვეით მეთაურთა ოსტატობას, მან ისე მოაწყო და უხელმძღვანელა ბრძოლას, რომ საშუალება არ მისცა ნაპოლეონს არა მარტო განეხორციელებინა რაიმე მანევრი, არამედ მძლავრ არტილერიასთან ერთად ქვეითი და ცხენოსანი ჯარების პირდაპირი მასირებული დარტყმით მოეპოვებინა თუნდაც ნაწილობრივი წარმატებაც კი.

ნაპოლეონმა პირველად წააგო გენერალური ბრძოლა და თვითვე აღიარა ეს: „ჩემს მიერ ჩატარებული ორმოცდაათი ბრძოლიდან, მოსკოვთან ბრძოლაში გამოჩენილ იქნა ყველაზე უფრო მეტი მამაცობა და მოაოვებულ იქნა ყველაზე უფრო ნაკლები წარმატებაც“. „რუსებმა მოიბოვეს უფლება ყოფილიყვნენ უძლეველნი“. რუსეთის არმია ემზადებოდა განეგრძო ბრძოლა ბოროდინოსთან, მაგრამ, როცა კუტუზოვმა გაიგო, რომ მისმა არმიამ დაჰკარგა 44 ათასი მოკლული და დაჭრილი ჯარისკაცი და 23 გენერალი, მან ბრძანება გასცა უკანდაეხიათ მოსკოვისაკენ. ეს იყო ყველაზე უფრო მიზანშეწონილი გადაწყვეტილება, რადგან ეს შესაძლებლობას აძლევდა კუტუზოვს შეეფსო დანაკლისი და განეგრძო ომი უფრო ხელსაყრელ პირობებში, ვიდრე ეს გააჩნდა ნაპოლეონს. „როცა საქმე ეხება მოგებულ ბრძოლათა არა დიდებას, არამედ მთელი მიზანი მიმართულია საფრანგეთის ჯარების მოსპობისაკენ, მე განვიზრახე უკანდახევაო“, — მოახსენებდა კუტუზოვი ალექსანდრე I.

1 (13) სექტემბერს ფილიში სამხედრო თათბირზე კუტუზოვი დააყენა საკითხი — შეტაკებოდნენ ნაპოლეონს მოსკოვთან, თუ დაუტოვებინათ ის მოწინააღმდეგეებისათვის? გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა. კუტუზოვმა ბრძანება გასცა უკანდახევისათვის, მიჰმართა რა დამსწრეთ სიტყვებით: „სანამდე იარსებებს არმია და უნარი ექნება წინააღმდეგობა გაუწიოს მტერს, მანამდე შევინარჩუნებთ იმედს საკეთილდღეოდ დავამთავროთ ომი, მაგრამ როცა მოისპობა არმია, დაილუპება მოსკოვიც და რუსეთიც. — ებრძანებ უკანდახევას“.

კუტუზოვმა აშკარად იცოდა, რომ ნაპოლეონი ცდილობდა რუსეთის არმიის განადგურებასა და სწრაფი გამარჯვების მოპოვებას. ბოროდინოს ბრძოლაში კუტუზოვმა არ მისცა მას ამის შესაძლებლობა, ჩაშალა მისი გეგმა. და მან ვადასწყვიტა მოსკოვთანაც არ მიეცა მისთვის ეს შესაძლებლობა.

ღრმად იცნობდა რა მოწინააღმდეგეებს, კუტუზოვი დარწმუნებული იყო, რომ შემოვიდოდა რა მოსკოვში, ნაპოლეონი შეჩერდებოდა იქ, დაელოდებოდა ზაეს. ამ ხნის განმავლობაში კუტუზოვი ვარაუდობდა ალექსანდრე მტრისთვის სურსათის მოზიდვას და რეზერვების მიწოდებას. „თვით მოსკოვის ჩაბარებით დაღუპვას განვუშვადებ მოწინააღმდეგეს“, — სწერდა კუტუზოვი. „ბრძოლა მოსკოვამდე მოვიგე, მაგრამ საჭიროა გავუფრთხილდეთ არმიას, ხოლო მალე ჩვენი არმიები ე. ი. ტორმასოვი, ჩინაგოვი, ვიტგენ-შტიინი და კიდევ სხვები ერთი მიზნისაკენ ამოქმედდებიან და ნაპოლეონი დიდხანს ვერ დაჰყოფს მოსკოვში“, — სწერდა ამ პერიოდში კუტუზოვი თავის ასულს.

სტოვებდა რა მოსკოვს, კუტუზოვს განზრახული ჰქონდა მოქმედებები, რომლებიც ვადამწყვეტად ცვლიდნენ ვითარებას რუსეთის არმიის სასარგებლოდ. მან ჯერ რიაზანის გზით წაიყვანა თავისი ჯარები, ხოლო შემდეგ რიაზანის გზიდან მოულოდნელად გადაუხვია კრასნი პახრისა და ტარუტინოსაკენ, სადაც შეჩერდა.

კუტუზოვის ტარუტინოს მანევრი სამართლიანად ითვლება სამხედრო ხელოვნების ისეთ მიღწევად, რომელსაც მარტო შეეძლო მიენიჭებინა მისთვის გენიალური მხედართმთავრის სახელი. ამ მანევრით მან მკვეთრად შესცვალა მთელი სტრატეგიული ვითარება თავის სასარგებლოდ; უპირველეს ყოვლისა, მან გამოიყვანა არმია მტრის დარტყმებისაგან და უზრუნველყო ის მშვიდი პირობებით დასვენებისა და ახალი ბრძოლებისათვის მოსამზადებლად; შეორეც, კუტუზოვმა დაიფარა არა მარტო კალუგა, სადაც თავმოყრილი იყო არმიისათვის საჭირო უდიდესი მარაგი, არამედ ტულაც მისი საჭურვლის ქარხნით; მესამეც, მან თავისი ხელით შეინარჩუნა კავშირი რუსეთის სამხრეთ ოლქებთან, რომლებიც ჰკვებავდნენ არმიას ადამიანთა შევსებებით, ცხენთა შემადგენლობით და ყოველგვარი სახის მომარაგებით. თავდაცვითი ზასიათის მრავალ სარგებლიანობასთან ერთად, კუტუზოვმა მიიღო შესაძლებლობა აქტიურად ემოქმედნა მტრის კავშირის წინააღმდეგ მოსკოვისა და სმოლენსკის შორის და ამით ალექსანდრე მოწინააღმდეგისათვის მანევრის თავისუფლება. საბოლოო ანგარიშში მან შეაშადა ხელსაყრელი პირობები მოსკოვში ნაპოლეონის არმიის ბლოკადისათვის.

კუტუზოვმა დაიკავა იმდენად ხელსაყრელი მდგომარეობა, რომ ნაპოლეონის შემდგომ მოქმედებათა ყველა შესაძლებელი ვარიანტი ხვდებოდა

რუსეთის ჯარების წინააღმდეგობას ისეთ პირობებში, რამდენიც უფრო ხელსაყრელი იყენენ მათთვის, ვიდრე ფრანგებისათვის. თუ რამდენად მოულოდნელი და დამღუბველი აღმოჩნდა მტრისათვის კუტუზოვის მანევრი, შეიძლება დავასკვნათ ნაპოლეონის სიტყვებიდან, რომდღებაც უფროა მან შემდგომში ერთერთ რუს გენერალს: თქვენმა ცხვირმა შელამა—კუტუზოვი, მე ძლიერ მომატყუილა თავისი ფლანგითა მარშით“.

პატარა სოფელი ლეტაშევკა, ტარუტინოს ახლოს, სადაც მოთავსებული იყო კუტუზოვის შტაბი, გახდა მაშინ რუსეთის სამხედრო ცენტრი. იქ თავს იყრიდნენ შევსებები, იქ მიდიოდნენ რუსეთის ყოველი კუთხიდან ადამიანები, რათა დაარწმუნებულყვნენ, რომ გადაარჩენილია რუსეთის არმია, რომ ის ემზადება ახალი ბრძოლისათვის. ეს ამბები ანმტკიცებდნენ ხალხმა ვამარჯვებისადმი რწმენას. პეტერბურგიდან მოითხოვეს შეტევა, მიუთითებდნენ, რომ კუტუზოვის უმოქმედობა აშფოთებს რუსეთსო, მაგრამ კუტუზოვმა უბასუხა „საქმე იქითგენ უნდა წავიყვანოთ, რომ გადავარჩინოთ რუსეთი და არა დავამშვიდოთ“. კუტუზოვი როდი იყო უმოქმედოდ. ანმტკიცებდა რა თავის არმიას, დრომდე თავს იკავებდა რა დიდი შეტევითი ოპერაციისაგან, კუტუზოვმა ფართოდ გაშალა საბრძოლო მოქმედება მტრის კომუნიკაციების წინააღმდეგ.

„ვინაიდან ახლა შემოდგომის დრო დგება, ამის გამო დიდი არმიით მოძრაობა სავსებით საძნელო ხდება, მით უმეტეს თანხლებული მრავალრიცხოვანი არტილერიით, ამიტომ გადავწყვიტე, — სწერდა იმ დღეებში კუტუზოვი, — განერალური ბრძოლის არიდებით ვაწარმოო მცირე ომი, რადგან მტრის დანაწილებული ძალები და მისი წინდაუხედაობა უფრო მეტ საშუალებებს შეძლებენ მოვსპო იგი, და ამიტომ, ვიმყოფები რა მოსკოვიდან 50 კილომეტრზე მთავარი ძალებით, გამოვყოფ ჩემგან არამცირე მნიშვნელოვან ნაწილებს მოჰაისკის, ვიაზმისა და სმოლენსკის მიმართულებისაკენ. გარდა ამისა, შეიარაღებულია კალუგის, რიაზანის, ვლადიმირისა და იაროსლავის სახალხო ლაშქარი, რომლის ყველა მიზანი მიმართულია მტრის დამარცხებისაკენ“.

კუტუზოვი ენერგიულად ავითარებს პარტიზანულ მოქმედებებს და ყოველმხრივ დახმარებას უწევს უცხოქვეყნელი დამპყრობლების წინააღმდეგ სახალხო ომს.

მთელი გზა მოსკოვიდან სმოლენსკამდე მოქცეული იყო პარტიზანული რაზმების დარტყმების ქვეშ. კუტუზოვის ბრძანებით სმოლენსკიდან გეტსკამდე მოქმედებდა პარტიზანი პოდპოლკოვნიკი დავიდოვი, გეტსკიდან მოჰაისკამდე — გენერალ-მაიორი დოროხოვი, მოჰაისკიდან მოსკოვამდე — კაპიტანი ფიგნერი. „მე ახლა ოპერაციაში ვღებულობ, — სწერდა კუტუზოვი, — მთელი თავისი ძალებით ხაზს, რომლის დახმარებით ტულისა და კალუგის გზიდან დაწყებული, ჩემი პარტიებით გადავსჭრი მტრის მთელს ხაზს, გაჰიშულს სმოლენსკიდან მოსკოვამდე, და ამით, ავიცილებ რა ყველა ღონისძიებას, რომელიც კი შეეძლება ჰქონდეს ზურგიდან მტერს, და პედაქცევ რა მტრის ყურადღებას, იმედი მაქვს ავიძულო იგი დასტოვოს მოსკოვი და შესცვალოს მთელი თავისი ხაზი. გენერალ ვინცენგეროდეს ჩემს მიერ განკარგულება აქვს მიცემული გაშავრდეს ტვერის გზაზე“. კუტუზოვი პირველი მხედარმთავარია, რომელმაც ასე ფართოდ მოაწყო გლეხთა რაზმებთან არმიის პარტიზანთა რაზმების თანამოქმედება, რათა

მათს დარტყმებს სტრატეგიული მნიშვნელობა მიეღოთ. ბოროტობის ბრძოლის შემდეგ პარტიზანებმა მოსკეს და ტყვედ წამოიყვანეს 20/ათასზე მეტი ფრანგი.

კუტუზოვი მთავარ ძალებს ამზადებდა ახალი გადამწყვეტი ღრწოლებისათვის, ხოლო არზამასისა და მურომის რაიონში ჰქმნიდა სარეზერვო არმიას.

მოსკოვში ბლოკირებული ნაპოლეონის არმიის მდგომარეობა აუტანელი გახდა. ამ პირობებში ნაპოლეონი საბოლოოდ მიხვდა, რომ თმი წაგებულ იყო და საჭირო იყო ზავის დადება. მაგრამ მან ზავი ვერ მიიღო.

6 (18 ოქტომბერს) ტარუტინოსთან განადგურებულ იქნა საფრანგეთის არმიის ავანგარდი მიურატის სარდლობით. მეორე დღეს ნაპოლეონმა მიიღო გადაწყვეტილება დაეტოვებინა მოსკოვი და გაკრილოყო კალუგისაკენ, იმ გუბერნიისკენ, რომელიც არ იყო განაჩაგებული ომისაგან.

ამ ეტაპზე კვლავ გამოჩნდა კუტუზოვის უნარი თავდაცვიდან შეუპოვრად გადავიდეს შეტევაზე, ჩაატაროს ოსტატური მანევრი, მოითხოვოს რა თავისი ხელქვეითი გენერლებისა და ჯარისაგან მოქმედებათა ზღვრული სისწრაფე. გაიგო რა კალუგისაკენ ნაპოლეონის მოძრაობა, კუტუზოვმა თავისი არმია დასძრა მალოიაროსლავეცისკენ. იქითკენვე უფრო ადრე იქნა გაგზავნილი გენერალ დობტუროვის კორპუსი. ატამან პლატოვის კუტუზოვმა უბრძანა: „თქვენი მალალამატებულება დაუყოვნებლივ უნდა გავიდეს კანაკთა მთელი პოლკებითა და ცხენოსანი არტილერიის ასეულით... და გავმართოს ბოროვსკის გზით ქალაქ მალოიაროსლავეცისაკენ“.

მალოიაროსლავეცთან დობტუროვმა და პლატოვმა გზა გადაუჭრეს ფრანგებს. 12 (24) ოქტომბერს გაჩაღდა ბრძოლა, ქალაქი რვაგზის გადადიოდა ხელიდან ხელში. საღამოს ქალაქს მიაღდა კუტუზოვი მთელი არმიით და ნაპოლეონი იძულებული იქნა სმოლენსკის გზით უკან დაეხია მოჟაისკისაკენ. ამგვარად კუტუზოვმა ნაპოლეონს გადაუჭრა გზა ომის მიერ ხელშეუხებელი, სურსათით მდიდარი სამხრეთის ოლქებისაკენ. აიძულა რა ნაპოლეონი უკანდახევსათვის დანგრეული გზით, რომლითაც ის მოდიოდა მოსკოვზე, ამით კუტუზოვმა განადგურება არგუნა საფრანგეთის არმიას. ომი მოგებული იქნა. კუტუზოვის ყველა გადაწყვეტილება მისი მოღვაწეობის ამ პერიოდში წარმოადგენს მკაცრად თანმიმდევრულს, მიმართულს ერთი მიზნისაკენ, ფრიად გაბედულსა და საპასუხისმგებლოს და იმავე დროს მოსაზრებულსა და ზუსტად აწონილს. ახლა ინიციატივა მტკიცედ იყო რუსეთის მხედართმთავრის ხელში. უდიდესი დაძაბვით ჩაატარა მან გამოღვენება. 29 ოქტომბერს (10 ნოემბერს) კუტუზოვმა ბრძანებით მიმართა ჯარებს: „ასეთი საუცხოო წარმატებისათვის, რომელიც მოვობოვეთ ჩვენ მტერზე ყოველდღიურად და ყველგან, დაგვრჩენია მხოლოდ სწრაფად ვლდენოთ იგი და მაშინ შეიძლება მისი ძვლებით დაიფაროს რუსეთის მიწაწყალი, რომლის დამონებასაც ის ოცნებობდა.“

ასე, ჩვენ ვსდევნით დაუღალავად, დგება ზამთარი, ქარბუქი და ყინვები; განა თქვენ შეგაშინებთ ისინი — ჩრდილოეთის შეილთ? რკინის მკერდს თქვენსას არ ეშინია არც ამინდის სიშკაყრის, არც მტერთა ბოროტების. იგია საშუაბლოს საიმედო კედელი, რომელზეც შეიმუხრება ყოველივე. თქვენ გადაიტანთ ხანმოკლე ნაკლოვანებებსაც, თუ ისინი მოხდებიან. მარჯვე ჯარისკაცები გამოირჩევიან სიმტკიცითა და მოთმინებით, ნაცადი მსახურნი მაგალითს მისცემენ ახალგაზრდებს. დაე ყველას ახსოვდეს

სუფორაჟი: მან ვგასწავლა შიშშილისა და სიცივის გადატანა, რაგა საქმე ეხებოდა რუსი ხალხის გამარჯვებასა და დიდებას. წავიდეთ წინ, რეგნან არს ღმერთი, ჩვენს წინ კი დამარცხებული მტერი; დაე ეგენს უკან სუფევდეს სიწყნარე და მყუდროება“.

კუტუზოვი ისე აწყობს გამოდევნებას, რომ საფრანგეთს არმია დღისითა და ღამით ზურგიდან და ფლანგიდან განუწყვეტელი დარტყმების ქვეშ იმყოფება. აგზავნის რა პლატოვს მტრის გამოსადევნებლად, კუტუზოვი სწერს:

„გენერალ მილორადოვიჩს ჩემგან ნაბრძანები აქვს მთავარი გზით ფეხდაფეხ მიჰყვეს მტერს და რაც შეიძლება უფრო მეტად შეავიწროოს იგი. რის გამოც ეცადეთ მოიგოთ მარში მტერზე ისე, რომ მარშის დროს მის უკანდამხვე მოწინავე კოლონებზე თქვენი მთავარი ძალების თავდასხმისას, შეძლებისამებრ მოაწყვეთ ღამით განუწყვეტელი განგამი. განკარგულება ეძლევა გრაფ ორლოვ-დენისოვს ასეთივე მოაწყოს მარცხნივ დიდ გზაზე“. ვიტგენშტეინთან წერილში 15 (27) ნოემბერს ის მიუთითებს, „რომ ყველა ჩვენი მოქმედების ერთერთი უმთავრესი მიზანია მტრის მოსაპობა. უკახასკნელ შესაძლებლობამდე... გადამწყვეტი დარტყმები უნდა იგემოს მტერმა და, ვისზედაც ესაა დამოკიდებული, მისი მადლიერი იქნება არა მარტო რუსი ხალხი, არამედ ევროპის ყველა ხალხებიც“.

მანამდე არნახული მასშტაბებით პარალელური გამოდევნების შესანიშნავმა ორგანიზაციამ მდიდარი ნაყოფი გამოიყო. გამოდევნების შედეგად, დიდს ბრძოლაში კრასნისთან, ბერეზინაზე, ბერეზინასა და ნემანს შორის დამთავრა კუტუზოვმა საფრანგეთის „დიდ არმიის“ მთლიანი განადგურება. კუტუზოვმა რუსეთის ძლევა მოსილი არმია მიიყვანა ქალაქ ვალნოში, საიდანაც მოიწერა „ომი დამთავრდა მტრის სრული განადგურებით“.

რუსი ხალხი და რუსეთის არმია ზეიმობდა გამარჯვებას. დიდი მხედართმთავარი, რომელმაც ბოროდინოსთან გამარჯვების შემდეგ გენერალ-ფელდმარშლის წოდება მიიღო, დაჯილდოვებულ იქნა გიორგის 1-ლი კლასის ორდენით.

კუტუზოვის სტრატეგიაში გამოვლინდა მისი შესანიშნავი სახელმწიფოებრივი ჭკუა. მისი გადაწყვეტილებები გამომდინარეობენ ვითარების გულდასმითი და ყოველმხრივად გათვალისწინებით. კუტუზოვი ნათლად ხედავს მთავარს, რომელიც გადაწყვეტია ვითარებაში, მაგრამ მხედველობიდან არ უშვებს წვრილმანებს, დეტალებს. მას ახასიათებს მოსაზრებულობა და მისწრაფება უაღრესად სრული ცნობები შეკრიბოს ვითარების შესახებ და იმოქმედოს მისი პირობებისდა მიხედვით. კუტუზოვის ეს დაუფასებელი თვისებები სავესებით საჭირონი იყვნენ იმ ომებში, რომლებსაც აწარმოებდა მაშინ რუსეთი, ომებში, რომლებიც მიმდინარეობდნენ უზარმაზარ სივრცეებზე, რამდენიმე სახელმწიფოს მონაწილეობით. კუტუზოვს უხდებოდა ეხელმძღვანელნა უფრო დიდი არმიებისათვის, ვიდრე წინანდელს ომებში, უმკლავდებოდა რა მის წინ მდგარ მტრის ჭარბ ძალებს. ამ რთულს გარემოებაში კუტუზოვმა თავი გამოიჩინა როგორც მსოფლიო მნიშვნელობის პირველხარისხოვანმა მხედართმთავარმა, როგორც გამოცდილმა და გამობრძმედილმა სახელმწიფო მოღვაწემ.

ამასთანავეა შეთავსებული კუტუზოვის ერთი, მეტად თავისებური მხარეც. მის გონივრულ, ყოველმხრივ მოფიქრებულ სტრატეგიაში ყოველთაგან იყო



სამხედრო მოხერხების ელემენტები. კუტუზოვის გეგმები ყოველთვის ნა-  
ვარაუდები იყო იმისათვის, რათა გამოეყენებინა მტრის სისუსტე და დაე-  
ხინა იგი. სუვოროვის ტაქტიკურ მოულოდნელობას სტრატეგიულ მასშტა-  
ბებში იყენებდა კუტუზოვი. კუტუზოვი მშვენივრად იცნობდა სამოლონის  
და შეეძლო შეექმნა უფრო ხელსაყრელი მდგომარეობა თანამართლის. კუტუ-  
ზოვის მხედართმთავრულმა ოსტატობამ—მისმა სტრატეგიამ და ტაქტიკამ—  
აჯობა სამოლონის მხედართმთავრულ ხელოვნებას.

კუტუზოვი თავის სტრატეგიაში ისახავდა გადამწყვეტ მიზნებს, შიასწო-  
ვად რა მტრის სრული დამარცხებისაკენ. ის ნათლად ხედავდა ომში ან  
კამპანიის საბოლოო მიზნებს და ყველა თავის მოქმედებას თანმიმდევრუ-  
ლად უმორჩილებდა ამ მიზნებს. დასახულ მიზანთა მისაღწევად ის იყენებ-  
და საბრძოლო სამსახურის წლებში მის-მიერ დაგროვილი ტაქტიკური  
ხერხების მთელს უმდიდრეს არსენალს. ჩვენ ვხედავთ მას თანაბრად  
ძლიერს შეტევაშიც და თავდაცვაშიც. ის იყენებდა ძანევრს მის მეტად  
ნაირფეროვან ფორმებში. კუტუზოვს საუცხოოდ ესმოდა, რომ გამარჯვება  
პოიგება ბრძოლით, შეტაკებით, მაგრამ ის ცდილობდა მიეღო იგი მისთვის  
უადრესად ხელსაყრელ პირობებში. კუტუზოვის მანევრი გამსჭვალულია  
ღრმა სტრატეგიული აზრით. ხედავდა რა მის წინ მტრის ქარბ ძალებს,  
კუტუზოვი საჭირო შემთხვევებში უკან იხევდა, მაგრამ მხოლოდ იმისათვის,  
რომ არახელსაყრელ პირობებში ჩაეყენებინა მტერი და შეტევაზე გადასვ-  
ლით გაენადგურებინა ის. კუტუზოვი სტრატეგიაში გამხედველია და წინდა-  
ხედული, შეუპოვარია და კეთიანი. მამაცია და მოხერხებული, მედგარია და  
მოქნილი. იგი ამქადავებს მსოფლიო ისტორიის უმაღლესი კლასის, დიდი  
მხედართმთავრის მხარეებს.

1813 წლის 1 (13) იანვარს რუსეთის არმია გადავიდა საზღვარზე და გაე-  
მართა დასავლეთ ევროპისაკენ. ჯარებს წაუკითხეს მიმართვა ფელდმარ-  
შალ კუტუზოვისა, რომელმაც რუს ჯარისკაცს უწოდა სამშობლოს მხსნე-  
ლი და მოუწოდა „დაემთავრებინათ მტრის დამარცხება მისვე საკუთარ  
ველებზე“.

1813 წელში კუტუზოვის რუსთა არმიის მოქმედებები ვითარდებოდნენ,  
როგორც განუწყვეტელ გამარჯვებათა ჯაჭვი. შტურმი ადებულ იქნა  
კენიგსბერგი, კაპიტულირება მოახდინა ვარშავამ. რუს კაზაკთა დარტყმით  
დაეცა დანციგი. რუსეთის ჯარები შევიდნენ სილეზიაში, დაიკავეს ბერლი-  
ნი და ლაიპციგი.

კუტუზოვის არმიას გათავისუფლება მიჰქონდა ევროპის ხალხებისათვის.  
მაგრამ დიდი მხედართმთავარი თავის ცხოვრების უკანასკნელ დღეებს  
თვლიდა. 1813 წლის 16 (28) აპრილს იგი ქალაქ ბუნცლაუში გარდაი-  
ცვალა.

### XXX

საბჭოთა ქვეყანა აღნიშნავს 200 წლისთავს რუსი ხალხის ერთერთი  
უდიდესი და უნიჭიერესი შვილის, მიხეილ ილარიონის-ძე კუტუზოვის  
დაბადებიდან იმ დღეებში, როცა ძლევა-მოსილად დამთავრდა დიდი სამამუ-  
ლო ომი პიტლერულ გერმანიასთან დასავლეთში და ომი იაპონელ იმპერია-  
ლისტებთან აღმოსავლეთში.

ჩვენი ხალხი წმინდად ინახავს დიდი რუსი მხედართმთავრის მ. ა. კუტუზოვის ხსოვნას.

1941 წლის მძიმე დღეებში ამხანაგმა სტალინმა სთქვა: „დაე ამ ომში ალგაფრთოვანებდეთ თქვენ ჩვენი დიადი წინაპრების კლესანდრე ნეველის, დიმიტრი დონსკოის, კუზმა მინინის, დიმიტრი პოჟარსკის, ალექსანდრე სუვოროვის, მიხეილ კუტუზოვის მამაცური სახე“.

1942 წლის 29 ივლისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დაწესებულია კუტუზოვის ორდენი, რომლითაც გილდოვდებიან წითელი არმიის მეთაურები ოპერაციათა კარგად დამუშავებული და ჩატარებული გეგმისათვის, რის შედეგადაც მოწინააღმდეგეს მიყენებული აქვს მძიმე დამარცხება, ხოლო ჩვენმა ჯარებმა შეინარჩუნეს თავიანთი ბრძოლისუნარიანობა. კუტუზოვის ორდენით დაჯილდოვებულია წითელი არმიის მრავალი სახელგანთქმული მხედართუფროსი.

წითელმა არმიამ მემკვიდრეობად მიიღო რუსული სამხედრო ხელოვნების საუკეთესო ტრადიციები, რომლის ერთერთი ფუძემდებელიც კუტუზოვი იყო.

დიდს სამამულო ომში წითელმა არმიამ უდიდესი გამირობა და უბადლო მხედრული ოსტატობა გამოიჩინა. ომის კანონთა ღრმად ცოდნაზე დაფუძნებულმა საბჭოთა სამხედრო ხელოვნებამ უზრუნველყო ისტორიაში არნახული გამარჯვების მოპოვება.

ჩვენი სამშობლოს ისტორიაში არმიისა და მხედართმთავრების წინაშე არასოდეს არ მდგარა ესოდენ რთული და ძნელი ამოცანები, როგორიც 1941 — 1945 წლების დიდს სამამულო ომში.

წითელმა არმიამ გენიალური მხედართმთავრის საბჭოთა ვავშირის გენერალისიმუსის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით წარმატებით გადასწყვიტა ეს ამოცანები, გადალახა უდიდესი სიძნელენი, გაანადგურა უძლიერესი მტერი — ფაშისტური გერმანია და მისი მოკავშირენი. წითელმა არმიამ გიგანტურ ბრძოლებსა და უმაგალითო ლაშქრობებში დაიცვა ჩვენი სამშობლოს ღირსება, თავისუფლება და დამოუკიდებლობა და არნახულ სიმაღლეზე აიყვანა რუსული იარაღის სახელი.

საპ. კ. ვ. (ბ) ც. კ-ის პროკაზანდისა და ავტიტაციის სახმართველო

## გ. ნატროშვილი — „დასავლეთის ფრონტზე“ (წიგნი მეორე). 1945 წელს. გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“.

სამშულო ომის პერიოდში დასავლეთის ფრონტზე ბრძოლის მონაწილე მწერალმა გ. ნატროშვილმა ნახულისა და განცილების უშუალო შთაბეჭდილებებით დაწერა ნოველები საერთო სახელწოდებით „დასავლეთის ფრონტზე“, რომლის მეორე წიგნი ამ მოკლე ხანში გამოვიდა.

მთელი რიგი სახეები გ. ნატროშვილის მიერ დაბატულ გალერეიდან ჩრებთან მკითხველის მესხიერებაში, თუნდაც სისხლიანგანდაცლილი, დაპრილი ქართული ოდიცერი, რომელმაც მზნეობით კბილებამდე შეიარაღებულ მტერს აჯობა, ან კიდევ სოფელ შერეპიციში ჩვენი მებრძოლების მიერ ნახული სასიკვდილო დაპრილი რვა წლის ბიჭუნა, რომელმაც სისხლისაგან იცლებოდა და მაინც ვეგაკურად სდუმდა. რუსი ვეგაკი — ზემდეგი ლუშნიკოვი, მზიარული, ზემარა ლეიტენანტი ვანო გაბიტაშვილი, ახლადმიღებული ჩექმებით ბერლინამდე რომ აპირებდა მისვლას, შემდეგ დაბრუნებას და ილაზნის ქალაში იმ ჩექმებით სიარულს. ყარაიელი თათარი ვიულასან ქიარბოვი, ლეიტენანტი ტიფინი — ლენინგრადელი, სერკანტი შერემეტი — ტავანროველი, მშები გალჩენკოვები და სხვანი.

აღსანიშნავია, რომ მწერალმა თავის ნოველებში დამკვიდრა თავისებური, ყოველდღიური, ჯარისკაცთა სალაპარაკო ლექსიკონი. ზემდეგი ლუშნიკოვი გაბიტაშვილს მიმართავს ნაწყენი: „ეგებ, ლეიტენანტი რა უბერიო პატარძალივით ირკებო, ორმოცდაათ ხიშტიანს გყოფოდა... ნეტავ რაღას მოწევ ახლა არ ვეცი?!“ ან კიდევ მზიარული ქართული ლეიტენანტი უცნობს უბნება თავის მებრძოლებზე: „მამიდაჩემი ვათბოვდა და ესენი მყარები არიან, ტორწილში მიდიან“. სინტერესო, ცოცხალი, ხალისიანი სასაუბრო ენა ბევრს მშატებს დასახელებულ ნოველებს.

გ. ნატროშვილი კარგად ხტავს პეიზაჟსაც. აქვს კარგი მშატერული პარალელები ჩვენი ქვეყნის ნაცნობ ადგილების გახსენებით შორეული კუთხეების დასახატავად, მაგალითად, ნოველაში „შავი მთა“, „ახალწლის ღამე“ და სხვა.

კარგია, იგრეთვე, რუსულ ტრამალებზე ქარბუქიანი ღამის გადმოცემა ნოველაში „ახალწლის ღამე“.

გ. ნატროშვილს ეხერხება სუბეტის დინჯი, ეპიური ტონით განგითარება. ეს უთუოდ იგრძნობა ნოველებში „წინა დღე“, „შავი მთა“, „ახალწლის ღამე“ და სხვ. მაგრამ ყველგან არაა დატული რეალისტური მანერა წერისა. ზოგიერთი მისი ნოველა ნარკვევის შთაბეჭდილებას სტოვებს.

ეგტორი ხშირად მიმართავს ნაშრობის, დღიურის გამოყენებას. ეს თავისთავად ცუდი როდია, მაგრამ თანამედროვე პროზისათვის არაა ახალი და ამიტომ განსაკუთრებულ ოსტატობას მოითხოვს. ზოგჯერ აგტორი ხმარობს წინადადებას, რომელიც არ ელერს ახლებურად, მაგალითად, „მაგრამ ჯერ წინ ნუ გაეკეცევი, ამაზე მერე გეტყვი“, ან კიდევ ხმარობს რატომღაც უკვე თანამედროვეობისათვის ხმარებიდან გამოსულ გამოთქმებს: „ეინ იცის რამდენჯერ ვაცავდა მირქმისა და ნათლისღების ყინვებში...“ „ნათლისღების მკაცრი ყინვების მოახლოვება იგრძნობოდა...“ და სხვა.

მთხედვად ამისა გ. ნატროშვილის ეს ნოველების წიგნი წარმოადგენს სინტერესო ცდას და იგი განსაკუთრებით გამოიჩინება ომის თემაზე ქართულად დაწერილ წიგნებისაგან.



ამხანაგ ი. ბ. სტალინის მიმართვა ხალხისადმი . . . . .

**მხატვრული ლიტერატურა**

ალექსანდრე აბაშელი — ვაჟა-ფშაველას სტრიქონები (ლექსი) . . . . .	6
ალიო მამაშვილი — ლეგენდა ცთომილ ვარსკვლავზე. წყარო. ღიმილი. პოეზია-ენის მფლობელი. ლესბიას. (ლექსები) . . . . .	7
კოლაუ ნადირაძე — მე მიყვარს დილა (ლექსი) . . . . .	11
ალექო შენგელია — მოხუცი და ცეცხლი (ლექსი) . . . . .	13
ქ. ელისაბედაშვილი — ყრმობა (დასასრული) . . . . .	14
ონდრა ლისოვოროსკი — ბალადა სამკედლოს წინ (ლექსი, თარგმ. კონსტ. ჭიჭინაძისა). მზესუმზირა. (ლექსი, თარგმ. ილო მისა-შვილისა) . . . . .	41
ვახტანგ გორგანელი — 1. ბაღში. 2. მოლანდება. (ლექსები) . . . . .	42
კლიმენტი გოგიავა — სიზმარი (მოთხრობა) . . . . .	44
ბონდო კეშელავა — პასუხი (ლექსი) . . . . .	50
ილია ხოშტარია — სიყვარული (ლექსი) . . . . .	51
მურმან ლებანიძე — ისევე მისადმი (ლექსი) . . . . .	52
ნოე კაკუშაძე, ბორის კეკელიძე — ცხრა მაისი (რომანი) . . . . .	53
აგეტეკ ისაჰაკიანი — * „ანდერძი (ლექსები, თარგმ. ს. ფაშალიშვილისა) . . . . .	68
იოჰან ვოლფგანგ გოეტე — ია. მინიონ. განშორება. მთვარისადმი. კოშკი მთაზე. სასმური (ლექსები, თარგ. ხარიტონ ვარდოშვილისა) . . . . .	69
უილიამ შექსპირი — რომეო და ჯულიეტა (დასასრული, თარგმ. ვახტანგ კელიძისა) . . . . .	73

**პრიტიკა და ლიტერატურის ისტორია**

ღიმიტრი ბენაშვილი — ვაჟა-ფშაველა . . . . .	95
გიორგი ვიზიანი — ალექსანდრე წულუკიძის ლიტერატურული შეხედულებანი . . . . .	114
გიორგი ნადირაძე — ონორე დე ბალზაკი და ქართველი ქალი . . . . .	127
ბოდბე ემხვარი — აფხაზთა ზრდილობის საკითხისათვის . . . . .	133
სურენ აფხაზი — აგეტეკ ისაჰაკიანი . . . . .	143
მიხეილ ილარიონის-ძე კუტუშოვი . . . . .	150

**ბიბლიოგრაფია**

დ. შამათავა — გ. ნატროშვილი „დასავლეთის ფრონტზე“ . . . . .	170
--	-----